

რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა

I

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა,
შენიშვნები და კომენტარები დაურთო.
იოსებ მეგრელიძე.

კრებული შეიცავს 1712—1887 წლებში ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ რჩეულ ლიტერატურას.

აქ მკითხველი გაეცნობა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და ჟვეფხისტყაოსნის პრობლემებისა და საკითხების შესწავლის თანმიმდევრობას, თვალს გაადევნებს ქართული ფილოლოგიის ახალი დარგის — რუსთველოლოგიის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას.

წიგნი გამოადგებათ ფილოლოგებსა და ისტორიკოსებს და დაინტერესებს მკითხველთა უფრო ფართო წრესაც.

რედაქტორი სარგის ცაიშვილი

Сборник содержит в основном опубликованную на грузинском языке в 1712—1887 годах руставеловедческую избранную литературу.

Здесь читатель познакомится с последовательностью изучения проблем и вопросов биографии Шота Руставели и исследования поэмы «Вепхистгаосани» — «Витязь в тигровой шкуре», проследит историю зарождения и развития новой отрасли грузинской филологии—руставеловедения.

Книга предназначена для филологов и историков, но она заинтересует и более широкий круг читателей.

Редактор С. С. ЦАИШВИЛИ

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

რუსთველოლოგიის საწყისი დაკავშირებულია სწავლული მეფის ვახტანგ მეექვსის (1675—1737) სახელთან. მან 1712 წელს, მისივე ინიციატივითა და ხარჯებით დაარსებულ სტამბაში, დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო პოემის პირველი პუბლიკაცია (Editio princeps). როგორც ამჟამად გარკვეულია, აღნიშნული გამოცემა კრიტიკული ხასიათისაა და წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე გარკვეული მეცნიერული მუშაობის შედეგს. ვახტანგ მეექვსემ გამოცემას დაურთო ვრცელი გამოკვლევა „თ ა რ გ მ ა ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი ს ა ა მ ი ს ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა“. ფაქტობრივად ეს არის პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელიც ლექსიკოგრაფიული თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დაკვირვებებით ღღესაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

მას შემდეგ ორნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. ჭერ კიდევ მეცხრამეტესა და შემდეგ ჩვენს საუკუნეში უფრო და უფრო გაიზარდა ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის — შოთა რუსთაველის ცხოვრების, შემოქმედებისა და მისი ეპოქის ქართული კულტურისადმი. შესაბამისად ამისა გაღრმავდა და გაფართოვდა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება. იგი ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა. რუსთველოლოგიის პრობლემებსა და საკითხებზე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმაც დაიწყეს წერა, ქართულს გარდა, რუსულსა და ევროპის ძირითად ენებზეც ბევრი რამ დაიბეჭდა. დაგროვდა დიდძალი ლიტერატურა.

იმ მიზნით, რომ უფრო ვრცლად, ნათლად და ზუსტად წარმოჩინდეს რუსთველოლოგიური აზრის განვითარების ისტორია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გადაწყვიტა ქართულსა და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური საუკეთესო ლიტერატურის შერჩევა და მისი კრებულების სახით პუბლიკაცია. ეს მით უფრო გახდა საჭირო, რადგან ასეთ ნაშრომთაგან ზოგი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურის კრებულთა შედგენა და

ჯამოსაცემად მომზადება, რაც ხსენებული ინსტიტუტის სამუშაო სამეცნიერო გეგმაშიც აისახა, დაეკისრა წინამდებარე სტრიქონების ავტორს, ხოლო მასალების შეკრებაში დახმარება დაევალა ინსტიტუტისავე უმცროს მეცნიერ თანამშრომელს მერი გოგიჩაიშვილს. შერჩეული მასალების რაოდენობამ წინასწარ ვარაუდს ბევრად გადააჭარბა. საჭირო გახდა მისი კიდევ უფრო მკაცრად გაცხრილვა. გადაწყდა, რომ ინსტიტუტი მხოლოდ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მასალებით შემოფარგლულიყო, რუსულსა და სხვაენოვან ლიტერატურაჲ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტი შეკრებდა და გამოცემდა, რაც ხორციელდება კიდევც.

კრებულის ნაკვეთში შესული ქვემოწარმოდგენილი ნაშრომები წინამდებარე სტრიქონების ავტორის მიერაა პირველწყაროებიდან ამოკრებილი და სასტამბოდ მომზადებული. წიგნის მცირე მოცულობა საგამომცემლო გეგმამ განაპირობა.

წინამდებარე ნაკვეთში შევიდა მხოლოდ მეოცე საუკუნემდელი უძირითადესი რუსთველოლოგიური ლიტერატურა. ცნობები სტატიათა შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ კომენტარებსა და შენიშვნებში.

იოსებ მეგრელიძე

თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“

მე ვსწერ, ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ, წიგნსა ამას ამისთვის: უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა, მსგავსად თვალთა, რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ჰქიანა ჭვად პატროსნად სახელსდებენ და მარგალიტთა მძივად პატივსცემენ. და ესეცა ვთქვა: მსგავსად ჰქიანა მის, რომელი არს გვამთა ფრინველისათა, გემოვნებისა და განძლომისა თვისისათვის სკამს მფრინველსა მას, ჰამითა მით მასცა მოჰკლავს თვითცა მოკულებს.

აწ მე ამისთვის დავშვებ: ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესევეთარი მეცნიერი კაცი არცა დაშვებოდა წარსაწყმედელად და, რადგან ქრისტიანი იყო, არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა ხანსა ამას წინ, რომელი იტყვის: „რომელმან მიხედოს დედაკაცს გულის თქმად“ შემდგომითურ. მაგრა ამად თქუ: თუცა [არა] ეთქვა წმინდათა წერილთაებრ, ვინ გაუშვებდა გრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას შეიყვარებდა? აწ ამის მიზეზისათვის ესე თქვა. უსწავლნი და უმეტარნი სოფლის საშვებლად და სიბრძნედ შერაცხს და მათ სიხარულად შეიტკობს, ხოლო რომელნი არიან მეცნიერ, სცნობენ ესრეთ, ვითარ განიმარტვის და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი და ამით ნამუშავეარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება.

და აწ ესე მისმინეთ „ვეფხისტყაოსანი“ მე ასე მითარგმნია, და, თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია. ერთი მე ასე მივხვდი და მითქუამს, რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რა, და ვინც გინდა, იმან სთარგმნეთ. სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით, ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის ეკადრე თავს გმობს. აწ ასრე ვსთარგმნე, ვითა მას მთქმელსა ეთქვა. მე თარ-

გმანი მრავალი დამირჩა, არა თუ ამისთვის: თუცა ესე ვიპოვნე, მას ვერ ვიპოვნიდი; მაგრამ, ერთად, მოუცლელობისათვის, მეორედ გზა და რიგი გამირკვევია. ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ. თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა?

და თუცა ვინმე ამ თარგმნისას ამას ბძანებს: „არა ისრე არისო“, მე უგბილობაში ჩამომირთმევია, ამისთვის: თავათ რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უცოდრისიცა და როგორ არ უწყენდა? და მეორედ: ორი კათალიკოზი, რამთონი სამღვდლო წმინდა და ღირსნი კაცნი იყვნენ და ამთონი უდაბნო აშენებულ იყო. ისინი, თუცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევიანებდენ და ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშვებდენ! თვარამ ახლა, გასინჯეთ, ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდლობა და ახლანდლობა შორიშორ არის, თუ ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად, კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ!

მაგრამ, თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს, თარგმანი ხომ ასრე სჯობს! ღვთისა და კაცს წინ, მე ასე მიჯობინებია, და ამას იქით მკითხველთ იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ: ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამაღ დაეშვარ.

თარგმანი პირველი წიგნისა ამის

1. რომელმან შექმნა. ღმერთმან შექმნა ქვეყანა, ქვეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით და ზეცილამ სული ცხოველი მოჰბერა, რომელნიც მყოფნი ვართ. ხოლო მრავლის ფერის შემკობით კაცთა მისცა სოფელი. და ყოველს ხელმწიფობა, ვითარცა იტყვის პავლე, ზეგარდმო არს. აგრევე ესეც ამას უბნობს, რომელ ღვთისაგან არის ყოველი ხელმწიფება, იმავ ღვთის მიმზგავსებულობით.

2. ჰე, ღმერთო. ერთმან ღმერთმან—მამამან, ძემან და სულმან წმინდამან, შექმნა სახედ ყოველი აგებულება. და მას ეხვეწების დაფარვასა და ძლევასა ეშმაკისასა და დათარგუნვასა სატანისასა. სატანა წინამდევსა ჰქვიან. აქ იხილეთ, კაცნო, თუ სიძვაზედ რამ იყოს! რა სთხოვარია სიკვდილამდი ქრისტეს მცნობისა და ამგვარის ფილასოფოსის კაცისაგან მრუშება?! მაგრამ ამას არა სთხოვეს, ამასა სთხოვეს. მიჯნური არაბულად შმაგსა ჰქვიან, და სურვილი ამას ჰქვიან, რომე მუდამ ნახვის მდომე იყოს. და აწ ამას ამაზედ ამბობს: „მომეც მიჯნურთა სურვილიო“, ვითამ გაშმაგება მუდამ სასუფევლის ნდომისათვის რომ სიკვდილამდი გამყვეს, რომ იქ ცოდვა შემომსუბუქდეს, თან ის წავიტანო.

3. ვის შვენის. სკირს რუსთვლის ლექსსა სამი ესე საქმენი, სამ-ზედ უბნობს: ერთის სამღვთოდ, მეორეს საცოლქმროდ, მესამეს რასაც ზღაპრის მიზეზზედ ეს ლექსები უთქვამს. და აწ აქ შესავალში ეს მეოთხე მეფის თამარის ქება მოუყვანია. წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მერმე მეფეთა. აწ თვისსა მეფესა აქებს ესრე. ლომი კაცის ქებად ითქმის. თამარ ქალი იყო და მეფედ იქდა და მეფეთაგან კაცობა ხამს. აწ ამას უბნობს: რომელს ლომსა შვენის ასრე ხმარება შუბისა, ფარისა და შიმშირისა (შიმშირი სპარსულად ხრამლია), რომ ამ ქალს, მეფეს მზეს თამარს, ლაწვ-ბადაზშ, თმა-გიშერს, ხმარება რომ უხდებისო? და ახლა ამას დაღონებით ამბობს: ამისთანას ქება როგორ შეეგმართო? (შემართვა შებედვას ჰქვიან). ამის მეტი: იმის მჭკრეტს (ყანდი შაქრის ყინული არის; ეს შაქრის ყინული რომ კაცს, მის მჭკრეტს, წინ ედვას, იმის ყურება ეყოფა) ის მართებს, მშიერსა მისცეს. მშიერად ვინც თამარს ვერ ნახავს, იმას უბნობს; ვინც ნახავს, იმის მნახავს ასე ეუბნება: ამისი ნახვა ხომ გასაძღომლად გეყოფა, შაქრის ყინულს რაღას აქნევთო!

4. თამარს ვაქე (ბდეთ). უბნობს: თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლის ცრემლ დათხევით, ხამს პატრონის სამსახურისათვის კაცის სისხლის ცრემლითაც ტიროდეს და სისხლსაც აქცევდეს. და აწ ამას უბნობს: თამარს ვაქებდეთ იმის ყმანი, რომელსაც მისის სამსახურისათვის სისხლის ცრემლი გვიქცევია და ჰირიც გვინახავს. და აწ უბნობს: ეს თამარის ქება რომ უსთქვიითო, არ ავად გამოჩიეული არისო. მეღნად იტყვის თამარის თვალსა და გიშრის ტბად — გუგასა, რომ ის მეღნად ასრე იხმარა; იმის ქებისათვის სწერს, თვარა, თუ ის თამარის თვალი საჭებარი არ იყოს, მეღნად რად დასწერს? კალმად, მინახეულად წამწამებს ამბობს. მინახეული შერხეულად ითქმის. აწ ასრე უბნობს: ეს წამწამი ასრე მიქია, ვინც მოძისმინოს (წამწამი ლახვრად უთქვამს), რომ გულს ლახვრად დაესოს ქებაო.

5. მიბძანეს მათ (და). ამას უბნობს: თამარ მეფემ მიბძანა, იმ გმირების საკადრისი ტკბილი ლექსები თქვიო, ჟება ნესტან-დარეჯანისა და თინათინის თვალისა, წარბ-წამწამისა, თმისა და ბაგე-კბილისა. ბროლად კბილს უბნობს, ბალახშად ღრძილს და ბაგეების მიჯრით მიწყობა კბილის ქება არის. ბადახშანი უმჯობეს ლალსა ჰქვიან. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა“. ეს არი, რომ აღმასს ტყვიანზედ გასთლიან: ლექსის გაწყობისათვის გატეხად უთქვამს. აწ ეს ასრე არის: როგორც ტყვია ღბილი აღმასს გასთლის, აგრევე (ქალი ხომ რბილი არის! და) ამ ნესტან-დარეჯანისა და თინათინის საცოლოდ მონღომებამ გმირის ტარიელის და ავთანდილის სიმაგრე გასთალა, გატეხა და ძალიანი საქმეები აქნევინა. და ამას სხვაზედაც უბნობს: ვინც საცოლედ ქალს მონღომებს, იმისი ცდა, ბევრს გარჯის. მეორე ესეც მგონია: როგორც რომე ტყვია აღმასს გასტეხს, ისრე ტკბილი და გემრიელი სიტყვა გაჯავრებულს კაცს გასტეხს და მოაღბობს. მაგ-

რამ ამას რომ უბნობს: თამარ ტარიელისა და ავთანდილის ქება მიბძანა, იმათი სახელდობრ არ უბრძანებია, ქართულად ლექსის თქმა უბძანა. ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა.

6. აწ ენა. ამბობს: ახლა ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება, რომ, რადგან სამსახური მიბრძანა მეფემ, კარგად ვქნა. და ღმერთს ეხვეწების: ძალი მომეც და შემეწიე, შენგნით რომ გონება მაქვს, იმას მიუგლო და დავაყრა. იმ თავის მოგონილის ზღაპრის ტარიელისას და ავთანდილისას უბნობს: იმათს ქებაზე შევეწიო, რომ ტურფად სახსენებელნი არიანო. იმ სამს — ტარიელს. ფრიდონს და ავთანდილს — გმირად ახსენებს, ერთმანერთის მონად და მორჩილად ამბობს.

7. მო, დავესხდეთ ტარიელისთვის. ამას ამბობს: მოდით, დავესხდეთ ტარიელისთვის, ვისაც ცრემლი შეუშრობლად გვდის. რომ იმას აქათ დაბადებული იმისთანა ვინ ყოფილა! ამას ამისთვის ამბობს: იმ ამბავს ზღაპრად ხდის, არც დაბადებულან და არც ვის დაბადებულს იმას უღრის. თვარა დიამც გმირები იმათთანა არ ყოფილიყოს! თვარა იმას აქეთ რამდენი წმინდა კაცნი დაბადებულან! იმათ როგორ აჯობინებდა! მაგრამ უბნობს: ზღაპარია, არა იყვნენ რაო. მე, რუსთველმან, გავლექსე ამთვის ტყუილის თქმისათვის ლახვარ გულდასობრლმა. აქამდის ამბავი იყო, აწ მარგალიტად წყობილად გავხადე. მარგალიტად ლექსს უბნობს და წყობილად ლექსის განწყობას.

8. მიჯნურსა თვალთა სიტურფე. რასაც მიზეზით ეს წიგნი თქვა. ის ამბავი გაათავა, ახლა მეორეთ სამღთოსავ მოჰყვა. აბა, ზოგი ვინმე რომ იტყვის „რუსთველის ნათქვამში სამღეთო არა ურევია რა“, მაშ ეს რა არის? თუ ხორცის მიჯნურობაზედ თქვა, ეს რომლის ხორციელ კაცისაგან იქნება: სიმდიდრე და სიყმე ჰქონდეს და მოცლა? ან ეს როგორ იქნება: მოცლალი იყოს, უთმობდეს და მძლეს მტერს ერეოდეს? მძლის მტრის მორევეა და მოთმინება როგორ იქნება! ასრე ახირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა! მაგრამ ეს საერთოდ არ უთქვამს, სამღდელოს კაცზედ უთქვამს, ასე რომ სამღდელო კაცი წირვის იარალის განწყობითა, სულიერად ქცევითა და მადლით ერის კაცს ასრე უნდა ეჩვენოს, ტურფად და მზეებრ განბრწყინებულნი. და სასუფევლის მიჯნურნიც ხომ სამღდელონი არიან! ასრე უთქვამს; სიმძნე მოღვაწეების შემძლებელად, — მადლი ამდენი უნდა ჰქონდეს და სასწაული, რომე უხვად ყოვლს კაცს აძლევდეს (როგორც პეტრე იოვანეთურთ, ტაძარში რომ საპყარი იხილა და ქველისაქმე სთხოვა, იმათ არ უთხრეს: „ჩვენ ოქრო და ვეცხლი არა გვაქვსო და რაოდენ გვაქვს, მიგცეო“¹). იმ უხვებასა უბნობს): სიმდიდრე — მადლით სიმდიდრეს უბნობს; სიყმედ — რომე ვაჟკაცურად გარჯის შეძლება ჰქონდეს; ასე მოცლას ეუბნება, სოფლის ზრუნვა, სასუფევლის მეტი, არა ჰქონდეს რა; ენა ქადაგებისა გრძელი და კარ-

¹ ს.ქე მოც., 3,6. ამ და ასეო სქოლიოთა შესახებ ამ პირველ ნაშრომში იხ. ქვემოთ, გვ. 144.

გი ჰქონდეს; გონება — კეთილის გონებისა, სამღვთო წერილთა სმენისა, მოთმინება ჰქონდეს; მძლე მებრძოლი ეშმაკია, იმას ერეოდეს. თვარა, თუ სამღვდელს ესეები არა სჭირს, სასუფეველის ტრფიალების და მიჯნურობის წესი დიად აკლდება.

9. მიჯნურობა არის ტუ რ ფ ა. აქა აჩენს ქალის მიჯნურობა რა ძნელი გვარია. ლოთებმაც იციან, რა საძნელო დასაწერია. მაგრამე მიჯნურობას სამღვთოს მიჯნურობისათვის ამბობს: ძნელი გვარი ის არისო. აქ აჩენს: მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარის ძესო. თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს? მაგრამ უბნობს: მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო. და დიდი სამძღვარი ძესო. და გეხვეწებათ: ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურვინ გახდიო, რომ იმაზე არ მითქვამსო.

10. ხამს მიჯნური ხანიერი. ეს გასინჯეთ, თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას: ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი, მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრება? თუ კაცი არ დაიშლის, არ უნდა ახანიერებდეს; სანამდი ყმაწვილი იყვნენ, მანამდის უნდა ცდილობდნენ. მაგრამ საეროდ და სამღვდელოდ ამბობს და ბოზობას უშლის. გმართებთ, რომ სასუფეველის მიჯნური იყვნეთ ხან-გძლად და არ მეძაობდეთ და არ ბილწობდეთ. „მოყვარე კაცისა“ კაცივ არის. და ამას ამბობს: რა რომ კაცს მოსცილდეთ, სასუფეველისათვის სულთქმა და უში გქონდესთო. მესამეს ლექსს ერის კაცისათვის ამბობს პაელესავით: „თუ ვინმე ქალწულად დადგება, ისი სჯობსო, თვარემ ხურეებას ქორწინება სჯობსო“¹. ახლა ამას გეუბნებათ: გული ერთსა დააჭერეთ, ქუში მოგხედესთ თუ კუშტი, მიუღს, ამბობს, ამგვარი უგულო სიყვარული. ხევენა, კონა და მტლაშა-მტლუში, კაცი ცოლს ეხვეოდეს და ჰკონიდეს და სხვაგან ბოზობდესო. ამას ამბობს საძულველად.

11. ამა საქმესა მიჯნური. ესეც სამღვდელისია. ამ საქმეს, მიჯნურნო, მიჯნურობას ნუ უძახით: დღეს რომ სასუფეველის მიჯნური შეიქნათ, ხვალ სოფლისა და სოფლის სიყვარულით ხვალ მისი გაყრა დასთმოთ. ბედითი ცუდსა ჰქვიან და მღერა თამაშობასა, და იმას უბნობს: ეს ცუდის ყმაწვილის თამაშობას გავსო. და კაი მიჯნური ისაო, — და იმას ამბობს, — ვინც სოფელს დასთმობს და მუდამ სასუფეველს ეძებსო.

12. არს პირველი მიჯნურობა. უხმს მოღვაწეთა, ვითარცა იტყვის ქრისტე: „იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რათა არა ეჩვენო კაცსა მარხველად“². ახლა ამას ამაზე უბნობს: თავი და პირველი მიჯნურობა ის არის, რომ კაცი დაფარვით მარხულობდეს და მოღვაწეობდეს და საჯაროდ არ ირჯებოდეს, თავის სენაკში იჯდეს, სულ თავის წინ თავის ცოდვას იგონებდეს და

¹ კორინთ., 7, 8—9.

² მათე, 6, 17—18.

მუდამ ხალვა ჰქონდეს (ხალვა მარტობას ჰქვიან) და სასუფეველზედ რომ შორს არის, იმისთვის მუდამ ილაგებოდეს, სურვილის ცეცხლით იალებოდეს. და „დასთმოს წყრომა მეფეთაგან“ და იმ სოფლისა ასეთი შიში და კრძალვა ჰქონდეს, ვერც მეფის წყრომამ და ვერც სიკვდილის შიშმა ვერ გააშეებინოს. აბა, ეს ხორცის მიჯნურს როლის შეუძლია, რომ მეფის წყრომა არ ინაღვლოს რა!

13. ხამს თავისსა ხვაშიადსა. ხამს კაცი — ხვაშიადი საჩუმოს განდობას ჰქვიან — მოძღვრის მეტთან არვისთან ლაპარაკობდეს (ზმნა ქმნასა ჰქვიან) და არც ცუდად ამას იქმოდეს, რომ კაცსა და თავის ამხანაგს ავს ხმას არ უყრიდეს... (ამას წმინდა სახარებაც ბძანებს: „რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა?“ წველი ყანის ფხას ჰქვიან), არც უჩნდეს მიჯნურობა, არც იფერებდეს. წესი არის: სასუფეველისათვის რაც კაცს. ჰირი დაემართოს და გაისარჯოს, სიხარულად უნდა უჩნდეს და ქრისტესთვის, როგორც წმინდა მოწამენი ცეცხლს იკიდებდენ, ისე სხვაც ცეცხლს მოიღებდენ.

14. მას უშმაგო ვით. ამასაც მოძღვრობაზედ ამბობს: თუ არ უშმაგო, ასეთს მოძღვარს ვინ დაიპყრს, რომე მოწაფე გაამყლავნოს! და იმ მოძღვრისათვის უბნობს. მის შეტს რას ირგებს, კაცს შეარცხვენს და ამით ავნებს და თავს წასწყენდს და თავს ამით ივენებს, რალა გასახელოვნება შეუძლია მოძღვარსა, თუ კაცის ცოდვა ქვეყანაში თქვა და ავი ხმა დაუყარა! მოძღვრისათვის მოწაფე მოყვარე არის. მოძღვარს რა გაუეა მოწაფეზედ თუ შიშს არ დასდებს და არას ასწავლის, არას აწყენინებს, ცოდვას არ დაუშლის და მადლს არ მოუწონებს?

15. მე რუსთველი. ხამს, ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიალი უნდა იყოს და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს, რომე მისის სამსახურისათვის თავს წასახდენლად და სასიკვდილოდ არ ზარობდეს. აწ ამბობს: მე, რუსთველი, ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ, იმან რომ უბრძანა, ამის თქმას იმას აღებს, რომე ამისთვის ვიქ და ამისთვის არისო. თამარ მეფეს მორჩილებდა სპაცა და ჭარიცა. და უბნობს: იმის სამსახურისათვის ვხელობ და ვკვდებიო და მისის სამსახურის მიჯნურობით ესე ვერ გავმძღარვარ და ვერც რომელიც მმართვეს, ის მიმსახურებია და უმსახურობის უძღური ვარო, და წამალი არა მაქვს, გავიკურნოო. ან ასრეთი სამსახური მიბძანოს, რომე გამაძლოს იმ სამსახურმაო, და ან მამკლასო. საჩივარსავით ასმენს და ამაში, გავს, რუსთველი შემძლე და კაი კაცი ყოფილა, რომე ძალიანს სამსახურსა ჩთხოვს.

16. ესე ამბავი. ეს ამბავი სპარსში არ არის და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ. და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მახედ მოინდომა, ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომ ქართლშიაც.

არ იყოს. და უბრძანა მის მდივანს რუსთველს: ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს (სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ), რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება. ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც. იმისთვის უბნობს (რომ სპარსის ლექსის ბაძვედ რომ სთქვა) სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო. როგორც მარგალიტი ხელის-ხელ საგოგმანო არის (გოგმანი ამას ჰქვიან, ფრინველი რომე ნიადაგ კარგა იარებოდეს), ისე ეს ამბავი მარგალიტისათვის შეუღარებია. და ვპოე და ლექსით სათარგმანოდ და საჭოჭმანოდ გავხადეო (ჭოჭმანი — საქმე რომ ვერა ექნას კაცსა და დავა მქნელისა იყოს, ამას ჰქვიან). „თავის ხელქმნელო“ თამარ მეფეა. ეს ხელმქნელი როგორც დამიწერია, იმან დამმართაო, ამას უბნობს.

17. თვალთა მისგან. ახლა მოჰყვა სხვასა ამბავს, რომ მოლექსეების საქმეს ამბობს. და პირველზედ კიდევ სამღვთო თქვა, რომე თვალთ უწინდელთ ქრისტეს მოსვლანდი უნათლოთ უჯობდაო, რომ ახლა ჩენა ენატრათო. აი რამდენი გული გამოიწურდა ქრისტესთვის, რამთონი ველად გაიჭრნენ! მე აჯე მახვეწარსა ჰქვიან. ვინც ეხვეწებიან სასუფეველისათვის, ხორცსა სწვენ, მაგრამ ის კმარა, რომ სულს ღებნას მისცემენ. და „სამს ფერად“ სამებას ამბობს. „დამის ლექსს დაღევა უნდაო“, — ერთი ეს არის, რომე სამების ქებისათვის ვის ექნება მაქთენი სიბრძნე, რომ არ დაელიოს? მეორედ ეს არის: სხვას ამბავს მოჰყვა და ისომ ვამბობდი, ზეითი სიტყვა დაიღია, ახლა სხვას მოვჰყევ.

18. რაცა ვის რა „რაცა ვისცა ბედმა მისცეს“, როგორც იოვანე ნათლისმცემელი ბძანებს: „კმა გეყავნ როკიკი თქვენიო“! (როკიკი ჯამაგირსა ჰქვიან). და პავლეც იტყვის: „ნურა რასა უფროსსა განწესებულისა თქვენისა იქო“². ის მოუყვანია. ვისაც რა მოგეცესთ, იმას დასჯერდითო: მუშა მუშაობს, მეომარი გულოვნობს, მიჯნურნი რომ სამღვდელონი არიან, მიჯნურობდეთ და გიყვარდეთ და სამღვთო სიბრძნეს იკითხვიდეთ და თარგმნიდეთ. სამღვთო საქმე არცა ვისგან იზრახოს და დაიწუნოს, და არც სხვას სოფლის საქმესა თუ უსჯულოთ სჯულს შეუღაროს და შეუწონოს.

19. შაირობა პირველად(დევ). მოჰყვა ამას, რომ, რადგან ლექსს უბნობს, ლექსის თქმას აქებს, რომ თავის ნამუშავეს აკეთებს. პირველი: შაირობა სიბრძნისა ერთი დარგი არისო (დარგი ერთს რიგსა ჰქვიან), სამღვთო, რომ სამღვთოდ გაიგონოს და დაისწავლოს, მსმენლისათვის დიდი სარგებელია. ამ თავის წიგნს უბნობს: ვინც კაცი კარგია და მსმენელი, სამღვთოს ამაშიაც ბევრს გაიგონებს და იამების, შაირს აქებს რომ გძელს ამბავს მოკლედ იტყვის.

1 არა იოვანე ნათლისმცემელი, არამედ ლუკა, 3, 14.

2 არა პავლე, არამედ ლუკა, 3, 13.

20. ვითა ცხენსა. იგავად მოუყვანია: როგორც ცხენს გძელი გზა. და ბევრი რბევა გამოსცდის, მობურთაღს მარჯვედ ჩოგნის სმარება და სწორად ბურთის კვრა, ავრევე გძელი ამბვის გაღვექსვა მეღვექსეს; რა ამბავი გაუგრძელდება, თუ არ იცის და სიბრძნე და რიტორება არა აქვს, გაქირვებაში სიტყვაც შეუმოკლდება და ლექსიც გაუქირდება.

21. მაშინლა ნახეთ. მაშინლა გასინჯეთ მეღვექსე და იმისი შაირობა, რა რომ ქართულს ველარ მიხლომოდეს და ლექსს ძვირობა დაეწყოს. მაშინ ქართული არ შეამოკლოს და სიტყვა-მცირობა არა ქნასო! (მცირეცოტას ჰქვიან). როგორც მობურთაღმა ხელ-მარჯვედ ჩოგანი სცეს და დიდი გმირობა ქნას, ისე ამ მოღვექსემ.

22. მოშაირე არა. იმას მოშაირედ არ აგდებს, ვინც თვითო-ოროლს ლექსს იტყვის და გრძელის ამბვის გაღვექსვა არ შეუძლია. ყოვლს მეღვექსეს თავი კარგის მოღვექსის სწორი ნუ ჰგონიაო. ერთი-ორი და შორი-შორი უმსგავსო გაღანამც რომ კიდევ თქვას, ეს არ ჩაიგდებაო. მაგრამ ამგვარი უცოდინარი კაცი კაცს არ შეიცილებს და ჭორივით ფეხს მისდგამს: „ჩემი ნათქვამი სჯობსო“.

23. მეორე ლექსი. ეს ლექსობა სამად გაუყვია: ერთს ხომ ამ თავის ლექსს ამბობს: მართალი ლექსობა ეს არისო (და მართლაც ამბობს!), და მეორედ ლექსად როსტომიანი და თუ ამგვარი ლექსები ჩაუგდია. და ერთად ესეც მგონია: ჩანარუხაძეც მდივანი იყო და ისიც თავის ამხანაგს ლექსს უწუნებს და თავისას აქებს. და მეორედ ლექსად ესეცა მგონია და არ იღარებს, მოღვექსეობაში კაი ნაწილს უდებს და არც სიბრძნის ძალი აქვს იმგვარს ლექსსა და არც გასრულება შეუძლიაო, გულის გასაგმირალი თქვას რამე. (გაგმირეა, შიგ რომ მახვილი რამ გაუყაროს, იმას ჰქვიან). ამად ცუდს მშვილდოსანს ყმაწვილს უდარის: როგორც იმათ დიდის ნადირის სიკვდილი არ შეუძლიათ და წვრილს ხოცენ, ისე ამგვარს ფილასოფოსებრი და ღრმა არა შეუძლია, ცუდმადს ამბობსო.

24. მესამე ლექსი. ლექსად მესამედ სუფრის შაირობას უბნობს, ამას კარგად აგდებს და მეორეს ლექსს კი იმას აჯობინებს. და თავის ლექსს აჩენს, რომე ეს ჩემი ლექსი არც საცრუო არის და არც სახუმრო და სააშიყო. და ამას უბნობს მესამედს შაირისას: სააშიყოდ, საღაღობოდ, სახუმროდ და ამხანაგთ სათრეველად კარგი არიო (აშიყობა არაბულად ტრფიალობას ჰქვიან და ლაღობა ხუმრობას ჰქვიან). და ახლა უბნობს: ჩვენ კარგს მოღვექსეებს სუფრის შაირობაც კარგად გვიაგებო, რომელსაც ნათლად იტყვიანო. მაგრამე ოღონ სასიამოვნოდ უბნობს, თორემ მოშაირეებში კი არ აგდებს, ვინც კარგად და გრძლად არ იტყვისო.

25. ხამს მეღვექსე. ეს ესაია წინაწარმეტყველის სიტყვა უთქვამს. ესაია იტყვის. „ვა მათთვენ, რომელნი წერენ სიცრუესა!“ და ესეც ასრე ამბობს.

1 შარ. ესაია, 5, 20.

იმასავით: მელექსე სამს თავის ნაჭირნახულევს ცუდს საქმეზედ არ აბრკმევ-
დეს და ცუდზედ არაზედ უბნობდესო. და თავის ბატონის დაყვედრებაც არის:
ისომ თამარ მეფემ ამის თქმა დააბატოა, რატომ ცუდს საქმეზედ ამ სიტყვას
და წიგნს მახარჯვინებსო? „ერთს სამიჯნუროდ“ ღმერთს უბნობს; ერთი ის
უნდა უჩნდეს სამიჯნუროდ და იმას ეაშიყებოდეს და ყველას იმისთვინ მელექ-
სე ხელოვნობდეს, იმას აქებდეს და იმას ამკობდეს და იმის მეტი ნურვინ უნდა
საქებრად და ენას მისთვის ამუსიკებდესო (მ უ ს ი კ ი ბერძნულად მგალობ-
ლობას ჰქვიან). და აქ გასინჯეთ: რომელი მიჯნური ქებულა მგალობლად, თუ
არ ღვთისათვინ?!

26. ჩ ე მ ი ა წ. აწ ვერც ამ ზღაპრის თქმას მართლა თამარ მეფეს
აღებს, — რომე ბატონისათვის ვერ უკადრებია, — და, თუ კაცი გაუსინჯავს,
არც თვითონ იღებს და უბნობს: „ჩემი ახლა სცანითო, ვინც მიქია, მას ვაქე-
ბო“, ვითამ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო და იმისი ქება დიდად სახელად
მიმარჩნია და არც თავს გაევიქებო (გ ა ნ ქ ი ქ ე ბ ა გაწბილებას ჰქვიან). მაგ-
რამე აწ თავის მეფისას უბნობს, თავისი მეფე სიცოცხლედ უთქვამს (ასე
სიცოცხლეა მეფე კაცთათვინ, რომე იმითი რჩებიან!) და იმას დაფარვით
უბნობს. ეს ჩემი სიცოცხლე უწყალო არის ჩემთვის, ვითა ჯიქი (ჯ ი ქ ი ბაბ-
რია), რომე ამაზედ არ შემიწყალა, რომე ღვთის ქების თქმა არ მიბრძანა და
ზღაპარს მალექსებსო, და რადგან ასრე მოუნდა, აწ იმას უბნობს: ვისიც
მიბრძანა, იმათი სახელი ქვემოთ მითქვამს და შეფრქვევით მიქიაო. შე ფ რ-
ქ ვ ე ვ ა ხშირად ზედ შეყრას რასამე ჰქვიან.

27. ვ თ ქ ე ა მ ი ჯ ნ უ რ ო (ბ ა). იმ ზღაპრის თქმას მეფეს აბრალებს და
თვითან კიდემ სამღვთოს მოჰყვა და უბნობს: „ვთქვა მიჯნურობა პირვე-
ლი“ — ვითამ თუ პირველ სასუფეველის მიჯნურობა და უბნობს: ჯერ ისი
ვთქვაო და მერმე ზღაპარიო. და ამბობსვე, სასუფეველის მიჯნურობის ტო-
მობა და გვარობა რაც არისო, და ძნელად სათქმელად და ენისაგან გამოსა-
გებლად უბნობს იმის საქმეს, და სიმდაბლითაც უბნობს, — ვითამ დიდი ფი-
ლასოფოსი არა ვარო და არ შემიძლიაო. და ასრე ამბობს: ის ზეციერი საქმე
არის, აღმა ამაფრენელი; ვინც იმას შეეცდების, ამ სოფლის წყენისა მრავლის
მოთმინე უნდა იყოს.

28. მ ა ს ე რ თ ს ა. იმ ერთს მიჯნურობას სასუფეველის მიჯნურობაზედ
უბნობს და იმას ჰკვიანნი ძნელად იპოვნისო და მრავალთ ენაც დაუშვრა და
ყურნიც დაუქალიანდა. ახლა თავის თავის ზღაპრისას ამბობს: ეს სოფლიოდ
ვთქვი, თორე მე იმას სად მივსწვდებოდიო! და სწავლად უბნობს: ვინ არ
ისიძავს და ქრისტესთვინ ნდომას დასთმობს და სწორის ცოლ-ქმრობით იქნე-
ბის, ესეც იმისივე სასუფეველის მიჯნურის მდომის მიბაძვა არისო.

29. მ ი ჯ ნ უ რ ი შ მ ა გ ს ა. მ ი ჯ ნ უ რ ი — არაბულს ენას სთარგმნის,
რომე შმაგსა ჰქვიანო, და ამას ამისთვინ უძახითო, რომე, ვინც რასმე მოინ-
დომებს და შოვნის ნდომა გააშმაგებს და სხვას ჰქუას აღარ გამოეკიდების და

აღარც არას მის მეტს ეძებს. და უბნობს: ზოგთ სამღვთოსა და სასუფეველის ახლო მყოფობა აქვს, მაგრამე ბევრი აღმაფრენაზედ კიდევ დამაშვრალა, ეშმაკის საფრხით რომე უედენია და ველარ აუწევიაო, ზოგთ ქვე აქვთ ხორციელთ საქმეზე გუნება, რომე ცეკლუცი ლამაზს ჰქვიან და რაგინდარას ლამაზს მოინდომებს და იმას შეპფრფინავს.

30. მიკვირს კაცი. ამას გაკვირვებით უბნობს: საყვარელი ქრისტეს ჰქვიან, ამ ქრისტეს სიყვარულს რატომ იჩემებს კაცი? თუ ეს უყვარს, რატომღა ქვეყანაში აყიენებს მისთვის დაწყულულებულს ქრისტეს? და, თუ არ უყვარს. რასთვინ არა სძულს, არ გაეცლების, რაზედ აყიენებს თავის საძულელს? ისომ მოძულეებულის მოყიენებას არავინ დაუჭერებს? მაგრამე აეს კაცს ავი სიტყვა სულსა და გულს ორსავე ურჩევნია.

31. თუ მოყვარე მოყვრისათვის. ახლა კიდევ ეს ამბები გაათავა და თავის ზღაპრის გაღქმვას მოჰყვა და შესავლად კიდემ სამღვთო დაუწერა. მოყვარე კაცისათვის ქრისტე არის და ქრისტესათვინ კაცი არის. თვითონ ქრისტე არ ბრძანებს სახარებაში იუდასთვინ! „მოყვასო, რისათვის მოსულხარო?“ თუ იუდას მოყვასობას ეუბნების, სხვანი ზომ უფრო მოყვასანი იქნებიან! და აწ იმას უბნობს: თუ კაცი ქრისტესთვის ტირის, ტირილს ემართლებს და ვინც იმისთვის იარების და მარტომყოფლობს, შვენის და გაჰრაც კარგათ დაეთვლებს. და გვეწრთის: გვიხმს, რომე იმას ვიგონებდეთ, ნუ გამოვეცლებით და ნურც პირიღამ მოვიცლით. და ის სჯობს, რომე, როდესაც კაცს შევეყრებოდეთ, იმის მიჯნურობას არც ვიჩემებდეთ და არც კაცთან ვიქადებდეთ ფარისევლურადცო.

32. იყო არაბეთს როსტევიან. რადგან სამღვთო ნახა, რომ არვინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხვედენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონა. მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოს: ხელმწიფენი უშვილონი იყვენენო და თვითო ქალის მეტი არა ჰყვანდათ რაო და იმათმა უფროსის ყმის შვილებმან ისინი ქვეყნის ხელმწიფობის გულისათვის ცოლად მოინდომესო, რომ არც ქვეყანა წახდესო და არც მეფობა მოიშალოსო. და იმ ქალებმა თითო სამსახური დაადებინა, რომ თუ ხელმწიფობას ღირსაო, გამოაღდეგინა. და ამ სამსახურზედ დიდროანი სახელი აქნევინა, რომ ქალებს მონადომა (წესია რჯულში: თუ ქალიც არ იტყვის და კაციც, ერთმანერთი. არ არი რიგი, რომ მისცენ). და ვითამ თავის კაცობა ამთონი აჩვენებინა, რომ რჯულიერად შეყრა და მეორე იმათი ქება სულ კაცის სასიკეთოთ მოიყვანა, რომე, ვინც იკითხვიდეს, ისწავლონ, თუ ქმარს ცოლზე როგორი სიყვარული მართებს, ან ცოლს ქმარზედ, ან ქალს რა საქციელი მართებს, ან კაცსა, ან რა მამაცს კაცს როგორ უნდა სჭირდეს მოყვრობა, თუ რაც კარგია. ამ მიზეზებით დასწერა, რომ კაცმა ისწავლოს. და ახლა მოჰყვა იმათს ამბავს

და უთქვამთ: „იყო არაბეთს როსტევეანო“ რომ ამ ერთს ლექსში, რაც ხელ-მწიფეთ საქმეა, სულ გაუთავებია, რომ მეფეს ესეები უნდა სჭირდეს.

33. ს ხ ვ ა ძ ე ა რ ე ს ვ ა . უბნობს: იმის მეტი შვილი არა ჰყვანდაო. და იმ ქალის ქებჲს უბნობს: მკვრეტს სულს წაუღებდაო, ბრძენი ხამს მისი მაქებარო, რომ ენა ბევრად ასული ქონდესო. ა ს უ ლ ი მ ა ლ !¹ რომ ასულიყოს, ის არი.

34. მ ი ს ი ს ა ხ ე ლ ი . გამოაჩინა იმ ქალისა, თინათინ ჰქვიან. და რომ გაიზარდა, მეფემ ვეზირები დაისხაო, ლალად და წყნარად ზისო და ამოდ ეუბნება ვეზირებსაო. ლ ა ლ ი მოხუშარსა ჰქვიან; ა მ ო — საამოვნოდ, ს ა უ ბ ა რ ი ლაპარაკია. რ ო ს ტ ე ვ ა ნ უ ხ მ ო ვ ე ზ ი რ ნ ი . ხ მ ო ბ ა დაპატიყვებას ჰქვია და დაპატიყვა ვეზირთაო. და ფარულად რჩევას (ვით რომ შვილი არა მყავს და რა მმართებსო) ჰკითხავს.

35. უ ბ რ ძ ა ნ ა : გ კ ი თ ხ ა ვ . უბძანა ვეზირებს: ერთათა გკითხაო ამას, რომ (ვარდათ თავის თავს უბნობს) როგარც ვარდი რომ დაჰკენების, ის წავა და მერმე სხვა მოვა, ისე მე დავსჰკენიო, ახლა სხვა უნდა მოვიდესო და მ ზ ე დ თავის შვილს უბნობს — ის ჩაგვისვენდაო და ლ ა მ ე დ თავის უშვილობას უბნობს და მთვარედაც შვილს უბნობს. უშვილოდ არის და უშვილობას სჰვრეტს.

36. მ ე გ ა რ დ ა ვ ს უ ლ ვ ა რ . მე წაველო. და სიბერე ჭირისაგან უარესად უთქვამს. და თავის ქალს მ ზ ე დ უბნობს, რომ იმას გავახემწიფებო.

37. ვ ა ზ ი რ თ ა ჰ კ ა (დ რ ე ს)² . ვეზირთა თავაზიანი სიტყვა ათქმევინა: გ ა რ დ ა თ მეფე გახადა და ვითამ რაგინდ რომ ბევრი იყო, მაინც თქვენვე სჯობხართ სხვას. ე რ თ ო ბ დ ა შ ა ლ ე ს ვ ე ზ ი რ თ ა . დაუშალეს თავაზისათვის ვეზირთ, მაგრამ იმ მეფის ძალიანობას აქებს, რომ რაც უნდოდა, ის ქნაო, რომე იმას მეუბრჩე არ ჰყვანდაო.

38. მ ა გ ა ს ნ უ . რადგან აღარ დაიშალა, ვეზირებიც დაემოწმენ: ჯერ ბერი არა ხარო და, თუ გინდა, რომელიც გინდოდეს, ის ქნო.

39. თ უ ე ა ქ ა ლ ი ა . მოახსენებენ: ქალი რომ იყოს, ხომ ეგეც ღვთის დაბადებულაო! არ გესათნობითო: მეფობა კარგა იცის, უთქვენოდაც გვითქვამსო, მისის შუქის დარად მისი საქმე გამოჩენილი არისო და რა იქნებაო! (მეფეს ლ ო მ ა დ ხ დ ი ა ნ და) როგორც ლომის ლეკვს ძუსა და ხეადს მამაცობაზე განყოფა არა აქვს, — უბნობენ, — ისე თქვენი შვილიაო.

40. ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ყ ო . ავთანდილ გამოაჩინა, ახლა სახელიც თქვა და რისაც საქმის მკერე იყო, ისიც. და თინათინის მოგონება ჰკლევდა, რომ ის ცოლად უნდოდანო.

¹ ასეა ე-ში. ალბათ, შეცდომაა, თითქო „მალა“ უნდა: „ას უ ლ ი — მალა რომ ასულიყოს, ის არი.

41. გულსა მისსა. მის გულსა (ავთანდილისას უბნობს) თინათინის მიჯნურობა იყო და საბრალოდ უბნობს: ვისც რასაც ფერის სიყვარული ექნება, გულს მოუკლავსო.

42. რა მეფედ. რა მეფემ მისის ქალის მეფობა ბძანაო, ავთანდილს იამა, რომ მისი ნახვა მალმალ მელირსებაო, რომ მისთვის ფერ-გამკრთალი იყო.

43. არაბეთს გასცა. არაბეთს მისის განმეწიფების ბრძანება გასცა და თავის ხელმწიფებით მოიხსენა თავის ქალი. ორად უფქვამს: ერთად — ვითამ სხვის ხელმწიფის ყმა არ იყო; და მეორედ — თავის ჯარს ახედებს: რადგან ჩემი ხელმწიფე შეიქნა, სხვას ურჩობა ვილას გამართებსო.

44. მოვიდეს სრულნი. როსტენ ხელი მოჰკიდა და დასვა მეფედ და იმას უბნობს, რომ ის მეფობა როსტენ უბოძა, რომ მეფობის მისათვალავად მიჰყავსო. თავისას ამას ამბობსო: მე დაებერდი და დავსძაბუნდიო და რაც ლეთისათვის მიცოდავს, იმას შენანებას ვეცდებიო; რომ სიბერეში სინანულს და ცოდვის მონანებას ასწავლის მკითხველსა.

45. თინათინ მიყავს. ისევ თინათინის მამისგან წაყვანას უბნობს. სამეფოსა საცმელის შემოსას. სკიპტრა ჯოხია, თავზე აქვ, სკიპტრა მომცრო მეღეთა საჭერი. და მეფეთ შესამოსი: პორფირი, ბისონი და დიადიმა, რომ ისეები შემოსაო (პორფირი იისფერსა ჰქვიან. დიადიმი სამხრეთა, მხარს დაფარავს).

46. უკუდგეს და თაყვანის (ცეს). მეფემ და ჯართ თაყვანისცეს. მეფემ (ვითამ ამაზე უბნობს, რომ) თაყვანისცაო — სხვა რომ ნახედა, უფრო დაემორჩილებოდენ. და თინათინის „ქებას სხვაგნით სხვაც უბნობდა“ — ვითამ გარშემო მეზობელნი აქებდენ არის.

47. მამისა ტახტსა. ქალს სიმდაბლეს და მორცხობას უქებს, რომ მამის ტახტზე თავი საჭლომად არ ეღირსებოდა და ტიროდაო. და მამა ყოველთა ღმერთთა, და უბნობს: ყოვლისა მამა მეფეს სწვრთნიდაო, იმან აქნევიანო, და ძეს ქრისტედ უბნობს, ის ითავსებსო. მეფე უბნობს: სანამღი ამას არ ვიქმოდით, დამწველი ცეცხლი არ დამევისებოდაო.

48. უბძანა: ნუ. ქალსა აწვრთნევიანებს მამასა და უბნობს: აქადაქეს სამეფო შენი არიო, სამძღვრები ასწავლა. და მეფეთა ქნა, სიწყნარე და ცნობილობა მართებულთა.

49. ვარღთა და ნეხეთა. მეფეთ ქებად მზეც ითქმის და იმას უბნობს: რადგან იმას შესდარებია მეფენიო, როგორც ეს თავის შუქს არც ავს და არც კარგს დარიდებსო, ისე შენ გამართებსო, რომ წყალობა არ რილოო; რომ უხობით, ახსნილი მტერი რომ გყვანდესო, დაბამო, თვით არ დაებმისო. და გაეცმას უადვილებს, ასწავლის მეფეთ: როგორც ზღვას შესდის და გაე-

¹ ამ სტროფის თარგმანი ჩაყარდნილა: სამაგიეროდ ზედ მობმულია შინაარსი ჩანარათი სტროფისა, რამელით ვახტანგის ფაშოველზე შეტანილი არ არის.

დინებისო, ისე შემოგდის და გაეცო და ზღვის გადენაც უთქვამს, რომ ბევრმა კაცმა არ იცის, ზღვას გაზღის თუ არაო, — უსწავლებია, და ეს რაც ამ წიგნს უკან მეფეები ყოფილა და იქნებიან, ყველას სწავლა ამ ამბების მოყვანიოთ და თქმით მეფეთ უთქვამს, რომ ისწავლონ.

50. მეფეთა შიგან. მეფის სიუხვეს ასწავლის, შენახვა არ ვარგაო, და რასაც მისცემს, სახელი დარჩება და ის არის იმისი, თუარემ რასაც შეინახავს, ის ხომ მოკვდება, ის სხვას დარჩება და იმისთვის დაკარგული იქნება.

51. ამა მამისა. ახლა სწავლას ისწავლება: სწავლის მოსმენა ასე ხამსო ამ ამბების მიზეზით. და უბნობს: ის თინათინი მზეს სწუნობდაო, მაგრამ მზე თინათინობდაო. თინათინი სარკეს თუ წყალს მზე რომ დაადგეს, ის შუქს გაუშვებს, ის არი.

52. მოიხმო მისი. ახლა თინათინს გაეცემას უქებს, რომ თავის გამზღელი მოიხმო და თავისი რაც უფლის წულობაში ჰქონდაო, გასცაო, ორ რიგათ უქია: ერთი — მამის სწავლა რომ დაისწავლა, და ერთად—გამცემად.

54. მას დღე. თავის ყმაწვილობიდან მოგებულს საქონელს გასცემსო და მამის სწავლებულს საქმესა იქსო.

55. უბძანა: წადი. ზარი ფარჩას ჰქვიან; მეკობრე მტაცებელს ჰქვიან; ტაიჭი კეთილს ცხენს ჰქვიან.

56. ალაფობდეს საჭურჭლესა. ნათურქალობა ამაღ დაუწერია: ქართლში რომ თურქი მოვიდა დავით აღმაშენებელის მამის ყაში და დავითის ალაფა, ვითამ იმისათვის ალაფობდენო,—შესატკობობრად უქნია. და ქვე სახელი არის, იმერეთს სიტყვის მობმაში დაატანებენ, ქვე სიტყვას გააწყობს.

57. დღე ერთ. ახლა ამ ამბების მშვილდოსნობის სასწავლად უნდა თქვას და ტარიელიც გამოაჩინოს.

58. თავსა ზის. ჯდომას უბნობს რომ ავთანდილ თავსა ზისო და ვეზირს ზეითა სევამს, რომ ვითამ იმის უფროსი არავინ ყვანდა.

59. თქვეს თუ. ამას ისწავლება, ვითამ მოწყენილს მეფეს გასამხიარულბელი სიტყვა ამ გვარის დიდის ყმისაგან მოეხსენებაო ხუმრობაო.

60. ადგეს სოგრეტ. კენარი მე არ ვიცოლი; ვინც იცოდეთ, სთარგმანეთ.

61. დაგიღრეჯია, მეფეთ. არც დაღრეჯა ვიცი მართალი.

62. რა მეფემან. მეფეთ სწვრთნის: ამგვარი სიტყვა და მოხსენება არ უნდა იწყინონ ლხინში.

63. ეგე არ. ამას უბნობს: მეფის სიბერეს აჩენს, რომ იმის საბრძანებელში იმისთანა კაცი არ იყოო. და ავთანდილის ქებაც უთქვამს, რომე მეფესა და სხვასა ყველასა ავთანდილს ამჯობინებს.

64. ერთაი მიზის. სათუთი ნებიერსავით არის. ესეც კიდევ იმის მისამგზავსებლად უთქვამს ამბავის გასრულებისათვის.

65. ყმა მეფისა. ეს ბატონ-ყმობის სასწავლელად უთქვამს: ბატონის

ბძანება ყმამ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმინოს და კიდეც უნდა რცხვენოდეს და კიდეც უნდა ეშინოდეს.

66. კვლავ უბრძანა. ეს იმათს ამბავსაც ამბობს და ამასაც უბნობს ბატონი რომ ყმას სიტყვას უბძანებდეს, ყმა უნდა ჰკითხოვდეს, განა კი იციანოდეს! და ეს კითხვა წყრომასავით უბძანა: რასათვის დამგმეო? ვითამ ყმისაგან გაცინება დავგობად თქვა. და ავთანდილც, რადგან იმისთანა ყმა იყო, ამ ცოტას სიტყვით შეაშინა. და ავთანდილ ფარმანი სთხოვა: არ ამიკლოო და მოგახსენებო, ვითამ ბატონ-ყმობაზედ მოუყვანია: ბატონის ცოტა წყრომა კაცმან უნდა შეიფეროსო.

67. უბძანა: რა (მცა). წელან ყმის ამბავი თქვა: უნდა მკრძალი იყოს; ახლა ბატონისას ამბობს: კაი ყმა ასე უნდა უყვარდეს, რომ ამისთანა სიტყვა უბძანოს.

68. მიწამცა თქვენ ი. ისივ ამბავი არის და ბატონ-ყმობის ხუმრობას და ლაპარაკს და შექცევას ისწავლება.

71. კვლავ ბძანა. რადგან ავთანდილს აქებს, იმის გაზდილს ყმასაც აქებს, რომ თორმეტს კაცს იმ ერთს ადარებს.

72. მონადირეთა უბრძანა. აქა ნადირობის რიგს ისწავლება და იმათს ამბავსაც უბნობს.

73. დილასა აღრე, რიდე თავსახვევსა ჰქვიან, რომელსა ინდნი და სპარსნი თავსა იხვევენ და არაბნი.

74. შეეკაზმა მეფე. სრვა ამოწყვეტას ჰქვიან.

75. უბძანა: მონა კიდე ნაპირს ჰქვიან.

76. მოვიდა ჯოგი. ქურციკი ჯერანს ჰქვიან, და შრომა — დალაღას.

78. იგი ველი. ალვის ხე კვიპაროზსა ჰქვიან. ნაძვს რომ გავს: ედემი შევბასა ჰქვიან. და საშუებელის ხედ უბნობს ავთანდილის ქებას.

81. მონათა ჰკადრეს ეს ავთანდილ გამოუჩენია, რომე ბატონის და ყმისათვის ყველასთვის უბჯობინებია.

82. ორთავე ერთგან. ასჯერ ოცი ორი ათასია.

83. მეფესა ესე. ავთანდილ მეფეს გაეზარდა და იმისი სიკეთე უხაროდა, და იმასაც ისწავლება: ბატონს კაის ყმის გაზდა ასე უნდა იამოსო. დარდი თათრულია, წყენას ჰქვიან.

85. ნახეს უცხო. ვარდი ღაწვად უთქვამს. და ახლა ტარიელ გამოაჩინა.

86. მას ტანსა. ტარიელ იმ ხანს გარეთ იყო, ფარჩას ზომ ვერ იშოვნოდა, გაველურებული იყო, ვეფხის ტყავის ჩაცმას ამბობს.

87. მოვიდა მონა. გია სპარსულად ყვავილსა ჰქვიან და ქართულად ტვივას ჰქვიან.

88. ვერა ჰკადრა. ტარიელის მაგარს კაცობას აჩენს, რომე კაცი შეუზარდებოდა მზერასაო.

89. მის მონისა. საუბარი ლაპარაკსა ჰქვიან და გრძობა შეტყობას ჰქვიან; ამოსკენა — ტირილით რომ კაცი სლოკინებდეს, ის არი.

91. რა პასუხი. გარეტება ამას ჰქვიან: კაცს თავში მოხვდეს და უცნობო შეიქნას.

92. მეფე გაჰკვირდა. ხელმწიფის გულის სათუთობა მოუყვანია: ასე ცოტაზე იწყენს და სათუთიო.

93. მონანი მიღგეს. მონა ნასყიდსა ჰქვიან, გინა ნამზითს; ტარიელ უბრალოს სისხლს დარიდა და გაეცალა სანამდი ძალი არ უყვეს, ხელი არ გამოიღო.

94. თვალთა ხელნი. კაპარჭი საფთეს ჰქვიან. და ისწავლება, თუ, რა მტერი ნახოს, რა იარაღის მომართვა მართებს.

99. კვალი ძებნეს, არაბისტანში რომ თვალს წინ დაეკარგება (და იმის ცხენს აქებს), იმისთანა იყოო.

100. ბრძანა ღმერთსა. ეს ორს საქმეზედ უწყენინებია როსტევან მეფისათვის: ერთი ამისთვის — ხელმწიფისათვის უკადრისია: ერთი საქმე ან არ უნდა ბძანოს, და თუ ბძანოს, ქნას; მეორე — ეშმაკის მგზავსად რომ დაიკარგა და ხელმწიფე ეშმაკის საფრხის მორიდალი უნდა იყოს. კურნება გამთელებას ჰქვიან, დაწყულლი — დაჭრილსა.

101. ესე თქვა. ასპარეზი ორასის მხარის მინდორსა ჰქვიან. ვითამ მინდორში აღარ იბურთა და ითამაშაო. ახლა ქარის ძრახვა რომ დაუწყებია, წესი არის: მეფემ რაც ქმნას, ზოგი შეიტყობის და ზოგი ვერა, ზოგს მოეწონება და ზოგთა არა.

102. მეფე საწოლს. ბედითი ცუდსა ჰქვიან.

104. ერთაი ახლავს. თინათინ დიდად საყვარელი იყო როსტევან მეფისა. და ამას აჩენს: მამის წყენას შვილი უნდა ვრიდებოდესო.

106. უბძანა, თუ. ჰმუნვა ასეთი მოწყენაა, სიტყვის სათქმელად ზარობდეს.

109. უბძანა: შვილო. შუფარახი მაჯუნსა ჰქვიან, თათრები მუფარახს ეძახიან.

110. უცხოსა და საკვირველსა. სამყარო იმ ცასა ჰქვიან, ზედ რომ სასუფეველია, თინათინს აქებს და მამა რჩევას აკითხვებს, ვითამ ასე ჰქუიანი იყოო; რომე თინათინის ჰკუას აჩენს და მამაშვილობასაც ისწავლება: თუ მამას რა სიყვარული და შვილს რა სათნოება მართებს.

111. მერა (მნახა). ეშმა ნახევარი სიტყვა იქნება, ქართულში ნახევარი სიტყვად ითქვას; ეშმა ეშმაკია.

112. ტკბილნი მისნი. ნეტარება ეს არის, რომე კაცი ასე კე-

თილის საქმით იყოს, რომე არა აკლდეს რა. აწ ამას ჩივის: ველარავინ გამანეტაროსო.

113. ქალმან ჰკადრა. ყბედი ამას ჰქვიან: კაცს კარგი უთხრა და იმან მაგიერ პასუხი ავი უთხრას. და ამ ლექსში გამოუჩენია: ღმერთი ტკბილი არისო, როგორც მოციქული იტყვის: „ღმერთი ნათელი არის, იმასთან სიბნელე არ არის“. იმასაც ამისთვის უთქვამს. ახლა მამამ რომ უთხრა, ეშმაკი ვნახეო, ქალი თავაზით მოახსენებს: ღმერთმან რომ შენ ყოველი კეთილით ხელმწიფობა აღვივსო, შენთვის ბოროტს არ დაბადებდაო. ბოროტი ავსა ჰქვიან.

114. მე ამას. მფლობელი რისაც მპყრობელია.

115. მოასხნეს კაცი. პატიჟი უპატიურსა ჰქვიან.

116. კაცი წავიდეს. მაშერალი დალაულსა ჰქვიან. ზადი თათრულია.

119. ესე თქვა. მგოსანი აფუზი არის; მოშაითი ჯამბაზია. და შემოხადა შემოიპატიყას ჰქვიან.

120. ავთანდილ ჯდა. ეს ამბავი გათავდა, ახლა სხვას მოჰყვა. მანგი მეგრულად მარგალიტსა ჰქვიან და თათრულად — მთვარესა.

121. ავთანდილს მიხვდა. კარგად უთქვამს: იმ ქალის შოვნით მეუობას იშოვნიდა და ხელმწიფის შვილს ცოლად შეირთევდა, ამაში კაის მეტი ხომ სიძვისა არა არის რა! თუ ბოზობა ნდომოდა, ერთმანეთს ხომ ღამით და დღისით ნახვედენ, განა ვერას იქმოდენ?! მაგრამ ქორწინებამდი ამისთვის არა დაუშავებია რა. მაშ, ბოზობის რიგისათვისა არ უთქვამს! ეს რომ სწერია: „ამაო ჰვრეტა ტურფისაო, (სიახლე) საყვარელისაო“, სამღთოსა და საეროზედ ორზედვე უთქვამს. კაცსა რომ უყვარდეს რამე, იმისი ნახვა დიდად იამებთ.

122. ავთანდილ. ვამი ამას ჰქვიან: მისი ვაისათვის ბევრჯელ ცრემლი სდენოდეს.

125. ყმამან ჰკადრა. რადგან არჩევინა, ამას მოახსენებს: თქვენის საზაროს მოხსენება ჩემგან როგორ ითქმისო? როგორც მთვარე, მზის შემყრელი, დაღეულია, ისე მე დავილიე თქვენის ხლებითა. ახლა მე სააზროდ სადღა მცალია! ჩემი თავი მეგონებისო. და თქვენვე მიბძანეთ, რაც გეგონებდისო.

126. ქალმან უთხრა. კეკლუცი ლამაზია და დუხკირი — გონერთი უამი სამოცი წუთია და ერთი წუთი სამოცი წამია. და ერთის წამის ხანის ყოფას ამბობს.

127. გახსოვსოდეს. დამხობა პირდაღმა დაცემას ჰქვიან, ნუცვა — თხოვას.

1 იოანე, 1, 5.

128. აქანამდის ნაუბარსა. დაუტყვია დატყვევებას ჰქვიან და გულის სიტყვასავით დამძიმებასაც; უტყვება დამუხრებადაც ითქმის.

129. ასრე გითხრა. ჭორი საეჭვოს ჰქვიან.

130. შენგან ჩემი. დამყარება ასე იყოს, რომ არ შეიძრას: ბილწი ფინთსა ჰქვიან.

131. სამსა ძებნე. უბძანა: სამს წელიწადს ეძებო. პირობა უბოძა: იპოვნი თუ არა, მიანიც შეგირთაო. მწვე არა გავს ბოზობას: სამს წელიწადს იარეო და მას უკან შეგირთავო!

132. ფიცით გითხრობ. ქრობის სიყვარულს ეუბნება, შორს აჩენს, სხვა არა არის რა. ასაქმარი აქნას ჰქვიან.

133. მოახსენა ყმაამან. გიშერს წამწამად ამბობს და ბატონ-ყმობის საქმეს აჩენს: სამსახურისათვის ვეწამებო.

134. კვლავცა ჰკადრა. თინათინს მზედ ხდის და ზეცის მარს-კვლავებს მხესავით იმას ამორჩილებს. შეწყყალება შებრალებას ჰქვიან.

135. კვლავ შეფიცეს. ცოლ-ქრობის შეფიცებას ამბობს. სალი მავარს ჰქვიან და ჰვირვა გამოხედვა არის.

136. ერთგან დასხდეს. ბოლოების სათარგმანო არ მითარგმნია, თქვენ თარგმნეთ. შეხვევა რომ სწერია, სხვარიგად არ შეხვეულან. „ხვალ წასვლა“ რომ უთხრა, იმისთვის გამოესალმა¹.

137. ყმა წავიდა. მჭევრი სხვასა და სხვას სიტყვის გვარსა ჰქვიან.

138. თქვა: მზეო. ეს თავსაც დამიწერია და მოყვრობის რიგსა და ცოლ-ქრობის რიგებან ისწავლება, რაც რამ კარგი რამ არის, ყველგან მოუყვანია და ზნეობაებს ისწავლება.

140. მოშორებება საყვარლისა. ღაზო შურსა ჰქვიან და ნაზი — სუფთას. დარბაზი მეფის პალატსა ჰქვიან. და ბატონის სახლებლად წავიდა. და ახლა რომ იტყვიან „უღარბაზოთო“, საუფროსოდ ითქმის: უღარბაზოთ ვიუფროსოთო.

141. დარბაზს ეჭიბი. ეჭიბი ქართველს ბატონს ჰყოლია, ხელ-ჯოხიანსავით თავსა გაუყრელად სდგომია. და მას ეტყოდნენ: ეჭიბო, მეფეს (რაც სიტყვა ჰქონდეთ) ეს მოახსენეო. დღესაც ქორწილობაში კიდევ იციან.

143. მეფესა ეთქვა. ქველი კეთილსა ჰქვიან.

146. გამოემართა ავთანდილ. ნივთი ყოველს საფერს სახ-მარსა ჰქვიან; კაცისა რომ კაცს ემართოს რამე, ვალი იმას ჰქვიან. ახლა ასე უთქვამს: რადგან ამისთანა მოსახმარისია სოფლისაგან, ვალად აძე ქვეყანასა.

147. რამივიდა. იეფოს ეს არის, რომე მიიმეს ძღვენს იეფად სძღვნიდენ; და სადაფოსა — სიხარულით დაფი რომ დაუკრან, ის არის.

¹ „ხვალ წასვლაზე“ საუბარია იმავე ჩანართ სტროფში, საიდანაც „შეწყალება“ არის დამოწმებული.

148. ქალაქი ჰქონდა საზარო რომ სწერია, საშიშარი ცხე იყო.
149. ესეა მონა. ამას ისწავლება: კაცმან თავის ხეაშიადი ასე უნდა შეინახოს: იმისთანა ყმა იყო და იმანაც არ იცოდა!
150. უბძანა: აპა. პატრიქი უპატურობა არის; სურვილი ნახვის ნლომა არის: ნარგიზად ქუთუთო უთქვამს და ვარდი ხომ ლაწვი არის!
151. მიბძანა: მიცან. გასინჯეთ, ბოზობაზედ როგორ შორს არის! ყოვლგან ქრმობას ამბობს! დადაგვა დაწვას ჰქვიან.
152. პირველ ყმა. ყმას როგორი ყმობა მართებს პატრონისა, იმას ისწავლება, მური ცეცხლის კვამლსა ჰქვიან.
154. ლაშქართა და დიდებულთა. გრძნობა შეტყობასა ჰქვიან.
156. ლაშქრობა დანადირობა. სახე ამას ჰქვიან, რომე ერთი მეორესა ჰგვანდეს. და თუ გძლად შეტყობა გინდათ, კათილორიაში ნახეთ. [არ] დაქნა ხე — ხე არ დააქნო.
157. მაშინდა ჰკადრე. აქა გლახათ მოწყალებას ისწავლება.
158. მაშინ უფრო. საურავი გარიგება არის; შევედრება შეხვეწება არის: მომდებრება დედებრივი გულის შეწუხება არის.
159. რა მონამან. შეზარება შეწუხება არის.
160. ყმამან უთხრა. ამას იგავსავით ეუბნება, ქრისტეს სასუფეველს მარგალიტს უდრის და ამას ამბობს: ის ამ სოფლის გაუჭრელად არ იმოგვებო, მარტო უნდა გაჭრა სასუფეველისათვის. ვითამ ცოლ-ქრმობა რომ უცოდველია, ნეც ამ მარგალიტისათვის მარტო გავიჭრებო. ბოლოს ამბობს: სიცრუე და ლატობა არც სამღვთოსა და არც საეროში არ ვარგა, თუ არ ლახვრით დასაჭრვლად.
161. ვისმცა უთხრა. კარგი რიგსა ჰქვიან. ახლა რომ ვეძახით, იმას არა ჰქვიან.
162. ფათერაკი სწორად. ცვა შენახვასა ჰქვიან: დასი ჯარსა ჰქვიან; საბატონო რომ იყოს, ხასი იმას ჰქვიან.
163. დასწერა თუ. საწადელი ნლომას ჰქვიან.
164. მიწაცა თქვენი. ბატონისაგან მიწობა ყმას ხომ არ მიეწერება და არც სატყეველს მიწად მიუწერია. ვითამ მიწად, თქვენს მზრდელად და ღამარჩენლად. შე ვარო და უხემოდ თქვენი ყოფნა რა იქნებაო! ამ ლექსშიდ. ნწილდოსნობასაც უქებს.
165. საქმე რამე. მუდარება ხომ ხეენას ჰქვიან.
166. მე შერმადინ. მზეებრ მოფენა ხელმწიფური რიგი.

„სერვილი“, „ნარვილი“ და „ვარდი“ ჩანართი სტროფის სიტყვებია; ის სტროფი ვახტანგის განაოემაში არ შესვლა.

არის, და ვარდს აზრობდესო — ვითამ ლაწეს აზრობდეს და სულ ნუ დააკნობ, რომ არ მოკვდესო.

167. თქვენცა იცით. ბატონის სიკვდილისათვის ყმის მგლოვიარობას ისწავლება.

168. ესე წიგნი. წყლიანი ჭავარიანი არის; ღარიბი არაბულად უცხოს ჰქვიან.

169. ბძანა: წადით. მიწყვიც ნიღაგ არის.

170. იგი ველი. ველი გარეშემო რომ ტყე ჰქონდეს და შუაზედ მომცრო მინდორი ჰქონდეს, ის არის; გაკიდება, განაპირება არის; კაეშანი მოწყენასავეით არის.

173. შერმაღინ ერთგან. უსტარი მინაწერი წიგნი არის; დაწყულება ხორცი გაკრილი და დაბალმებულა; დალები დაღურჯებას ჰქვიან.

174. ყოვლთა ჰკადრეს. არამი თათრული არის, ნაუსამართლევს ჰქვიან; გაღანამცა აგრე, სიტყვის დასამოწმებელი არის.

175. ამ საქმესა. დივანოსე არიოპაგელი დიდი ფილოსოფოსი იყო კერბთა და პავლესაგან მოიქცა და ეფისკოპოზათ აკურთხა. ვისცა იმისის სიკეთის ცნობა გინდათ, იმისის წიგნის კითხვით შეიტყობთ. აწ იმას მოწმობს და ეზრა წინასწარმეტყველს. და სამღვდლოს დასს რომ ასწავლის. სამღვდლოს საქმეს ვარდად ხდის და ამბობს: ბრალია, სამღვთო ვარდი ცოდვით დათრთვილული იყოს და დაზრული და რომელიც ლოცვისა და მარხვისაგან ასე გამხდარი იყოს, რომე ფერად ბალახს არ გვანდეს და იმას მარხვით ტანი რომ ლერწმის ზროსავით გახდომოდეს, ის რომ მაღლისაგან გაღარიბებულ იყოს და სასუფეველიდამ გაბეზრებულ იყოს, იმას იბრალებს (აბეზარი გამდგარსა, თუ შემომწყურალსა ჰქვიან). გასინჯეთ, თუ ეს ამაზედ კი არ ამბობს დიონისე, რომელსა სოფლის გამდგარს კაცს გმობს და სოფლიოს ღარიბობისათვის რას უმოწმობს! თუ არა დამიჯერებთ, იმისი წიგნი ნახეთ. თუ ამგვარს საქმეზედ მოწმობდეს, თქვენ რომ გითარგმნიათ, ამას ნუ დაიჯერებთ.

176. ავთანდილ იგი. რუსთველს სჭირს: რამდონიც კარი უთქვამს, ზოგიერთს ადგილს თავს სამღვთო შესაველები არის. ახლა იმავე ამბავს მოევიდა. ახმა აღებას ჰქვიან; მზღვარი სამზღვარსა ჰქვიან; ზიარი მოწილეს ჰქვიან.

177. ახალმან ფიფქმან, ახალს ფიფქად თინათინ უთქვამს, თუ ის გაღარიბება; ვარდათ ავთანდილ უთქვამს, რომე დათრთვილა და დანასა; ბარბითი მულნია. ნეი განჯრეტილი ხე არის, მრუდათ სულის ჩაბერვით დაიკვრის, ყიზილბაშთ იციან.

179. მუნეძებს. სახტი მაღალ საჯდომს ჰქვიან, რომე ნახევარადლი სიმაღლე რომ ჰქონდეს.

181. მიხვდა რასმე. მქისი დამშხალული, გინა სორკლიანი.

183. ზედ წაადგა. ეს რომ სწერია: „ავს კარგად ვერ შესცვლისო“, ეს ხომ ბევრი ქნილა, ავი კარგად შეცვლილიყოს! თუ კაცზედ უთქვამს, ურჯულო რომ რჯულიერად მოიქცეს, ეს ხომ ბევრი ქნილა! და ბევრი ქურდი და კაცის ჰკვლელი ავს საქმეს მოიკვეთს და აღარ იქს,—ესეც ხომ ქნილა! თუ თვალსა და რაგინდარას იმისთანაზედ და ან პირუტყვზედ უთქვამს, — თვალი გათლილი, რა კარგა გასთლი, კარგია. პირუტყვი მჟღე რა არის? მსუქანი სჯობს. მაგრამ ამაზედ კი არ უთქვამს, ამას ემოწმება: „რომელი არა იშვას წყლისაგან“, სახარება რომ ბძანებს¹. ესეც ამას უბნობს: უსჯულოს კაცს თუ წყლიდამ არავინ „შობს, კარგი არ შეიქნება. ესეც იმ ამბვის იგავად მოუყვანია.

186. უამბოს ჩემი. დავედრება დაბარებას ჰქვიან და იწროება ვიწრო არის.

187. იტყვის: ღმერთო. გლახ „ქვე“სავით სიტყვა არის, სვანებ² მა იციან; აფხერა ამოთხრას ჰქვიან.

188. კვლაცა იტყვის. გაქირებულს კაცს ასწავლს: ჳირში ასრე მაგრა უნდა იყოსო; განგება გარიგება არის.

189. თავსა უთხრა. ამას ასწავლება: სიკვდილი სჯობს აუგიანს სიცოცხლესაო (აუგი სარცხენელი არის).

190. ყოლნი არსნი. უღონიოდ უსაცილოდ არის.

191. მთით ჩამოვიდა. ჟღერა ეტლთა სღვის ხმას ჰქვიან; ბროლის ველად ღაწვი უთქვამს; საყენი — ახლად უღვაშ-ამომავალს შეღმა შემართული ჰქონდა და იმაზედ უთქვამს; მაყე მოედანის საბურთალი ქეები არის.

194. ცხენსა მისცა. მეკობრე მტაცებელს ჰქვიან.

197. ავთანდილ. დია ბევრსა ჰქვიან.

199. ჩვენ სამთა. ვაქილი არაბულად სვინდროსია, ქართულად ვაქილი თან-მოსარჩლედ გამოითარგმანების.

202. ანასდად მოყმე. კუშტი პირ-მწყრომი არ მრისხანებად, კუში მრუდად მწყრალსა ჰქვიან. ნახეთ, თვითანვე როგორ ზღაპრად ხდის თავის ნათქვამს! ჳერეთ იმისი მგზავსი შვენებით უნახავი არისო. უნახავიც არის და არცა-რა იყო. ზემოთვე წერილს ემოწმება.

203. უქვ(რიტეთ). ტარიელ ქვეყანაზედ მზედ გახადა, ცაში ენით მზეს რად უბნობთ?

204. მე უხუცესმან. ქენება ხვეწნა არის; შედეგი — იმას უკანდელი.

205. ბროლმან ლალსა. მყიფე, ადვილად რომ გატყდებოდეს და ფოლადსავით გარდაეარდეს, იმას ჰქვიან; ნატიფი მოხლომილი.

¹ იოვ., 3, 5.

207. მით ერთითა. კაცის მიწიერობას აჩენს.

208. აღარ დაბრუნდა. ოდენ ოდნად და სრულათა ცთქმის.

209. აჰა მიხვდა. ეს ამაზედ უთქვამს: ავთანდილ რადგან ტარიელ იპოვნა, აღარ იტირებსო და ღაწვი ცრემლით არ დაეთოვა, რადგან ცუდად არ წაუხდა იმისი გარედ ყოფნა. ახლა ის ავთანდილის ამბავი კი გათავდა. ახლა სამღთოთ თუ საეროდ ისწავლება: კარგზედ რომ კაცი გაისარჯოსო და იპოვნოს, იმას აღარ მართებს, რასაც გარჯილიყოს, ის დაიხსოვნოს.

210. უთხრა, თუ. ყოლა სრულსა ჰქვიან.

213. მიეწურა, იგონებდა. აგოს შოცდასა. ბევრს ხანს მყოფობას ჰქვიან. ამას ისწავლება: კაცმან ძნელი საქმე კარგად უნდა ქნასო, თვარა აღვიღს საქმესა უქუთოც იქსო, გონების დაუწყნარებლობა რომ სჭირდეს, მოიძაგოსო.

214. რადგან ისი. უცნობო — რომე ვერას იცნობდეს, იმას ჰქვიან; უღეტა მრავლის ჩიტის ხოცას ჰქვიან და ლექსის გაწყობისათვის უთქვამს, ორისავ დახოცად მოუყვანია.

215. ავთანდილ იტყვის. ზღუდე გალევანსა ჰქვიან, და ამებეს რჩევად ისწავლება: ვითამ კაცმან გაუშინჯავათ არა უნდა ქნასო.

217. დღისით ვლეს. ანაყრდენი აყუდებულს ჰქვიან.

219. რატყენი. ჯუბა ძველი საცმელი არის. კაბად პერანგსავეთ ზეით საცმელი არის.

220. ყმამან უთხრა. ვითამ ხიდი რომ ზღვაში ჩაცვივდეს და კაცსა მორჩენის იმედი აღარა ექნება, თავეთს საქმეს იმას აღარებს.

222. სული დაილო. აბჯარი — რაც ჩასაცმელი თუ შემოსაკრავი იარაღი არის, ყველას ჰქვიან.

224. მის მოყმ (ისა). დაღრეჯა ღიდ მოწყენას ჰქვიან; იაჯდა — იხევეებოდა.

226. მასვე გზ (ასა). გააგარა თავი — გარეთ გაიყვანაო; მოგვარება შესრულებას ჰქვიან.

227. აწამას. ბჭე გამსინჯავს ჰქვიან.

228. ჩამოვიდა, ცხენი. ბაკი — მთვარე რომ შემოივლებს, ის არი მგრველათ.

230. მას ყმასა. ბილწი ფინთსა ჰქვიან; მწე მომხმარო არის.

232. ქალი ეტყოდა. ეს რა დასამალავი სიტყვა იყო, რომე ასმთი ამ საქმეს (უმალავდა)? ინდოეთმა იცოდა და ხატეთმა! მაგრამე ამას ისწავლება: პატრონის უდასტუროთ სიტყვას თქმა არ უნდა. ქალისათვის ასე პირშენახულობა უჩემებინებია, კაცს, ნახე, როგორ მართებს!

234. ქალო, არ. ქალი რომ მორცხვი უნდა იყოს, იმას ისწავლება და იმაზედ გაურცხვებას ეუბნება.

235. ქალმან უთხრა. გძელს სიტყვას ამბობს, არ ვარგაო, მოკლედ და კარგად უნდა კაცმან თქვასო.

236. კვლაცა ჰკითხა. ზენაარი მოჭირვებული ფიცი არის; და-
ყრა — ბუდიდამ თუ ტარიდამ ვერ დაყაროს, ის არის. ამას ფილასოფიურად
ისწავლება: კაცი ჭერ ნებით უნდა ეცადოს და, თუ არ იქნას, მერმე ძალი მარ-
თებს.

239. კვლავ ეტყვის. ბედითი ცუდსა ჰქვიან.

240. ჩემი სიკვდილი. პატიჟი უპატიურობა არის.

241. ყმამან თქვა, ისევ რჩევის საქმეს ისწავლება.

244. უთხრა: ვიცი. შვიდ გზის შენდობას ისრაელთაგან მოწმობს,
ძველის რჯულისას; და მერმე რომ ქრისტეს პეტრემ ჰკითხა¹, თვითან სამეოცდა-
შვიდ გზის უბძანა.

245. თავი ჩემი. რუსთვლისა წიგნი სულ სასწავლებელი არის და
ამაზედ ამბობს: კაცმან შეჭირვებულს და გაჯაერებულს ასეთი მშვიდი და
ტკბილი სიტყვები უნდა უთხრას, რომე იმითი დააწყნაროს.

246. რა ქალსა. ამოხვინჩვა ამოკვნესას ჰქვიან.

249. მისი სახე. ხატი სახეს ჰქვიან; ალქატი გლახაკი არის.

252. აწ რაცა. გაწბილება უკუწბილება არის.

254. ეგრე უთხრა, მოხმა მოტანასავით არის.

255. აწ, დაო. გვარლი თივის თოქსა ჰქვიან.

258. გითხრა, თუ. სულთქმა ამოხვინჩვასავით არის.

259. ამის მეტსა. მაჯანი ცუდსა ჰქვიან.

263. ავთანდილ ქვაბსა. იღუმალი დაფარულსა თუ საჩუმარ-
სა ჰქვიან.

264. ამარტის ფერად. ამარტა ეშმასა ჰქვიან.

265. ავთანდილ სარკმლით. ავთანდილ ტარიელის უბოვნელო-
ბით ტყვე იყო; რომ იბოვნა, განთავისუფლებული შეიქნა. ნატა ქვეშაგებს
ტყავსა ჰქვიან.

266. მან ქალმან. ამას ისწავლება: თუ ტარიელ ცოლის გულისათვის
ასე შეჭირდა, და ნახეთ, სამლო საქმისათვის რაერთს უნდა გაისარჯოს და
გასძლოს კაცმან!

274. ქალმან ჰკადრა. ამას ისწავლება: უზომო და ზომის მეტი არც
ჭირი და არც ლხინი არ ვარგა. ღვთის სამსახურის მეტი, და იადონი, ბერ-
ძნულად ბუღბულსა ჰქვიან: ბუღბულო ბალახსა ჰქვიან².

275. ყმამან უთხრა. გაცხადება შეტყობინებას ჰქვიან;
ნუკვა თხოვნაა.

¹ მათე, 18, 21—22.

² იადონი და ბუღბულო ისეთი სტროფიდან არის ამოღებული, რომელიც ვახ-
ტანგის გამოცემაში არ არის შეტანილი.

276. ქალმან კვლავ. შეგონება დარიგება და შეტყობა არის. ამებს ყველას ისწავლება საქმეს: ასრე უნდა საქმის მოყვანაო.

281. მობრუნდა ყმაამან. სულის ღება დაჩუმება არის. ასწავლის: თავს ნუ დახოცოთ, თქვენის დახოცოთ ის თქვენი მზენი მიჯნურნიც დაბნელდებიან.

282. ტარიელის ვარდი. ისწავლება, კაცის შეყრა და ამბვის კითხვა თუ ალერსი როგორ უნდა. გაწირული ხელის აღებასავით არის.

283. ავთანდილ გასცა. ავთანდილ თავის გამოჩენის ამბავს ეუბნება.

284. მეპატრონისა. აზრი, ერთი რამ რომ არ ენახოს და ისრე გონებით სწორეთ მიხედეს, იმას ჰქვიან.

285. შენ მინდორს. ხაფი მალალი, ბოხი და საშიშარი ხმა არის.

286. ყველაკასა მათრახითა. ფეთი კაცს რომ საშიშარი რამ დახედეს და ცოტას ხანს გაშტერდეს და უცნობო იქმნას, იმას ჰქვიან; შეთიანი, სნეულსავით ხან ადგეს და ხან დაწვეს და ერთს რიგზედ ვერ იდგეს, იმას ჰქვიან.

287. ჰმუნვა შეექნა. რუკა შეწყობილსა თუ მობძულს ჰქვიან; რუკა სხვას ენით სხვარიგადაც ითქმის. ეთერი აერს ზეით ცეცხლი არს გარ მოხვეული.

288. მიბრძანა: მიცან. ახლა ეს გასინჯეთ: ბოზობის საქმე რომელს კაცს სთქმია სამს წლამდი დაპირებით! მაგრამე ცოლ-ქრმოზისა და ბატ[ო]ნობის ნდომის რიგისათვის ეუბნების.

289. აქანამდის მნახავიცა. მკვახე უმწიფარი ხილი და მაგარი არის. გლახ „ქვე“ სავით სიტყვა არის.

290. ტარიელსაც. წაწყმენდა დაკარგვა არის.

293. კაცმან ვერ. დაფახვა დახუჭვა არის; შეწამება კაცმან რომე კაცს დასწამოს რამე.

294. აწვაშად. ვაშად ვახ არის; გმირი დიდი და დიალ ძალიანი არის; გაწირვა გამომეტება არის.

295. ავთანდილ უთხრა. პატივი ბევრგან სწერია.

296. ამაღლემან იაგუნდად თავის ხელმწიფეს და თავის მოსვენებას ამბობს, მინად — ტარიელსა და იმასთან ყოფას.

297. ტარიელ. ეს იმ ამბავზედ კი მოუყვანია, მაგრამე ჩვენად სასწავლოდ დაუწერია: რას გზით რა საქმეები მართებს კაცს კაცზედ. შენ შენს სავარელს რომ გაგყარო, ჩემი ნახვა რა იმისი მაგიერი არისო?!

298. წამოსრულხარ, მური ცეცხლის კომლი რომ მოკიდებოდეს, ის არის; ალიხომ ცეცხლის ალია.

299. ამას დაყმუნდა. ლები დალურჯებულს ჰქვიან.

300. კაცმან ვით. დანაბა გაყუჩებით რომ მიწას გაეკრას დასა-
მაღავად, იმას ჰქვიან.

301. მაგრა ლმერთმან. ერთი მზე ერთი დღე არის. ახლა ის
უთქვამს: ამ ერთს დღეს შენის ცნობით ლმერთმან ეს ორი მოწყალეობა მამცა:
პირველ ესე, რომ ჩემის პოვნითა და ამბვის მიტანით ავთანდილს და თი-
ნათისს შეჰყრის; მეორე — მე ამ ამბვის თქმა მამკლავს და სიცოცხლეს
მოვრჩებო.

302. ყმასა უთხრა. რა კაცი კაცს გაუმუსაიბდეს და საყვარლად შე-
ეკმნას, იმისთვის თავი სასიკვდილოდ არ უნდა დაზოგოს. ეს იგავად მოუყვა-
ნია: თუ ლმერთი კაცს არ წასწყმენდს, მეორეს რა შიში ექნება, რომ ცხონდეს!

303. ასმათს უთხრა. ჰკურება სასხურებელით თუ ხელით კაც-
მა კაცს შეაფრქვიოს, ის არის; თანისთან კიდეც და კიდეც.

305. მოსთქვამს: ჰი. ამას რუსთველი თვითონ მოსთქვამს: „ჰი, ჰი,
საყვარელო ჩემო, ქრისტეც, ჩემთვის ცოდვით დაკარგულო!“ და კიდეც „იმე-
ლო და უკვდავ-ყოფელო, გონებაც და სულო, გულო!“ და უბნობს ადამის
ცთენას: „არ ვიცი, თუ ის მცნების ხე ვინ მოგკვეთაო, ედემს დანერგულო“,
და უბნობს ცოდვას ცეცხლად; „ამონმა ცოდვის მოქმედებამა რატომ ვერ
დაგწვაო, გულო, რომ ასკელ ცოდვით დადაგული ხარო?“ და ახლა იმავ
ზღაპარს მოჰყვა.

306. ისმენდი, მიეც, შეცევა გარ შემოხვევას ჰქვიან.

307. ინდოეთს შვიდთა. მფლობელი შემძლებელია: მპყრო-
ბელი მპერავია.

309. ხალვა მოსძულდა. ხალვა ხალვათათ ყოფა არის; კაე-
შანი — ზრუნვა რომ სევდად შესცვალოს, ეს არის; ზიემი გამოჩვენებას
ჰქვიან, ზარი — მტრის შეშინებას.

310. ფარსადანს. დასკვნა ერთს საქმეზედ დადგომა არის.

312. ერთი სამეფო. გმირი არაბულად უფროსს ჰქვიან და ქარ-
თულადაც ეს არის; ამილბარობა უფროსობა მისცა; სპასალარობა
სულ ლაშქრის თავობა არის.

313. თვით მეფემა. ზავი დაწყობასავით არის.

316. ასმათ, მითხრობდი. ცილი ტყუილი არის, სირი ჩიტი
არის; გაოდის უნადვლელობა.

319. ქება არ. ნიჭი მისაცემელია თეთრისა, თუ ფარისა.

322. მას ქალსა. შეფრობა ვერ გავარჩიეთ.

324. მეფემან სახლი, სარაჯი ავხასა ჰქვიან.

325. დღე და ღამე. მუჯამარი ხელმწიფენი რომ სურნელის
დასაკმევს წინ დაიდგმენ, ის არის.

326. სრა ედგა. ოქსინო ფარდა არის და შარი ვერ გავარჩიევი;
გაბაონი ქვეყანა არის კარგი.

327. თხუთმეტისა წლისა. ასპარეზი მოედანია.

329. მამა მომიკ (ვდა). ნიში ნიშანია: ყოვლის სიხარულისა ნიშანი გაუცუდლაო.

330. მე წელიწდამდის. აქ მგლოვიარობას ისწავლება, და მეფეთაგან დაპატიება რა დროს უნდა, იმას ამბობს. სულის დაღება დაჩუმება არის; მცნება სწავლებაა.

331. ჩვენ უფ (რო). კარგი რიგსა ჰქვიან და საკარგავი ყოველს გასარიგებელს.

333. მათ საჯდომთა. ზარი კაცი რომ ნახვით თუ ამბვის გაგონებით გასტერდეს და ტანში დააზრზოლოს, — ბევრჯერ დამიწერია. ამაებს ყველას სასწავლოდ და რიგებად ამბობს.

335. აღარ ვიცი. მუხთალი მოლალატეს ჰქვიან; მიწყვი მუღამ არის.

337. ბახჩა ვნახე. სირინოზი ზღვაში ზის, წელს ზეით ქალია, დიად ტებილს ხმას შესტვენს.

341. აწ წახდეს. არე ქვეყნის არეს ჰქვიან.

343. მიმდონი საწუთროსა (ნი). ნივთი რაც რამ ფერი მოსახმარისი არის.

345. შიგან ვსწევე. ბელზებული. სახარებაშიცა სწერია, ეშმაკთ მთავარსა ჰქვიან; მუყრნი მოლას ჰქვიან.

347. სრულნი მუყრნი. მულამნი თათრული მკითხავი არის; მუყრნი აზნას რომ დაიძახებს მეჩიტში, ის არის.

349. სამსა დღესა. აჰი, აჰი სიტყვის მოსაბმელი სიტყვა არის.

350. ვთქვი, თუ ღმერთო. აჯა ხეფუნასა ჰქვიან.

355. მონააო ასმათისა. სააშიკო სააშიყოლ ითქმის.

357. დღენი გამოხდეს. მკურნალი ახლა რომ აქიმს ეძახიან, იმას ჰქვიან; აქიმი სხვის ენითა ბრძენსა ჰქვიან და მკურნალი აქიმი არის.

358. მათ ვერა. პატიეი ზეით სწერია.

359. ხელ-გახსნილი. თუ ეს წიგნი ბოზობის საქმეზედ უთქვამს, მაშ რა არის, რომ, სადაც ბოზობის საქმეს ამბობს, დიად ჰგმობს და უზრახავს? მაგრამ ბოზობისა არა არის რა, საცოლქროდ უთქვამს.

360. მონამან წიგნი. გაკვირვება — ვითამ ასმათ რომ წიგნი მოსწერა, ტარიელ პასუხი რომ მისწერა: დრო კი არის შეყრისა, მაგრამ ამ საქმის ჩემგან დაყოლას უნდა ვკვირობდეო.

362. კაცი მოვიდა. კვლავ — მასუკან.

363. დარბაზს მივე. აბა სიტყვის სამზღვარი და საბრუნებელი არის; კაპარჭი საფთეს ჰქვიან; საგანი ნიშანს ჰქვიან; შაბაში ინდოურად მოსაწონსა ჰქვიან.

364. შინა დავსხე (დით). ღარიბი უცხოს ჰქვიან სხვათ ენით; მუტრიბი მეჩანგე არის.
365. ვეცდებოდი. კრძალვა გაფრთხილებას ჰქვიან; ალვად აღს ანობს.
366. მოლარემან შინა (ურმან). ზეწარი — ქალი რომ თავზედ გარდაიფარებს, ის არის.
367. ავდეგ, მსწდომი. დაზმობა ხანის გამოუსვლელობას ჰქვიან. და, თუ ბოზობისათვის ამბობდეს, აუგად და საკრძალველად რად მიიჩნევა?
372. ბედითი ბნედა. ხარაჯა თათრულია, მალსა ჰქვიან.
373. შენგან ჩემისა. შარშანდელსა და გუშინასწინდელსა ძოღან ჰქვიან.
378. ასმათ მითხრა. ნამუსი ქართულად პირის წყალი არის რა არაბულად სჯულსა ჰქვიან.
379. მეკეთა ესე, მქისი ხორკლიანი თუ დამშხალული არის.
380. ასმათს მივა (რთვი). დრამი მისხლისაგან უფრო ცოტა საწონი არის.
384. კაცი გაეგზავნე. საწუთრო ამ სოფელს ჰქვიან.
385. პირველ გაჭრისა. დიადობა გამრავლება.
386. დღესა ერთსა. სრა სასახლესა ჰქვიან.
387. მონაო ასმათისი. მანა — მიჯნურობის ჯაჭვით რომ მოკირებული იყოს, მანამან მამიშვაო.
388. ბაღჩა შევლე. ბაღჩა თათრულად წალკოტსა ჰქვიან; ვაშავახ არის და საწადლის აღსრულებსა.
389. ამიგდო ქა (ლმან). მკრთალი კრთომას ჰქვიან, ელეა რომ ჰკრთებოდეს.
390. დიდხან ვდეგ. მოსურვება მუდამ ნახვის ნდომაა.
391. ასმათ გამომყვა. დარამად ერთპირად არის.
392. ასმათ ლხინსა. დახშვა დაკლეტა არის; კრძალვა სიფრთხილე, გინა რიდება არის; ლალი თამამი არის.
393. მე უთხარ. ზენაარობა ზეითის ფიცია.
397. უბრძანე წვევა. მარზაპანი ჯანიშინია.
398. ფიცხლავ მოვიდე. დაზმულობა დაგვიანება არის.
399. ავმართე დროშა. ახლა ლაშქრობისა და ომის საქმეს ისწავლება.
400. შინა მიველ. დაღრეჯა დიდი ჰმუნვაა.
401. მონა შემოდგა. ბედითი ცუდი არის.

! დამლილი ვ (შღრ). მქისი — დამშხალული, გინა ხორკლიანი.

404. შევე, წაედებ, ნოხი ორხოვა არის.
406. მიბრძანა. ძულან გუშინასწინდელსა, გინა შარშანდელსა ჰქვიან.
407. თუცა მართებს. იღუმალი საიდუმლოა.
408. ერმანერთისა. თუ გიკრუო, ცხრას ვითამც ნუ ვზივარო!
410. აწ რასაცა. იჩქითი ვითამ ანაზღათ; ძვირობა — რომ ზედ კრტიალებდეს, იმას ჰქვიან.
411. ზედან წიგნსა, მტკიცე მაგარსა ჰქვიან.
413. მეძნელეზოდა. ეთერი აერს ზეით ცეცხლი არის.
415. დავაგდე მზღვარი. ხანი უზბეგის ხელმწიფეს ჰქვიან.
418. გვერცა დავისხენ. განზრახვა უწინვე გამორჩევას ჰქვიან; ვაგლახი ვაი არის.
420. მეკეთა ესე. თათბირი სხვათ ენით რჩევა არის.
421. მათ ლაშქართაგან. დავედრება დაბარებაა.
424. მუნით წასული. ხვერი დიდი და სშირი ტყე არის; ტაი-ქი კაის ცხენს ჰქვიან.
425. მითხრეს: მეფე. ხარგა ბალნის კარავი არის.
428. რომე ცუდად. ბევრი ათი ათასი არის.
431. არვის გავენდევ. ქორი ერთი ამბავი რომ დავარდეს და ჯერ მართალი და ტყუილი არ იცოდეს.
435. უბძანე ჩაცმა. ქაფი ჯაჰვის ილღის ზონარი და სარტყელი და შესაქრავები; ჯავშანი ტანსაცმელს ჯაჰვს ჰქვიან.
437. შევსთვალე, თუ. გაგება გარიგება არის.
439. უზბი ვთხოვენ. უტევანი ასი მხარი არის.
441. შიგან ასრე. ტანა ჯორი ერთის წლის ჯორი არის, და ბევრად სხვად იტყვიან.
442. ერთობილნი. მანდიკი ხურჯინი არის.
444. ჩემი ლაშქარი. ტაბლაკი მცირე ნალარაა.
449. გავგზავნე. ალაფი ქვეშ საფენი და ქურტელია.
450. რამაზს. სიმუხთლე ზეით სწერია.
453. მაშინლა. ჩასხმა დაჯდომას ჰქვიან.
454. საკურტლენი. საკურტლე ჯაბახანას ჰქვიან; ყაბაჩა მოკლე კაბა არის; რიდე თავსახვევია.
455. ვერა შევიგენ. ლარი ფარჩა არის.
456. იგი საძღვნოდ. არმაღანი შორით მოსული ძღვენია.
457. წიგნი დავსწერე. სვე, ბედი და მარმენიო — სამივე ერთრიგი არის და სამივე კიდევ ერთად სხვარიგად გაირჩევა; ჯერ თავთავისი გზა არ მიგვიცემია. ალაფი ზეით დავიწერია.
458. რა ყველაი. აზავერი ასაკიდებელი ხარი არის.

459. ხატავეთისა. გაწბილებაა, ერთს კაცს რომ საქმე უნდოდეს და ვერ ქნას; გაწბილებაა, კაცმა კაცს საჯაროდ ავი სიტყვა წააყვადროს და უკუ-აწბილოს. და ამასაც ისწავლება: თავის ქებაც უმართებულო და გაწბილება არის.

463. მას მეფესა. ლმობილი მტკივნეულია, და ლმობიერი წყნარია.

464. მევეჰკადრე. კადრება შებეღვა არის.

465. ხარაჯი დასდევს. დრაკანი ფლურია.

467. მოვიდა კაცი. დაშრომა დაღალვაა.

468. შევეკაზმე. ტურფა უცხოსავით არის.

469. იღუმაღ. ზოზონა ამბავის გაუბეღლობით თქმაა.

470. აწ მითქვამს. მცნება სწავლება არის.

471. მოვინადირეთ. ეჭი ექვსი ათასი ბიჯი არის. აღარ იბურთეს, ორი თამაშობა დაშალესო; ერთი — რომ ნადირობილამ აღრე მობრუნდნენ და მეორე — აღარ იბურთეს.

472. ჩემთა მქვერეტელთა. მემანი. წვეულობას ჰქვიან და მენიანი კაბა — საწვეველო კაბა ეცვაო; კატაბანი ტყუილია.

474. მას მზესა. ხადუმი საპურისი არის.

476. ახლოს. არამი სხვა ენა არის.

480. აწ თუცა. საკურქლე ზეით სწერია.

482. ავიყარენით. ბოსტაქანი დიდი სასმელია; ცნობის თარგმანი გძლად მოვიდოდა, ბოლო შეტყობავ არის.

483. მონა მოვიდა. აჯილა ჩადრი არის.

485. მიაშბე. სათნები სათნობაა.

487. ღმერთმან თუცა. ბოლოები, ვინც გინდათ, თქვენ თარგმნეთ.

488. თუცა მიგდის. ბოლოები, ვინც გინდა თარგმნეთ, ერთი სომხური კი არის: არიღენო იქით მოდიო.

491. ასრე წვა. წანწკარი წვრილად წყალი რომ მიდიოდეს და ხმა რამე გამოსდიოდეს.

492. ავთანდილცა. სულთქმა ამოქშენას ჰქვიან.

493. ზე წამოჯდა. სპეტი თეთრია.

496. მიუწერე. ჩაუქი სიკვიტეა; სილფე ვიკითხოთ, რა არის; ნატიფი მოხლომილი, გინა ლამაზი.

500. დილასა ადრე. „სახითა ოდენ სამითა“ რომე სწერია, მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია: ორნი — მეფე-დედოფალი და მესამე — ერთი ვეზირი მისანდოც. თუ ასრე არ დაეწერა: „სახითა ოდენ სამითა“, ლექსი არ გაიწყობოდა. და ერთს კიდევ ამას ვეპობ, რომე ვითაც ხელწიფენი ლეთის

ჩრდილად რომ არიან თქმულნი, ორნი ერთად რომ ისხდენ „სახით სამითა“, ვითამ კინალარ სამების სახედ ისხდენო: ძლიერებასა და საზარელობას უქებებს თავის პატრონს. იღნობა რა არის, ვერ ვაგრძნებთ.

502. აწ ქალისა. სახე თათრები რომ თარეს ეძახიან, ის არის; და გამახვა წვერ-გალესილი.

505. რომე პირ (ველვე). სწუებოდა ეს არის, რომე მართალი სიტყვა რომ იყოს.

514. იყო არ (ნათლად). პირ-ოქრო — პირზედ რომე ოქრომკედლი ჰქონდეს ფარჩას, იმას ჰქვიან ან რიღესა.

515. ქვე წვა. ნაპრალი კლდე რომ გახეთქილი იყოს, ის არის.

516. მიბრძანა. გაწირვა გამომეტება არის. ეს ლექსები ფიცის გაუტეხლობისათვის მოუყვანია და ფიცის ტეხას აძაგებს, ვითამ სხვა ნურავინ იქსო.

517. ვთქვი. „დიაცურად რად მოვლორდიო“, ვითა სოლომონის სწავლაა: დედაკაცი მცდარი არისო¹.

518. შენ არ. ხელოვნება რაც რა ფერი კაცმან რომ იცოდეს და იქმოდეს, იმას ჰქვიან.

519. გახსონს. მკურნალი აქიშსა ჰქვიან და აქიმი არაბულად ფილასოფოსსა ჰქვიან; დასტაქარი ჯარა არის; ყე „ქვე“ საეით სიტყვის შემასრულებელი არის. და ამასაც ისწავლებს: მამა ცის სიტყუვეს სხვა რალა შეედარებისო! და ცრუ არ უნდა იყოსო.

520. ამას ვბრძანებ. აზრი მიერეს შეტყობას ჰქვიან.

523. შეეხედენ. მუსაფი თათრის წიგნსა ჰქვიან, და აქ აჩენს, რომე ისინი თათარნი იყვნენო.

524. რომე გკადრებ. აქ შეჰფიცა და მერმე ბოლოს გაასრულა². ნახე, რუსთველს აქ როგორ მოუყვანია! ვითამ ფიცი არ ატეხინა და გაასრულებინა. ნალიქნია, სატყუერად მიფერებას ჰქვიან.

525. კვლაცა. შეხება ზედ მიწდომა და წვერის ხლება არის.

528. ვთქვი: ამითა. გონება სამი არის: პირველად ღვთისა, მერმე ანგელოზთა და მესამე კაცთა, გონება ანაზღათ ღიდისა და მრავლისა საქმის შემომღელი არის.

529. სულთ ვიყიდდი. ბაზარი სავაპრო აღვილი არის.

532. მიბძანათუ. ესეები ამ ზღაპრის მიზეზით კაცის სასწავლოდ უთქვამს.

533. კვლავ თუ. ასდენ ასე არის.

536. ასრე ქენ. იმისთანას სასახელოს კაცს თავის მტერს მოპარვით აკვლევიანებს და ღიდს სისხლს უშლის!

¹ შედარე: იგავი 9. 14.

² გააპრუნა ვ (კორექტურული შეცდომა მგონია).

540. ხანი დავჰყავ. ფიცხელი ძნელი, თუ გინა მაგარი არის.
542. მიბრძანა: ჩემთვის ძუნწი კაცს ჰქონდეს, ხარჯი მართედ-
დეს და არ იხარჯებოდეს; უმეტარი შეუტყობარს ჰქვიან.
545. მოედანს დაედგი. აღვსება აღდგომა არის და ქართვე-
ლის კაცის გულისათვის უთქვამს .და იმ ქორწილობის რიგებსაც ისწავლება.
546. ცხენისაგან არ. ვაქილი ზეით დავვიწერია.
547. შევედით, ვნახეთ. წარბ-შერკმით წარბის შეყრას
ჰქვიან.
548. მემეწყინა. დაყმუნება დაყოყმანებასავით არის.
550. კარვის კალთა. ჩავაქარაბაკე დავხიე თუ დავხეთქე
არის.
557. ვერ გათნევე. თნევა ზეით დავვიწერია.
558. შენი ქალი. ამოფხერა ამოგლეჯას ჰქვიან ძირიანად.
559. ისე კაცი. თვალი ვაგე თვალი ვამყოფეო.
565. ჰკადრეს აქა. შეგნება მიხლომას ჰქვიან.
570. როსკიპო. როსკიპი ურიდად და გამოჩენილად ბოზი არის.
571. ხელი მიჰყო. მედგარი — გუნებიდამ რომ კაცის ძვირი
კაცმა არ ამოილოს, სანამდი ჯადრი არ ამოიყაროს, და მოულონობასაც ჰქვიან;
დაშუშვა დაამებას ჰქვიან.
572. რა დავარ. დარაჯა ქეშიკსა თუ ამბის შემტყობს ჰქვიან.
575. მე უთხ(არ). ახლა გამოაჩინა: მოყრობა და პირობის გათავება
ასრე უნდაო.
576. მეტმან ზარმან. ცხრო ცივება არის.
574. ზედა ჯდა. ფიცხი ჩქარსა ჰქვიან.
598. აწიგი. წადილი სამასპინძლო არის.
601. მივედით მისსა. კოტარაგინდარა პატარა ხე დაასო, იმას
ჰქვიან, და ზღმის ზეტარი რომ დასხმულია, ეს ის არის.
602. კვლავ მოვე(ეწონე). ზარქაში სპარსულად ვერცხლს გა-
წეულსა ჰქვიან.
604. მათი მესმა. ჩაბალახი ჯაჰვის ქუდია უკვერცხო.
605. კვლავ სხვასა. ქულბაქი ღუქანი არი.
606. ზღვა გავიარეთ. ქველი ზეით სწერია.
607. თვით ორნივე. ამაყი ზეით სწერია.
608. მათი ლაშქარნი. ზარი ფარჩაა.
609. ფრიდონ. კაცი რომ კაცს გაეწყობის, იმას ისწავლებს: ასრე უნდა
გაწყობაო, რომე ასრე უნდა გაისარჯოსო.
610. მივედით, მოქალა(ქეთა): აჯაბი საკურველი არის.
611. ლაშქარნი ფრიდონს. სეფე უფროსად ითქმის.
616. ამოძერნეს ორნი. კრთომა სწერია.

618. ცხენი გავჰქუსლე. წრტიალი მტკივნეულია.
619. ესე მესმა. გაკიცხვა უპატიურად აგდება არის.
622. ფრილონს. ბასრობა ნამეტნავად გაუპატიურება არის; და კიდემ სხვას ამას ამბობს, გარდავარდნილის კაცის პატივი და დახლომა როგორ უნდაო.
634. მაშა მე. ფარმანი დასტური არის.
637. მერმე. სახედარი ჰუდამ სახედნი ცხენია.
639. ფრილონ. მხეცი ხორცის მჰამელს ნადირს ჰქვიან.
642. უშენოსა. დაფალი ღონე-მოღებული არის.
644. ესე ქეაბნი. ქაფი ზეით სწერია; ცქაფი სწრაფი არის.
651. ავთანდილ. ცარიელ რომე ცოტას თქმით ავთანდილ გასაჯა, მერმე, ნახე, იმან გარჯისათვიან რა დიდი გარჯაები უყო და როგორ მის მიჯნურს შეჰყარა! რჩევებიც გაუშინჯე ავთანდილს!
652. რა აქიში. კაცმან კაცს უნდა ჰკითხოს რჩევა, — აქ ამას ისწავლება.
653. რაცა გითხრა. ბრძენი დიდს ჰქვიანს ჰქვიან.
656. მან მიუგო. მიგება პასუხის მიცემა არის.
657. პირი შენი. მოლორება მოტყუვება არის.
661. აღრე მოვალ. დაზმა დახანება არის.
662. იგი მუნით. გაამხოკლა ხელის; ფრჩხილებით რომე ჩამონხოკოს, დაიგლიჯოს, ის არის; გაამლოკლა გალოკაა.
666. მოვიდეს. შეება, რომ ღზინობდეს, ის არის.
667. შერმანდინ (ს). დაფახვა თვალს ხუჭვედეს, ის არის; ხულა მომცროს ფიცრის სახლს ჰქვიან; დარბაზი ხომ სამეფო სახლია.
669. არცალა დაჭდა. კამათობა ცილება ან დავი არის.
670. შესთვალა. ფლიდი -- თათარნი რომ „ფლიდს“ ეძახიან, ის არის.
674. რა მიიახ (ლა). ნიშატი მართლა არ ვიციოდი.
676. მას დღე. დრამა მცირე საწონი არის.
678. მასვახსენებდე. მიწყვი მარადის არის.
681. რა დაასრულა. დუხჭირი ავ სანახავს ჰქვიან; მოხმა — იქილამ რომ აქ მოიტანო, ის არის.
683. ყმა წავიდა. ლმოზიერი მშვიდსავით მგონია; ხასიათი სხვა ენა არის.
684. მზე უკადრი. ეფრავტი წყალსა ჰქვიან; დამქვერი — მრავალ გვარად რომ კაცი მეტყუვლებდეს, ის არის.
685. ყმა მხიარული. მქისი და ლადი ზეით დაგვიწერია.
689. ნუ მკითხავ. ციავი მზის სხივი არის.
690. წვრილად. წავარნა კლდის ბილივი; მენა სანიადაგოსა სადგომს ჰქვიან.

692. ყ მ ა ე ტ ყ ვ ი ს. ც ქ ა ფ ი ზ ე ი თ ს წ ე რ ი ა.

693. ხ ა მ ს მ ო ყ ვ ა რ ე. კვლავც დამიწერია. ტარიელ და ავთანდილ ამ-
ზავად უთქვამს, თვარა მოყრობასა და ყოვლს სასწავლოს ისწავლება. ეს სამ-
ღვთოთაც ითარგმნება და საეროთაც ასრე არის.

695. სა წ უ თ რ ო კ ა ც ს ა. ტ ა რ ო ს ი დ რ ო არის.

696. შ ე ნ ა რ. აქ ფიცისა და პირობის საქმეს ისწავლება, თუ როგორ
უნდა გასრულება.

697. ყ მ ა მ ა ნ კ ე დ რ ა. „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ ცუდი არისო, —
კაცი რომ მზის შუქს ჰკოცნიდეს, რა მზის კოცნა არისო! ვითამ სანამდი ცოლ-
ქრმობა და გვირგვინის კურთხევა მოგვხვდებოდესო! მანამდის ჩემი სიხარუ-
ლი რა არისო! „თუ გიახლო, ერთხელ ვაი“ იძიტომ უთქვამს, რომ ჰვერეტას
გარდა ვერ შეიყრებოდნენ; და „რა მოგუმორდე, ბევრჯელ ვაი“ ამაზედ უთ-
ქვამს: ნახვაც დამიძვირდებო.

698. ვ ა ი თ უ ს ა მ ა ლ ი ოზბეგურს მოკლე ისარს რკინის ღარით გა-
აგდებენ, ის არის; ს ა გ ა ნ ი ის რის ნიშანი არის.

700. ყ მ ა ტ კ ბ ი (ლ ი). მარგალიტი! ცოლ-ქრმობის დაჯერების ნიშნო-
ბისათვის მისცა.

703. ყ მ ა წ ა ვ ი დ ა. ცოლ-ქმართ სიყვარულს ისწავლება.

705. ვ ი ნ უ წ ი ნ. სოფლის გმობას ისწავლება და ზღაპარსა მჩმახად
ამბობს.

706. ა მ ა ს მ ო ს (თ ქ ვ ა მ ს). სიკვდილი ყველას ცუდად შეიქს, სოფელს
კი ზრახავს.

708. გ უ ლ ი კ რ უ ლ ი ა. კაცის გულის სიხარბეს და გაუძლომლობას
ისწავლება. მიზეზად ავთანდილს ათქმევიანებს; ხან თინათინის ნახვა უნდა და
მოუშორებლობა და ხან ტარიელთან წასვლა. ახლა მკითხველს ეუბნება: რად-
გან კაცის გული ხარბი და ერთს საქმეზედ დაუდგომელი არისო და ბრმაცა და
ურჩიცი არის ზედვისა, რომ საქმეს ვერ გაზომს, ვერც სიკვდილს მეფენი
პატრონობდენ. მაშ, კაცმან თავის თავსა უნდა მოუაროს და გუნებას არ
აქყვესო.

709. რ ა გ უ ლ ს ა. გ უ ლ ი ს ო ბ ა გაჯავრება არის; ბ ი ს ო ნ ი წყალია.

710. რ ა გ ა თ ე ნ დ ა. ნ ა ზ ი — კაცი რომ კაცს აძლევდეს, „არ მინ-
დაო“ ის ეუბნებოდეს და ესათუთებოდეს, იმას ჰქვიან.

716. ა მ ა ს მ ო ს თ ქ მ ი დ ა. ამას ჰირის გაძლებისათვის ისწავლება.

720. ყ მ ა გ ა რ დ ა ს ვ ა. აწ მიზეზით კაცს უფროს-უმცროსის მასპინ-
ძლობას ისწავლება. ღ ა ფ ა ლ ი ზ ე ი თ დაგვიწერია.

721. დ ა ჯ დ ა, მ ი ს თ ა. ს უ ლ თ ქ მ ა ამოხენეშისავეით არის.

722. რ ა ჯ ა ლ ა ბ ი. ს ა უ რ ა ვ ი დ ა თ ნ ე ბ ა ზ ე ი თ ს წ ე რ ი ა.

726. ყველასაც ვე, ეს ამდენი კაი სწავლა და კაი სიტყვა, მაშ, თუ ამ. ამბვით არ ეთქვა, მიწაში უქმად რატომ ჩაეტანა! ამას კარგად უნდა უსინჯევდეთ: სამღვთოსა და საეროშივე კარგად არის სასწავლო!

727. რაცა გითხრა. უსტასარ ვეზირის სახელი არის.

730. წასვლა ჩემი. სუფევადიღს მეფობას ჰქვიან.

732. ვაზირმან უთხრა. აქ ხუმრობასა და აზნაურშვილობას ისწავლება, ყოველს საქმეში რიგიანი სიტყვა მართებული არის.

735. თუ მეფე (ცა). მოლორება მოტყუებას ჰქვიან.

738. მეფე ანუ. ბევრჯერ ვამბობ: ყველა სასწავლო საქმეები უთქვამს და საკარკაცოდ გასინჯეთ. ავი არა არის რა!

739. აწ, ვაზირო. რკინა ჩემი მონაცვალე იყოს და ჩემი სასჯელი რომ რკინას სჭირდეს, სანთლად შეიქნება, ვერ გასძლებსო.

741. ვაზირმან თქვა. ეს პავლეს სიტყვაზე¹ მოუყვანია: „წესიერი ზრახვა, ზომიერი ღუმილი“, როგორც ის იტყვის, ამასაც ისე უთქვამს.

744. ჩემი ჰმუნ (ვა). ფლიდი ზეით სწერია.

747. ვითამც რამე. ღადარი დაუნდობელია.

748. ხამსცა. ბატონ-ყმობის მოხსენებას ისწავლება. და ბატონს რომე ეწყინებოდეს, მაინც კაის სიტყვით ყმამ უნდა მოახსენოს და არ დარიდოს.

749. კვლავ უბძანა. შაბაშ ზეით სწერია.

750. დადრკა, სკამნი. ძეწნი ტირიფის ნერგი არის.

751. ვეზირმან გლახ. აქენის შენახვას ისწავლება.

754. ქრთამსა სთხოვს. მექრთამობის ამბავსაც მოგახსენებს. ვინც უბრალოს ქრთამს ეწყობით.

755. ვით გამხადა. შლუ — შუბლსა და საფეთქელზედ რომ თმა აკლდეს, იმას ჰქვიან. ვითამ როგორც თმა, ისე ჰქუა აკლიაო, — იგავით მოუყვანია.

757. ყმამან უთხრა. იაღონი ზეით სწერია.

761. შეკრა წითელი. ჩახრუხაძეს რომ ჩახრუხაული უთქვამს, ეს იმისთვის დაუწერია, რომე ესეც ვიცოდო.

765. იტყვის: როსტენ. უსამართლობას ამბობს, არ ვარგაო.

767. სამი არის. ეს სამღვთოც არის და საეროც: სამღვდლოთაც კარგა ითარგმანება, საეროთაც უთქვამს.

770. მტერთა ჩემთა. ბატონ-ყმობას ისწავლება.

772. ვის ასმია. ფლიდი ზეით სწერია.

774. თუ მიჯნური. ესეც სამღვთოსა და საეროზედ უთქვამს: რომელიც სამღვდლო განშორებული არის, მარტო ყოფა უნდაო.

¹ პავლესი არ ვიცი და შეადარე ეკლესიასტე 3, 7; „ჟამი ღუმლისად და ჟამი მერყეულებისად“.

775. რ ა მ ო გ შ ო რ დ ე. სირცხვილისა და აუგის გზას ისწავლება.

776. მ ე ი გ ი. ესეც ორკეცი კი არის: მოყრობის რიგი ხომ დაგვიწერია და სამღვთოდაც კარგად ითქმის.

778. დ ა ჯ დ ა წ ე რ ა დ. აწ ამას იქით გაშინჯეთ, თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ. — სამღვთოდ თუ საეროდ, — როგორ თვითოს რიგით უსწავლებია! და ეს საქმეები ზოგი საცოლქმოდ, ზოგი საკაცოდ და ზოგი სალაშქროდ და სანადიროდ, — ყოვლი რიგები უსწავლებია! თვარა ცუდად, საბოზრად არას გარჯილა და არცარა უთქვამს! ამ ანდერძს რომ მოჰყვა, თავის ბატონთან ბოლიშის მოთხოვნას მოახსენებს.

779. ვ ი ც ი, ბ ო ლ ო დ. მართალს ამბობს, პლატონისაგან კიდევ უკეთესი კაცი სხვანიც ემოწმებიან: სიცრუე და ორპირობა კაცს სულსა და ხორცს ორსავე წაუხდენს.

780. რ ა დ გ ა ნ თ ა ვ ი. უ ბ ა დ ო ბ ა ცუდსა ჰქვიან. ამას ამბობს: სიცრუელისათვის მე მოყვარე რატომ დავსთმოო? და ამასაც ისწავლება: კაცს რომე ცოდნა ჰქონდეს და ვერ ხმარობდეს, დიად უსარგებლო არის. ამასაც ისწავლება: რაც ვისწავლოთ, რომე ზეციერს მწყობრს შევაწყუთ. მეცნიერნო, აქ გაშინჯეთ: რასაც ამბობს, მართებულად და კაის საქმით ამბობს, თვარ სიცრუვისა და ბოზობისათვის არა უთქვამს რა!

781. წ ა გ ი კ ი თ ხ ა ვ. ამას პეტრესა და იოვანეს და იაკობს უფლისას მოწმობს: ისინი ბძანებენ „სიყვარული ღმერთი არისო; ვისაც კაცი არ უყვარს, ღმერთი არ ეყვარებაო! და ის მოუყვანია.

782. ვ ი ნ დ ა მ ბ ა დ ა. ამას ამბობს: ვინც დამბადა, მტრის მორევნაც იმან მომცა. მ ტ ე რ ი ეშმაკი არის და ამ ეშმაკის მორევნა მომცაო. ეშმაკის მორევნა კაცს მისცა და უნდა მოერიოს. „ძალად უხილავად, შემწედ მიწიერთად, საზღვარის დამსაზღვრელად, უკვდავად და ღმერთსა ღმერთად“ ღმრთის ქებას ამბობს: იმას შეუძლია, წამის ყოფით ერთსა ასად გახდის და ასს ერთად. ამით თავს იმედს უღებს, ნეც შემაძლებინებსო.

783. რ ა ც ა ღ მ ე რ თ ს ა. კეშმარტიად მართალია: რაც ღმერთსა არა სწავდს, არაფერი არა იქნება რა. იმას მოახსენებს თავის ბატონს: ამ საქმეს ვეცდები, თუ ღმერთსა სწავდს, შემაძლებინებს; თუ არ სწავდს, ხომ არ იქნება რა უყოთოთაო. მ ზ ი ს შ უ ქ ა დ ტ არიელს ხდის და იად თავის თავს ამბობს. უმისოდ გაძლების შეუძლებლობას ამბობს და თავის ბატონთან ბოლიშს ითხოვს.

784. რ ა ზ ო მ ც ა. თავისი ბატონისაგან შენდობას ითხოვს და ამას მოახსენებს: ღონე არა მქონდა, უმისობა მომეთმინაო. ამისი წამალი წასვლა იყოო. „სადა გინდ ვიყო, რა მგამარ“, რომ უთქვამს, ეს არის, რომე კაცი სადაც იყოს, ნამუსიანად უნდა იყოს, — ნამუსიანად ყოფნა სანაღლო არ არის.

785. ა რ ა ს გ ა რ გ ე ბ ს. სწავლა არის: კაცი უნდა ცდილობდეს და კაის ლ. აქმეს იჭიროდესო, თვარა მკმუნვარება და სიმძიმილი რას არგებსო! ღვთის ბძანება რომ არ იქნას, ხომ არ იქნებისო! და მამაციისაგან გარჯა და ჭირის დათმობა არის წესიო. კაცს ასე მართებს: ჭირიც გასძლოს და კიდევ მოიჭიროვოსო. თვარა ზორციელს კაცს განგებულების წინააღმდეგობა ხომ არ შეუძლიაო!

786. რ ა ც ა ლ მ ე რ თ ს ა. ამბობს: რაც ღმერთს ჩემთვის გაუგია, ხომ გარდამხდება და გარდახდას უკან გული დააგლებული აღარ დამრჩებაო. თქვენ მხიარულად, დიდებით [გნახავ]. დ ა ვ ლ ა თათრული სიტყვაა, დავლათს ჰქვიან. ამას ამბობს: თუ იმას ვარგებ ჩემს გარჯასა, ამდენი სიარული ჩემი სახელი და სიკეთე იქნებაო.

787. მეფეო. აქ ისწავლება: სიცრუე და პირობის გატეხა კაცს წაწყმედსო. და თავის ბატონზე ბოდიშს ითხოვს: წასაწყმენდელი საქმე როგორ შექნაო!

788. ა რ დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა. კაცი რომ მოყვარეს არ ივიწყებდესო, ზიანს არ უზამსო, ამას ისწავლება. ასეთს კაცს ვგმობო, ყოლის სიკეთით სრული იყოსო; და ცრუ და ღალატიანი იყოს, იმის უფრო რა იქნებაო! ახლა, რადგან ეს ასრე არის, მე იმას ვერ ვეცრუეები და ზიანს ვერ უზამო, ისწავლება: მამაცობაზედ რომ სულ-გრძელი იყოს, წასვლის მოზარე იყოს, იმგვარს მამაცობას ზრახავს.

789. რ ა უ ა რ ე ა. მამაცობას ისწავლება და ამას ამბობს: ჭაბანი კაცი დედაკაცს რით სჯობსო? (ჭ ა ბ ა ნ ი ხდალსა ჰქვიან) და სახელი სჯობს ყოვლს მოსახვეჭელსაო. მ ო ხ ვ ე ქ ა ბ რჭალით და ბორჯღლიანი მოიტანოს რამე, იმას ჰქვიან.

790. ვ ე რ. ამას ამბობს: რადგან სიკვდილი არას გზით არ დაიჭირვის და კაცი მოკვდება, ნაზრახს სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობსო.

791. მ ე რ მ ე. მეფეს ბოდიშის სიტყვით მოახსენებს: ვინც სიკვდილს ყოვლის წამით არ მოელის, ის კაცი სცდებისო. და თუ, — ვინ იცის, — მოკვდე, შეწყალებას ეხვეწება.

792. თ უ ლ ა წ უ თ რ ო მ ა ნ. ესეც ისივ სწავლაა: თუ მოჰკვდე, შემებრალეო. ეს იმათ ანდერძად რომ მოუყვანია, თვარა იმათ ანდერძი ხომ არ უთქვამს! როგორც წმინდა წერილი ბძანებს: „კაცი ნიადაგ სიკვდილს უნდა მოელოდესო“.

793. მ ა ქ ე ს. ამას გლახის მოწყალეობად ისწავლება იოვანე ოქროპირის ბძანებასავით.

794. რ ა ც ა თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს. ბატონ-ყმობის რიგით მოახსენებს: რაც თქვენი საკადრისი არ იყოს, სამადლოს საქმეზედ დახარჯეთო.

795. ა მ ა ს ი ქ ი თ. კიდევ თავის სულს ახვეწებს: მკვდარს ხომ აღარა გარდამეხდევის რაო, სული შემებრალეთო.

796. გ ვ ე დ რ ე ბ. ნ ა კ ი ნამეტნავს ჰქვიან; ჰ მ უ ნ ე ა მწუხარება არის.

797. გასრულდა. სუფევა დიდს მეფობას ჰქვიან: კრძალვა მორიდება არის.

799. ილოცავს. ამას ისწავლება: კაცს რაც საქმე საქნელი ჰქონდეს, პირველად ღმერთი უნდა ახსენოს, მერმე საქმეს ხელი მიჰყოს.

800. ღმერთო, ღმერთო. ამას ახლა თვითან რუსთველი ამბობს: ღმერთო ყოვლის მფლობელო, გეხვეწები, შენ რომ ზეციერი მიჯნურობა დაბადე, შენ რომ იმის წესს აწესებ, მე ამ სოფლიოს ზღაპრობამ საუკეთესოს მზეს — სასუფეველს — მამაშორვაო. და ახლა ამას ეხვეწება: ამ ზღაპრობის თქმით იმ სასუფეველის სიყვარულს ნუ აღმოფხვრიო.

801. ღმერთო, ღმერთო. ამასაც ლოცვად ევედრება, რომე ყოვლს საქმეზედ კაცი ღმერთს უნდა ეხვეწებოდეს.

802. რა ილოცა. ესეც მართლა დაუწერია: თავის ბატონის ვერ მკვრეტი ყმა ვერას გაიხარებს.

803. აწ ამბავი. ახლა კიდევ ამის წასვლის ამბებს მოჰყვა.

804. რა ვეზირი. კაის ყმას რომ უბრალოდ გაუწყრეს, მერმე ბოდიშის მოთხოვნას ისწავლება.

805. თუ. რჩევისა და ბატონის მოსახსენებელს სიტყვებს ისწავლება.

806. კვლავ მოახსენა. ლევი თორმეტის ტომის ისრაილის ნათესავისაგან იყო; გელევი დაგთმო არის.

807. რა გამოვიდა: ეს მოუყვანია, — კაცმა რომე ერთხელ საქმე დააშაოს, უნდა კულავ აღარა ქნას.

808. რა ვეზირი. გამთავნება გამრავლება არის.

809. თავ-დადრეკით. ფლიდი თალბიზია.

811. რა მეფემან. ამას ისწავლება: თავის გაზდილი ყმა ასე უნდა უყვარდესო. და ტირილის რიგსაც ისწავლება.

813. ოდეს გნახავ. მკვერი ბევრის რიგით კაცი რომ კარგ-მოლაპარაკე იყოს, ის არის.

815. ზარი გაისმა. ზარი საზარელს ჰქვიან.

817. ყოვლნი ტიროდეს. დადუმება დაჩუმება არის.

819. რა ანდერძი. დავრდომილი სიკეთისაგან დაცემული.

820. მთვარე მზესა. მთვარე მზის დაშორებით რომ შეიქნება, მაშინ განათლდება; თხუთმეტის დღისა რომე იქნება, აქეთ პირს მთვარე იქნება და იქით პირს — მზე და, დაპირდაპირებით რომ იქნება, შუქს მისცემს და განათლდება; შეშლა რომ მოუა, ახლოს შეეყრება და აღარ გამოჩნდება; და დაწვად ის უთქვამს. ახლა ამის სახეზედ ესეც მოუყვანია: როგორც ვარდს უმზეობა გაახმობს, ისრე სიყვარული ქრისტესი უთქვამს და იმისი ვერ ჰკრეტა ძველს ადამის ცთომას გაგვიახლებს. ბევრჯელ მითქვამს: მეფეთ აღგილს თვითო სამღვთო უთქვამს. ისევ სამღვთო, თვარა აქ არაკი დაუწერია: ახლა სხვა ამბავი დავიწყო.

821. ა წ ყ ა და ვ ი წ ყ ე ბ. ვითამ ზხეს თავის საყვარელს ადარებდა და იმის ყურებით მის სიყვარულს მოითმენდა და სძლებდა.

822. რ ა მ ი ი ა ხ ლ (ი ს). ცოლ-ქმრობის სიყვარულს ისწავლება, უმი-სოდ ყოფის გაძნელებას ამბობს. დ ი ლ ა ჯ ი წყალს ჰქვიან.

823. თ ქ ე ა : ჩ ე მ ო. თუ სამღვთოდ ეს არ ეთქვას, საყვარელს დაძაბუნე-ბული მოყვარე როგორ ეჯობინებო! მაგრა ესეც სამღვთოთ უთქვამს: „თქვა: ჩემო, შენი შორს მყოფი“ — რომ დაუკრულავს, ვინც საყვარელს მოშორდეს, უნდა დაჩუმდეს, განა სულ ლაპარაკობდეს! მაგრამ ასრე უთქვამს: კრულ იყოს, ვინც შენ ცოდვით დაგშორდეს, ვინც დაჩუმდეს და სულ იმის ქებას არ ამ-ბობდეს! რადგან კერპ-მსახურებიდამ მოვიქეციოთ და გონება ქრისტეს დარჩა, ხამს, რომ კაცმან რამდენიც ცოდვა ქნას, გული ისრევე ქრისტეზედ უნდა ჰქონ-დეს და დაუბრუნდეს. ბევრი კაცი ცოდვას იქს, იტყვის: „მე რაღა მეშველები-სო?“. ახლა ეს იმაზედ უთქვამს: თვალი რომ ცოდვით მტირალი ჰქონდეს; კი-დევე ისრევე ქრისტეს შეხედვა უნდა სწადდეს და სასო არ უნდა წარიკვეთოს. რაც რამ ამ სოფელს კაცს შეუყვარდება, საყვარელი ის არის, და მო-ყვარე ქრისტე არის. ახლა ამბობს: რაგინდარა ქრისტეს საწყენი რომ ქნას კაცმა და შეუყვარდეს ცოდვით, ქრისტე დაძაბუნებულად ჰყვანდეს, (ის უთ-ქვამს): მაინც ისივ ქრისტე გიჯობსო და სჯობსო.

824. მ ე რ ა. ბევრჯელ მითქვამს: რუსთველს სადაც პირი მოუკრავს, სამ-ღვთო ყოფილა კარგი, თუ საკაცო, ორივე დაუწერია. ზეით სასო-წარუკვეთე-ლობა მოუყვანია, ახლა ისევე ზღაპარს მოჰყვა. ახლა ავთანდილს აჩივლებს ცო-ლის სიყვარულობას. ასრე რიგად უთქვამს რუსთველს, გამშინჯველო! კაცი გა-სინჯავს, თვარა გაუსინჯავს კაცს სულ ცოლ-ქმრობის საქმე ჰგონია!

825. ტ ი რ ს. ესეც ცოლ-ქმრობის სიყვარულისათვის უთქვამს და ვინც გაუშინჯავთ, კაის ლექსს ამბობს. ს ა თ ი გიშერს ჰქვიან.

826. ი ტ ყ ე ი ს. ერთარსებისაგან ერთი ხომ ქრისტე არის! და ქრისტეს ეხევეება და აქებს: ვისაც ციერნი ერთის წამის ყოფით გმორჩილებსო, მე ბედს ნუ მიქცეო და ჩემს ცოლს შემყარეო. აბა, ქრისტიანი ფილასოფოსი საბო-ზერად ქრისტეს როგორ შეახევეებს, ხელი მოუმართეო!

827. ვ ი ს ხ ა ტ ა დ. ღვთის ხატად წინასწარმეტყველნი და ფილასოფოს-ნი ქრისტეს იტყვიან. იმას ახევეებს ავთანდილს, რომე მიშველე რამეო. და თინათინისა და იმის მოშორებებს შესჩივის. მე ხომ ამას ზეით [სამღვთოდ დამიწერია]. ესეც სამღვთოდ მგონია, მაგრამე ყველას ამიტომ აღარ გამოვეკი-დე, რომ ეგება ზოგიერთს კაცს ავად ჩამოერთმია.

828. ა მ ა ს. ცოლის სიყვარულს ისწავლება. და ავთანდილს ვარსკვლავე-ბსავით ამსგავსებინებს.

829. მ თ ვ ა რ ე ს ა. ფილასოფოსობა გამოუჩენია, რომე მ თ ვ ა რ ე ს მო-წყალეთა და სნეულთ ეტლად იტყვიან, რომე სნეულიც ეს არის და შესაწყა-ლებელიც. ამას ეუბნება: შენ გამკურნეო.

830. ლამე კავლი მსხვილად რომ დაგრეხილი იყოს, იმას ჰქვიან; წყლის კავლი — რომ გარდასციმციმებდეს და გარდასდინდებოდეს და ჩაიგრინებოდეს, ის არის; ნაკადი ისრევე ნაკი არის.

931. მარტო. აქ კიდევ ავთანდილს აქებს და იმის გულს მარინს უდრის. მარინს მესისხლედ იტყვიან. და გულ-ჯავრიანად მოუყვანია.

832. აწვეერ. ბრქალი: ხელისა. და ფენის ნებიდაძ ფრჩხილებითურთ ბრქალი არის.

837. გული. აქ მოუყვანია სასწავლებლად ფიცის და პირის გაუტეხლობა.

840. ჯერთ მისი. დილაჯი მდინარე წყალსა ჰქვიან. ამებში ერთმანერთს ალაპარაკებს და ასე უცხოს კაცებს რომ ერთმანერთის გულისათვის ასრე დიდათ რჯის, გასინჯეთ, მეცნიერთ და ახლოს მყოფთ კაცთ ერთმანერთისათვის რა გარჯა მართებსო! და თავის ფოლასოფოსობასაც აჩენს.

844. ესე არაკი. ესეები სულ სწავლება არის.

847. ბატონი ჩემი. ეს ნურვის უცხოდ გიჩნსთ, მეფე რომ ღმერთად ცხოვლად უთქვამს, განა მართლა ღმერთად უთქვამს! მაგრამე ქვეყნად ფილასოფოსთ მეფენი ცხოვლად და ღმერთადაც, დაუწერია, — რაგინდარა ხორციელზედ შეუძლია.

853. კვლავ იტყვის. რაც ამას დაუწერია, თუ კანის გზით ისწავლით, ერთს ოსტატად გეყოფათ.

857. რა შეხედნა. გრიგალი ერთი ქარი არის, რასაც მოხვდება, დამსხვრევს.

859. ერთკენ უც. ფიცხელი გინ მბრძოლის ძალოვანება, გინდა ძნელოვნად მაგარი.

860. თვალთაახმადცა. ნობანი ზეით დაგვიწერია.

861. ხელითა ცრემლსა. დაფახვაც ზეით სწერია.

862. ისე ყველაი. მართლა ფიცავს: ზეითაც დამიწერია: იმათთანა არა შობილა იაო. დიად ხშირად ხდის ამ თავის წიგნს ზღაპრად!

865. თუ ბრძენი. ზოგიერთი რომ ავათ თარგმნით, რად დაუწერია, ეს დანსწავლოთ, ის არა სჯობს მრუდათ თარგმნას!

870. ისმინე ჩემი. თნევა სათნოობა არის.

874. მართ გარ (დაწყვეტით). სირა რიგსაც ჰქვიან და ოქრო-მქედლის პირით საბერველს ლულასაც, — ორივე კარგად ითქმის.

884. რა შეატ (ყო). მუფარახი იავუნდის მაჯუნია; დასტაქარი ჩარაა.

888. სამხრე. ასაკი კანის დროთ რომ კაცი მოსულიყოს, ის არის.

891. დამორჩილდა. ყველასი ასე მგონია: რადგან უღვთოსა და უსწავლს და მიჯნურობით ასე გარეტებულს სწავლამა და ტკბილმა საუბარმა ასე [უყო და] მოაქცია, ნათლისღების შვილს თუ ასწავლი და შეაგონებ, — სიტ-

კობებით, და მის ადგილს რისხვით, — როგორ არ მოიქცევა! ამაზე უთქვამს და ნახეთ, თუ სასოფლოთ არის! იმათი რატომ უთქვამს: „ვერა საქებარი ქება ვერ მიგია რაო“, რომე საქებარი არა იყენენ რაო! და ბოლო ის ერთი სტრიქონი წინათქმულისათვის უთქვამს.

905. ს დ ე ვ ს მ ი ჯ ნ უ რ ს ა. სამღვთოზედ უთქვამს: ვინც სასუფეველის მოქნური შეიქნება, საწუთრო უნდა დაინაღლოს. ბოლოს სასუფეველს იშოვნის, ვინც ამ ზოფელს გაირჯება და ზრუნვისაგან გამოვა. სასუფეველის მიჯნურობა მართლა უთქვამს: სიკვდილზე მიახლოებულიც არის, დიად საჭიროც: გასწავლულს, მართალია, გააშმაგებს: ამ სოფლისათვის ტანთ არ ინდომებს, ფეხთ სამოსსა და ქამას. როგორც პავლე მოციქული ბძანებს! „სიბრძნენი ამის სოფლისანი უმეტრება წინაშე ღეთისა“! თუ ამ სოფელს სიბრძნე უმეტრება ღეთის წინაშე, მაშ იმ სოფლიოს სიბრძნე ამ სოფლისათვისაც უმეტრება არის! „უსწავლელს ასრე გაასწავლებს“ — მრავალნი უცოდინარნი ღეთის ცნობით ბრძენნი და ფილასოფონნი შეიქნენ.

941. ა მ ო ა რ ო მ ე. მართალია, კაცს რომე ჭაერი ჰქონდეს, ამისი თქმა დიდი ლხინი არის, მაგრამე, თუ მტერმან შეუტყო, გულში რა უძეს, ის კი არ მოუხდება.

921. ნ ე ტ ა რ მ ა მ ა ც ი. ესეები სულ ამ ზღაპრით, რაც კარგებია, კაცის სასწავლოდ მოუყვანია.

923. მ ა ნ მ ი ბ რ ძ ა ნ ა. მ ა ხ მ უ რ ი ს ხ ვ ა ე ნ ა არის, ჩვენი არ არის.

947. მ ი მ ა ვ ა ლ ი ც ა ს ა. აქ შეიდი ცდომილნი ვარსკვლავნი მოუყვანია და თავის ცოდნა და სიბრძნე გამოუჩენია. ამ ვარსკვლავებს თვითოსა და თვითოს სხვადასხვა ბუნება-უფლება აქვსთ. ამაების ამბავი გარჩევით ჩვენ სიგარძისათვის არ დავსწერეთ. და ვისაც შეტყობა გინდოდესთ, საეტლო და სავარსკვლავთრიცხო ნახეთ და იქ შეიტყობთ. და ამაების მოყვანაც უთქვამს, ვიცოდით.

1002. დ ა ს ხ დ ე ს. შ ე ი ქ ნ ა. მ ა ხ ა ლ ი ზ უ რ ჯ ი ნ ი არის.

1006. მ ა რ თ ა ლ ა რ ს. ამას ზეით კაცის გაწყობისა და მუსაიბობისათვის ისაწვლება. და ახლა მგზავრობის რიგს მოჰყვა.

1021. გ ა რ დ ა ხ დ ა. აქ გასიხვეთ: რუსთველი ცოლ-ქრმობისათვის ამგვარს გაჭრასა და საქციელებს უსჯულოთ აბრალებს!

1022. ჩ ე ვ ე ნ ა ქ ა. ლ ა რ ი ბ ი თ ა თ რ უ ლ ა დ უ ტ ხ ო ს ჰ ქ ე ი ა ნ.

1027. ს ი ა მ ო ვ ნ ი ს ა. ბ ა დ რ ა გ ა — ვ ა ჯ ა რ თ რ ო მ ე მ ხ ნ ე კ ა ც ი უ ძ ლ ო დ ე ს და იმათი სისხლი იმან იკისროს, ის არის.

1030. თ ქ ე ვ ე ნ, ვ ა ჭ ა რ ნ ი. ჯ ა ბ ა ნ ო უ ლ ო ნ ო ს ჰ ქ ე ი ა ნ.

1036. კ ა ც ო, ძ ა ლ ს ა. რუსთველს აქ გაუსიხვეთ, საღვთო უსწავლებია რამე, თუ არა!

1037. მუნ ავთანდილ. ხოტბა ქება არის.
1048. უამამდი ჩემსას. ფუბაჩოზა თათრული ჯრის.
1066. ფატმან. ამას რომე სამეძაოდ სთარგმნიდეთ, რუსთველს მეძა-ვისა როგორც ქება დაუწერია, ამას ქვეით მოგახსენებს!
1067. ფატმან. სალუქი შემკობის მოყვარეს ჰქვიან.
1069. დილასა. სეფე დიდებულს ჰქვიან.
1071. სჯობს. ლიზლოზა სიტყვის შერჩევაა ხუმრობასავით.
1076. შენ. ტრფიალი ზეით სწერია.
1079. ფატმან. ეს ამაზედ დაუწერია, რომე დასანახავია. ეს საბოზრად არ დაუწერია, საბოზარი ეს არის!
1081. ესე გვარი. თუ საბოზრად დაეწეროს ეს წიგნი, რატომ ზეით იმევარად ამბობს. და აქ ამას ასე ურიგოთ იხსენებს! მაგრამ არა! ეს ზეითი საბოზარი არ არის, ბოზობისა ეს არისო. ნახეთ, რას გზით დაუშლია ბოზობა! რომე ავთანდილს ნათხოვნი ჰყვანდა და იმასაც რას გზით უშლის! ვისაც ხელთა ჰყავს, იმისგან როგორ უფრო დასაშლელი და უქნელი არის! ნახეთ, ფატმანს როგორ აგინებს ბოზობისათვის და ავთანდილს როგორ შორ აქერი-ნებს! ახლა რომე დაიყოლია ამ საქმისათვის, — რადგან ასე დიდ სირცხვილში ვაბივარ. გაჭირებისათვის არც სირცხვილისა ანაღვლა, არც ცოდვასლა დარიდა.
1082. ისი დიაცი. გასინჯეთ, იმის ქნას როგორ გაჭირებისათვის ამბობს!
1089. ერთგან. დარაკა ფარსა ჰქვიან. ნახეთ, განა ერთს კაცს შეაყვარა? მეორესაც შეაყვარა, რომე კახათ გახადა! თვარა მართალი როდის იკადრებდა!
1091. გამკიცხე. ესევე თავის მოყვარე როგორ მოეპყრა, ეს გასინჯეთ!
1095. დიაციმან. დიაცი დედაკაცია.
1096. ესე გვარი. მეზოზრისა დედაკაცის გინებისათვის უთქვამს ეს ლექსი. და სასწავლოც არის: ენა-მეტი არ უნდა იყოს კაცი.
1098. თვარა. აქ გასინჯეთ: სამღვთო წერილისათვის უბნობს. რამდენი ავი საქმე მოაქვს ბოზობას, იმათვე ამბობიანებს.
1099. რა ესე. აქაც აჩენს, რომე არ ყოფილანო.
1134. მოვიყვანე. ხალვა თავის წინ რომ კაცო იყოს, იმას ჰქვიან.
1146. ვთქვითუ. ავკაცობის საქმით ამბობდეს, ამდენს ხანს რომ ამდენ ალაგს ამისთანა ლამაზი ქალი არონინა, რატომ არა დააშვევინა რა? ლმო-ბიერი მშვიდი, თუ წყნარი არის.
1155. უსენ. არიფი თათრული არის.
1156. რამეფემან. ფარჩი საღვინე არის.
1164. შეველ. იავარი აფორიქება არის; ამოფხრა მოგლექაა.

1166. თ ვ ა ლ თ ა. ა ჯ ი ლ ა ჩაღრსა ჰქვიან.
1170. ვ ი თ ა. მ ფ ა ხ ე ე ლ ი დახუჭვილია.
1179. უ ბ ძ ა ნ ა. ხ ა დ უ მ ი თათრული არის, საქურისია.
1182. ხ ა დ უ მ ნ ი. ქალისათვის გაქირვებაში ამისთანა რჩევა უთქმევინებია. ნახეთ, კაცმა რა უნდა ქნას!
1186. მ ო ნ ა თ ა. მექრთამობას აძაგებსო.
1187. რ ა ო ქ რ ო. ეს დიად უსამღვთოდ დაუწერია, — მართალს მოგახსენებ!
1194. მ ი ს მ თ ვ ა რ (ი ს ა). რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საბოზრად დაგიწამებიათ, იმას საბოზრად კი არ დაუწერია: ბოზებიცა და მისი მღვევარცი ნამეტნავად გაულანძლავს. დედაკაცის ბოზობა სახელღობით დაუწერია და კაცისა უგულობაც ისიც არის.
1201. ა ვ თ ა ნ დ ი ლ. თეითო-ოროლა, — სადაც მოხდომია; ადგილს სიტყვაზე სამღვთო ყველგან ჩაურთავს. თუ ეს სამღვთოთ არ ეთქვას, მაშ რომელს სამღვთოს წიგნში სწერია: „მოყვარე მოყვარეს ნუ მიენდობაო?“ მაგრამე ეს იმ საქმის იგავად მოუყვანია და წიგნშიაც ესე სწერია. „მოყვარე მტერი მოყვარისა“: ქრისტე მოყვარე არის და ეშმაკი — იმისი მტერი, კაცისათვის ყოვლის მტრისაგან უფრო მტერი არის. ვინც ჰქვიანია და მეცნიერია, ეშმაკის საქმეს ვინა იქს, და ან ვინ მიენდობა? ეს იმისი იგავია, ისომ ეშმაკური საქმე ჩამოგვარდნოდ, იმისგან ნულარ იშიშვიო.
1203. ვ ა ი ს ა წ უ თ რ ო. ესეც შესავლად მოუყვანია, რომე სოფლის ნივთს არ უნდა კაცი შეემსკვალოს და სოფლისათვის უძრახავს: ეს სოფელი მოკლე და უხანო არის.
1209. მ ა თ ს ხ ვ ა (თ ა). ქ ვ რ ი მ ა ფეტია, ლომის თავსავით არის, მომცროა.
1213. რ ო შ ა ქ ბ რ ძ ა ნ ა. ნახეთ, ტირილი რას გზით დაუშლია, ვითამ რომაქ მათი ამისთანა სპასალარი იყო და ტირილი სძულდა. ოქროპირის სწავლაშიაც არად მოსაწონია.
1221. ა რ ც ა რ ა. ქ უ შ ი მ რუღათ მწყრალსა ჰქვიან.
1240. გ უ ლ ი თ ა ღ მ ე რ თ ს ა. ი ჩ ქ ი თ ი ანაზღად არის.
1243. ა ვ თ ა ნ დ ი ლ. აქაც გასინჯეთ, როგორ სასიამოვნოდ დაუწერია ბოზობის საქმე!
1260. ფ ა ტ მ ა ნ წ ე რ ს. უ ე თ ხ ზ უ ლ ი ერთმანერთში შერეული.
1300. ესე წ ი გ ნ ი. აქ თავის მღვინობა გამოუჩენია. რადგან საცოლქრმო მისაწერი წიგნი ასე სცოდნია, ნახე, სხვა წიგნები როგორ ეცოდინებოდა!
1314. ესე უ ს ტ ა რ ი. გაატვიას ჰქვიან.
1317. მ ო წ უ რ ვ ი ლ ი ყ ო. ს ა რ ო ს ტ ა ნ ი კირჩხიბსა ჰქვიან.
1330. წ ი გ ნ ი. კ ა ე ნ და სალა ორნივ ავნი კაცნი არიან. ეს ავის

კაცებისათვის უნდა შეედარებინა. კარგისათვის არა! მაგრამე შორ ჩანს, სააოდ არ უთქვანს.

1331. ავთანდილუჭვი (რეტს). ნიშატი არ ვიცოდო.

1334. მე მოვჰკალ. კაცმან რომე. კაცს გასახარელი თუ საწყენი ამბავი ანაზღეულად უთხრას, ესეც უსწავლებია და არ დაუგდია: არ ვარგაო. თვარა ავთანდილ რა ავრე გაუსინჯავი კაცი იყო, რომე, თუ არ იყო, არ სცოდნოდა! მაგრამე არც ეს დაუგდია.

1345. ქვაბისა კარსა. ქარმაგი. თეთრზედ შავით დაწინწყლული არის. ან იმრიგი ტანსაცმელი ეცვა ავთანდილს, ან ცხენს იჯდა იმრიგს.

1359. კილობანი გახს (ნეს). ლუსკუმე კილობანსავით აშენებულს ჰქვიან.

1367. დაიწყეს პყრობა. ფანოსი ბერძნული არის, სინათლეს ჰქვიან, გასანათებელი რამ არის და ქართულად ფანრად იცნობის. კვი ხუმრობაც სიკეთით მოუყვანია.

1381. ამა ფრიდონის. გუშაგი ციხის დარაჯას ჰქვიან.

1383. ფრიდონ თქვა. დახშვა დაგდება.

1384. ჩემსა სიმ (ცროსა). მუშაითი საბელზე გამვლელს მოთამაშეს ჰქვიან.

1386. აბჯრითა გავლა. კისკასი სწრაფსა ჰქვიან.

1394. მაგათათბირსა. აქ რჩევას ისწავლება: კაცი ყოველს საქმეზე სამჯობინარის რჩევითა და გასინჯვით უნდა იყოს.

1398. კვლავ ერთმან (ერთსა). ჩაბალახი ჭაქვის ქუდსა ჰქვიან.

1424. შორს. [შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა] — ბროლს მთვარესავით ბაკმი ევლოს.

1427. ზღვათა. პერპერა — რაც რამ მოსაკაზმავს გარდა სხვა კიდევ რამ კარგი მოუმატოს.

1433. ტარიელ: ესეები აქ ამისთვის მოუყვანია, რომე კაცმან კარკაცობა და კაცის ვალდებულობა კარგად უნდა დაუმადლოს და გარდაისხადოს.

1443. ასმათ. ეს ბატონ-ყმობის სიყვარულისათვის მოუყვანია და ისწავლება.

1445. მოვიდეს და. ამას ამბობს: ვინც ბატონისათვის თავს მოიკლავს, მართებული საქნელი საქმე არისო, და ცხონებაცა აქვს; როგორც პავლე ბძანებს: „ვინც მეფეთ ბძანებას ადგება, ღვთის ბძანებასაც ადგებაო“¹.

1446. თუცა. ბორიო სადაროს ნისლს ჰქვიან.

1455. მოიღეს. ალქატი გლახაა, სომხებიც ამას ეძახიან.

¹ რომ., 13, 2.

1456. კვლავ. ცარღული ყელსაბამია.

1472. აწ მითხარ. თუ ტარიელ მეძავი ყოფილიყო, უნამუსო იქნებოდა და სხვის სათნოსათვის ამთონ ჭირგარდახდილი ექრმობოდა, მაგრამ არა! რუსთველს ცოლ-ქმრობის სიყვარულზე უთქვამს, არა თუ მეძაობაზედ. და აქ ესეც უსწავლებია ჩვენთვის: ნამუსისათვის სასიამოვნო რაგინდ უნდოდეს, დათმობა.

1474. ჩემი. ნახეთ ხუმრობაც როგორ კარგის გზით ზნეობაში მოუყვანია!

1479. რა გამ [ისრულდენ]. თნება საძულელი არ არის, მაგრამე უგვანო და თნება ურიგოა.

1473. უამბო. თვითანვე ისწავლება: ბატონის მორიდება ასე უნდაო.

1475. რასაცა ლამი. ბატონის ღალატობას და მუხანათობას, გასინჯეთ, როგორ შლის! და ზოგნი, რაც კარგნი დაუწერია, ამას კი არ უგდებთ ყურსა და, რაც გინდათ, ისე თარგმნით.

1482. ამსაქმესა. აქ დიონისე არიოპაგელს მოწმობს. დიონისე იტყვის: „ღმერთს ყველა კეთილად დაუბადებიაო. მაგრამ თუ კაცი აეს იქს, იმისივ ბრალიაო“. შესავლათაცა უთქვამს და თავისი სიბრძნეც გამოუჩენია: ეს წიგნიც მიკითხავსო.

1498. ტაბლაკსა. ტაბლაკი მცირე ნალარაა.

1559. მათდავე სახედ რომ დაუწერია, ვარსკვლავთათვის უმზგავსებია.

[1712]

რუსთაველის შესახებ²

(ნ ა წ ვ ე ბ ი)

ყამსა დავითის მეფის ძისა გიორგისასა, ქართველთ მეფისასა, წარმოავლინა ხონთქარმა სულიემან ელჩი და მოსწერა, ვითარმედ არს იერუსალი[მი] ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდროცა არს თქვენი, პირველისა ვახტანგ გორგასლანის დეჰერის გამო. ვინაცა ფრიად სთნდა მეფესა ესე და შემოიკრიბნა ლაშქარი და ათაბაგი ყვარყვარე და წარვიდა იერუსალიმს და აღიღო იერუსალიმი და დაიპყვიდრეს¹. და განწმიდეს ეკლესია და საფლავი უფლისა და გოლგოთა და მონასტერნი, და ეპყრათ ორმოცდარვა წელი ქართველთა კვალად.

ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვევით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეჭურჭლეთ უხუცეს[ს]. თითონაც შიგ ხატია მოხუცებულნი...

¹ ტექსტის გამომცემელ ელ. მეტრეველის შენიშვნით: — კავებში ჩაწერილი ტექსტი ქვემო კიდნება მიწერილი ნაცვლად აეტორის მიერ ტექსტში გადაშლილი ადგილისა. ტექსტში კი თავდაპირველად ეწერა: „ხოლო ოდეს სულთან სელიმ მისრა-ევგიპტე აღიღო, თან-ახლდაო, იტყვიან, ქართველი ბატონი გიორგი, და სულთანი მადლობასა უბრძანებდა ქართველთა და ეტყოდა: რა ნებავსთ ჩემგან? მაშინ ქართველი ბატონი მოახსენებდა, ვითარმედ: წყალობა გვიყავ სამკვიდროსა ჩემისა იერუსალიმისა. მაშინ სულთანმან კითხა, ვითარმედ ძველისა ანუ ახლისა მთხოვნელი ხარ? ძველად ტაძარი სოლომონისი ითქმოდა. მაშინ მიუგეს ქართველთა, ვითარმედ: ახალი გვიბოძეთ. და მოსცუა ახლად იერუსალიმი“.

გადაშლილი ტექსტის გასწვრივ, გიორგი ბატონთან დაკავშირებით, კიდნეზე მიწერილია: „ხოგი თქვეს: დიდი მოურავი გიორგი იყოვო“. ეს მინაწერიც გადაშლილია.

² გასწვრივ კიდნეზე ნუსხურით მიწერილია: „მოქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა: ქართველთა სიწმინდისა წილ ბიღწება და განრყენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი. აღსწერა ქალისა ვისთვისმე: თვალი მელსნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა, და ამისა გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმრთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წაპალთა იტხებენ და მიცვალბულთა თმათა მობენ საბრქედ სელთა“ (გვ. 79—80).

[1756].

იოანე ბაბრაბიონი

მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის³

(ნ ა წ ყ ე ტ ი)

სარგის თმოგველისათვის

ესეცა იყო მწერალი თამარ მეფისა, მსგავსი მეცნიერებით შოთასი. და პირველი რიტორი, მშვენიერი პოეტიკოსი, რომელიცა ქებულ არს თვით შოთასაგანაც მოშიირეთა შორის. ამან ქმნა წიგნი ისტორია, „ვისრამიანად“ წოდებული, და ამანვე აქო დილარგეთ მეცნიერებითა და პოეტიკოსობითა სხვათა ზედა უმეტეს. და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

დილარგეთისთვის

დილარგეთ იყო კაცი მეცნიერი, ქართულსა ზედა მწერლობითა გამოცდილი, რომელსა სხვათა ზედა ამისგან თქმულთა შაირთა უმჯობეს სდებენ. ამან ქმნა ისტორია „დილარიანი“, საამოდ სასძენელი ყოველთაგან. და ამანაც დაასრულა ცხოვრება თვისი.

იოანე შავთელისათვის

მამა იოანე იყო ადგილით შავთელი საქართველოსა, კაცი კეთილშობილი და მწერალი თამარ მეფისა. ესე იყო ფილოსოფოს-ლეთისმეტყველი. ამან შეთხზნა შაირნი წერილნი, „დილარიანად“ წოდებული ისტორია, და თამარ მეფისა შესხმანიცა იამბიკოდ. რომელსა შოთა. მესტიხე დიდი ქართველთა შორის, უმჯობესად რაცხდა თვის ზედა ამა შავთელის მიერ ნათქვამთა შაირთა, და აქებს თვისსა ქმნილსა ისტორიასა შინა „ეფთხისტყაოსნად“ წოდებულსა“. გარდა ქართველთა დაუქარგავთ ამ შავთელისა მიერ თქმულნი წერილნი და არლასად სჩანან. ხოლო უკანასკნელი ეს იოანე შავთელი იქმნა მონოზონ და კეთილსა ღვაწლითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

ჩაბრუხისძისათვის

ჩაბრუხ ჩაბრუხისძე, კაცი მეცნიერი და ცერემონიებისტერი თამარ მეფისა, მეცნიერებით სრული და რიტორ-მკვერ-მოუბარი. ამან სხვადასხვაგვარად დათხზნა შაირნი, სასმენად საამონი, და ესე იყო შესწზმათა თამარ მეფისათა მომხსენებელი და სხვათა ესევეთართა წიგნებთა გამკეთებელი, რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთ გვირგვინად, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

შოთა რუსთაველისათვის

შოთა რუსთაველი, მწერალთა უხუცესი დროსა თამარ მეფისასა, იყო ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი, საღმრთოთა და საეროთა წერილთა შინა გამოცდილი, ენათა სპარსულისა და სომხურისა მცოდნე, უცხო ვარსკლავთმრიცხველი და ბუნების ისტორიათა მეცნავე, პირველი მწერალი და დამთხველი მაღალსა ენათა ზედა წერილთა, მეშაირობასა და პიიტეკასა შინა ყოველთა ზედა პირველი და უაღმატებულესი. ამან ქმნა წიგნი, „ვეფხისტყაოსნად“ წოდებულნი შაირად, რომელ ჯერეთ არავის ქართველთაგანსა უმჯობეს მისა უთქვამსთ ვისმე შაირნი. და ესრეთ სიბრძნისმოყვარებასა შინა გარდავლნო წელნი თვისნი.

რამე რუსთაველისათვის⁴

შვიდნი ქალაქნი ცდილობდნენ პატივისათვის დაბადებისა დიდისა ღომე-
რისასა, გარნა ბერძენთ პოეტი უხვად ნიჭებულ არს დიდებითა შემდგომად სრ-
კედლისა, შეურაცხყოფისა და სიგლახისათვის, რომელიცა მოუთმენიეს მას-
დროსა სიცოცხლისასა. განვლეს ათასთა წელთა, განვილიან ათასნი საუკუ-
ნენი და ათასნი განათლებულნი ერნი, აძლევენ და მისცემენ სათანადოსა ხარ-
კსა ნიჭსა მისსა. საბერძნეთი, მაწარმოებელი ღომერისა, ფრიად უელვარეს
არს რომისა, რომელმანცა დაიმორჩილა მსოფლიო. ღომერი ჩვენი არავინ
უწყის. და ჩვენ არა თუ ოდენ ვამპარტავენობთ მით, არამედ არ ვუწყით არსე-
ბობისათვის მისისა. არა დაამტკიცებსა ესე, რომელ აქამომდე ჩვენ ვერ მიე-
წვდით ქეშმარიტსა ფასსა ტალანტთასა! და რომელ ვფლობდით რა გასაღებითა
ქველისა საუნჯისაგან, ჩუენ აქამომდე არა გვაქენდა გაბედვა სარგებლობისა.
შეუძლებელარს, რათა არ აღვიაროთ, რომელ თვით ჩვენც ვართ მიზეზი ჩვე-
ნისა არა მოძრაობისა გზასა ზედა აღმკობილისასა ქმნილებათა შინა გონები-
სათა. მუშთა აქამომდე ვერ ჰპოეს სტუმართშეწყნარება, ნამდვილ ჩვენ არა:
ყოველნი ვართ ესრეთ თანასწორნი ჩვენისა საკუთრებისადმი — ენისადმი.

არადიდი საზოგადოება ქართველთა, მყუარებელთა ერის დიდებისა და
პოეზიისათა, აღტაცებით კითხულობს რუსთაველსა, გარნა საუბედუროდ აღ-
ტაცებასა თვისსა გარდასცემენ, რაოდენცა უშორეს ესოდენ უმცირეს გამგო-
ნესა შთამომავლობასა მისსა.

გმწუხარობ, რომელ მე პირველსა მსურს თქმად მისთვის, ვინაითგან არა-
ვის აქამომდე მოუცია ჩვენთვის სრულიადი შემეცნებაი ცხოვრებისათვის დი-
დისა ამის კაცისა, რომელსაცა უდიდებიეს მამული თვისი და ბრძენი მეფე-
მისი, ვრცელითა გონებითა პოეტიკებრითა ტალანტითა და მოგვებრითა კალ-
მითა თვისითა.

იგი დაიბადა 1229-სა წელსა, მშობელთაგან საშუაილოსა მდგომარეობასა-
თა, ხოლო 1251 წლიდან, ვითარცა იხილვების ისტორიისაგან თამარისა, იწყო-
მან მსახურება მამულისა. მშობელთა შენიშნეს მის შორის მცირის წლიდგან

ვითარზე განუსვენებლობაი სულისა, ვითარზე შინაგანი მწყურვალეობაი ცნობისადმი ყოვლისა, რაიცალა მსახურებდა საკუთარსა ყურადღებასა და ამას უწოდებდნენ მოხალისეობად, უზნობასა მისსა მიაწერდნენ სიჩვილესა, ზოლი. ზელოვნებასა, ვითართაცა იგი იქცეოდა ნივთთა თანა თამაშობითა სახლის გამგეობითთა სათანადოობათადმდე უწოდებდნენ სიციქიტელ. შესახედავმან შორმკვრეტელისა დიდ შემპლბლობისამან, რომლისაცა სახელი, სამწუხაროდ, მოშობილარს. მძიმითა ხელითა დროისათა, მიხლოვა ჰაბუკი ესე მეფის კარისადმი თამარ, მიზეზმან განვითარებისა მხარისა თვისისა, პირველმან შთანერგა თესლნი ერის განათლებისანი. მან წარგზავნა ჰაბუკი კაცი, აზნაურის გვარისაგანნი სასწავლებლად ათინასა შინა და მათ შორის იყო რუსთაველიცა. პირველთათვის ჩვენ არარაი ვუწყით, თვით გარდაცემაცა მათთვის მდუმარებს. იხილავების, რომელ თვით განგებულებასა ჰნებავდა დაფარვად ჩვენგან გრძელ ჟამად მზეთა განათვისებისათა სიბნელესა შინა უხილაობისასა, ზოლო რუსთაველი აღიზარდა ტაძარსა შინა სიბრძნისასა, რომელიცა გამოიზარდა სულითა დიდთა სახეთა კლასიკებრისა საბერძნეთისათა, და საკუთრად ლოპერის მიერ განხურვებულმან, შესწირა თავი თავისი აღმოკობილსა პოეზიასა და განმდღრებულთა გონებითა ცნობათა მიერ უკუნშოიქცა ტახტის ფერბთ ქვეშისანნი კეთილ მოქმედისა თვისისა, საყვარელსა მამულსა შინა თვისს, რომელიცა მაშინ მზა იყო შთაყარდნად უღელსა ქვეშე უცხო თესლთა სამეზობლოთა ერთასა. რუსთაველი აქა არა იყო უქმ მკვრეტელედა, მან მიიღო ბრძანებლობა რომელსამე მხედრობასა ზედა, და ჰფარავდა მამულსა სიმხნითა მამაცობისათა. განწირულიქმნა რა დიდსა საქმესა შინა მამულის განრიდებისასა. შერაცხა რა ამაოდ ძალსნევეანი, და არა იხილა განსამართლებულად სასოებანი თვისნი, გუნდმან მოკლე სულობითად უმეტეს მაცთურთა, ვიდრეღა საკუთრითა გრძნობითა მოძრავთა მოქალაქეთა, დასდვა საჭურველი და მზად იყო გამოსაცვლელად მახვილისა დაფარვისასა საგონებელსა თავისუფლებასა და ჭაქვთა ზედა სხუა მორწმუნეთათა. რუსთაველი გამოცხადდა მუნ თვისსა სტადიონსა ზედა: სახელითა მამულისათა ამხილა სიმხდალე და ხმითა წინასწარმეტყველისათა აღრივა აღშფოთებული სული მზაკეარობისა. ძალმან მიდრეკილებისამან და სააზომან განხმობამან სიტყვისამან, რომელიცა გარდაპოციემოდა ბავეთაგან მისთა, ვითარცა უფსკრულისაგან სიბრძნისა პირისპირ გულისადმი, დაუყოვნებულად მიაქცია ვალისადმი აღმშფოთებულთა. საჭურველი აღებულარს, მტერი დამარცხდა და რუსთაველსაცა აქენდა ბედნიერებაი ხილვად თვისისა მამულისა გამოხსნილად უღლისაგან მალომეტისა, იგი მიემთხვია კურთხევასა ერისასა და კეთილ მიდრეკილებასა დედოფლისასა.

ნაყოფნი მყუდროებისა და ბედნიერებისანი მსწრაფლ შეიქმნენ საგრძნობელ. რუსთაველმან მისცა რა ვალი მამულსა, ამა უმცირეს გრძნობდნ თვით თავით თვისით თანამდებად ბრძნისა მის მმართველისადმიცა, თანასწორითავე იმედოვნებითა მან აღიღო კალამი, ვითარცა მახვილი, და დაამტკიცა, რომელ

ყოველთა განცხადებითა შინა, ყოველთა ელვარებითა ნიჭთა შინა, ყოველგან ერთი და იგივე არს. წარმოითხველსა „ვეფხისტყაოსნისასა“ არა ძალუძს, რათა არა განკვირდეს ვრცელსა ზედა გონებასა მისსა, მიმზიდველობითსა ნაყოფიერობასა ზედა გამოხატვისასა და სხუადასხუთა მონადირებულთა ცვალებათა ზედა სიტყვისათა. გამოხატვისათვის ყოველთა წვლილიადობათა სულისა მამაცობისა თვისისათა საჭირო იყვნენ ღრმა აზროვნება ფილოსოფოსისა და განმხილველობითი გამოცდილება ქვეყნიერისა კაცისა. რუსთაველი მისწუდა საიდუმლოსა „ილიადისასა“ და სხუადასხუა გეაროვნობისაგან კერძოთასა შექმნა მან იდეალი აღმოკობილისა ყოველადისა. განწმენდილი ზნეობა განათლებობის თვითეულსა სტიხსა შინა უკედავისა ქმნილებობისა მრისიანგან კერძოთასა შექმნა მან იდეალი აღმოკობილისა ყოველადისა განწმენდილისსა, ხოლო მხიარული თვისება და აღყავებული გამოხატვა მისცემენ ფრაზსა მისსა ცხოველობასა და მიმზიდველობასა.

შუა კაცობასა შინა რუსთაველი მიტაცებულიყო მედროეთაგან, ვითარცა მოქალაქე, გარნა დაშთების სიცოცხლე მისი შთამომავლობისათვის, ვითარცა ნიჭი, რომლისაცა მამული არს ყოველადი განათლებული სოფელი.

რაცალა შეეხების საკუთრად ენასა, რუსთაველმან სძლივა უჩვეველთა სიძნელეთა, ვითარცა რუსეთის ლომონოსოვმან, იგი თანამდებოყო, რათა მოეცა თვით სახენი, ხშირად შეადრგინა ლექსნი და შემოეტანა ცვალებანი, რომლისა დრომდეცა ენასა შინა მისსა არა საცნაურ იყვნენ, გარნა ძალუძსთს, რათა კმსახურონ წყაროდ წმინდათა კანონთა, ბუნებისაგან ენისა და ძალისაგან ნიჭისა წარმოებულთა.

სამწუხარ არს, რომელ შეცვლილი წელთა და გარემოებათა მიერ აწინდელი თქმაობა ჩვენი განაშორებს ჩვენგან უმეტეს და უმეტეს სიხადესა და სიწმინდესა აზრისასა რუსთაველის ენისასა.

ნუ უკვე ესე იქმნებისა ხმა მიზეზად ჩვენისა თავისმართლობისათვის და მისთვის, რათამცა მივსკეთ დავიწყებასა ჩვენი ბუნებითი პოეზია. აღმაზნი დაიფარვიან მქისეთა ნაჭუჭთა შინა და ენა რუსთაველისა უცილოდ არს პირველ მამა აწინდელისა ენისა. არ ვიცი, რაილა ვისურვოთ ჩვენ, ვითარცა წარმოებანი აფრიკის ცისანი ცხოველობენ, დაცულნი ქარიშხალთა და ავღართაგან, ეგრეთვე ჩვენცა შინაგან მინებისა ვიშვივით შინაგანითა განსვენებთა და კმაყოფილებითა; მშვიდსა სკიპტრასა ქვეშე შემძლებელისა ერთმთავრისასა. ჩვენ არ გვაშინებენ არცა გარეგანნი მტერნი, არცა შინაგანნი აღრეულებანი. სარწმუნოება და სჭულნი დაგვეფარვენ თვითეულსა ჩვენგანსა, ხოლო სიბრძნესა დიდისა მეფისასა უპყრიეს შემძლებელითა ხელითა ჭაჭვი ყოველადისა ბედნიერებისა. რაისათვის არ მივსკემთ აფრენასა სულიერთა ძალთა ჩვენთა; რაისათვის გონებასა, სიყვარულსა პოეზიისადმი და გემოსა აღმატებულისასა არა აქუსთ ჩვენ შორის თვისნი საკურთხეველნი, თვისნი სამსხვერპლონი, თვისნი მამული.

წარმოედგინე რა მოკლედ უმთავრესი შრომა და თვისება დიდისა ამის მწერლისა, არა ძალმიძს, რათა არა განუცხადო მემამულეთა ჩემთა სახელნი მათნი, რომელთაცა შრომანი ენისა ჩვენისა განმდიდრებისათვის, მოქმედებანი სარგებლობისათვის და თვისებამან კეთილისათვის მამულისა ღირს არიან პატივსა: ანტონი და იონა, რომელთაც თხზულებანი, სამწუხაროდ ჩვენდა, არიან ჭერეთ ხელნაწერნი, გარნა რიცხვთათვის ქმნილებათა მათთა და რაისაცა იპყრობენ დროისათვის მყოფობისა მათისა და სხუათა ქართველთა მწერალთა თვისთა გვექნებისა პატივი შემდგომსა დროსა გარემოებით აღწერად.

[რ ე დ ა ქ ე ი ს შ ე ნ ი შ ე ნ ა]

მუვლი ესე დაწერილარს როსიულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიცა ჭერეთ სდგას ზღრუბლსა ზედა სწავლისა და ქვეყნისასა, მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა და განვახალისე მე, რათა სთარგმნოს მუხლი ესე ბუნებითსა ენასაცა ზედა მისსა, რომელიცა გარემოვზლუდე გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოებისათა; შევერთავ მუხლსა ამას განხალისებისათვის მისისა და კმაყოფილებისათვის მემამულეთა. სასურველარს, რათა სხუანიცა შეუდგნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისა თვისისა, რომელთაცა შრომანი დაშთებინ უკვდავად შთამოებისათვის.

წერილებიდან მ. ბროსესადმი¹

მე ვ[ი]ხილე ჟურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილსა დიდისა მის და სახელოვნისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა რუსთაველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციულს ენაზედ. ვაჟა, ვაჟა!

მე ვპოვენ ჩვენს ენაზედ, დიდი ხანი არ არის, დიახ, საკვირველი ლექსები ორთა წარჩინებულთა გმირთა მესტიხეთასა — დიდებულისა დიდისა ბებიისა ჩვენისა და საუკუნოდ ღირსსახსოვარისა მეფისა და სრულიად ივერიისა თვითმპყრობელისა **მ-ჯ-ჯ-ტ-ი-ს-ჯ-1** მდივანმწიგნობართა, ერთი „აბდულმესია“ შავთელისა (ლექსი მას უქეს რომელსა), რომელიცა შემდგომად შემონაზონებისა იწოდა იოანედ, და მეოვე — ჩახრუხადისა. სახელოვანთა ამათ მელექსეთა სტიხნი ფრიად მოსწრაფებით მაძიებდენ, რათამცა გიჩვენენ თქვენ.

მერწმუნეთ, ყოველსა ეამსა სურვილი ჩემი ეს არის, რათა, რააცა საიშვიათო რ[ა]იმე ვპოვო ჩვენთა წერილთა შინა, წარმოგიგზავნოთ და ცნობა მათი მოგცეთ, რომლითაცა ისახელებიან წინაპარნი ჩვენნი სიბრძნის მოყვარენი და სიმხნით სახელოვანნი და ღირს სახსოვარნი გვამნი. [გვ. 12].

„...ვეფხისტყაოსანზე“ თქვენ მიერი შრომა მოგეწერათ და აღბეჭდვდა. მე თითონ ვეძებე ვახტანგ მეფის სტამბისა, თქვენთვის მინდოდა წარმომეგზავნა, მაგრამ აქ ჭერ ვერსადა ვპოვე, თუმცა ერთი ეკუმპლიარი მე მაქვს ჩემთვის, რომელსაც აქ ჩვენს სახლშიაც ხშირად კითხულობენ. დიდის სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაძველებული არის, რომ თითქმის უფრო მეტი ფურცლები დახეული და ზოგჯერ დაკარგული ფურცლები ხელით არის ჩაწერილი, და ვახტანგ მეფისაგან განმარტებაცა სრულიად არ არის, ფურცლები აკლია. კიდევაც ვეძებ, თუ ვიპოვნე, გამოგზავნი. მაგრამ სწორედ კი არ ვიცი, მეშოვება თუ არა.

მე ლექსების განმარტება ამისი ადრევე დავწერე, მაგრამ თეთრად არა მაქვს გადმოწერილი. დიდად კმაყოფილება იქნებოდა ჩვენის, ქართველებისა-

¹ თამარისად, ლედ.

თვის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდოს ერთს წიგნათ და კიდევ იყიდიან და კარგს ფასადაც გავიდოდა. და ეგების, ეცადნეთ კარგის ასოებით, კარგს ქალღმერთს მოამზადოთ და დაიბეჭდოს. მომწერეთ მე, თითო ექვშემლიარი მანდ როგორ დაქდება, რა ერთი ფასი წავა და მეც მოგწერ, როგორც გაიყიდება, მეაზიელის საზოგადოების ფულით რომ დაიბეჭდოს და ისევ საზოგადოებისათვის გაიყიდოს, სარგებლობა იქნება და თუ საკუთრად თავის ფულით ეინწე დაბეჭდს და არას წარაგებს, კიდევ მოიგებს მგონია. და თუ მოხდეს დაბეჭდ[ვ]ა, მხოლოდ ლექსების გასწორებისათვის, რომ ტყუილები არ ჩაიწეროს, ესეც შეიძლება მე მიჩვენოთ, ორგინალი ერთს თვეზედ მეტი არ დაუგვიანდება. ეს იმავე ორიგინალში გავასწორებ და ვახტანგ მეფის სტამბისას შევამოწმებ. თითო-ორიოლს ალაგს ვახტანგ მეფის სტამბაშიაც არის მესტამბისაგან შეცდომა (ესე იგი დაბეჭდვაში). ბევრს ალაგს კი არ არის, ცოტას ალაგს, იმასაც გავასწორებთ და სამს თვეზედ მისვლითა და მოსვლით მანდავ მლოგივით ორგინალი. ვახტანგ მეფისაგან განმარტებულსას ზედავ მოვაწერინებ და ისე დაბეჭდეთ, რომ ხალხში გამოვიდეს, კარგი რამ იყოს. როცა „ვეფხისტყაოსანი“, თუ დაბეჭდოთ ცალკე ერთს წიგნათ, მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ. ხუცურს ნუ ჩაატანთ ამისთვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს „ვეფხისტყაოსანსა“ და იმათში ხ უ ც უ რ ი ბ ე ვ რ მ ა ა რ ი ც ი ს . მ ა რ ტ ო მ ხ ე დ რ უ ლ ი წ ი გ ნ ი ი ც ი ა ნ . და თარგმანით ფრანციულად დაბეჭდვა, როგორც თქვენი სურვილი არის, რომ ფრანციის წერილთ მოყვარეთ წარიკითხონ და შეიტყონ რუსთაველის შრომა, დიახ, კარგათ გიფიქრიათ და დიდად მომწონს თქვენი განზრახვა და შრომა. ამას წინათა „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს ლექსი რომ გეკითხათ, ადრევე მოგართვი განმარტებული.

(1833 წ. 9 ოქტომბერი. იხ. იქვე, გვ. 26--27).

...წელსა 1712-სა ვახტანგ მეფეს რომ დაუბეჭდინებია „ვეფხისტყაოსანი“, იქედამ გამოიწერა ეს შემდგომი ბოლოს ლექსი. ამ ლექსში შეცდომა არა არის რა (იმ სახით გამოვწერე, როგორც იყო):

1. ამირან დარეჯანის ძე, მოსეს უქია ხონელსა,
2. აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
3. დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას უნდა დაუშრომელსა,
4. ტარიელ მისსა რუსთაველსა, მისთვის ცრემლს შეუშრობელსა.

1. პირველს ტაეჰში — ამირანს რომ ახსენებს დარეჯანის ძესა, მოსე ხონელმა დასწერა იმისი ზღაპარი. პროზათ არის დაწერილი ძველს ქართულს ენაზედა, დიახ, ლამაზათ თხზული. ამ წიგნში, რომელსაც „დარეჯანიანი“ ეწოდება, თოთხმეტი ზღაპარი არის. თითოს ზღაპარს თითო კარი ჰქვია.

ამირან დარეჯანის ძისა ძლიერი ჰაბუკობა და მრავალი სხვადასხვა ბრძოლები და შემთხვეულობა სწერია ამირანისაგან და სხვათა სახელოვანთა ჰაბუკობა.

ამირან ბაღდადის ქალაქისგან ყოფილა, იქაური სარდარი.

მოსე ხონელი შოთა რუსთაველის თანამოყაემ იყო. დიდებულისა და საუკუნოდ ღირსსახსოვარისა თამარ მეფისა, გიორგი მესამის ასულისა, სრულიად ივერიის თვითმპყრობელისა მდივანი იყო და წარჩინებული.

ხონი ქვემოს საქართველოში არის, იმერეთს მამულში. ხონს ძველს ჟამში ქალაქიც ყოფილა და მუნ არს მონასტერი-ეკლესია დიდი გუმბათიანი, რომელიცა იყო საეფესკოპოსო კათედრა იმერეთის ვაჟისა.

2. მეორეს ტაეპში — შავთელი რომ არის, შავთელს ერისკაცობაში თითონაც აბდულმესია ჰქმევია სახელად, ისიც მდივანი ყოფილა თამარ მეფისა და დიდი წარჩინებულთაგანი მისი. აბდულმესია შავთელმან ბოლოს ჟამს დაუტევა სოფელი, ბერად შედგა, მონაზონება შეიმოსა, იოანე უწოდეს სახელად. ქვემო საქართველოში, იმერეთს, გელათის მონასტერში შევიდა, მუნ დაეპყვირა ლოცვით, მარხვით და დიდს მოღვაწეობით იტყეოდა და მუნვე აღესრულა.

შავთელს დაუწერია ლექსად საკვირველის შეთხზვით მოთხრობა „აბდულმესიასი“ ვისივე და ასე იტყვიან ჩვენში მომთხრობელნი, რომ იმისთანა საქები ლექსები (ესე იგი სტრიხები), არაოდეს ქართულ ენაზედ არ დაწერილიყოს. და დღესაც ვინც ქართველთაგანმა საქართველოს ისტორია კარგად იციან და ქართულს ენაზედ მოლექსენი არიან, ასე ამბობენ: რუსთაველის ლექსებს შავთელის ლექსები სჯობნებიაო და თამარ მეფის დროსაც შავთელის სტიხები უმეტესად მოუწონებიათო. ამისთვის თვით რუსთაველიც, როგორათაც ამ სტიხში ემოწმება (აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა — ამ თქვენს გამოგზავნილს სტიხში უთქვამს უწერა და შეცდომა არის, უქეს უნდა. უქეს, ესე იგი მოუწონეს).

ჩვენ უბადრუტ ქართველებს ის საკვირველი სტიხები, შავთელისა „აბდულმესიას“ წიგნი, დაჰკარგვიათ. პაპას ჩემს, მეფეს ერეკლეს, მრავალი უძებნიებია, დიდი სურვილი ჰქონია იმისის ლექსებისა, მაგრამ ის წიგნი ვეღარ უპოვნიათ. სხვა ლექსები კი არს შავთელისაგან შეთხზული თამარ მეფის ქება და რომელნიმე სხვანი, დიახ, ურჩეულენსი.

ხოლო იყო იგი ადგილით სანესხეთით, შავშეთით. შავშეთი არის შავთა და არის ნაწილი ესე სამესხეთოსი (ესე იგი სამცხე-საათაბაგოსი), რომელიცა არს საქართველოს ნაწილი ზემო ქართლის მამული. შავშეთი არს საშუალ არსიანის მთისა (რომელსა ყალნუდალს უწოდებენ ოსმალის თურქები) და საშუალ ჭოროხისა. ერთ კერძო აქვს კლდე არტანუჯისა და ერთ კერძო მთა შავშეთისა არსიანის მთიდან ჩამოსული და ამათ საშუალ შავშეთი არს ფრიად ნაყოფიერი და კეთილი ადგილი და აქვს სიმრავლე დაბნებსა და სოფლებთა, სამცხე-საათაბაგო და სხვანი გარემონი მათნი, რომელ არს სრულიად სამესხეთო.

მესხია ანუ მესხეთი ოსმალებმა მძლავრობით წაართვეს საქართველოსა. მასუჯან ორას

წლამდის იქნება. და აწ რომელნიმე მამულნი მისნი რუსთა მოუხენეს, ვითარცა ახალციხე. ყაჯახთო, ასპინძა და სხვანი რომელნიმე ადგილნი. ხოლო რომელნიმე ოსმალეზსავე დარჩად სრულიად სამეხსეთოს მცხოვრებნი დღესაც ქართულის ენით ლაპარაკობენ. მრავალნი ჩინებულნი და ძვირფასად ნაშენნი ეკლესიანი სამღვდელმთავრონი, მონასტერნი და წჳიდანთ ადგილნი იყვნეს მუნ, ოსმალთაგან დაცალიერდეს და ეგრე ცალიერნი დამთეს შენებულეზანი. და რომელთამე მცირედთა ადგილთა კვალად დაშთეს ეკლესიანი სამღვდელთეზითურთ.

მესამეს ტაეპში ახსენებეს დილარ გეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა.

სარგის, ეგრეთვე თამარ მეფის მდივანი იყო, წარჩინებულთაგანი მისი და თანამედროვე იყო რუსთაველისა და შავთელისა. იმას დაუწერია ზღაპარი, რომელსაც რქმევია „დილარიანი“. პროზათ ყოფილა დაწერილი, მშვენიერად ენაშუგობით, აზიატიკურს გვარზედ. „დილარიანი“ ამისთვისა ეწოდება, რომელ დილარის ამბავს მოუთხრობს. ვითომ დილარ დიდი ვინმე ძლიერი და გოლიათი ყოფილა და მრავალთა სამეფოთა მპყრობელი ხელმწიფე, მრავალი რამ შემთხვეულებები გარდახედია და მრავალი ბრძოლა გარდახედია და დიდი სახელოვანი საქმენი უქმნია. ეს წიგნიც დაკარგულა, აღარსადა სჩანს.

სარგის თმოგველისაგან კვალად ერთი წიგნი არის გაკეთებული, სახელად „ვისრამიანი“ ეწოდება. ესეც პროზად არის დაწერილი, ენაშუგობით, აზიატიკურს გვარზედ. დიახ, კარგი რომანი არის. (ეს იყო ერთი მეფის ქალი და რამინ იყო მეფის შვილი ხორაშ შაისისა ში მოჰაბადის ძმისწული იყო რამინ. ვისსა თუმცა ში მოჰაბად ირთვედა ცოლთ, მაგრამ რადგანაც იგი ხნეირი კაცი იყო, იმ ქალმა რამინ შეიყვარა. ეს იმ შიშ იყინა და მრავალი კირი გარდახდთ ვისსა და რამინსა, და, დიახ, კარგი ზღაპარ არის, ასეთი, რომ ვინც მიჯნერი იმ წიგნს წაიკითხავს, დასწავს და დასდავავს, ესრეთს სიუვარულს გრძნობაში მოიყვანს). პართლად იტყვის რუსთაველი: „მას ენა დაუშრომელსა“. ამდენი უღაპარაქნია სიყვარულზედ, რომ უმეტესი და ქვეშაირიტი არის, რომ ენა დაუღალავი ყოფილა.

სადაურიც იგი იყო, მისი ადგილი თმოგვი, სამცხე-საათაბაგოსა, ესე იგა სამეხსეთოს მამულში არის, ახალციხისა და ასპინძის საშუალო ადგილი არის, ზობას ზევით ცუნქალრელის ზეგში, კლდეზედ არის თმოგვი დაშენებული და ის ცუნქალრელის წყალი, რომელიც თმოგვეს ჩამოუდის, მტკერის მდინარეს ეყრება. ძველად ქალაქი იყო თმოგვი და აწ დაბა არს დიდი. დილარგეთი არც ერთს ადგილს საქართველოში არსად არა ჰქვიან და არც არის.

დილარ იმ ხელმწიფის სახელი არის, რომლისაც ზღაპარი სარგის თმოგველმა დაწერა. ლექსში რომ მოიხსენებს: „დილარ გეთს სარგის თმოგველისა“, ეს მიცემითად ბრუნვილი სახელი რომელ არს „გეთს“ სარგის თმოგველისავე, სახელი არის გვარეულობითი. გეთისშვილი ყოფილა გვართა და შთამავლობითა სარგის თმოგველი, რომელ ეს გვარეულობა ახლაც არის საათაბაგოში და იმერეთშიაცა, რომელთაც გეთისშვილებს ეძახიან. (ეს გვარის სახელი ამისთვის ჩაუტანებია რუსთაველსა, რომ ლექსის ტაეპი არ დამოკლდეს).

4. მეოთხე ტაეპში იტყვის: ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა.

ამა სტიხისა ოთხისავე ტაეპისა საზოგადო ზმნა არის უქია (ესე ზმნა მეორის უღვლილებისა არის, ნამყო უსრულესი, მხოლოობითი მესამე პირი), რომელიცა განისაკუთრებს ყოველთა მათ ოთხთავე ტაეპთა შინა მიცემითთა სახელთა ქვემდებარეთა მისთა და მოქმედი ცხადყოფისა ქებათასა, წინასწარ დასხმულთა წრფელობითად სახელთა თვითოეულთა ტაეპთ შინა ლექსისათა შეასმენს ესე გვარად. მაგალ.:

1. ამირან დარეჯანის ძე მოსე ხონელს უქია.

2. აბდულმესია შავთელს უქია, რომელსაც რომ ლექსი უქეს და მოუწონეს.

3. დილარ, გეთს „სერგის“ თმოგველს უქია.

4. ტარიელ რუსთველს უქია, რომლისათვისაც მარად ცრემლშეუშრობელი ყოფილა.

რუსთველი, ესე იგი რუსთაველი. რუსთავი ქალაქი ყოფილა კახეთის მამულში. გარე კახეთში, მდინარისა მტკვრის პირზედ (რომელიც შორავს ტფილისს ექვისს მილითა). ამ ქალაქს უძველესს დროში ბოსტანქალაქი რქმევია, მერმეს რუსთავი დაურქმევიათ და მესამე სახელი ნაგებები ჰქვიან. ერთს მხარეს მტკვრის მდინარე აქვს და მეორე მხარეს დიდი მინდორი ყარაიისა (აქ ეპისკოპოსიცა მკდარა რუსთველ — არხიეპისკოპოსი და როდესაც ეს ქალაქი მოშლილა, მუნებური არხიეპისკოპოსი მარტყოფს გარდაუყვანიათ, მაგრამ ისევ რუსთველობითვე სახელსდებდენ მუნებურს არქიეპისკოპოსს ამ მახლობელს ჟამებამდინ], თუმცა რუსთავში ქალაქი კი აღარ ყოფილა, მაგრამ მეფეებს იქ სასახლე ჰქონიათ საზამთროდ დასადგომად, რადგანაც ზამთარს კეთილი ჰაერი აქვს და გარეშემო მრავალი უქცხო სანადირო არის, ნადირითა და ფრინველით საესე და მუნ ზამთარი ასეთი იქმნება, რომ გაზაფხულსა ჰგავს. ზაფხულით კი, დიახ, ცხელი არის. ამა რუსთავისა სამეფო სასახლეები კვალად განაახლა და აღაშენა სრულიად ქართლისა და კახეთის მეფემან ირაკლი პირველმან. და ქალაქსაც უპირობდა აშენებასა, მაგრამ შემდგომად გარდაცვალებისა მისისა, დაშთა კვალად უშენი და აწცა უშენარს ძველად სახელოვანი იგი ადგილი ყოვლითურთ.

რუსთაველი მას ცხელს ადგილში იყო შობილი, სახელად შოთა ერქვა. შოთა სახელი ქართველებსა ისევ ძველათვე, კერპთმსახურებაში, ჰქონდათ და ქრისტიანობაშიაც არქმევდენ. ეს სახელი არ მოშალეს. შოთთა (ანუ შოტტა) არმაზ კერპის სახელი არის, რომელიც კერპთმსახურებაში ქართველებისა ერთი უპირველესი ღმერთთაგანი იყო, რომელიცა უწმინდესისა ნათლისა არსება იყო. ეს შოთა სახელი მე ფრანციუკულს პარნოელის მიფოლოგიურს ლექსიკონშიაც ვნახე. იმაშიაც აცხადებს, რომ შოტტა არმაზის სახელი არის (არმაზ ანუ ორმუზად შოტტა).

შოთა რუსთაველი თამარ მეფისა მოლარეთუხუცესი იყო (ესე იგი მინისტრი ფინანსისა) და დიდად წარჩინებული კაცი იყო წინაშე თამარ მეფისა და პატივცემული. ასე მოუთხრობენ შოთა რუსთაველისასა, როგორათაც რომ მოლექსეობაში იყო უპირველესი, აგრეთვე სხვას ყოველს მეცნიერებასა და ზნეობაში საღმრთოსა, სამხედროსა და სამოქალაქოს საქმეში. ყოველშივე მის ყამის კაცთა ყველაზედ უმჯობესი და უპირველესი ყოფილა და სახითაც, თვალად და ტანად საკვირველი მშვენიერი. თუმცა მის ყამშიაცა, უწინაც და შემდგომშიაცა მრავალნი სწავლულნი და მეცნიერნი მთხვეელნი იყვნენ სამესხეთოშიაც, ქართლსა, კახეთსა და იმერეთშიაც ქართულს ენაზედა და პეტრიწისა და იოანე შავთელის ლექსებსაც ამჯობინებენ რუსთაველის ლექსებსა, მაგრამ მე ჩემის მოკლის განსჯით, ამას ვიტყვი: საზოგადოდ ერისათვის და ქართულს ენის ხარაკტერით, როგორათაც შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანი“ შეუთხზავს, არც ერთი არ არის იმისი ამხანაგი. იქნება. რომ, რომელნიც უფრო ღრმად სწავლულნი არიან, იმათ წინა თქმულთა მათ თხზულება უფრო მოიწონონ და ყოველთავე ხომ არ ესმისთ ღრმა თხზულებები.

შოთა რუსთაველი, როგორათაც ყოველს ზნეობასა და სწავლაში სრული იყო, ეგრეთვე უკანასკელსაცა ყამსა აღსასრულიცა ეგრეთივე შეუყენა. ეს ამო სოფელი დაუტევა და თავისი ქვეყნიდამაც უტხოებაში წავიდა, წმიდას იერუსალიმს მივიდა და იქ ჭვარის მონასტერი არის და ის მონასტერი ქართველთ¹ არის. დიდი და მშვენიერი მონასტერი არის. იმისი საფუძველი დიდს კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მიზიან მეფეს, ყოვლის საქართველოს მპყრობელსა, გვარით ხოსროვინს, დაუდგია. რადგანაც პირველად ქრისტიანობის სარწმუნოებაზედ მიზიან მეფე მოიქცა კერპთმსახურებისაგანა, ამისათვის დიდმა კონსტანტინემ, პირველის მსოფლიოს კრების განჩინებითა, მრავალი შეწევნა მოსცა ქრისტიანობის განსამტკიცებლად საქართველოს და იერუსალიმშიაც ადგილები მისცეს. და მის ყამითგან საქართველოს მეფეთ უმეტესად გაამშვენიერეს ჭვარის მონასტერი და იერუსალიმში და იმის გარეშამოში სხვა მონასტრებიც ალაშენეს და საქართველოს განუსაკუთრეს. ყმა და მამული მრავალი შესწირეს საქართველოში, რომლისაც შემოსავალი წლითიწლად მას მონასტრებს ეხმარებოდათ. და რომელნიც წმიდანი მამანი ჩვენნი ქართველნი და საღმრთოს წერილთ მთარგმნელნი გამოვიდნენ, იგინი ყამითი-ყამად იერუსალიმს იყოფოდეს, სთარგმნიდეს წიგნთა და იმ მონასტრებში ყოველშივე ქართველი ბერები და სამღვდელონი ცხოვრებდენ. ჭვარის მონასტერი წიგნთსაცავად გააყეთეს და დიდი ბაბლიოთიკა შეკრიბეს ქართულს ენაზედა და დღესაც მრავალი წიგნები არის ქართული იმ მონასტერში უძველესნი და რჩეულნი და გაურყვენელი.

შოთა რუსთაველი იმ ჭვარის მონასტერში დაემკვიდრა, მრავალი შესწი-

¹ ჯნ. ქარველთი.

რა იმ მონასტერსა და დიდის სათნოებით მუნ აღესრულა (ერის კაცობაშივე) და მუნვე დაეფლა. იმისი სახე იქ იერუსალიმსა, იმ ჭვარის მონასტერში, ეკლესიაში კედელზედ არის დახატული და აქამომდე კიდევ დარჩა იმის სახე მუნ. (თუმცა მკირეს კითხვაზე განვიგრძე სიტყვა, მაგრამ მომიტყვე, რადგანაც მაიძულებს შენი!) [გულსმ]ოღვინება. [ყოვე]ლს გამოძიებაში მსურს გაქნდეს გამოწვლილვით ზედმიწევინილება).

[1833 წ. 9 ოქტომბრამდე, იქვე, გვ. 32—38].

* * *

უსაკუთრესო მეგობარო ჩემო უფალო ბ რ ო ს ე ტ!

მარადის მეგულები სულთ მეგობრად და მიიღებ ჩემს მოძღვრებას, ესე უწყი მე სწორედ. ამისათვის თქვენის ჩემდამი მოწერილთა პასუხს მოგართმევ.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ შინა ჰემმარიტი არის, რომა სხვადასხვა ენებისა არის შემოტანილი და ამისათვის, რომელ: რომელიც სპარსულ-არაბულ ანუ სხვის ენებისა მშვენიერი ლექსები არიან, იგინი შემოუტანია ლექსის განწყობისათვის: ზოგნი ამისათვის, რომელ აზრები კარგათ განვირდეს და ბრჭუთ არ იყოს სიტყვები ლექსებშია: კვალად ამისათვის, რომ ექნამეტრად რომელიც ლექსები არის თქმული, ისინი განწყობილად და ლამაზად გამოვიდნენ: ეგრეთვე. მაჯამების სახმარებლად მოუხმარებია ლექსები, რომელიცე როგორათაც რომ:

სადა: — სპარსულად სადას თუ იტყვი, ლიტონი რაიმე არის და ჩვენც ვხმარობთ: ამას ქართულში; მაგრამ სადა თუ ინდურის ენის მნიშვნელობითა სთქვი, არა თუ ლიტონს ნიშნავს, სადა ინდურად დიდებულს ნიშნავს, როგორათაც რომ იტყვიან ინდოელნი: „სადა სივ“, ესე იგი „სივ დიდებული“. სივ ანუ სივენ ინდოელების ერთი ღმერთთაგანი არის, რომელსაცა სიცოცხლის მომნიჭებლად უხმობენ ბრაჰმანნი; სადა ქართულად ადგლსა დანიშნავს კითხვითისამებრ ძალისა; სადა ანუ სადა არს ერთი ათთა კატალორითა:განი ფილოსოფიასა შინა ძველისა.

ამადარი — ეს ლექსი ებრაული არის „ვეფხისტყაოსანსავე“ შინა. მაგრამ თუ ქართულს ხმაზე ვიტყვით: ა მ ა დ ა რ ი — „ვითარმედ“. „ამისათვის“ არის (ამას ნიშნავს ქართულად და ებრაულად სხვა მნიშვნელობა აქვს. იხილე ებრაულს ლექსიკონში).

სხვადასხვა ენისა მრავალი არის შემოტანილი „ვეფხისტყაოსანში“ იმ მიზეზებისათვის, რომელიც ზემორე ითქვა. კარგათ ვინც გასჩვენებს „ვეფხისტყაოსანსა“, საფუძვლიერი და ძირითი ქართული მრავალი უცხო საბჭლები და

1 დნ. შემდეგ მოხუელია.

სიტყვები არის; ეგრეთვე პეტრიწის სტიხებში არიან ბერძნული სახელები შემოტანილი: იოანე შავთელის ლექსებში არის და უფრო ცოტა მაგარამ ჰგავს და ეტყობა, იოანე შავთელს მიფოლოლიაც სცოდნია; ჩახრუხადის ლექსებშიაც ეგრეთვე ცოტა არის სხვის ლექსები შეტანილი.

აწ მოვახსენო თქვენგანვე კითხული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთა ვითარება:

შოთა რუსთაველის ლექსები (ანუ სტიხნი) ოთხ-ოთხ ტაეპოვანნი არიან და სრული „ვეფხისტყაოსანი“ არის რიცხვით ათას ხუთასოთხმოცდაცხრა (ოთხ-ტაეპოვანი) სტიხი. როგორითაც ვახტანგ მეფისა დაბეჭდულს „ვეფხისტყაოსანში“ იხილვება, ისინი არიან ნამდვილი შოთა რუსთაველის შეთხზულნი სტიხნი, რომელიც იმ სტიხზე დასრულდება: „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“.

„ვეფხისტყაოსნისა“ ამათს გარდა კიდევ რამდენიმე სტიხნი ჩემის ოსტატის დავით ალექსის შეილისაგან გაგვიგონია და ჩემს „ვეფხისტყაოსანზედაც“ აწერია, ვითომ ეს შემდგომი ლექსები „ვეფხისტყაოსნისა“ შოთა რუსთაველისა ნათქომი იყოს. დაბეჭდვაში დარჩომოდესთ და ველარ ჩაეტანებინოსთ. ის ლექსნი ხსენებულნი შემდგენი ესე არიან (დიახ, ძალიან გვანან „ვეფხისტყაოსნის“ სტიხებს!):

„ვეფხისტყაოსნის“ ასთოთხმეტ სტიხს შემდგომად, ესე იგი „მე ამას ვარჩევ, მეფე ხარ, მეფეთა ზედან მფლობელი“ ამას უნდა შემდგომი ლექსი მოებას:

- ა. თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი ხმელთა მვლელად,
მას ნახვილა სხვათა ვინმე, გამოსჩნდების მასწავლელად,
თვარემ ეშა გჩვენებია, ლხინთა შენთა შეცამულელად
სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად?

ამის შემდგომად ეს სტიხი უნდა მოებას: „მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს, ოთხოთავე“...

მეორედ, ასორმოცდაათს სტიხს შემდგომად უნდა, ესე იგი „უბრძანა აპა, შერმანდინ“. ამ ლექსის შემდგომად ეს უნდა მოებას:

- ბ. მოუკლავვარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცხელნი ცრემლნი ასოლვებდის ნარგზითაგან ვარლსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქამდის ჰიორსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საიმედო, ამაღ მხელავე მხიარულსა.

ამის შემდგომად ეს სტიხი მოებმის: „მიბრძანა: მიცან ამბავი მის ყმისა“... მესამე, ხუთასორმოცდაექვს სტიხს შემდგომად, ესე იგი „მოედანს დავსდგი კარებნი“..., ეს უნდა მოებას:

- გ. მე დავშვერ ვითა. წესია საურავ-გარდახდლისა.
შინა წამოველ მაშვრალი, ვიყავ მომდომი ძილისა.

მინა მოვიდა. მომართო წიგნი ასმათის ტკბილისა,
დადრე მოდიოა, გიბრძანებს, მსგავსი იღვისა ზრდილისა.

ამის შემდგომად. ეს სტიხი მოებმის: „ცხენისგან არ გარდავზე წაველ“...
მეოთხე, ხუთას სამოცდათექვსმეტ სტიხს შემდგომად, ესე იგი „მეტმან
ზარმან განმაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა“ — ამ ლექსის შემდგომად
ეს უნდა მოებდას:

ღ. შეველ, ფიცხლავ შევეკაზზე, ცხენსა შევქე შეკაზმული.
ას, სამოცი კარგი მოუმე, ჩემსა თანა ხანდაზმული,
წამოწყევს და წაყველით, კართა გარე ღარაზმული;
ზღვის პირს მიველ, ნაფი დამხედა, მენავემან მნახა ზმული.

ანას მოებმის „ნაჯა შევქე, ზღვასა შეველ“... და შემდგომი.
677 სტიხს შემდგომად, ესე იგი „მა გარდახდა, თავის თავის გაიყარნეს
მსმელნი შინა“. 713 სტიხი უნდა დაიწეროს, ესე იგი „ყმა ახლოს უქდა მე-
ფესა“ და შემდგომი.

ეს ზემო ლექსები ძალიან მსგავსი არის რუსთაველის სტიხებისა და იმ
ადგილებშიაც ეტყობა, საცა უნდა ჩაიწეროს, რომ აკლია ეს სტიხები.

ანას გარდა, პანის ჩემისა მეფის ირაკლის დროსა და მამის ჩემისა მე-
ფის გიორგის დროსა იყო თავადი ჩოლოყაშვილი, ჭიმშიერ ერისთავის ძე, და-
ვით დივანბეგი (ჩვენში მოსამართლეებს, ესე იგი მსაჯულებს, დივანბეგებს
ეძახდნენ). ეს დავით დივანბეგი მეფეებისაგანაც პატივცემული იყო და, დიახ,
განსწავლილი კაცი იყო, საყვირეველის უცხო ზნეობისა, მხიარული, მოხუშმარი
და უცხო პიიტიკოსი. ამან სხვა ენებიც კარგად იცოდა ქართულს გარდა. ჩემს
ყმაწვილობაში ჩემთანაცა და ჩემს ძმებთანაც, დიახ, შეჩვეული იყო და ბატო-
ნებისაგან ბრძანებაცა ჰქონდა, რომა ჩვენთვის ზნეობა ესწავლებინა. ბევრს
რასმე კარგს გვასწავლიდა და დიდის მხიარულებითა და ზნეკეთილობითა ხუ-
მრობით დროს გვატარებინებდა. იმანა თქვა ერთხელ, რომელ: როდესაცა ტა-
რიელ შეეყარა ნესტან-დარეჯანსო, რა შესაბამი იყოფო, რომელიც სიტყუა იმან
უთხრაო (იხილე სტიხი „ვეფხისტყაოსნისა“ უფი, ესე იგი ოთხასმეათე) —
„აწ რასაცა მე მალირსებ, ხორციელი არა ღირსა“ და შემდგომი; ასე კი არ
უნდა ეთქვაო. თითონ დავითმა გააკეთა ეს შემდგომი სტიხები. როდესაც რომ
ტარიელ შეყარა ნესტან-დარეჯანსა, მაშინ ტარიელსა ასე უნდა ეთქვაო:

ა. საყვარელო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომე არ მონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოზერას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ველად რებდეს,
მამ, ბულბულსა რად ვზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეკყეფდეს?

ბ. ნეტარ მას, ვინცა შენს ახლოს, შენ მხოლოსათვის ოხრეედესი
ხმისა შენისა სმენათა ეურსა ატკობდეს, აღხენდეს.
ზოგჯერ ბალახშთა თვისადმი საამოდ მღიმრად ხედვდეს,
ხან ვარდთა ყნოსით სთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზღევდეს.

იუწყეთ, უფალო ჩემო ბ რ ო ს ე ტ!

კვალად მეტ-ნაკლებობისათვის „ვეფხისტყაოსნისა“ ამის შემდგომი შოთა რუსთაველისა არ არის ნათქომნი. სულ ტყუილად არის ჩამატებული:

- ა. ტარიელისაგან ჰინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა (ტყუილია),
- ბ. ტარიელისაგან ჰინდოეთს მოსვლა ხატაელთ დამორჩილება მეორედ,
- გ. შინ მისვლა ტარიელისაგან და ქორწილი მათი,
- დ. ხვარაზმთა მეფისაგან ტარიელის ავადმყოფობის ცნობა,
- ე. ესმა ჰინდოთ მეფესა ხვარაზმელთა მოსვლა,
- ვ. ტარიელისაგან კაცის ვაგზავნა ავთანდილსა და ფრიდონსა თანა,
- ზ. მისვლა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის საშველად,
- ძ. ავთანდილისა და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთ ომი, |
- წ. ანდრძი ტარიელისა, ოდენ მიიყვალებოდა მის ეამს ნათქვამი,
- ჩ. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა,
- ც. ანდრძი ავთანდილისა, რომელ თქვა ეამსა მას სიკვდილისა მისისა,
- ძ. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა,
- ჩ. მოსვლა ფრიდონისაგან ძმობილთა მისთა ტარგუცს ზედა.

ეს ზემო ათცამეტი პუნქტი¹ რუსთაველისაგან არ არის თქმული და არცა „ვეფხისტყაოსნისა“ არის. ტყუილი არის და ცუდი ლექსებიც არის.

ციციშვილი ყოფილა ერთი ქართლის თავადთაგანი, მას მეტ სახელი ნ ა - ნ უ ჩ ა რქმეფია. იგი ნანუჩა ციციშვილი ვახტანგ მეფეზე უწინ ყოფილა. ვე- ჭოფ, გიორგი მეთათრმეტისა ქართლის მეფისა, შაჰნავაზ მეფისა ბახუტას შვი- ლის დროს ყოფილა. იმას მოუგონია და თვითონ გაუკეთებია ეგ ლექსები და „ვეფხისტყაოსნისათვის“ შეურთავს და ვისაც იმისის „ვეფხისტყაოსნიდამ“ გადმოუწერია, აღარ გაუსინჯავსთ და ისე შეცდომით ჩაუწერიათ, თუ ველარ გაუშინჯავთ. იქნება, რომ ის ნანუჩა ციციშვილი, დიახ, კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ, დიახ, ცუდი პიტიკოსი ბრძანებულა და, რაც რუსთაველს დაუწერია, „ვეფხისტყაოსნისად“ ისი კმარა; იმას სხვა დამატე- ბული არა ეჭირება რა. „ო მ ა ი ნ ი ა ნ ი“ ზღაპარიც იმისგანვე არის მოგონე- ბული. ისიც მაგისტანა არა არის რა. არც ტარიელის შვილი ყოფილა ომან, თუ სხვა ვინმე, და არც არა საჭირო არის. ეგ ლექსები სრულიად ქართველებისაგან დაწუნებული არს და გარდააგდეთ.

„ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვას ლიტოლრაფიით ამ ხელზედ არ გირჩევ. ამისათვის რომ, ვისაც ვაჩვენე თქვენგან გამოგზავნილი ფურცელი, დაიწუ- ნეს, და, თუ ამ ასოებით იქნება, რომლითაც ვახტანგ მეფის სჯულების ფურცელი თქვენ გამოგეგზავნათ, კარგ ქალაღზე დაბეჭდილი, ურიგო არ არის, მაგრამ იქნება ძვირათ დაჯდეს და ამისათვის ჯერ ხანად იყოს დაყენე- ბული, მანამ თქვენ აქ მოხვალთ, და მაშინ ვიფიქროთ; როგორცა სჯობდეს, ისე აღვასრულოთ.

¹ ათორმეტი. რედ.

არც, ეურნალებში რომ მხედრული წერილები არის, იმისი ასოები ვარ-
გა, არავის მოსწონს. წერილი ასომთავრული ასოები, რომელიც მე გთხოვეთ,
ის მომიჭრეინე. თითო ასო თქვენ დაგეფასებინათ ოსტატის სიტყვითა ცამეტ
ფრანკით. არ არის ძვირი, მივსცემ, მაგრამ წერილი, მძიმე, ქარაგმა საღმრთო
და საერო, გადასატანი ხაზი, მახვილი და ერთი მცირე ვარსკვლავისავით ნიშა-
ნი ესეც საჭირო იქნება. ესენი სულ უწვლილესის ფრანციცულის წერილისა
სულ გამოდგება. ორტოლრაფის ნიშნები. ამისიცა ჰკითხე: ესენი მაგათგან
დამატებული იქნება, თუ ამეებისათვისაც ფასი უნდა, შემატყობინე. ერთს პა-
ტარა პაკეტში ძეს მცირე ქალაღი, იმაზე ხაზი გავავე, რომ იმაზე მოს-
ჭრან, მაგრამ, როდესაც რომ მოსჭრან, ორი რამ ან ოთხი ასო მაშინვე დამი-
ბეჭდე ერთს მცირე ქალაღზე და მიბოძე, დახედო, კარგათ სჭრიან თუ კი-
დევ გასწორება რამ უნდათ. თუ გასწორება რამ ენდომება, რამდენიც ასო იქ-
ნება, იმის ფულსა მეტს მიიღებენ იმავე რიცხვით, რომ იმათი შრომა ოსტატე-
ბისა არ დაიკარგოს. მაგრამ ვსასოებ ღვთისაგან, კარგათ მოსჭრიან.

ნუ მოეშლები ღვაწსა და, რადგან დავადასტურე, რომ ჯერ არ მოსდინართ
აქა, ამას შემდგომად ესეთიც წიგნსა და, რასაც ლიტერატურისას რასმე სახ-
მარს ვპოვებ, არ დავრიდებ შრომას უცებსა თავსა ჩემსა. შენ ჩემზედ გული
არ შეგორგულდეს, ყოველი იკვი განაგდე. მე შენთანა ვარ მარადის სულით
და გულით და ვიქნები.

თქვენი უსაკუთრესი და სულით მეგობარი
საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1834-ს,
ოქტომბრის 17-ს,
ქ-კს ფლდ
სანკტპეტერბურგით.

ბანმარტბეზა კომეზა „ვეფხისტყაოსნისა“⁶
(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა — საქებელს. ესე პოენა არს დიდისა მისს ქართველთა პიტიკოსისა შეერთა ნეკტარისა შოთა რუსთაველისა, რომელმან შეთხზვითა ამის „ვეფხისტყაოსანისათა“ მიანიჭა უკვდავეზა საუკუნო თავსა თვისსა. ხოლო წიგნსა ამას უწოდა მიზეზითა ამით „ვეფხისტყაოსანი“, ვინაიდგან ტარიელ მოშორებული საყვარელსა თვისსა ნესტან-დარეჯანს და ველად გაჭრილი მხეტთა თანა უშენთა ადგილთა იქცეოდა რა, იმოსებოდა იგი მაშინ ტყავითა ვეფხისათა, ისე უკვე წიგნი ლექსთანი, „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთა ქართველთა სიბრძნის მოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა შეერთა თხზულებისაგან არს უმეტეს მოწონებული, ვინაიდგან ქართველსა ხარაკტირსა ზედა არს შეწყობილი. ხოლო მოლექსებობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა. ხოლო აქა სათანადო არს, თუ ვინა იყო იგი, და რომელსა ვაჟსა, სადაით და ვითარისა ხარისხისა ნეჭონი.

შოთა რუსთაველი იყო უკუე ეამსა უდიდებულესისა დიდისა მის და ღირსსახსოვარისა მეფისა თამარ გიორგის ასულისა, თვითმპყრობელისა სრულიად ყოვლისა გიორგისა, რომელ არს ივერია, ესე იგი ყოველი საქართველო. და იყო იგი მეჭურჭლეუთხუცესი, ესე იგი მოლარეუთხუცესი (რომელ არს ფინანცის მინისტრი). იყო იგი მთავარი რუსთავისა. რ უ ს თ ა ვ ი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა. ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბო ს ტ ა ნ ქ ა ლ ა ქ ი. ესე ქალაქი არს ჰერეთისა, ესე იგი გარეკახეთისა მამული, ტფილისითგან შვიდი მილი გერმანიული, ტფილისიდან გარემით მტკვრისა პირსა ზედა მდგომარე არს რუსთავი.

ხოლო აწ ნაქალაქევესა მას ადგილსა უწოდებენ ნ ა გ ე ბ ე ბ ა. ქალაქსა ამას რუსთავისაჲა ჰქონებიეს მრავალნი დაბანი და სოფელნი, თვით ნორიონი,

მარტყოფი და გარემონი სოფელნი მათნი რუსთაველსავე სამთავროსანი არიან. რუსთაველ არს იეპისკოპოსი, რომელიცა პირველად რუსთავესა ქალაქსა შინა მჯდარა, იგი საქართველოს მეფეთა ჟამსა რუსთავეს დაქვევას უკანა მოუყვანიათ მარტყოფში და იქ იჯდა ჟამამდე როსთა მმართველობისა და მახლობელს ჟამებამდე. რუსთაველ არს იეპისკოპოსი სტეფანე, გვართ ჯორჯაძე, ცოცხალი იყო და ამა ევგენი ექზარხოსის დროს გარდაიცვალა, რომელიც ახლა ტფილისში ზისს. ესეცა საუწყებელ არს, რომელ რუსთველ არს იეპისკოპოსი იყო მხედრობისა და წინაძღვარი და რუსთველის სასარდლო იყო სრულიად გარე კახეთი, რომელ არს ესე ერეთი. ხოლო შოთა რუსთაველი იყო შობილივე რუსთავესა შინა, თუმცაღა წერილთა შინა რომელთამე მუხილვა და სიტყვითაცა მსმენოდა ნამდვილ ჭეშმარიტებით შოთა რუსთაველისა, რომელი იგი იყო ადგილთ პერეთთ, ქალაქთ რუსთავეთ, და ქალაქიცა იგი იყო სამთავროდ მისსა მიცემული მეფისა თამარისაგან, გარნა აწ ახლად ვპოვეთ რა მოთხრობა საქართველოსა აღწერილი ფარსადან გიორგიჯანოძისა, მას შინა წერილ არს, რუსულადან მეფისა მოთხრობასა შინა შემდგომნი ესე სიტყვანი: „მეფემან რუსულადან მოიწება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დაეთისა და აღიგო შანა და ფიცი მათგან უვნებელობისა, ხოლო როციქულად გაგზავნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი დიდებულნი კაცნი: შანშე და ავაქ და ვარამ გურიელი, და ერეთის ერისთავი შოთთა, რომელიცა მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების“. სეფე სხვათა და სხვათა დიდებულთა, გინა მეფეთა, მთავართა ნათესაობასა, გინა ნიფთსა რაისაჲ შესაფერსა მათსა სახელ ედების. ხოლო სეფობისათვის ამას ნიშნავს, ესე იგი დიდებულად გამოჩინებისათვის საქმისასა. კუპრობით იხსენების სიშვიისათვის მელნისა, ვინაიდგან რუსთავეისა ქალაქისა მახლობელ არს წყაროი ვითარცა მელანი გამომდინარე. რომელიცა იხმარების საწერადაც და მახლობელთა მათ ადგილთა იპოვებიან გამომდინარენი ვაკესა ადგილსა ზედა კუპრი მრავალი და ყოველსა ადგილსა შინა საქართველოსასა მუნით წარიღებენ ყოველთვის კუპრთა, სახმარად ტიკთა ლეინისათა, გინა სხვათა რაისათვისმე სახმარად. ამა მოთხრობითაცა აღმოჩნდა შოთა რუსთაველი თუ სადაით იყო იგი. ესე ქალაქ რუსთავეი ახლად აღაშენა და გაახლა მეფემან საქართველოსამან ირაკლი პირველმან და ქმნა მუნ პალატიცა სამეფო და მარადისს ზამთრით სცხოვრობდა მუნ, არამედ ვახტანგ მეექვსემან, მეფემან ქართლისამან, კვალად დაარღვია ქალაქი იგი და პალატიცა სამეფო და ოხერ ჰყო შურითა.

აწ აქა რუსთაველისა შოთასათვის ვიტყოდეთ პირველად და შემდგომად ლექსათვის შოთა რუსთაველისათა ვიტყოდეთ, რომელ არს „ვეფხისტყაოსანი“.

შოთა რუსთაველი იყო დიდებულთა და აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა, მთავარი რუსთავეისა და პალატსა შინა მეფეთასა დიდად პატივცემული და სახელოვანი, მოლარეთა, ანუ მეჭურჭლეუთუხუცესი (ვითარცა ზე-

მორეცა აღიწერა მინისტრ-ფინანსი). შოთა რუსთაველი მის ჟამისა ყოველთა თანა მედროეთა თვისთა აღმატებოდა ყოვლისა სიკეთითა და ზნეობითა, სწავლულებითა, სიმხნითა, ახოვნებითა, მშვენიერებითა და ჰაეროვნებითა სახისათა, ანაგებითა გვამისათა, კეთილისა გულითა და სიუხვითა, ვინაიდგან მდიდარცა იყო იგი ფრიად. პიტიკობასა შინა აღმატებოდა სხვათა ყოველთა ხელოვანებითა ლექსითა, ვითარცა ასაჩინობესცა ტინხნი მის მიერ შეთხზულნი, ენამქვე იყო იგი და მშვენიერ მოუბარ და სხვათა და სხვათა ენათა ზედმოწევენილებით მეცნიერ. შეთხზა ამან წიგნი ესე მშვენიერი „გეფხისტყაოსანი“ დიდისა მის თვითმპყრობელისა მეფისა და პატრონისა თვისისა თამარისათვის, ბრძანებითა მისითა საკამათებლად და შესაქცევად დიდებულისა მის მეფისა და თანაწინახეთათვის მისთა და გამოცდილებისათვის ყოველთა მოყვარეთა პიტეოსობისათა.

ხოლო წიგნი ესე „გეფხისტყაოსანი“ შეიცავს თვისს შორის თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ხელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაქტერსა ზედა ენის ჩვენისასა. პირველად იწყებს წინასიტყვაობასა შინა ქებასა დიდებულისა მეფისა თამარისსა და მიჯნურთა, თუ ვითარსა მდგომარეობასა შინა ჰმართებს საქმისა ამის ხელყოფა. მოლექსეთა და პიტეოსთასა აღმოაჩენს, თუ ვითარ ჯერარს მოქმედები ხელოვნებისა მათისა და თუ პიტეოსი ვითარი ჯერარს. ასწავებს, თუ ვითარ თანა აცსთ საყვარელთა ურთიერთისა მიმართ მიჯნურობაი, რომელნიცა განემზადებიან სჯულიერად შეუღლებისათვის კეთილწესიერებით და არა უწყესოსისა სიყვარულითა და თუ სურვილსა ტრფიალებასა და ჰირთა შინა რაი უხმსთ ყოფად და დაშორებასა შინა ვითარ თანამდებ არიან ურთიერთისა, რათა დატყვევებული სიყვარული თვისი, ანუ დაკარგული ვითარისა გულსმოდგინებითა და შრომითა მოიპოვოს და ვითარ ჰმართებსთ თავისა თვისისა შეწირვა და განწირვა სიცოცხლისა თვისისა მოპოებისათვის მისისა. ყმათა მეფეთა მიმართ რაი თანაძმსთ და ვითარი ერთგულება ჰმართებსთ და სიყვარული და მათთა სამსახურისათვის სისხლისა დათხვევაი, ვინაიდგან მეფეთა ერთგულება არს ერთგულება მშობელისა მამულისა თვისისა. ხოლო მეფეთა, ვითარ ჯერარს მზრუნველობა ქვეშე სკიპტრისა თვისისა, მყოფთა ერთათვის ერთგულთა მისთა და სახმართა კაცთა. ვითარ განსხვავებული პარტიისცემაი და სიყვარული და წყალობისა ნიჭებად უხვად ყოველთა ერთა, კვლად სიყვარულთა განთავისუფლებისა ჟამსა ვითარი ჰმართებსთ სიხარული, ანუ მეგობართა მეგობრისა თვისისა ჰირსა შინა და განსაცთელთა შეწვენაი და ძიებად მათთვის სარგებელობისა და მეგობრობისათვის თავის თავის დაღებისა.

ვითარ ჯერარს განშვენებულებაი და განკარგვა მხედრობათა, ბრძოლანი მტერთა მიმართ, თუ ვითარისა სახითა ჯერარს, ანუ ნადირობა მეფეთა მიერ ვითარ ხამს. პალატნი მეფეთანი ვითარ სათანადო არიან შემკობად, ანუ საუნ-

ჯენი მეფეთანი, თუ ვითარ ხმარებად სათანადო არიან, ვითარითა სახითა სტუმრობა და მოწვევა მეფეთა თანასწორთა თვისთა და მეჭლიშთა და ლხინთა გარდახდა, პურობა, დახვედრა და ჩუქება, ვითარ ჯერ არიან, ან ლხინისა ჟამსა მეფეთა მიერ წყალობანი, თუ ვითარ განიცემიან, ანუ ქვეშევრდომთა ზედა მეფისათა წყალობანი, ვითა გარდაეფინებინან, გლახათა და ულონოთა მოწყალება ვითარ ჯერარსს, ანუ მონათა მიერ ძღვნობა მეფეთა და მეპატრონეთა წინაშე, ანუ კაცთა ქირთა შინა ვითარი მოთმინება ჰმართებს, ანუ ლხინთა შინა ვითარი წესიერება და გულითა კეთილითა და სიყვარულითა მოყვასთა თვისთა თანა შვება, ანუ ვეზირთა და მრჩეველთა მეფეთა წინაშე განზრახვანი და რჩევანი ვითარ ჰმართებს, ანუ მეფისა განრისხებისა ჟამსა, ვითარ ჯერარს მახლობელთა მონათა მორიდება და გაფრთხილება მისთვის, ანუ კაცსა ბრძოლათა შინა, თუ ვითარი გულოვნება და სიმხნე ჰმართებს, ანუ ჯაბანნი კაცნი, თუ ვითარ საგიობელ არიან, ანუ კეთილის ყოფისათვის, ვითარ ჯერარს ნაცვალი ესე და სხვანი უმრავლესნი კეთილნი ზნეობანი ისწავლებიან წიგნისა ამისგან და ლექსნი ამათნი და ამბავნი ფრიად საამო და სახალისო არიან გულისხმიერად მკითხველთათვის ზოყუარეთა სწავლისა და ლექსთასა.

ერთი ესე საკვირველარს რუსთაველმან, თუ ვითარ ესრეთ ენა ზედმიწევნით უწყოდა და ვითარნი ლექსნი აღირჩინა ლექსთა სახმარად საკვირველარს ფრიად და გონიერება მისი საქებულ, ხოლო რომელნიმე ლექსნი არიან მსგავსნი ლექსთა სპარსულთა და არაბულთა და სხვათაცა ენათა და ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა, რომ შეამცნიოს, რომ თუშეცა ჰგვანან სხვათა ენის ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისი ენისა, არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან. მაგალ., (იხილე სტიხი 603). დამსაჯარი — ესე ჰგავს ლექსსა სპარსულსა, მაგრამ ქართული არის, ესე იგი დამსაჯარი დამსჯელი. სტიხი 681: უამა, ანუ იამა — ესია მოვნა (რა იხილა სასიამოვნო). სტიხი 1288: სპარსულად ნიშნავს ამას, ესე იგი, ხოლო ქართულად იანი მრავლობითად, მრავალს იის ყვავილს დანიშნავს. მინანი სინანული გაქვს ჩემთვის, ანუ გემულაბნებო. მინა აქედამ მინები გამოდის და სხვანი.

ხოლო რომელიცა სხვათა ენის ლექსნი უხმარებდის სტიხთა შინა, იგინი არიან აღრიდგანვე მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქართულსა ენასა შინა შემოტანილნი და ეგრეთ ვხმარობთ მათ, ვითარცა საკუთართა ლექსთა ჩვენთა, ვინაიდგან ჩვეულება სხვათაცა ყოველთა ენათა, რომელ მეზობლობისა ძლით, ანუ ხშირად ერთისა, რომლისამე სმენისა ძლით, ურთიერთისა ლექსთა მიიღებენ და იხმარებენ თვისთა შინა ენათა.

ესე უკვე წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ არს ფრიად სახმარ ზნეობათა შინა ქართულთა, რომლისაცა თვისებანი ზემორე მოვიხსენეთ და ამა ღვაწლისათვის დიდსა მას პიტიკოსსა რუსთაველსა შოთას საუკუნოდ მადლობით და ქებით ხსენება არა მოაკლდების.

სხუანიცა წიგნი მსმენიეს მრავალთაგან. შოთა რუსთაველისა ნათხზვენი არიანო, მაგრამ ჭერეთ ვერა მივემთხვივე ესე ვითარსა სურვილისა ჩემისა სატრფიალოსა ნიჭსა, რომელიცა უძვირფასესისა დატკობითა აღავსებდა სულსა ჩემსა.

ესეცა საუწყებელარს, რომელ უკანასკნელ შოთა რუსთაველმან დაუტევა სოფელი ესე და ყოველივე დიდება და შვეება საწუთისა ამის და წარვიდა წმიდად იერუსალემად და შევიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღშენებულარს უძველესთა დროთა შინა მეფეთაგან სრულიად საქართველო-სათა მირიან პირველისა და ვახტანგ გორგასლანისაგან სახელსა ზედა ცხოველმყოფელისა ჯვარისასა აღშენებულსა და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთაველმან, რამეთუ ფრიადნი სიმღიდრენი შესწირნა მონასტერსა მას და ქრისტეს საფლავსა და ყოველთა მათ თვითოეულად ქართველთა მონასტერთა, გინა სხვათა.

ხოლო იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯვარისასა, ვიდრე აღსრულებამდე მისსა, თუშცა სახითა ერისკაცისათა, მაგრამ ფრიადისა მოღვაწებითა, მრავლისა ქველის საქმითა, ლოცვითა, მარხვითა და გლახაკთა გამოზრდითა და ყოველთა სათნოებითა კეთილთა აღასრულა ცხოვრება თვისი და დაეჭლა მუნვე ჯვარის მონასტერსა შინა დიდსა ეკკლესიასა, სადაცა შიგან ეკკლესიისა ზედა გამოხატულარს სახეი მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღეინდელად დღემდე.

ვიღვაწე ზემო განმარტებანი ესე ლექსთანი, რომელნიცა ძნელად გასაგონ იყვნეს მშვენიერსა ამას შინა წიგნსა შოთა რუსთაველისასა „ვეფხისტყაოსანსა“, სასარგებლოდ ერთმემამულეთა ჩემთა ივერიელთა, გინა გიორგიელთა ერთა ქართველთა, ვინაიდგან სტიხთა შორის ქართველთა ენისათა ესე უაღრესად სხვათა აღმოჩენილარს და დიდისა ხელოვნებითა ქმნილ...

ჩემგ [1843].

[„ვეფხისტყაოსნის“, 1841 წლის გამოცემის]

პ რ ო ლ რ ა მ ა ო

„ვეფხისტყაოსანი“, ცნობილი თხზულება ქართულსა ენასა ზედა, დაწერილი დროსა სახელგანთქმულის თამარ მეფისა, მხოლოდ ერთხელ აღბეჭდილი იყო ტფილისს, ჩ ღ ი ბ წ ე ლ ს ა, მეფისა მიერ ვახტანგისა VI. გამოცემა ესე სრულებით განიყიდა. ამისავე მრავალნი წიგნნი დაიკარგნენ ეამსა ტფილისის აღებისა და დაწვისა, ჩ ღ ე ე წ ე ლ ს ა, ხოჯა აღამაჰმად ხანისაგან. ამისთვის აწ ვხედავთ ჩვენ, რომელ ხელწერილი ანუ აღბეჭდილი ვახტანგის მიერ წიგნი იყიდების მოყვარეთაგან ლიტერატურისა თხუთმეტ ანუ ოც მინალოთუნად თეთრ ფულად, მისთვის რამეთუ საქართველოსა შინა ყოველთა ჰსურსთ ქონება თვისისა ტარიელისა, რომელსა იცითხვენ ნიადაგ, სწავლობენ ზეპირად და წარმო-

1 დედანშია შოთა.

სტკვენ მისგან შაირთა, ოდეს უნდათ მოხსენება რომლისაჲმე კეთილმოზილურის გრძნობისა. მაღლის პაზრისა ანუ სახელოვანის მოქმედებისა.

მიზეზნი ესე აღვეძვრენ ჩვენ, რათა ახლად აღბეჭდოთ „ვეფხისტყაოსანი“, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარნა მცირედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველთა ხელწერილთა თანა, რაოდენათაჲც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა, და მით მივაახლოვებთ ნამდვილსა.

უფ. ბროსსე, ვითა ზედამხედველი აღბეჭდვისა, მოუმატებს ქართულად წინასიტყვაობასა, სადაც წარმოადგენს სალიტერატურო უწყებასა წიგნისა ამის და აჩვენებს ღირსებასა მისსა. დიდ ხინის განხილვა რუსთველს შრომისა შემძლებელ ჰყოფს მას დართვად რომელთაჲმე შენიშნულბათა.

წიგნი გამოვა გაზაფხულს ჩუმა წელსა. აღრე მომწერათთვის ელირება ორ მინალთუნად თეთრ ფულად, ხოლო შემდგომად აღბეჭდვისა განიყიდება ორ მინალთუნად და ოთხმოცდაშვიდ კობეკად თეთრ ფულადვე.

წიგნი ესე აღიბეჭდების ამავე ასობითა და იქმნება ამავე ტანისა, როგორც ეს პროგრამმა.

[ს.-პეტერბურგი, 1840].

ПРОГРАММА

[ИЗДАНИЕ «ВЕПХИСТҚАОСАНИ» 1841 ГОДА]

Поэма. «Барсова кожа», знаменитейшее произведение Грузинской письменности времен славного царствования Тамары, было напечатано только однажды и это издание, сделанное Царем Вахтангом VI, в Тифлисе, в 1712 г., разошлось совсем. Множество экземпляров сделалось жертвою пламени, объявшаго столицу Грузии в 1795 г. во время инашествия внуха Аги-Мохаммед-хана. Оттого теперь мы нередко видим, что списанный экземпляр этого сочинения или издание Вахтанга покупается любителями словесности по 15 или 20 руб. сереб., потому что в Грузии всякий хочет иметь своего Гариеля. Там его перечитывают, учат на память, произносят из него стихи, когда хотят напомнить какое-нибудь благородное чувство, великую мысль или знаменитый подвиг.

Эти причины побуждают нас издать снова творение Руставели. Основанием нового издания будет служить текст царя Вахтанга с поправками типографических погрешностей; но для того, чтобы иметь самый верный текст, мы сравним его с древними списками с этого сочинения, какие только можно найти в Грузии или России. Разсмотрением текста займутся образованные Грузины, а Броссе будет смотреть за изданием. Он же присоединит к нему предисловие по-грузински, в котором изложит литературную историю книги и покажет ее достоинство. Долговременное изучение этого творения позволит ему сделать некоторые замечания на него.

Книга выйдет весной 1841 года. Подписная цена за экземпляр два рубля сереб.; по отпечатании же цена возвысится до 2 руб. 87 коп. сереб. Она будет напечатана таким же шрифтом, и в таком же формате, как настоящая программа.

[1840]

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა⁸

რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, იმთონი უფრო და უფრო მოგეწონს. მიზეზი ამისი არის: პირველად, ზღაპრის ტურფათხზულება, შაირების კეთილზმიანობა, სიტყვაალრჩევით ენამკვეერობა, პაზრების გშვენიერად დაწმასნვა და ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიური მხატვერობა. მეორედ: კმასაყოფელი აღწერა რუსთველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა. ამით ვამტკიცებთ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უაზნანავოა, და თვით ევროპაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოვება.

ზღაპრის შეთხზვის კანონი პირველი ეს არის — დასაბამი შედეგს ეთანხმებოდეს და ორივე ბოლოს. მეორე, თვითო გვერდზედ და სტრიქონზე წარმკითხავს უფრო და უფრო სურვილს მოუგვრიდეს. ხოლო ესევეითარი ღირსებაცა აქვს „ვეფხისტყაოსანსა“, რომელშიაც მრავალნი პირნი მოქმედებენ და ერთმანერთზედ დაძოკიდებულნი არიან, ვითარ თინათინ აეთანდილზე, ფატმან აეთანდილზე და ნესტან-დარეჯანზე, ავთანდილ, ფრიდონ და ასმათ ტარიელზე და მის საყვარელზე, ტარიელ მარტო ნესტან-დარეჯანზე.

თინათინის გულისათვის ავთანდილი ბევრს ჭირს მოითმენს. ორჯერ მამულიდამ დაიკარგება, დაუჯერებელს გმირობას აჩვენებს, ასმათის შეწევნით ტარიელს შეეყრება. კვალად ფრიდონის მეცადინეობითა ნესტან-დარეჯანი საცა დაიკარგა, იმ ადგილს ჰსძებნის და ღიდის ცლით იპოვის. ფრიდონ თვისის ჭარით ტარიელს და მის ძმობილს ავთანდილს უშველის ქაჯთ ციხას აღებაზე, ხოლო ტარიელ თავის საყვარლისათვის ძნელს და საშინელს საქმეს აღასრულებს, ხვარაზმშას შვილსა მოჰკლავს, უდაბნოში ვიდრე ათი წელიწადი სცხოვრებს მხეცურად და სტირის ნესტან-დარეჯანის დაკარგვაზე. ბევრჯერ ღიდს ჭარზე გაილაშქრებს და აგრეთვე ღიდროვანს მხეცებს დაჰხოცს და პირში სული იმ აზრით უდგას, რომ ოდესმე ჩემს საყვარელს შეევეყრებიო. თუ მეგობრობითა, თუ გმირობითა, თუ სიყვარულითა ყოველთა ამხნევებს. უყურეთ, თუ ეს მონაწილეობის მიღების გადიდება არ არის უცხო და ფრიად საქებელი.

ვინც ცალკე ავთანდილს, ფრიდონს, თინათინს, ასმათს შეჰხედავს, უთუოდ იტყვის, რომ ისინი გმირნი კაცნი და დედაკაცნი არიანო, ვინც ტარიელს და ნესტან-დარეჯანს — იტყვის, რომ ესენი მიჯნურთა უმიჯნურესნი და გმირთა უგმირესნი აირანო.

ამათ გარდა, ყოველს მოგონებულ ზღაპარში თვითო მოქმედი პირი უნდა იყოს თვითო რაისამე იდეასი წარმომადგენელი, როგორც, მაგალითად, ჰომერის „ილიადაში“ აღამემნონ მაღალ ხელმწიფობისა, ოდისოს გონიერებისა, დიომედოს მხეცურის მხნიერობისა, პატროკლოს მეგობრობისა და ახილეს სრულის და უნაკულო გულოვნობისა და სხვანი. ასე და ამრიგად „ვეფხისტყაოსანშიაც“ თინათინ და ავთანდილ წარმოდგენენ მარტივსა სიყვარულსა. ფატმან ბედითს მიჯნურობასა, ფრიდონ და ასმათ გულითადს მეგობრობასა, ტარიელ და ნესტან-დარეჯან ფრიადსა სიყვარულსა ან უფროს ვთქვათ მომატებულის მიჯნურობის მაგალითსა.

ამ წიგნის დაწერითა რუსთველი გამოჩნდა არა მხოლოდ ვითარცა ჩინებული, არამედ უწარჩინებულესი ყოველთა ქართველთ მეზღაპრეთა ზედა, რაც ოციოდენ ზღაპარი ვიცით ქართულ ენაზედ, თუ შეთხზვითა, თუ სიტყვითა, თუ ხასიათების მხატვრობითა მისი უმდარესნი არიან. მაგალითად, „ამირან-დარეჯანიანს“ და „რუსუდანიანს“ ერთმოქმედება აკლიათ, რაცა მოგროვებულთა სხვათა და სხვათა აქა-ჩქ ამბავთა. „ვისრამიანი“ გრძლად შეთხზული ზღაპარია, დაფასებული მხოლოდ სიტყვანჭვერობითა, ვითარცა „ამირან-დარეჯანიანი“. „ყარამანიანი“ შეიცავს მხოლოდ დაუჯერებელთა ამბავთა. „მირიანი“, „ომანიანი“ მდაბიურად დაწერილნი არიან, უცხოთა აზიურთა ზღაპრების მიბაძვით, ხოლო რუსთველში შეერთებულია ყოველი ღირსება მწერლისა.

რუსთველი ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერს შესავალში (მუხლი კბ), რომ ზღაპარი არ უნდა იყოს არც ძალიან გრძელი, არც ძალიან მოკლე. ამაზე არისტოტელიც თანახმა არის. კანონი ესე ქემშარიტია და თვით რაც კანონად დაუწერია, სწორედ აღასრულებს. გამოვიანგარიშოთ, სულ რაოდენი დრო გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედებაში, ვპოვებთ 13 წელიწადს, 9 თთვეს და რაოდენსამე დღეს თუ მეტ-ნაკლებს. თუმცა დრო ესე გრძელია, მაგრამ რუსთველის ხელოვნობითა ასე შემოკლებულია, რომ იმისი ანგარიში წარმვითხველს დაავიწყდება. მაგალითად, ორი მოგზაურობა ავთანდილისა, რომელიც გაგრძელდება ოთხს წელიწადზედ მეტს, მხოლოდ რაოდენთამე მუხლთა შეიცავს. თუ სხვა მწერალი ან ქართველი მეზღაპრე ყოფილიყო, უთუოდ ზღაპარსა თვისსა გმირის დაბადებითგან იწყებდა და გრძლად აღწერდა სიყრმესა მისსა. ხოლო რუსთველი, ტარიელის პირით, ყველას ასე მოგვითხრობს, რომ მოქმედების დროში არ შევა არც მისი შობა, არც მისი სიჭაბუკობა, არც უდაზნოში ათ წელ დგომა. ამისმებრცა სხვანი გარემოებანი შემოკლებულ არიან.

თუმცა მოახსენებს რუსთველი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პირველ იყო

სპარსულად „მარგალიტი... ხელის-ხელ საგოგმანები“, მაგრამ ნათლად ჰსჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმებითა საქართველოს მოთხრობისათა. აზრი ესე გამოცხადდების მუხლებით დ, ე, სადაც ამბობს: „თამარს ვაქებდეთ... მიბრძანეს ქება...“ ამას გარდა ხვარაზმშაჰის ძის ნესტან-დარეჯანზე გაიჭინურების ამბავი. ვინა არ მიხვდება მოსლვას ხორაზმშაჰისა ტფილისსა და თხოვნა თამარ მეფისა ცოლად, როგორც მოუთხრობს ვახტანგ მეფე თავის „ქართლის ცხოვრებაში“ და უსაცილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი „ვეფხისტყაოსნისა“ თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს ნომხდართა. მესმე სწავლულთა ქართველთაგან, რომ თვით ქაჯთა გვირაბი, რომელშიაც დატუსაღებული იყო ნესტან-დარეჯან, მისი მსგავსი იპოვება იმერეთში. გარნა გვირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნება, ძმური მეგობრობა უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ხარაქტერს გამოგვიხატავენ.

ესეც დიდი ქებაა რუსთველისა, რომ ამისთანა ზღაპარში არ იპოვება არც ერთი უშვერი სიტყვა ან კარგის სწავლის წინააღმდეგი, თუმცა ადვილი იყო აქაცა დაწერა მსგავსი ლაღობისა, როგორც „ვისრამიანში“ იპოვება. ამითი ჩანს, რომ სასტიკი კრიტიკა რუსთველზე ანტონი კათალიკოზის მიერ სრულიად უსაფუძვლოა. ანტონი სწერს: „...ამოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“ და ეგრევე ტიმოთე მიტრაპოლიტის მიერ, რომელიც თვის „მიმოხილვაში“ ჰზრახავს რუსთველს, ვითამ თუ „ქართველ დედაკაცებს ასწავლა სიწმინდისა წილ სიბოროტე და სიბილწებაი“. და საკვირველი არ არის, რომ სამღვდელთა შეურაცხვენი საიჭინურო ზღაპარი, მაგრამ ესეც სათქმელია, რომ სრულიად უმიჯნოდ ამას ჰპწერენ ისინი რუსთველზე.

უადგილოა ჩემგან ქება რუსთველისა, რეცა ქართველის მწერლისა, რუსთველი ასეთი მცოდნე იყო ქართულის ენისა, რომ მისი სწორი აქამომდე არ გამოჩენილა. არაბულიც კარგად იცოდა, როგორც ამტკიცებენ ესოდენნი არაბულნი სიტყვები, შემოტანილნი მის მიერ „ვეფხისტყაოსანში“. აგრეთვე ბერძნულიც, რომელსაც აჩვენებს სხვადასხვა ბერძენთ მწერლების სახელების წოდება და ამისთვის ვერ უარყოფთ, რომ რუსთველს საბერძნეთში სავრო. სწავლა არ მიეღოს. რამეთუ სომეხთ მეთისტორიკე ვარდანი თავის „საზოგადო მსოფლიო ისტორიაში“ მოუთხრობს, რომ დავით აღმაშენებელმა გვჭავენა ორმოცამდენ ყმაწვილი კაცები ათინაში სასწავლებლად. და შემდგომად ამისა ყოველ წელიწადს გაიგზავნებოდნენ ესოდენნი ქართველთა მეფეთაგან. უეჭველად რუსთველი იყო ერთი მათგანი, აღზრდილი საბერძნეთის შკოლაში, დარაც ბერძნულად ენახა ან ეპოვა პოემანი, თუ ფილოსოფიურნი წიგნი, უთუოდ იულ წაეკითხა, და მის უკან თვისი პოემაც დასწერა. თვითეულმა სწავლულმა ქართველმა იცის მრავალნი მუხლები რუსთველის შაირთაგან. რომელსაც აქა საჭიროდ არა ვრაცხე შემოტანა დასამტკიცებლად ჩემის სიტყვისა.

ამასთან არ შეიძლება, რომ არ მოვახსენო ნაკლულევანება ერთი რუსთველის შაირებისა: მრავალჯერ რიფმისათვის განმეორებს ერთის აზრს მნიშვნელთ სიტყვებთა, და ამგვარი გაგრძელება შაირებისა უშესაბამოა. მაგ.,

„მუნ ვაქარჲან ოქროს ფასად ცხენი შიასა, არ უძღვანა“ (მუხლი ჩუღ).

„იგი შეება საუკუნოს ცხადად ჰპოვეს, არ იოცნეს“ (მ. ჩუფ).

...„აქებდეს, არ ავინებდეს“ (მ. ჩუფთ).

ესევეთარი განმეორება არა მხოლოდ რიტორიკისა წინააღმდეგია და თვითა მარტივის თხზულების კანონთა. ჩვენი უმთავრესი მოშაირე სახელად ბოელო სწერს, რომ რიფმა მსახურია და მწერალმა არას დროს მას თავი არ უნდა ამონოსო.

«La rime est une esclave, elle doit obéir».

ამ ნაკლულევანების გარდა რუსთველის ლექსებისა სხვათა თვალი არ შემისწვრია. თუმცა აზიური გემო ევროპიულსა არ ეთანხმება, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ქართული საუბარი და წერილის კანონი ჩვენისაგან ასე შორს არ არის, როგორც, მაგალითად, სპარსული და არაბული გვარი, და იქისათვის ქართველთა მწერალთა კარგი თარგმანი ევროპიულს ენებზედ უნდა ყოველნა კაცმა მოიწონოს. თუ ოდესმე იბეჭდება თარგმანი რამე „ვეფხისტყაოსნისა“ (როგორც გამიგონია, რუსულად ითარგმნება ვისგანმე, და მეცა ჭრანცაეულად ვამზადებ), იმედი მაქვს, რომ სიხარულით მიიღონ ევროპაში.

აწ მოვახსენებთ წიგნისა ამის ისტორიულს მოთხრობას. ზემო ვსთქვიით, რომ მთხვეელი „ვეფხისტყაოსნისა“ იყო შოთა რუსთველი. რომელიც სიტყვითა რომელთამე ქართველთა მეცნიერთა იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთ თუ მოლარეთუხუცესი. ნაგრამ „ქართლის ცხოვრებაებში“ მისი სახელი სრულიად არსად არ მოიხსენება; მხოლოდ ვიციით, რომ რუსთველმა თავისი პოემა „ამირანდარეჯანიანის“ და „ვისრამიანის“ შემდგომად დასწერა (მ. ჩუპ, ჩქლზ), მას უკან მონაზონ იქმნა ქართველთ მონასტერს ჭვარს იერუსალიმს. ტიმოთე მიტრაპოლიტი სწერს თვისის „მიმოხილვაში“, რომ რუსთველი ზემოხსენებულს მონასტერში მარხია და უნახავს მისი კედელზე დახატული სახე. ამის მეტი რუსთველის ცხოვრებისა არაფერი ვიციით.

„ვეფხისტყაოსანი“ პირველ აღიბეჭდა ტფილისს, 1712 წელსა, ვახტანგ VI მეფის ბრძანებითა, მის მიერ გაკეთებულს სტანბაში, მისევე მეფისა წარსაგებელითა და ზედამხედველობითა. წიგნი ესე გარყუნილ იყო სხვადასხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც ჰომერის სტიხები პირისტრატოსის მიერ გასინჯულ იყო, ისე გასინჯა და შეამოწმა ძველთ ხელწერილებსა და შემდგომად დაბეჭდა.

ვახტანგ მეფის დაბეჭდვილი „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს 1587 მუხლთა, რამეთუ მრავალნი რიცხენი განმეორებული არიან ცთომით ან დატყვებულნი. ამ წიგნის მეორეს გვერდზე იპოვება ბაგრატიონთ ღერბი, რომლისა შუაში დახატულია კვართი იესო ქრისტესი. კვართის მარცხნივ დავით წინასწარმეტ-

ყველის ქნარი, მარჯვნივ შურდული, როგორც აჩვენებენ მათ ზედა მჭდარი ასოები **ჳ, ƒ, Ծ, ƒ, Ծ, Զ**, კვართის ზევით გვირგვინი, აკიბტრა და ხრმალი, აქეთ-იქით გვერდებზე ორი ანგელოზი, ანგელოზების დაბლა ერთი ლონი. ლერბის გარშემო არიან ასოები **ქ, 0, Ծ Ɔ, Զ, Զ, Զ, Զ, Զ**, რომელნიც ჰნიშვნენ: წყალობითა ღუთისათა დავითიან-პანკრატოვანი, მეფე გიორგი, ყოვლისა საქართველოსა. ლერბი ესე სჩანს, რომ გიორგი XI (იგივე—XII; რედ.) მეფის დროს მოპირილიყო, და მის ქვეშე იპოვება მისი განმარტება. ექვსის ოთხტაეპოვანის შაირებითა. ლექსების შემდგომად სწერია ვახტანგ მეფისაგან დაბარებულითა ვლახეთით მესტანბეთა მოხსენება. მეოთხე გვერდზედ დახატულია ვახტანგისა თუ გიორგი მეფის სახე.

ამის გარდა ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება“, რომელიც ფრად უმესაბამო და უხამსია. მაგალ., სადაც რუსთველი აშიკობასა სწერს, ვახტანგ მეფე თვისის განმარტებაში ამბობს, რომ ეს საღმრთო ტრფიალებაზე უთქვამსო, ხოლო თვითოეულმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარია და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედობასა „ვეფხისტყაოსანისასა“ განმარტებს საღმრთოს წერილითა და სხვ. ამის მიზეზით დაუტევეთ განმარტება ესე და მის მაგიერად დავბეჭდეთ მცირე ლექსიკონი უხმართა მდაბიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც „ვეფხისტყაოსანში“ იპოვებიან.

დიდის სიხარულით იყო მიღებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა მიერ და დიდი პატივიც დასდევს მის დამწერსა, რომელიცა სჩანს იმითი, რომ წიგნი ესე მართოდ ერთადერთი სხვათა მრავალთა პოემათა შორის შენახული იყო აქამომდე. თუმცა, როგორც ზევით ვსთქვით, მცირედ გარყუნილი რომელთამე მწერალთაგან. მაგალითად, სტინნი რიგ, რნა, რა, რაგ, როზ, რუე, სიგ, სკბ, სმბ, სპდ, ტვ, ტია, ტლ, ტლგ, ტმგ, ტნგ, ტნე, ტპ, ტუ, ყა, უკო, ულ, უნბ, ფიჲ, ფდო, ფვზ, ჰბ, ჰნო, ჰოვ, ღლ, ღლზ, ღმდ, ღმე, ღპო, ღყ, უა, ეზ, ელ, ელა, ელზ, ენბ, შაზ, ჩმვ, ჩტიე, ჩტმზ, ჩუკვ, ჩფლო, ჩოფნ, ჩფაე, რომელნიცა ჩვენ ახალს დაბეჭდილში ჩაუმატებთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთამე ხელნაწერებში. მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და „ვეფხისტყაოსანსაც“ ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩაეუმატეთ. ამას გარდა, პარიზში რომ სამეფოს ბიბლიოტეკაში ხელნაწერი არის, რომელიც 10 წელი წინ ვახტანგ მეფის დაბეჭდვილს „ვეფხისტყაოსანზე“ იყო დაწერილი, იმაშიაც იპოვებიან ზემოხსენებულნი ლექსნი.

მეფის ირაკლის მეორის, გინა გიორგის მეთაერთმეტის დროს იყო ჩოლ-აყაშვილი ჭიმშერ ერისთვის ძე დავით მდივანბეგი, მეფეთაგან პატივცემული, დიად მეცნიერი და უცხო პიიტიკოსი, რომელი პოვონებდა ასე უნდოდა ეთქვაო ტარიელს ნესტან-დარეჯანისათვის, სადა სწერია: „აწ რასაცა მე შაღირსებ...“ (მუხლი უღა), მის მაგიერად:

„საყვარლო ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ ჰმონებდეს,
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხერას ხარკად არ გცემდეს.
შენგან მეფე მონად ეყმოს, შენგან ბრძენი ველად რებდეს,
და მამ ბულბულსა რად ვზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს
ნეტად მას ვინმეა შენ ახლოს, შენ მხოლოსათვის ოხრევედეს.
ხმისა შენისა სმენითა ყურსა ატკობდეს, ალხენდეს.
ზოგჯერ ბადაშთა თვისადმი საამოდ მლიმრად ჰხედვიდეს.
და ხან ვარდთა ყნოსით სთვრებოდეს, ხან ეკლით განაფხილებდეს“.

ასე და ამგვარად ბევრს გამოუცვლიათ ადგილ-ადგილ „ვეფხისტყაოსანი“. შემდგომად ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ერთი ვინმე ციციშვილი ყოფილა ნანუჩად ზედ წოდებული, ვახტანგ VI მეფის წინ, რომელსაც მოუგონია და თვითონ გაუქვითებია სხვა რიგად „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო, სადაცა შეუერთაჲს ცამეტი, პუნქტით ათას ხუთასი სტინი. სტინნი ესე პარიჟის ხელნაწერშიაც იპოვებიან და ეგრეთვე მრავალი უცხო ამბევები სწერია. ამ ახალ დაბეჭდილში არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა, ამიტომ რომ რუსთველისა არ იყენენ და ამას გარდა დიდი განხილვაც უნდოდა.

ზემოხსენებულნი მომატებანი პირველი ჩვენ დაბეჭდვით ამიტომ, რომ მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ, ძველ ხელნაწერებშია იპოვებოდენ და ამის გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვენ, არ დატევება მათი, თუ კიდევ როდისმე დაიბეჭდება „ვეფხისტყაოსანი“, ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუთვნის ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს, განხილვით უნდა დაიბეჭდოს.

ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდვილს „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი ტიფოლორაფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ; ჩვენ გავასწორეთ და თუ რაოდენნიმე ცთომილებანი დარჩნენ ჩვენს ნაშრომში, წარმკითხველთაგან შენდობას ვითხოვთ. თვითოეულმა იცის, რომ წიგნი სრულიად უცთომოდ ძნელად დაიბეჭდება. სამნივე ჩვენ ვეცადენით, რომ წიგნი ესე ახლად აღბეჭდილი კარგათ მიღებულ იყოს ქართველთა მიერ. ამ წიგნისა დაბეჭდვაზე და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. [დ.] ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენა.

დვირტი ბაქრაძე

„გეფხისტყაოსნის“ შესახებ

„ვეფხისტყაოსნის“ დედააზრს რუსთაველი აფუძნებს თავის დროის საქართველოს ისტორიაზე. ამასთანავე, დიდ მსგავსებას იკვირებენ შედარება ენის ფორმისა და ხასიათისა „ვეფხისტყაოსანში“ და თამარის ბიოგრაფიაში. გარდა ამისა, აქაც და იქაც ხელისუფალთა სახელწოდებანი ერთნი და იგინივე არიან. „ვეფხისტყაოსნის“ შვიდნი ინდოეთის სამეფონი მოასწავებენ ჩვენის მხრის პოლიტიკურ დანაწილებას. „შვიდთა სამეფოთათვის“ ჩვენში თამარის მამის გიორგის დროდამ ნახე „ქართლის ცხოვრებაში“ (გვ. 265...). ნესტან-დარეჯანი ეს ერთადერთი ნაშობი ინდოეთის მეფის ფარსადანისა, რომელიც მას აღსაზრდელად აძლევს თავის დას, ქაჯეთს გათხოვილს, ქერივს დავარს, რას აჩვენებს, თუ არ ისტორიულ ფაქტსა, ესე იგი გიორგი მეფის დას ხვარასნის სულტანიათვის მითხოვილს რუსუდანს, რომელსაც შვილი არ ჰყვანდა (Histoire de la Géorgie, 395, n. 2) და რომელსაც მინდობილი ჰქონდა თამარის აღზრდა, თვით ნესტან-დარეჯანისათვის საქმროს ძებნა და ბოლოს მისი მითხოვება ტარიელისადმი, რომელიც ყმაწვილობითვე ფარსადანს მიეღო თავის სახლში („მეფემან თქვა: შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არის“), გვიჩვენებს თამარის საქმროს ძებნას, სოჲლან-დავითის ბავრათიონთ დასასრულ, თუ „ვეფხისტყაოსანს“ საფუძვლიანად გავარკვევთ, მაშინ, ექვი არა გვაქვს, იგი ბევრს სხვა დასამტკიცებელ საბუთს მოგვცემს იმიამა, რომ შის ავტორს აზრად აქვს საქართველოს პოლიტიკური წყობილება და ყოფა-ცხოვრება.

[1885]

რუსთაველის შესახებ¹⁰

...შოთა რუსთაველის გავლენას ადვილად გრძნობს მკითხველი თითქმის ყოველს ჩვენს შესამჩნევ პოეტზე. „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი რითმა, მეტყველობა, სიტყვის სიმდიდრე, საკვირველად გამოკვეთილი ლექსი უმჩნევლად სდებს თავის ნიშანს მწერალს, რა კი იწყებს მის შესწავლას. ეს გავლენა სხვაზე უფრო ცხადად ეტყობა გ. ორბელიანს. ახალ თაობის პოეტებმა, თუ აშკარად არ გამოირკვიეს ცხოვრების ცვლილება, გულით მაინც იგრძნეს ესა, მაგრამ გ. ორბელიანი მთლად გაება წარსულში. რუსთაველის ღროს საქართველოში პირველი ადგილი ეკირა სასახლის ყოფა-ცხოვრებას. პოლიტიკური გონებრივი მოძრაობა მაშინ სასახლეში იშვებოდა. ამისათვის არც ერთ იმ დროების პოეტს არ შეეძლო სასახლეზედ შორს დაეჭირა (თავი), გაშორება სასახლისა მწერლისათვის განდგომის, გაჩუმების ნიშანი იყო. ვისთვის უნდა ამოელო ხმა, ვისთვის უნდა ეწერა, როდესაც რაც კი სულიერად ფეთქავდა, სასახლეს ეხვია. ეს მიზეზი პოეტ-მწერალს იძულებულს ჰხდიდა, არ დაევიწყა, ვინ ეხვია გარსა და მხოლოდ მოწიწებით გაებედა თავის ალექსებულ გულისთქმის გამოცხადება.

ესლა მწერალს, თუ არა სურს სხვა მხრიდან გადმოვარდნილ ფრინველად ითვლებოდეს, უნდა დაუახლოვდეს ხალხს, გაიცნოს მისი ნაღველი, გახდეს წარმომადგენლად მისი კმუნებისა და სიხარულისა, როგორც ამბობს პოეტი.

რუსთაველმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს თავის პოემით. შვილის საუკუნის განმავლობაში, ათასნაირ ერის დარბევასა და დატყვევებაში, მან შეინახა „ვეფხისტყაოსნით“ ლიტერატურული ენა. არც ერთ პირს არ მიუძღვის ჩვენს ისტორიაში ამნაირი ღვაწლი ერის წინაშე. ორბელიანი კარგად ჰხედავდა ამას და გულმტკივნეული შეკუთრებდა რუსთაველის ენის დამახინჯებას. მართლაც, ქართული ენა არც ერთ საუკუნეში არა ყოფილა ისე დამცირებული და დამახინჯებული, როგორც ჩვენს ღროს, თუმცა ამაში ახალ თაობას არავითარი დანაშაულობა არა აქვს.

[1883]

რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაცავად!

უკვე შეიძლება საუკუნეა, რაც პოპულარობით სარგებლობს ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ვერ ნახავთ ლხინს ან დროსტარება-შექცევას, ვერც მწუხარებას, ვერც სერიოზულ სჯა-ბაასს, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდეს. მისი გამოთქმების დიდი ნაწილი ანდაზებად იქცა. ეს პოემა ზეპირად იცის თითქმის ყოველმა ქართველმა, განსაკუთრებით ქალებმა. მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი სავსებით მივიწყებულია კრიტიკის მხრივ. ჩვენი მამები ამ ნაწარმოებს ყოველგვარ კრიტიკაზე მაღლა აყენებდნენ და „ვეფხისტყაოსნის“ სახელის ან მისი ავტორის — რუსთაველის გაგონებაზე მხოლოდ განცვიფრებასა და აღტაცებას გამოხატავდნენ, ხოლო დღევანდელი თაობა ცილსა სწამებს პოემას, მიიჩნევს რა მას მისტიკურად, აზიურად, ფანტასტიკურ პოემად, და ბოლოს — თარგმნილადაც კი! მსგავსი შეფასებანი, ისე როგორც ჩვენი მამების სანტიმეტალური ამოოხვრანი, ყველასათვის, და განსაკუთრებით დღეს, საკმარისად შეუარაცხმყოფელია ამგვარი პოემისათვის და არავითარ წარმოდგენას არ იძლევიან მის ღირსება-ნაკლოვანებებზე, მამათა განწყობილებიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ პოემა დაწერილია ქართული სულისკვეთებით და ადვილად ზედება იგი ქართული გულის სიმებს. თანამედროვე თაობის თვალსაზრისი კი გვარწმუნებს, რომ ეს თაობა სათანოდო არ ადევნებს თვალ-ყურს ქართულ ენას და კარგად არა აქვს გაგებული „ვეფხისტყაოსანი“... სწორედ ეს გარემოება მაიძულებს, დავიცვა შეძლებისდაგვარად „ვეფხისტყაოსანი“ უსამართლო დევნისაგან და დავამტკიცო მისი ორიგინალობა, მაგრამ ჭერ საჭიროდ მიმაჩნია გადმოვეცე ამ პოემის ისტორია.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც მისი ავტორის სიტყვებიდან ჩანს, დაწერილია მე-12 საუკუნეში. საქართველოს ისტორიაში ცნობილი დედოფლის — თამარის მეფობის დროს. პოემის ავტორია შოთა, გვარად მესხი, ახალციხის მხარის პატარა ქალაქ რუსთავიდან. ბერძნული და ლათინური კლასიკოსების ცოდნის მიხედვით მტკიცდება, რომ რუსთაველი აღიზარდა ათენში, სადაც მა-

შინ ჩვენი მეფეები ყოველწლიურად გზავნიდნენ კეთილშობილთა წარმოშობის ოცდაათ-ოცდაათ ახალგაზრდას.

რუსთაველის ცხოვრებას სხვა ამბებიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი გარდაიცვალა იერუსალიმში, — არ არის ცნობილი, თვითონ გაემგზავრა იქ, თუ თამარ მეფის გაგზავნილია. მის თხზულებათაგან, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ ორმა იამბიკურმა ლექსმა, თუმცა ექვს გარეშეა, რომ პოეტი ბევრს წერდა. ამაზე ავტორი თვითვე მიუთითებს „ვეფხისტყაოსანში“:

„მე იმას ვაქებ, ვინც კვლავ მიქია“.

აქედან ცხადია, რომ თამარ მეფის შესაქებად მას, „ვეფხისტყაოსანის“ გარდა, დაუწერია სხვა ლექსებიც, რომლებიც ამჟამად დაკარგულია.

არც „ვეფხისტყაოსანი“ გადარჩენია დევნა-შევიწროვებას: ცნობილია, რომ მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში ანტონ I-მა კათალიკოსმა ბრძანა, შეეკრიბათ „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარები და დაეწვათ ისინი, რომგორც მავნე თხზულება. ანტონ კათალიკოსი თავის ნაწარმოებ „წყობილსიტყვაობაშიც“ სიძულვილით იხსენიებს რუსთაველს. გარდა ამისა, ყოველი ქართველი მეცნიერი თავის მოვალეობად თვლიდა გაესწორებინა პოემა თავისი ნება-სურვილის მიხედვით. ასე ამახინჯებდნენ პოემას მანუჩა ციციშვილი, ახლანა ალექსევი და მრავალი სხვა. ფიქრობდნენ „ვეფხისტყაოსანი“ დამთავრებული არა არისო და მის გაგრძელებასაც კი წერდნენ. ვახტანგ მეექვსემ კი პოემა დაბეჭდა 1712 წელს და თავის კომენტარებისა და სოფისტური მტკიცებების საფუძველზე მას რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭა. ასე ამახინჯებდნენ ამ პოემას ცრუ პოეტები. 1846 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ მესამე გამოცემა ქრესტომათიაში, რომელიც შედგენილია დ. ჩუბინაშვილის მიერ.

ამრიგად, ჩვენ წინაშეა ამჟამად მთელი პოემა, შემდგარი 1637 ტაეპისაგან.

თუ ვიძსჯელებთ იმის მიხედვით. რაც აქამად გვაქვს, მართლაც მოგვეჩვენება ეს ნაწარმოებები ნახევრადაზიურ პოემად, სადაც უხვად გვეჩვენება პიპერბოლური გამოთქმები და მეტაფორები. მაგრამ თუ გამოვაკლებთ პოემას რამდენიმე ტაეპს, რომლებიც აშკარად არ მიეწერება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, იგი არ წარმოგვიდგება აზიურ პოემად. ყველა ეს ტაეპი თავისი სტილით ძალიან ჰგავს რუსთაველის ლექსს. მაგრამ საკმარისია მათ ღრმად ჩავეუკვირდეთ, რომ რუსთაველისეულ ტაეპებში ისინი გამოჩნდნენ როგორც კარგად გამოთლილი ყალბი ქვები ნამდვილ ქვათა შორის. ამის დასამტკიცებლად დავიმოწმოთ 671-ე ტაეპი, სადაც ტარიელი უამბობს აეთანდისს:

ესე ქვანნი უკაიურნი. დეთა შეეფარნეს,
შემოვები. ამოხწყვიტენ. ყოლა, ვერას ვერ შეხაუნეს,
მათ მონანი დამიხოცნეს და სხვ.

აქ, როგორც ვხედავთ, ტარიელი ლაპარაკობს, რომ გაელიტა დევები და

თვითონ დაესახლა იქ. მაგრამ საოცარია: იგივე აზრი მეორდება ჰიპერბორულად მიმდევნო ტაეპში ამგვარად:

დეთა ყვირილი, ზახილი ზეცამდე აიწვოდა,
მათითა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყოდა,
მზე დაახნელეს მტვერითა, ალვის რტო შეირხეოდა,
და ასნი ერთ კერძო მომიხდეს, დაფერიწე, დახეოდა,

სრულიად ნათელია, რომ ეს ტაეპი არ ეკუთვნის რუსთაველს, იგი ხელოვნურად ჩართულია ვილაცას მიერ პოემაში. ასევე ჩართულია ტაეპები 1595, 1357, 463, 157, 158, 692 და ზოგიერთი სხვაც.

თუ გამოვრიცხავთ ამ ტაეპებს, მივიღებთ წმინდა ევროპულ, ორიგინალურ პოემას, რომელსაც აქვს ისტორიული საფუძველი და რომელშიც, როგორც სარკეში, ასახულია საქართველოს შინაგანი ცხოვრება. ამის ნათელსაყოფად დაეხანსათებთ პოემის ყოველ გმირს და ვაჩვენებთ, რამდენად მკვეთრად არის მათში მოცემული ქართული ხასიათი და ცხოვრება.

პოემის მთავარი გმირი ტარიელი, ინდოეთის მეფის ამირბარის შვილი, თავადაც ამირბარი და მეფის ნაშვილები, შეიყვარებს თავისი მწყალობლის ქალიშვილს, ნესტან-დარეჯანს, მოკლავს თავისი შეყვარებულის საქმროს, ხვარაზმელთა მეფის შვილს, შემდეგ ათ წელიწადს ეძებს უკვალოდ დაკარგულ ნესტან-დარეჯანს. ამ ხნის განმავლობაში იგი მოივლის თითქმის მთელ არაბეთს, მთელ ინდოეთს და სხვა ქვეყნების მიწა-წყალს. მოგზაურობის დროს მას შეემთხვევა ათასნაირი ფათერაკი, გაურბის ადამიანებს და ცხოვრობს განშარტოებულ გამოქვაბულში. ბოლოს იგი შეეყრება მეგობრებს და მათი დახმარებით პოულობს ნესტან-დარეჯანს ათი წლის შემდეგ.

ტარიელის სახით ავტორმა წარმოგიდგინა მოხეტიალე რაინდი, რომლისთვისაც უმთავრესია რწმენა და მეფე, მაგრამ როცა გამიჯნურდება, უღალატებს მეფესაც და რელიგიასაც და ათასნაირ დანაშაულს ჩაიდენს. ამგვარი მაგალითი ბევრი იცოდა საქართველომ.

უსაყვედურებენ ავტორს, რომ მან არაჩვეულებრივი ძალა მიანიჭა თავის გმირს, რომელიც სულ ადვილად იმორჩილებს ლომებსა და ვეფხვებს. აქ არის ცოტაოდენი სიმართლე: ქართველები, საერთოდ, გამოირჩეოდნენ ძალითა და არაჩვეულებრივი გამბედაობით. თუმცა, რასაკვირველია, ეს თვისება ვერ შეედრებოდა ტარიელების იდეალურ ძალასა და გამბედაობას. საერთოდ, აღმოსავლურ ფანტაზიას უყვარს გადაჭარბება. მაგრამ ცოტა როდია ევროპული სანიმუშო თხზულებანი, — ცხადია, არა თანამედროვე ლიტერატურაში, — სადაც ძალა, გამბედაობა, სიმარცხე, სისწრაფე, სილამაზე და სხვა თვისებანი 'საოცრად გადაჭარბებულია.

ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ვუსაყვედუროთ ავტორს: იგი თავის გმირებს ხშირად აფრქვევინებს ცრემლს; ეს არ არის ქართველი კაცის

თვისება. როდესაც ქართველი კაცი შეპყრობილია უიმედობით, სასოწარკვე-
თილებით, ამასთანავე განიცდის ძლიერ მწუხარებას, უმთავრესად სიყვარულით
გამოწვეულს, — იგი მეოცნებე, ჩუმი, პირქუში ხდება, ოღონდ არასდროს
ცრემლს არა ღვრის.

მთავარ გმირზე უფრო გამოკვეთილია პომის მეორეხარისხოვანი გმირე-
ბი. ესენია ტარიელის მეგობრები ფრიდონი და ავთანდილი.

პირველი მათგანის სახით ვხედავთ ქართველ ახალგაზრდას, რომელსაც
უყვარს შექცევა-გართობანი, უხვად გაცემა საჩუქრისა, იგი მამაცია და მზადაა
თავი დასდოს მეგობრისათვის.

მეორე გმირი — ავთანდილი უფრო გამოცდილია და განსაცდელის ქაშს
გონივრული რჩევა-დარიგების მომცემი.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველთან ყველა ქალი ემანსიპირებულია, და ეს
ავტორის გამონაგონი კი არ არის, ქართული ცხოვრების სინამდვილედანაა აღე-
ბული.

და მართლაც, საქართველოში ქალები ყოველთვის იყვნენ მამაკაცებზე
უფრო განათლებულნი. სწორედ ამ გონებრივ უპირატესობათა გამო იღვნენ
ისინი მამაკაცებზე მალა; ისინი მთელ სახლს განაგებდნენ; მოურავი ყოველ-
თვის ათანხმებდა მათ ადგილ-მამულის საქმეებს, მაშინ როდესაც ქმრები არ
ერეოდნენ სამეურნეო საქმიანობაში და თავიანთ უმთავრეს მოვალეობად
მიიჩნეოდნენ სახლში ყოფილიყვნენ მშვიდობიანობის დროს, ხოლო ბრძო-
ლის ველზე — ომის დროს, ქმრები ძალიან ზშირად თავიანთი ცოლების რჩე-
ვა-დარიგებისამებრ მოქმედებდნენ.

ქალები არასდროს არ ემალებოდნენ მამაკაცებს. ეს წესი შემოვიდა სპარ-
სეთისა და თურქეთის გავლენის წყალობით, ოღონდ ემალებოდნენ მხოლოდ
უცნობ მამაკაცთ. ამის დამამტკიცებელია ისიც, რომ საქართველოში რუსთა-
შემოსვლისთანავე ეგ წესი მოიშალა, ეს იმიტომ, რომ იგი არ იყო ხალხის ხა-
სიათისათვის ნიშანდობლივი. მხოლოდ გასათხოვარი ქალები არ იყვნენ საქარ-
თველოში დამოუკიდებელნი: მათ ბედს უთუოდ განაგებდნენ მშობლები, რომ-
ლებიც შეხედულებისამებრ, — იმის მიხედვით, თუ რა იყო მნიშვნელოვანი და
სასარგებლო თავიანთი გვარისათვის, — ათხოვებდნენ ქალიშვილებს მათთან
შეუთანხმებლად.

ამიტომ იყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გმირ ქალს ნესტან-დარე-
ჯანს უნდა დაეფარა სიყვარული ტარიელისადმი თავისი სურვილის წინააღ-
მდეგ და დათანხმებულიყო ხვარაზმელთა მეფის შვილთან დაქორწინებაზე;
მაგრამ ამის შემდეგ, როცა ტარიელი, თავისი შეყვარებულის სურვილისამებრ,
კლავს უფლისწულს, ნესტან-დარეჯანს ათი წლის მანძილზე ათასნაირი ფათუ-
რაკი შეეყრება, მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ დაავიწყებს მას ტარიელისადმი
სიყვარულს, იგი ბოლომდე ტარიელის ერთგული რჩება, ყოველივე ეს ქართვე-
ლი ქალიშვილების თვისებაა.

სხვა გმირ ქალთაგან რომანში შესანიშნავია ფატმან-ხათუნი და ასმათი: დატნან-ხათუნი, ცოლი ერთი ცნობილი ვაჭრისა. ზღვისპირა ქალაქში უცაბედად დაინახავს ავთანდილს, რომელიც ჩამოსულია თავისი მოგზაურობისას. შეუყვარდება იგი, სასიყვარულო ბარათს გაუგზავნის და მიიწვევს თავის სახლში. ღამით ქეიფის დროს. უეცრად მათ თავს წაადგებათ ფატმან-ხათუნის წინანდელი საყვარელი ვინმე ჩაჩნაგირი. გულმოსული და ეპკით აღვსილი ჩაჩნაგირი ქალს თითის დაქნევით ეშუქება და ანიშნებს, რომ იგი ყველაფერს ეტყვის მეფეს. ამ სიტყვების შემდეგ ქაბუკი მიდის. სასოწარკვეთილი და ცრემლმორეული ფატმან-ხათუნი ეშუღარება ავთანდილს, მოკლას ეს ქაბუკი. ფატმან-ხათუნი გააყოლებს ავთანდილს გზის მაჩვენებელს ჩაჩნაგირთან. ავთანდილი გაეშურება ჩაჩნაგირის სახლში, მოკლავს მძინარე ჩაჩნაგირს და მოუტანს ფატმან-ხათუნს თითს, რომელიც მან მოსჭრა ჩაჩნაგირს ამ მკვლელობის დასამტკიცებლად. გახარებული ფატმან-ხათუნი უამბობს ავთანდილს. თუ რაზე გადაუკრა სიტყვა ჩაჩნაგირმა.

ეს იყო შემდეგი ამბავი: ფატმან-ხათუნმა მენავეებს წაართვა მოტაცებული ნესტან-დარეჯანი, რომელსაც ფატმანმა ვერაფერი ათქმევინა: ბოლოს იგი მეფესთან მიიყვანა. მეფეს ნესტან-დარეჯანი მოეწონა და გადაწყვიტა, შერთოს ცოლად თავის ვაჟიშვილს. ეს ახალი უბედურება რისხვად დაატყდება ნესტან-დარეჯანს. იგი საშველად მიმართავს ფატმან-ხათუნს, რომელიც მართლაც უშველს ნესტან-დარეჯანს: მისცემს ცხენს, რომელზედაც ნესტან-დარეჯანი შეგდება და გაიქცევა, ჩაჩნაგირს უნდა, რომ ეს საიდუმლო მეფეს გაუმჟღავნოს.

აქ ფატმანის სახით გამოყვანილია ქართველი ქალი, რომელიც მზადაა, სასიყვარულო ინტრიგებისათვის მკვლელობაც ჩაიდინოს და ყველაფერი მოიწოდებდოს, ოღონდ მისი საიდუმლო ვინმემ არ გაიგოს, განსაკუთრებით — ქმარმა.

ყველაზე მკვეთრად ქართული ხასიათი გამოვლენილია ასმათში, ჯერ კიდევ სასახლის კარზე იგი ატარებდა საიდუმლო წერილებს ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს თვითონ უყვარდა ტარიელს. როცა ნესტან-დარეჯანი გაუჩინარდა, ასმათი ყველგან თან ახლდა ტარიელს, მის ჭირსა და ვარამს იზიარებდა, მასთან ერთად აფრქვევდა ცრემლს და ცხოვრობდა გამოქვამულში.

საქართველოში ეს სულაც არ არის საკვირველი. საერთოდ, წინათ და ზოგან ამჟამადაც, დამსახურებული გამდელი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ბატონის მხრივ; იგი თითქმის ოჯახის წევრად ითვლებოდა; ბატონთან ერთად იჯდა სუფრასთან, თავადაც ჰყავდა მოახლე ქალი და, თავისი ხმა ჰქონდა ოჯახში.

ამრიგად, თუ ეს პოემა სპარსულიდან ნათარგმნებია, — როგორც აეტორი ამბობს, — მაშინ როგორ მოხდა? ასეთია, მაგალითად აღწერა ნადიმებისა,

სხვადასხვა ადათ-წესისა, ადამიანთა ხასიათებისა და სხვა. ხოლო განსაკუთრებით სპარსეთში, მუსლუმანურ სახელმწიფოში განა ქალებს შეეძლოთ ასეთი თავისუფლებით ესარგებლათ? ექვს გარეშეა, რომ ეს პოემა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ჩუბინაშვილი, ორიგინალური ნაწარმოებია.

ავტორი, აღწერს რა საქართველოს შინაგან ცხოვრებას, სამართლიანად უნდა შეხედოს საქართველოსავე სხვა მხარეებსაც, მაგალითად, გამოკვეთა ქართველი ქალის ტიპი ფატმანის სახით.

უეჭველია, რომ ამგვარ სამართლიანობას შეეძლო გაეღიზიანებინა ქართველები და რუსთაველსაც ძალაუვნებურად უნდა ეთქვა, რომ მისი პოემა სპარსულიდან ნათარგმანებია და ქართული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები ალეგორიული სახელწოდებებით შეეცვალა.

მაშასადამე, ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ რუსთაველის რომანის გმირები სულ მოკლე ხანში, რამდენიმე დღეში მოივლიან ინდოეთს, არაბეთსა და სხვა ქვეყნების მიწა-წყალს, მაგრამ ამ ქვეყნების სახით ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ იმდროინდელი საქართველოს შვიდი სამეფო და ხუთი სამთავრო.

[1862]

სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“¹²

II

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპების ხასიათები

მრავალფეროვან და საგულისხმო ქართულ ანდაზებში ერთი ასირებული და გულსაწყვეტი ანდაზაც გვირეცია: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. და ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“. ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ყოველგვარ მშობლიურ რამეებზე გავგულგრილდით, რუსთაველზედაც, რასაკვირველია, გული ავიყარეთ. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ათასში ხუთი თუ მოიპოვება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გადაკითხული ჰქონდეს, და იმ რჩეულ ხუთ-ხუთისაგან შემდგარ ათასში — კიდევ ხუთი, რომ მისი დედააზრი გაგებული ჰქონდეს.

ერთმა ახალგაზრდა ცნობისმოყვარე ქართველმა ინატრა: „ნეტავი სპარსული ენა ვიცოდე, რომ მისი გამოჩენილი პოეტები — ჰაფის და ფირდუსი დედანში წაეკითხო, განსაკუთრებით მინდა შევიტყო, თუ რა არის შაჰნამე, ე. ი. წიგნი მეფეთა, რომელსაც ასე აქებენო“.

განა როსტომიანი არ წაგიკითხავს-მეთქი? — ვკითხე მე. — „ის არის შაჰნამე ქართულათ ნათარგმნი და როსტომიანი დაურქმევიათ მისთვის, რომ შაჰნამეს გმირს ჰქვიან რუსთემ ანუ როსტომ-მეთქი“.

ჩემდა გასაკვირველათ შევიტყვე, რომ იმ ყმაწვილს არც კი სცოდნოდა თუ ძველთაგან, რუსთაველს გარდა, სხვა წიგნი რამე დაგვრჩენია! — „დალოცვილო, „ვეფხისტყაოსანში“ რომ მოხსენებული არიან: „ვისრამიანი“, „ამირანდარეუჯიანი“, „დილარიანი“ და სხვანი, ესენი მაინც როგორ დაგაოწყდენ-მეთქი?!“ გამოდგა, რომ, თურმე, რუსთაველიც არ წაუკითხავს, თურმე გაგონებით სცოდნია და ბოდიშს ამითი იხდიდა, რომ რამდენჯერმე დავაპირე წაკითხვა, მაგრამ შიგადაშიგ უცნობმა სიტყვებმა გამიძნელეს საქმე და ხელი ამაღებინესო. — „დალოცვილო, თუ კი სპარსული ენის სწავლას ეპირები, რომ-

ლისაც არც ერთი სიტყვა არ იცი, უადვილესი და უმჯობესი არ იქნებოდა. რომ ის რამოდენიმე სიტყვა ამოგეწრა, შეგესწავლა და მერე ადვილათ წაგეკითხა „ვეფხისტყაოსანი“—მეთქი?“.

სიცილით მიპასუხა: „განა, არ იცი რომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო?“ დღეს ეს შენდობის უქონლობა ძალიან ატყვია „ვეფხისტყაოსანს“, მაშინ, როდესაც ის წინა საუკუნოებში ბრმათ სათაყვანო იყო საზოგადოთ ქართველებსათვის. ძვირათ სადმე მოინახებოდა მისთანა ვინმე, რომ წაკითხული არ ჰქონებოდეს; განსაკუთრებით დედათ სქესში უმრავლესობამ თავიდან ბოლომდე ზეპირათაც იცოდა და მათ რიცხვში მისთანები ერიენ, რომელთაც არც წერა იცოდენ და არც კითხვა. „ვეფხისტყაოსნის“ წყალობით დიდ ოჯახებში სკოლა იყო გამართული. როდესაც ერთი ვინმე ხმამაღლა დაიწყებდა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას, იმ დროს, ვინც კი მოცილილი იყო — დიდი, პატარა, შინაური, გარეშე, ბატონი თუ მსახური — ირგვლივ ეხვეოდენ მკითხველს, უგდებდენ ყურს გულმოდგინეთ და „ვეფხისტყაოსნის“ ტკბილი სიტყვები ღრმად ებეჭდებოდათ გულის ფიცარზე. ეს კიდევ ცოტაა. მისგან აღტაცებაში მოყვანილ ხალხს „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა რაღაც დიდებულ და საკვირველ განძათ, უმისოთ დიდებული ოჯახი დიდებულათ არ იწოდებოდა, რაც უნდა სიმდიდრით სავეს ყოფილიყო; ის ქორწილი საქებრათ არ ჩაითვლებოდა და ის მზითვი მზითვათ არ იხსენიებოდა, თუ რომ მზითვის სიაში პირველათ „ვეფხისტყაოსანი“ არ იქნებოდა მოხსენებული. მოვიყვან ორ მაგალითს:

ა) თქმულებაა, რომ ამ რამოდენიმე საუკუნის წინეთ ერთმა გამოჩენილმა, სახელგანთქმულმა რაინდმა — ქველმა წერეთელმა თხოვა ქალი არგვეთის თავადს, მორკმულსა და სახელოვან კაცს და იმან ასე მოსწერა სიძეობის მძებნელს: „აღმომავალო მნათობო, ვიცი რომ განთქმული ხარ ხალხში, საყვარელი ერის და ერთგული მეფის (მაშინ მეფის ერგულება ნიშნავდა ხალხის ერთგულებას). თუმცა შენისთანა კაცს ქალი არ დაეკირება, მაგრამ შენი დაუღვევრობა უარზე მიწვევს. საღმრთო წერილი ბრძანებს: „ორთა უფალთა სამსახური არ ჯერ არსო“. კაცი რომ ოჯახობას შეუდგება და ცოლ-შვილს მოეკიდება, იმან უნდა დაუღვევრობაზე ხელი აიღოს, რომ საოჯახო რამ მოიძომოკირნოს, მოიხვეჭოს და შენ კი ამავებს ყველას არ დასდე! აბა, სადა გვაქვს ციხე, რომ გაკირვების დროს თავი შეიფარო? სადა გვაქვს მონასტერი, სასაფლაო, მკვდრის სულის საოხებლათ და ცოცხლის სალოცავათ? როგორ იხსენიოს შენი ოჯახი დიდებულათ, რომ „ვეფხისტყაოსანიც“ არ გაქვს?!“.

გულნატყენმა სასიძომ პასუხათ შეუთვალა: სანამ ჩემი მარჯვენა მაგრათა მაქვს და გულ-მკერდი არ გამტეხია, — მე სხვა ციხე არ მეპირვებო. ჩემი წმინდა ტაძარი ჩემი გული და სვინიდიისია; და რაც შეეხება სასაფლაოს, ყოველი კუთხე ჩემი სამშობლოსი, ტყე იქნება თუ ველი, მთა თუ მინდორი, სადაც კი ჩემი მამულისშვილები წამებულან და მათი სისხლი დანთხეულაო —

ყველგან სასურველი და ღირსეული სამარხი იქნება ჩემი, სხვა საკირი-ალარ არისო.

ამ ორში მიუგო პასუხი, მაგრამ მესამემ კი ძალიან დააფიქრა და შეუთვალა იმაზე: „რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მართალია, არა მაქვს, ჯერ ახალ-შენი ვარ. მაგრამ იმასაც უეჭველათ შევიძენო“.

მეორე მაგალითი: ერთ თავადს გაუთხოვებია ქალი, მზითვეში გაუტანებია „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ სიძეს უკანვე დაუბრუნებია მისთვის. ამ შემთხვევას ისე გაუკვირებია სიმამრი, რომ სააარაკოთ დაუწერია ქვაზე ამბავი ამ გვარათ:

„ქალი მყვანდა ედემს ზრდილი, ოქრო ხუჭუქთმოსანი,
გაუთხოვე, მზითვათ მივეც ჩემი „ვეფხისტყაოსანი“,
მაგრამ ისევ დამიბრუნა, თურმე იყო სვანოსანი!“

და სხვ. ...

სვანოსანიო, ესე იგი უმეცარი, უსწავლელი, გაუგებარი სვანიებითო, ისე როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე ყრუ გადამთიელი ან მთიულო.

ეს ორი მაგალითი სრულიად საკმაოა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა სათაყვანო ყოფილა ხალხისათვის „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ეს თავყვანისცემა ყოფილა რაღაც უნებური, ბრმა. ამას გვიმტკიცებს უწარჩინებულესი ჩვენი ხალხის წარმომადგენლები.

ვანტანგ მეფე, დიდი შესანიშნავი ისტორიული პირი, კაცი ბრძენი და განვითარებული მწიგნობარი, გულდაწყვეტილია „ვეფხისტყაოსანზე“, რომ მისი აზრი ხალხმა ვერ გაიგოვო და მით მასზე ცუდი ზედმოქმედება აქვსო. ფატმანისაგან გატაცებულმა ქალებმა ფერუშარილის ხმარება ისწავლეს და კეკელუცობას მიჰყვეს ხელი და საზოგადოთ ხალხმა ტრფიალების მოდანზე ძალიან თამამათ დაიწყო ნაყარდო. და ეს სულ მითი მოსდით, რომ ნამდვილი აზრი „ვეფხისტყაოსნისა“ მათთვის გაუგებარი რჩებაო. მოუნდომებია თვითონ ახსნა „ვეფხისტყაოსნისა“ საღმრთო მეტყველების კვალობაზე და მისთან მისთანა დასკვნა გამოჰყავს, რომელიც რუსთაველს აზრათაც არ მოსვლია!

ანტონ პირველმა, კათოლიკოსმა, არა ნაკლებ ვანტანგზე გამოჩენილმა პირმა, ისე ურიგოთ დაინახა „ვეფხისტყაოსანი“, რომ მოაგროვებინა ხელნაწერები, შეაჩვენა, დაწვა და თავის „წყობილსიტყვაობაში“ ასე ამბობს: „რუსთველი, ის დიდი პიტიკოსი, ტყვილათ დაშვრა ამათათვის, ღმერთო შეუნდევ, ნუ მოჰკოთხავ ამ დიდ ცოდვასაო“.

მეფე არჩილ თავის თხზულებაში მოლექსობაში აჯიბრებს ერთმანეთს რუსთაველს და თეიმურაზ პირველს, იმ თეიმურაზს, რომელიც, მართალია, კარგი პოეტთაგენი იყო, მაგრამ რუსთაველის აჩრდილათაც არ ჩავარდებოდა. ამ ორ პოეტს განძრახ აბასებს ერთმანეთთან და ძლევას არჩენს მეფე თეიმურაზს და ამ უპირატესობას აძლევს, ანტონ კათალიკოსისა არ იყოს, არა მის-

თვის. რომ რუსთაველის ლექსთაწყობას სხვისი ვისიმე ჯობდეს, არა, საგანს უწუნებს. მართალია ბევრი ქომაგიცა ჰყავდა მის პოემის საგანს, მაგრამ ვაი იმისთანა ქომაგობას!.. მაგალითად, ციციშვილმა მანუჩამ ანუ ნანუჩამ გადართვა თავის მოწყალეების კალთა „ვეფხისტყაოსანს“, მოუალერსა, როგორც საყვარელ შვილს, მოუნდომა ვაშალაშინება და შიგადაშიგ, სადაც აზრები ვერ ნახა ნათლად გამოთქმულათ, ვითომ თავისი აზრით გააშვენიერა „ვეფხისტყაოსანი“ მით, რომ შიგადაშიგ თავის საკუთარი ლექსები ჩაუმარგალტა, რითაც ძალიან აწყენია ხალხს ძველთ და დღესაც დიდ გაჭივრებას აყენებს „ვეფხისტყაოსნის“ გამრჩევლებს. მხოლოდ ერთი გამოჩენილი მწერალთაგანი — დავით გურამიშვილი — ისენიებს რუსთაველს მოწინებით: „რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას ვერვინ შეედრებაო“.

აქ უნდა მოვიხსენიოთ სხვათა შორის, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ორგვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე: ერთი მხრით, მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში და მეორე მხრით, საკუთრათ პოეზიაზე რაღაც ბატონური, მავნებელი გავლენა ჰქონდა. მრავალსაუკუნეების განმავლობაში, ქართული პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთაველისაგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ველარც კი წარმოუდგენიათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა, თუ არ თექვსმეტმარტლოვან და ოთხთაეპიან შაირისა. მიდიოდენ რუსთაველისაგან ერთხელვე გათელილ გზაზე, უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთაველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო.

პირველი მწერალი, რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი. ჯერ ისიც დიდ ხანს მისდევდა რუსთაველს, ბოლოს მიხვდა, რომ მაჩანჩალა იყო მისი და სხვა არაფერი და მაშინ კი თქვა, „რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას სხვა ვერ შეედრებაო“, იკადრა გადახვევა და დაიწყო იმგვარ ლექსების წერა, როგორც არიან მისი „ქაცვია მწყემსი“ და მისი სახალხო „ეო-მეო“-ები.

ახლა ერთი ესეც უნდა ვიკითხოთ, თუ მართლა ისე გაუგებარი იყო, როგორც ხალხისა, ისე მწერლობისთვისაც „ვეფხისტყაოსნის“ დედააზრი, მამ რილასი ბრალია, რომ საყოველთაოდ ისეთი მიმზიდველი და წამტაცი ძალა ჰქონდა და აქვს? ნუთუ ის გატაცება და ხალხის აღტაცება უბრალო შემთხვევის ბრალი იყო? ნუთუ ამგვარი რამე უბრალო ხმის აყოლით მოხდა ანუ წამხედურობა იყო? არა! მოდა, ანუ წამხედურობა, დროებითი, ფეხმოკლე მოვლინებაა, იმას ხანგრძლივობა არა აქვს. მართალია, ხარბი თვალი, უბრალო რამით მიტაცებული, გულს იტყუებს, მაგრამ ამგვარი რამ მალე ჰქრება: ხარბი თვალი მალე ძღება, გულს ის უსაფუძვლო ახირებულობა მალე ჰყირკდება და ის შეცდრმა მეორეთ აღარ იჩენს ძალას, აღარ მეორდება. „ვეფხისტყაოსნის“ თავყანისცემა კი მრავალსაუკუნეობითია და მასთან ისეთი ბედი, როგორც „ვე-

ფხისტყაოსანს“, არც ერთი ხალხის კლასიკურ თხზულებებს არა ჰქონია. მაგალითად, ავიღოთ უკვდავი შექსპირის თხზულებები: რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხალხისათვის გაუგებარი იყო. აგრეთვე სხვების, ერთ დროში რომ ქება-დიდებაში ყოფილან, ის დრო წასვლიათ, ქება-დიდება გათავებით და დაიწყებაში მიცემულან; მასთანაც ყოველი წრისაგან ერთნაირად მოწონებაში არა ყოფილან. „ვეფხისტყაოსანი“ კი, დაიწერა თუ არა, ავტორის თქმის არ იყოს, მაშინვე გახდა ხელისხელ საგომანებელ, ობოლ მარგალიტათ და მას შემდეგ, მრავალ საუკუნოების განმავლობაში ღმირდნ ღმამაზე გადადის საყოველთაოდ, საამურათ და სათაყვანოთ. ეს იმის ბრალია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესაყვარებლათ მისი თავიდან ბოლომდე შესწავლა და დედა აზრის გაგება საჭირო აღარ არის. რა გინდ ბუნდში იყოს და შავი ღრუბელი ფარავდეს თვითონ მზის ბურთს, რაკი ერთხელ ამოვა — მისი შუქი მინც გვინათებს; ღამით, ჩასული იგივე მზე, შორიდან ნატყორც სხივებით ნათელს აძლევს მთვარეს და მთვარეც იმ ნარეკლ, უკუქცეულ სხივებით ჩვენც ნათელს გვაძლევს და თვითონაც ბრწყინვალეთ გვეჩვენება. რუსთაველისთანა გენიოსები სწორეთ იმ მზისგვართ ანათებენ ხალხის ჰკუა-გონებას. ამგვარ გენიოსებს წვრილმან პლანეტებივით ახვევიან გარშემო პატარ-პატარა ნიქის პატრონები, თვით იღებენ მისგან ძალას და მერე თავის თავად გვინაწილებენ ჩვენ. კარგათ ამბობს დავით გურამიშვილი: რუსთაველი აიბრძნისა და პოეზიის ზღვა არისო. შეიძლება, რომ ჩვენ ზღვა თვალითაც არ გვენახოს, მაგრამ მისი წყალობით გამოწადენი წყაროები და მდინარეები გვაგრილებდენ, ნაყოფს გვაძლევდენ, წყურვილს გვიკლავდენ და გვასიცოცხლებდენ. სწორეთ ამ პატარ-პატარა მდინარეებისა და წყაროების მსგავსათ შიგ „ვეფხისტყაოსანში“ გაბნეულნი არიან ადგილები, რომელთაც შეუძლიათ მარტო თავის თავადაც, მიუხედავათ მთელი თხზულებისა, შეაყვარონ მკითხველს და სათაყვანოთ გაუხადონ მთელი თხზულება. „ვეფხისტყაოსანში“, რა წოდებისაც უნდა იყოს კაცი, რა სქესისაც, რა მდგომარეობაშიაც და რა ხანშიაც — მისთანა რამ გულის საპასუხოს იპოვის, რომ იმ პატარა ნაწყვეტიდან გატაცებული შეიქნება და ბრმათ დაემორჩილება მთელ თხზულებას ისე, როგორც პატარა შავი თვლებისაგან გატაცებული აშიყი სათაყვანოთ და სატრფიალოთ იხდის იმ თვლების პატრონს მანდილოსანს. მაგალითებრ:

„ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი — სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოს შეჰყარნეს მიწამან, ერთგან მოყმე და მცხოვანი
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ნეტა თუ იყოს იმისთანა ქართველი, რომ ეს წაიკითხოს და რაღაც უცნაური გრძნობა არ გაემსჭვალოს გულში და სასიამოვნო ჟრუანტელმა არ დაუაროს ტანში?! და ეს იმიტომ, რომ ამ რამდენიმე სიტყვაში იხატება მთელი საქართველოს თავგადასავალი! ეს იყო ჩვენი ძველების ახსარება და მათი ფარ-

ზმალი. დედები ამ სიტყვებით უდებდენ თავის შვილებს პირველ ძუძუს პირში, ამ სიტყვებში აღგმევიწებდენ ენას, ამ გრძობით ამღერებდენ და ამ სასოებით ალოცებდენ. მრავალ საუკუნოების განმავლობაში, დგმიდან დგმაზე, რკულის კანონათ გადასულიყო ეს ჩვეულება, ძლიერათ გაუჭდა ქართველს ძვალ-რბილში და დღესაც, როგორც წინეთ მოვიხსენეთ, ეს ძველი თანშობილი სიკეთე მიძინებული აქვს ჩვენს ხალხს, მაგრამ დროდარო ამ გვარი ძლიერი ლახვარის ძგერებით, როგორც ეს სიტყვები არიან, ძალაუნებურათ იღვიძებენ ხოლმე. ნაპოლეონმა თქვა ერთ ხალხზე: „ცოტა გაფხიკე და თათარი ამოჰყოფს თავსაო“. აგრეთვე შეგვიძლია დღევანდელ ქართველებზედაც ვთქვათ: ცოტა რომ გაფხიკოთ — იგივე ძველი ქართველი გამოჰყოფს თავს. მართალია, დროთა ეითარების გამო, ის წმინდა ადგილები დაჰფარეია დღეს ქართველს გარედან შემოტანილი ტალახის წყალობით და ხანგრძლივი მუშაობაცაა საჭირო, რომ ის გაიფხიკოს, მაგრამ რუსთველის სიტყვები — კი, ნესტარივით სამკურნალოთ, ადვილათ წვდებიან იმ წმინდა დაფარულ ადგილს, ჩხველტენ და აღვიძებენ. აი, რის გამოა რუსთაველი ყველასათვის საყვარელი! ვიმეორებ, რომ მის თხზულებაში ყველა ჰპოულობს მისი წყლულის წამალს, მისი სანუგეშო მალამოს. იქ დედათ სქესს შეუძლია იბოვოს თავისი სიმართლე მით, რომ რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ გამოყვანილ ქალებს აძლევს არა თუ თანასწორ ღირსებებს და მნიშვნელობას მამაკაცებთან, თითქმის უმთავრეს მოქმედების მიზეზათ ისინი გამოჰყავს. განა შეუძლია ქალს, რომ ეს ლექსი წაიკითხოს და გული მადლობით არ აეყოს ავტორისადმი:

„თუმცა ქალი ხელმწიფე მართ ღვთისა დანაბადია;
ღვევი ღომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვდია“.

აქ მეგობრობის მოსურნე ნახავს უმაღლეს მაგალითს მეგობრობისას ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და სურვილს გაიმტკიცებს შემდეგი ლექსებით:

„ჩხამს მოყვარე მოყვარისათვის თავი კირსა არ დამრიდათ,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზათ და ხიდათ“.

განა შეუძლია გრძობა მორეულ ახალგაზრდას, რომ ჭეშმარიტი ალტაცებით არ მიიღოს ეს სიტყვები:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედან ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან,
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაჰკიდიან“.

ჰკუა დამჯდარი, ჰირანახული და სისხლმოკლებული, დარბაისელი მოხუცი განა ისე შეიძლება ამ ლექსების წაკითხვას, რომ სიამოვნებით თანხმობის ნიშნათ თავი არ გაიქნიოს და ჰალარაზე ხელი არ დაისევას:

„რა ექიმი დასნეულდეს. რაზომ გინა საჰებარი,
მან სხუა იხმოს მკურნალი და მაჰისაც შემტყობარი“.

მას უაპობს, რაც სჭირდეს სენი ცეცხლთა მომღებარი,
სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

და ანუ ეს ადგილი:

-გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,
გული ეამ-ჟამად ყოველთა კირთა შიშო, ლხინთა მღომელი,
გული ბრმა, ურჩი ხელისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა მეფეა რომელი“.

კირში და უბედურებაში მყოფ კაცს, როგორ სანუგეშოთ არ დარჩეს ეს
ჭეშმარიტება:

-საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უბღების,
ზოჯჯერ მხეა და ოღესმე ცა რისხვით მოუქუხღების“.

განა სანუგეშოთ, და გასამხნეველათ არ მოხვდება გულში არა დიდ ჩა-
მომავლობის კაცს შემდეგი ჭეშმარიტება:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამახედ ჰქონდათ ცილობა:
ბატონი კაცსა ასაქმებს და ჰქუას გამოცდილება;
ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზდილობა,
თუ კაცი თავათ არ ვარგა, ცუდია გვარის შვილობა“.

არა თუ ამგვარი რამეები, თვით უსიამო და უსამართლო რამეც საამურათ
და სამართლიანათ გამოხატული ჰყავს რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“. მაგა-
ლითად, რა იქნება ბატონყმობაზე უსაძაგლესი და უუსამართლოესი, სადაც,
ერთი მხრით, უსამართლო უფლება და ძლიერებაა და, მეორე მხრით კი, და-
ჩაგრული სისუსტე და მონობა? მაგრამ ესეც კი ისე საყვარლათ და სასიამოთ
გამოუხატავს რუსთაველს, რომ უკეთესი აღარ შეიძლება! ამას ვხედავთ ჩვენ
როსტევეან მეფის ავთანდილთან, ავთანდილის შერმადინთან და ნესტან-დარე-
ჯანის ასმათთან ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და კიდევ ბევრგან სხვა-
განაც.

ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი რამეები თავის თავად სამაგალითოდ
არ შეუთხზავს რუსთაველს; იმან მხოლოდ ის აიღო და გამოგვიხატა, რასაც
ხალში ხედავდა. და მართლაც, ამ უკანასკნელ დრომდი ბატონყმობას ისეთი
ხასიათი არ ჰქონია საქართველოში, როგორც სხვაგან; ის იყო მხოლოდ ძმუ-
რი, ერთმანეთთან უმფროს-უმცროსულ დამოკიდებულება. გავარჩიოთ ეს კარ-
გათ.

ბატონი მეგრულათ პატონია და ჰანურათ პატრონი. ცხადია, რომ აქ მხო-
ლოდ ორი „ტ“ და „რ“ არიან გადასმულ-გადმოსმული, თორემ ეს სიტყ-
ყები ერთად ნიშნავენ მზრუნველი, მფარველი და არა უფალი. აგრეთვე
ჩვენი ძირეული სიტყვა „ყმა“ არ ნიშნავს მონას. ყმა, ე. ი. ყმაწვილი, ანუ ახალ-
გაზდა. რუსთველი ხშირათ ყმას ეძახის თვით ტარიელსა და ავთანდილსაც.

ამ ნაირათ ბატონყმობა ნიშნავდა თანასწორ, ძმურ უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას, განაწილებას და არა ნაძალადევ ბრძანებულობას, და რუსთაველსაც სწორეთ ამ გვარადა აქვს გამოსახული. ამ ზემო მოყვანილ ნაწყვეტ-ნაწყვეტ პირებიდან, რომლებიც აქ სინამდვიშით მოგვყავს, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ დედა აზრის გაუგებლობა მის სიყვარულს ბევრს ველარას უშლიდა. ამ გზის დაბნევაში და სინამდვილის გაუგებლობაში, ცოტა არ იყოს, თვითონ რუსთაველსაცა აქვს ბრალი, რადგანაც თვითონვე უთქვამს ერთგან შემდეგი:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი თბოლი, ხელის-ხელ საგოგმანები.
ვაოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საკოჲმანები“-ო.

და სხვ.

ამაზე ვახტანგ მეფე, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა სპარსული მწერლობა, ამბობს, რომ მთლად გადავიკითხე, რაც კი რამ იყო სპარსულათ დაწერილი, და ამ ამბავს კი ვერსად შეეხვდით. ამასაც რომ არ ეთქვა, ისეც ცხადია, რომ ეს არის მართალი და რუსთაველი იძულებული ყოფილა ტყუილი ეთქვა. მართალია, მაშინ ცენზურა და ცენზორი არ ყოფილა, მაგრამ აზრის ყლაპიები კი მაშინაც, უეჭველია, იქნებოდენ. ხალხის უმეცარი უმეტესობა ნეტათ თავმოყვარეა და არ იფერებს, არ ტყდება თავის უშეცრებაში და ყოველივეს თავისებურათ ხსნის, რასაკვირველია, სრულიად წინააღმდეგ სიმართლისა და მომქმედის განძრახვისა. ბევრნი დღესაც კი ამტკიცებენ, რომ რუსთაველმა მისი და თამარ მეფის სიყვარული აწერაო და მაშინ, რასაკვირველია, ამას უფროც იტყოდენ. აი, რას მოერიდა აეტორი და მით გადაასხვავებრა! მართალია, თვითონ რუსთაველი ამბობს:

„ჩემი აწ სცანიო ყველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ესე მიჩნს ღიღად საქებრად, თავი არ გამოიქიქია“-ო.

და ან ეს:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხუელი,
ესთქვენით ქებანი ვისნიმე, არავად გამოჩქუელი“-ო.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს რუსთაველისაგან თამარის შეყვარებას და მის სასიყვარულო ქებას. ხალხში, როდესაც საქებარი რამ განდება, ის ყოველთვის საზოგადოთ მის წარმომადგენელს მიეწერება ხოლმე საქებათ. მაგალითად, თამარ მეფის დროს სახელოვანმა მოძღვართ უხუცესებმა ააგეს ტაძრები, რომელნიც სახსოვრათ და სადიდებლათ თამარისა დარჩენ. მხედარი ცდილობდა მისვე ასამაღლებლათ გამარჯვებას, — მაგალითად, ზაქარია არღუთაშვილმა შორსა და შორს გადააწვდინა. თავისი ძლევაშოსილი მკლავი, რისთვისაც თვითონ მიიღო მხარგრძელის წოდება და აღიდა თამარის სახელი.

აგრეთვე მწერლებმაც იჩინეს თავი და მათ რიცხვში რუსთველიც გრძნობდა, რომ მისი „ვეფხისტყაოსნით“ ის აქებდა და აღიღებდა თამარ მეფეს. არა, მისი საგანი სულ სხვა იყო. იმას სურდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე — დედაკაცისაც. საქართველო რომ გაშლილი და თანასწორი ბუნებრიანი იყოს, მაშინ ის ერთ პირს აიღებდა გმირათ, მაგრამ რადგანაც, როგორც წინეთ ვნახეთ, ის სხვადასხვა ბუნებიანია და ხალხებიც სხვადასხვა ხასიათების მექონი, ამისათვის იმან საჭიროთ დანახა, ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეეკსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიიდან ტარიელ, იმერიდან ავთანდილ და შავი ზღვის პირიდან ფრიდონ და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მოელი საქართველოსა. ამას თვითონვე აღიარებს შემდეგით:

— აწ ენა შინდა გამოთქმათ, გული და ხელოვნება,
შალი მომეც და შეწვევა, შენგნით მაქვს მიესეც გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფაღცა უნდა სხენება,
მით სამთა გმირთა მამაცთა სკირსთ ეთრმანეთის შონება“.

ამ ლექსებით ცხადათ ჩანს, რომ რუსთაველს უძნელდება ამ სამი გმირის ერთმანეთის დამონება; ერთს მეორეზე უპირატესობას არ აძლევს, სამივე თანასწორათ მოწონს მათი სხვადასხვა ხასიათებით და მიტომაც იმეორებს: „სამთა ფერთა საქებელთა, ლამის ლექსთა უნდა ლევაო“.

არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესახებ, უეჭველია, ქართლები ტარიელზე მიგვითითებენ, იმერლები ავთანდილს აირჩევენ და საზოგადოთ შავი ზღვის პირელები ფრიოდონს მოიწონებენ. ეს მის ბრალია, რომ ის განსაკუთრებითი ხასიათები, რომლებიც ამ სხვადასხვა კუთხის საქართველოს ხალხს ერთმანეთისაგან განასხვავებენ, რის შესახებაც შევნიშნეთ წინა ლექციაშიც, ამ გმირებში იხატება და თვითეული კუთხე თავის საკუთარ, ახალ ნაცნობს ხედავს იმათში. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ახლა, როგორც პირველ ლექციაში ვამტყიცებდით, ცუდათ ხმარობენ ხასიათებს და მაშინ კი კეთილისაყენ ჰქონდათ მიქცეული.

ტარიელ რაღაც უცნაური ძალის მქონი გმირია! მის სურვილს ტყვილა ნურავინ ეწინააღმდეგება! რასაც კი თვალს მოჰყრავს და ხელს მოავლებს, პირდაპირ მიიწევს მასზე და დაუმსხვრეველ-გაუსრესელს არ გაუშვებს, — ის ქარიშხალივით გააბნ-გამოაბნევს!.. ყოველთვის და ყოველგან პირდაპირია. იცნობს მხოლოთ თავის საკუთარ გულს, მისი ამყოლია, ისა რწამს, იმას ემსახურება და უმისოთ ქვეყანა ჩალათ უჩანს. ეტირება — მოუირიდებლათ ტირის მოთქმით და თუ ეცინება — იცინის. ერთი სიტყვით, ხილული ქვეყანა მისი სათამაშო ბურთია. მაგრამ, როცა გონების ძალღონეზე დგება საქმე, მაშინ კი ცოტათი აკლდება ფერი მის გმირობას.

სულ ამის წინააღმდეგია ავთანდილი. ნაკლები ძალღონის არც ის არის,

თუმცა სანდომიანობა კი აკლია მის გმირობას. ეს მისი ბრალაია, რომ ყოველთვის და ყოველგან გული დამონებული არ ჰყავს თავით. მისთანას არას იზამს, რომ ჯერ თავს არ დაეკითხოს; ასჯერ გაზომავს და მერე ერთხელ გამოპირის. თავის თავს გარდა იმას სხვებიც ჰყავს ხოლმე სახეში და ამისთვის გულს უდროვოთ და უადგილოთ გათამაშების ნებას არ აძლევს. იმასაც, ტარიელივით, გული გაუმეფებია, მაგრამ ვეზირათ მიუჩნევია მისთვის თავი და უმისოთ არ ამოქმედებს. ჭირში თუ ლხინში, ყოველგან ზომიერია. „კაცუნდა ჭერბი იყოს. გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, — ამბობს და ამის გამო საძველოსა და საბოლოოვით შეუძლებელს ვერსად ხედავს, გულს არაფრით არ იტენს. „ცისა და ლეთისაგან ნაბრძანებიაო“, — ამას ამბობს, როდესაც ის ნესტან-დარეჯანის საძებნათ მიდის. მაშინ, როდესაც ტარიელი კი გულგატეხილი მოთქვამს, ტირის, თავს იკლავს და ამბობს: უგანგებოთ არა იქნება რაო და ტყულა ჩემგან მისი ბრძოლა წინააღმდეგობააო! ავთანდილ ჰკუა-გონების გმირია და ღირსეულადაც აფასებს თავის თავს, იცის, ვინც არის.

„შე ისა ვარ, ვინცა სოულად არა მოპყრებს კიტრსა ბერადო!“

ნართალია, ეს ორი გმირი ერთი ერთმანეთის ტოლები არიან, როგორც სხეულის, ისე ჰკუის ძალითაც, მაგრამ ჩვენ კი უპირატესობას სხეულის ძალაში ტარიელს ვაძლევთ ძალა უნებურათ და გონებისაში კი — ავთანდილსა. ტარიელი, თუმცა დიდ ჰკუა-გონების პატრონია, მაგრამ მუდამ გულის გადაყოლა უფარავს ამ ჰკუას და ხშირათ თავხედათ გამოჰყავს; მაგალითად, ნესტან-დარეჯანის დაკარგვა მისივე წინ დაუხედაობის ბრალაია და ამით მისი ბუნებითი ჰკუა ჩვენს თვალში ფასს აკლებს. ავთანდილი თუ არა ნეტი, ნაკლები გოლიათი არ არის ტარიელზე, მაგრამ, როგორც ზემოთა ვთქვეთ, მის ვაშკაცობას მიმზიდველობა აკლია და ეს მისი ბრალაია, რომ გამოზოილი-გამოანგარიშებულათ იბრძვის. ტარიელს გული აბრკოლებს, ავთანდილს — თავი, და თანაგრძნობას კი გული უფრო იზიდავს თავზე. მართლაც, ავილოთ ამათი გადანახადი ჩხუბები და ერთმანეთს შეეუწონოთ.

ტარიელი რომ ხატაველბებე მიდის საომრად, — ისე თავხედათ იქცევა, რომ ერთი ათასზე მიჰყავს. თვითონაც იქითკენ მიიწევს, სადაც მეტი ჯარია და ისეთ ნაირათ იბრძვის, რომ ზარსა ჰცემს მოწინააღმდეგეს: ყვირილითა და ვაშკაცური შეძახებით აბრუებს!.. უთვალავ გარემემორტყემულ ჯარში ლომივითა ტრიალებს!.. ისე გამხნეებულაია, რომ იმდროს ომის მეტი აღარა ახსოვს რა და განსაცდელს არ ერიდება! გემინია იმდროს, რომ არა მოუვიდეს რა მარცხი ტარიელს და ეპ, მართლაც შუბი გაუტყდა, გადაემტერა!.. მაგრამ კიდევ არა უშავს რა: აქა აქვს მისი ხმალი, ახლა იმას მიჰყო ხელი და უარეს საქმეს შერება: ჰვლეთავს, ჰვლეთავს, ცხენსა და კაცს შუა აპობს, ზოგს მანდიკურათ გადაჰკიდებს ხოლმე, ცხენ-კაცის გორასა დგამს და ბოლოს ძღვევაც რჩება!.. მისი ხმლის ბასრობა თვითონაც კი მოწონს და შეჰკვივის: „ეპაქებ, ხმა-

ლო, ვინცა გლესაო!" — ბრძოლის ეშხით აღტაცებულია!.. ის თვითონ ზეგარდმო შთაგონებით იბრძვის. სრული პოეტური სურათი გვეხატება მის ბრძოლაში, იტაცებს ჩვენს გრძნობას... შიშით ერთ წამს თვალს ვერ ვაშორებთ და როცა გამარჯვება რჩება, ჩვენი გულიც დამშვიდებულია და ერთიორათ თანავუგრძნობთ მის ვაშაკაცობას. მისი ბრძოლა პოეტურია, ლირიკული, თუ კი შეაძლება კაცის ქლევტა-კვლავზე ასე ითქვას, — გული, გული და გული!...

ასლა ავიღოთ ავთანდილის ომი მეკობრეებთან ზღვაში. ის რაღაც მშვიდობიანათ და გულგრილათ ემზადება საომრათ. იარაღსაც ახირებულს ჰკიდებენ ხელს: რკინას და კეტს! ვაჭრებს ეუბნება: „თქვენ აქ თუ რამეს დამიშლით, თორემ მოხმარებით ვერ მომეხმარებითო! თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ და ომის უჩვეველნი, გასწით, დაიმაღენით, ძირს ჩადით და ომი მე დამაცადეთ, მარტოც ვეყოფი იმათო!“ და აი, იმართება ომი!... მეკობრეებმა მოუახლოვეს ნავი და უნდათ რკინის ცხვირით თავისი ნავი ატაკონ ავთანდილის ნავს და დაამარცხონ, მაგრამ ავთანდილი ჯერ მშვიდობიანათ დგას და ხმასაც არ იღებს. ბოლოს, მოახლოვდენ თუ არა უცბად, დევივით, რკინის კეტს მოუხვედრებს და მეკობრეების ნავის ცხვირს ამტვრევს, მარილის ქვიშივით ფშენის(აი, თურმე, რისთვის უნდოდა ის რკინის კეტი)! ბოლოს საბელით აჩერებს მტრას ნავს, გადაუხტება და, ვაი მეკობრეების ბრალი: შავ დღეს აყენებს, ველარავინ გადაურჩება მის მარჯვენას! ეს ბრიოლა მართლა რაღაც ზღაპრული, დევეგირულია, მაგრამ ჩვენ კი მაინც ისე არ გვატყუებს, როგორც ტარიელის ომი!.. და ეს მისი ბრალია, რომ აქ წინდაწინვე ვიცოდით, — ავთანდილი გაინარჯებდა. იმას გამომანგარიშებული ჰქონდა, რაც მოხდებოდა. ჩვენი გულიც დამშვიდებული იყო. რაც აღრევე ვიცოდით, ის მოხდა. ჩვენი გული არაფერს შეუშფოთებია, მოულოდნელს არას გაუკვირვებია.

ტარიელის ომში გული ბრძანებლობდა. აქ კი, ავთანდილისაში—თავი. ის თუ აღტაცებული, პოეტური, ლიკირული ბრძოლა იყო, ეს დამჯდარი, კრიტიკულია და მიტომ უფრო საყვარლათ ხვდება პირველი ჩვენს გულს და გვიტყუებს ტარიელისაგენ. ასლა მივმართოთ მესამე გმირს — ფრიდონს.

ის ამ ორ გმირს ცოტათი ჩამორჩება, არც ტარიელის ოდენი გული აქვს და არც ავთანდილის სწორი თავი. ის არის საყვარელი გუნების მექონი: უშიშარი, მხნე, ღონიერი, ქეიფის მოყვარე და ტოლამხანაგისათვის თავგანწირული. უკანასკნელს არას დაიშურებს მეგობრისათვის სიყვარულს მაინცა და მაინც ძალიან არ გადაჰყვება. ის უფრო ქორ-მიმინოს და მწვეარ-მეძებარს ეტანება; ქეიფობს თავისთვის. ზღვა და ხმელეთი მისი სანადირო, საქეიფო მოედანია. თავისთავათ მოქმედება არ შეუძლია, მაგრამ მხარის მიცემა კი უკეთესი არ იქნება. ამას ამტკიცებს ის მისი თანამოზიარობით და მომხრობით ნესტანის გამოხსნის დროს. ის, ქაჭეთის ციხეზე მიმდგარი, თოკით გადასულას ეპირება, მხოლოდ საბელის გაგდებას ევედრება. მასთანაც ის მასალის მძლეველია. თუ მისი მასალებით ხელი არ შეეწყოთ, შორს ვერ წავიდოდენ ვერც ტარიელი

და ვერც ავთანდილი. ჯარი მისი წაიყვანეს, იარაღი მისი, ნაღი მისი: ტარიელის შავი ტაიჭიც მისიველია, ერთი სიტყვით, უმცროსი, მაგრამ საჭირო და გამოსადეგი არის, უმისობა არ მოხერხდება, უთუოდ ჭირშიაც და ლხინშიაც თანამოზიარე უნდა იყოს. რადგანაც, თუმცა მცირეთ კი, მაგრამ მაინც ორივეს ჩამოჰგავს ფრიდონი, როგორც ავთანდილს, ისე ტარიელსაც, ამისათვის ცალკე იმაზე ბევრ ლაპარაკს, მაინცა და მაინც, აღარა ვხდით საჭიროთ. ჩვენ მხოლოდ შევედარებთ ერთმანეთს იმ ორ გმირს — ამერელ ტარიელს და იმერელ ავთანდილს ისე, როგორც რუსთაველი აგვიწერს. მაშინ დავინახავთ. თუ რა განსხვავებაა მათს მოქმედებაში ერთსა და იმავე საქმეში, რა გვარიც უნდა იყოს ეს საქმე.

ნუ დავივიწყებთ, რომ ორივეს, როგორც ტარიელს, ისე ავთანდილსაც, სიყვარული ამოქმედებს. პირველს უყვარს ინდო მეფის ფარსადანის ქალი — ნესტან-დარეჯანი და მეორეს — თინათინ, როსტევეან არაბთა მეფის ქალი.

III

დავიწყით სიყვარულიდან. ტარიელი არის ინდოეთის მეფის ფარსადანის ამირბარი და ამირსპარსალარი, თვითონაც მეფის შვილი და შვილივით შეყვარებული ნეფე-დედოფლისაგან, რომელთაც ერთი ქალის მეტი არა გააჩნიათ რა. ამ ქალს ეწოდება ნესტან-დარეჯანი, ერთხელ, როდესაც მეფე ბრუნდება ნადირობიდან, ტარიელს უბრძანებს — „მინდა ჩემი ქალი ვსახო და შენ ეგ ერთი ასხმა ღურაჭები თან წაშოიღე, მივუტანოთ“. ქალი მზეთ უნახავთ იზრდება: საკუთარი კოშკია მისთვის აგებული და იქა ზის, არავის არ ეჩვენება, გარდა ნათესავებისა; მას ერთი ასმათ ჰყავს მოახლეთ მიჩენილი. შედის მეფე თავის ქალთან, ტარიელი კი გარეთ რჩება. მეფე ასმათს უბრძანებს, რომ გარეთ მყოფ ტარიელს, რომელსაც ნება არა აქვს მზეთ უნახავთან შემოსვლის, ღურაჭები ჩამოართვას და შემოუტანოს ნესტან-დარეჯანს. ასმათ რომ გამოდიოდა, რაღაც უნებურათ იმგვარათ აუხია ფარდას პირი, რომ ტარიელმა მოჰკრა თვალი შეენიერ ნესტან-დარეჯანს და გარეტანდა: მოხვდა გულში ტრფიალების ისარი და მოედო სიყვარულის ცეცხლი... მაშინვე დააბნდა და უსულოთ დაეცა იქვე!.. სამი დღის განმავლობაში გონს არ მოსულა. შეძრწუნდენ მეფე-დედოფალი, შეიძრა სასახლე!.. არ იციან, რას უნდა მიაწერონ ამგვარი უცეხი ავადმყოფობა!.. მოასხეს ყოველი კუთხით მკურნალები. ახვრებენ სხვადასხვა სასმელებს. მუყრნი (მოლლები) შეშინებულისას ულოცვენ. ზოგი ამბობს: ბელზებელს შეჰყარია, ე. ი. ეშმაკეულობისაგან არისო; ზოგი სენს აბრალებს, ზოგი სევდას და ზოგი რას! ბოლოს მკლავიც გაუხსნეს, მაგრამ არა ეშველა რა. მართალია, თუმცა ცოტა კი ზოიხედა, მაგრამ, შორჩენა-განკურნება კი ძნელია!.. მისი მკურნალი მხოლოდ მისი უნებურათ და უეცრათ მკვლეელი ნესტან-დარეჯანია. და, აი, ის კიდევაც უგზავნის ასმათის ხელით სამკურნალოს: ატყობინებს, რომ თავს რათ იკლავ — მეც მიყვარხარო!.. ამ სიტყვამ

უცერათ გაჰკურნა ტარიელ, ახლა აღარა ტკივა რა... ის ისევ ვამთელდა, გალომგულდა!.. ნზ:თ არის, რომ ჭეყანას შეებრძოლოს!.. ქეიფობს, ლხინობს, ტოლ-ამხანაგებში სვანს და ამგვარათ ზრდის მის ნესტანისადმი სიყვარულს, ბოლოს ხელავს თავის სატრფოს და ტყობილობს მის სურვილსაც. ნესტან უბრძანებს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი. რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“.

თუ რომ გინდა ჩემი შენდამი სიყვარული გამტკიცდეს და ჩემი ღირსი შეიქნე, ჯერ სახელი რამ მოიპოვე, თავი იჩინე, მაშულს ემსახურე: წადი, შეეგბი ხატაველთ და მათი ჯინი ამოგვაყრევენო. ტარიელს ერთი თქმის მეტა აღარ დაჰირვებია. რწანს ნესტანის ნათქვამი, ეკვი აღარა აქვს მის სიყვარულზე და სულწასული, მოუთმენლად გაიჭრება ხატაველებზე და ომს გამოუტყხადებს.

ავთანდილიც არაბთა მეფის — როსტევეანის სპასპეტია, მის სამეფოში პირველი კაცი. იმას მისი პატრონის — როსტევეანის — ქალი თინათინი უყვარს... ეს სიყვარული ღრმათ აქვს გამჭდარი, მაგრამ ტარიელისავით კი ვერ რევის ხელს. უყვარს. იტანჯება ჩუმათ, თავისთვის და ელის მარჯვე დროს. აი, როგორ აგვიწერს რუსთაველი ამ სიყვარულს:

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დაშლულად,
რა მოზორდის, ვერ მჭერტელმან, ვარდი შექმნის ფარნაყულად,
ჩახის, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად
სპარალო, სიყვარული, კაცსა შეიქმს გულნაყლულად“.

გრძნობს, ითმენს სიყვარულს ავთანდილ, ტარიელივით არა ბნდება, დროს ნოელის და, აჰა, ბედი იმ დროსაც, იმ შემთხვევასაც აძლევს: როსტევეან მეფე სიცოცხლეშივე უპირობს თავის ასულს თინათინს გამეფებას და რჩევას ჰკითხავს დარბაისლებს: ქალი რომ არის, მიმძიმსო. ეს რომ ესმა ავთანდილს, იმედი გაუშართლდა გულში, მაშინვე გამოიანგარიშა, რომ რალაი თინათინ მეფეთ იქნება, მე, როგორც სპასპეტი და პირველი კაცი, ვალდებული ვიქნები ხშირათ ვეახლო ხოლმე, ხშირათ წარვდგები ხოლმე ჩემი სატრფოს წინ და მაშინ ადვილათ შესაძლებელია, ჩემ სიყვარულს რამე მოუხერხდესო. და ამ აზრით პირველი მედასტურე შეიქნა მეფის; სხვებიც აიყოლია. აი, როგორ გვიწერს ამას რუსთაველი:

„რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიხედა სიაზე, ვნება სკირს მისო ქალისა;
თქვა: ზედი-ზედა მომხდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა.
ნეთუ მით ეპოვო წამალი მე ჩემი ფერ-გამქრალისა!“

ამ აზრით წახალისებული და გულდამშვიდებული, ის ზრდის თინათინის სიყვარულს, მაგრამ ისე არა, როგორც ტარიელი სახალხოთ, აღტაცებით და

სმა-შექცევით. როდესაც პირველათ ცნობა მიუვიდა ნესტან-დარეჯანისაგან, მაშინ ტარიელ ქეიფობდა ტოლ-ამხანაგებში და სმას ეძლეოდა. ავთანდილი კი მარტოობას ეძებს... სიყვარული იმას დიდ საიდუმლოთ მიაჩნია, იმაზე ფიჭვი და ლოცვა ერთი და იგივეა. როგორც ლოცვის დროს საჭიროა მარტოობა და მხოლოთ სალოცავზე ფიჭვი, ისე აქაც, სიყვარულის გრძნობის დროს, საჭიროა მარტოობა, რომ სხვა რამემ გონება არ გადიულოოს. და, აი, ავთანდილიც მარტო ზის ოთახში, იგონებს თავის საყვარელს, ზელში უჭირავს საკრავი და დაპლიდინებს ზედ. გრძნობთ აესილი. ამ ყოფიანში ზედავს იმას თინათინის მიგზავნილი კაცი, რომელიც ეუბნება: მისგან დაბარებული ხარო.

„ავთანდილ სჭდა. მარტო საწოლს, ეცა ოდენ მარა პერანგი;
იმღერა და იხარებდა, წინა ედგა ერაი ჩანგი;
შემოვიდა მის წინაშე თინათინის მონა ზანგი,
შოასენა: „გიბრძანებო ტანი ალვა, პირი მანგი“.

ავთანდილ მხიარული მიდის თინათინთან და იქ ტყობილობს მისგან, რომ იმასაც ჰყვარებია და მის მეტს არავის დაასაკუთრებს თავს, მაგრამ ჭერ-კი, როგორც ნესტანმა ტარიელს, ისე უდებს ესეც პირობას, მაგრა სულ სხვა გვარს. „წადი, ჭერ ის მოძებნე, ვიდაც უცხო მოყუე რომ გინაძავს შენ და მამაჩენს, შეიტყუე ხორციელი იყო ვინმე, თუ უსულოო, ადამიანი, მიწის შვილი, თუ ეშმაკეული რამე, ციდან ჩამოუარდნილიო“. სამ წელიწადს აძლევს დროს ვაღათ; მერე კი მოდი, მე ისევე ასე უფრტკვენილათ და დაუქკნობლათ დაგიზღვდებო და შენც „შეგეერები, შემეყარო“. მოხვდა ამით ავთანდილს სიაბე. რწამს ესები ყველა, მაგრამ ტარიელივით შლეგათ არ გარბს მაინც. იცის, რომ ქვეყანა ცვალებადია; კაცის გული მალე გადატრიალდება ხოლმე და ამისთვის საიმედო ნიშანს რამესა თხოვს საყვარელს დასამტკიცებლათ:

„შესმა თქვენი ნაუბარი. გავიგონე, რაცა ბრძანე,
ვარდასა ქაცი მოაპოუს, ეკალამცა რად ვეფხანე,
მაგრამ, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე,
სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რამ წამატანე“.

ასე ეუბნება, ხატზე აფიცებს, თვითონ ეფიცება, საბუთს ჰკიდებს ზელს და მერე მიდის ბრძანების ასასრულებლათ; ტარიელივით უეჭვოთ, უცბათ არ გარბის.

ახლა როგორ ასრულებენ ისინი მათ მინდობილებას? ტარიელს, როგორც კი მიუახლოვდა ხატათეს, ბრძოლის სურვილი ანთო. წინ ხატაველთა ხანის მოციქულები მიეგებენ და თხოვს, რომ ბევრი ჭარით ნუ მოხვალ და ნუ აგვაგონებთო; ჩვენ მზათა ვართ, უბრძოლველათ დაგმორჩილდეთო. ამაზე ვაზირები ურჩევენ ტარიელს: ნუ დაუჭერებთ, ისინი მოლაღატენი არიან და მოტყუებას გიპირებენო. ამასთან, მართლა, მთხრობელიც მოუვიდა ტარიელს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის, სული მიუდის, ცოტა ჭარით გარბის და

უნდა ძალე ასარულოს მისი საყვარლის სურვილი. იმაზე კი აღარ ჰფიქრობს, რომ შეიძლება ადვილათ ფაფიერაკს გადაეციდოს, მისი აჩქარებით და გულის აყოლით შეიძლება ისიც გააფუქონ, ჯარი დაუმცირონ, მეფეც შეარცხვინოს და საყვარელსაც გული მოუყლას, მაგრამ ის რას დასდევს ამბებს!.. ან სიკვდილი ან ძლევა!.. თავს იმეტებს, საეჭვოში ვარდება. მაშინ, როდესაც აუჩქარებლათ და გაუჭირვლათ. მთელი ჯარით რომ მივიდეს, შიში და ეჭვი აღარაფრის იქნება.

ავთანდილ აუჩქარებლათ კვალში უდგია მისდა მინდობილ საგანს; დადის, დაეძებს გულმოდგინეთ. აჰა, ერთი თველა დარჩენილა ბორჯამლი! ეს უკლავს გულს!.. შედის ერთ უდაბურ ადგილში, სადაც მონადირე ქურდებს წაატყდება ნოულოდნელათ და მათგან გაიგებს, რომ ის ვილაც უცხო მოყმე, შავცხენიანა, აგერ მიდისო. გამოუდგება და დანახავს თვითონაც. ტარიელი რომ ყოფილიყო. პირდაპირ, ჩიქურ მივარდებოდა ამ თავის საძებარ საგანს, მაგრამ ავთანდილ კი შეჩერდა და არ შეუტია, არ შეეჯახა და ეს არა მიტომ, რომ ვითონც შემკრთალიყოს და შეშინებოდეს. არა! მაშინვე ეს განიძრაბა: ეს ვილაც არის, მეტათ შლეგი და ახირებელი ვინმეა, ადამიანს ერიდება, ეკრძალება. ამის ნაგალითი გვიჩვენა ადრევეაც ნადირობის დროს, ახლაც ეს ქურდები მათრახით უცნაურათ 'შეუმწიფებია! რომ მივიდე პირდაპირ და შევებრძოლო, ან იმან უნდა მომკლას და ან მე და რათა? ის, რისიც შეტყობა მინდა, რისთვისაც გადნოვქირილვარ საძებრათ და ამდენი დრო დამიკარგავს, მაინც გაუგებარი დანიჩრება, და მისი ამბავი დაიკარგვის საუკუნოლო!

„რადგან ისი არის რადმე უცნობო და ისე რეტად, რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ქვრეტად, ზე ვეწევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-უღეტად, ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ. დაიმაღის მეტისმეტად“.

„რაცადა არის, არა არის, თუცა არ ედგნეს ბუღენი, სადაცა მივა, მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუღენი, მუნიღან ვძებნო ღონენი ჩემნი არ დასამრუღენი“.

აი, რა მიზეზით არ უნდა შეტაკება ავთანდილს ტარიელის და მართლაც აუჩქარებლათ, აჩრდილივით მიდევს შეუნიშნავათ ტარიელს, თვალს არ აშორებს. ორი დღე და ღამე იარეს ამგვართ; მესამე დღეს, საღამო უამს, ერთი შამბნარი გაიარეს, წყლის პირათ ქვაბი გამოჩნდა და იქით მიემართა ტარიელი. ახლა კი მიხვდა ავთანდილი, რომ ის არის მისი ბინა და ბუღე. შეჩერდა, ნეტს აღარ მიჰყვება, თავს არიდებს. ცხენი ძირს მიაბა, თვითონ გავიდა მაღალ სესე და იქიდან ათვალეირებს, თუ რა ამბავიაო. ტარიელ გადახტა ცხენიდან, გამოეგება შავით მოსილი ქალი — ასმათ, ერთმანეთს გადაეხვიენ, მიატირეს... ცოტა ხანი დაჰყო ტარიელმა და ბოლოს ისევე გაუდგა თავის გზას, მარტო და აგლო ასმათი. ამას ყველას უყურებდა ავთანდილ და უკვირდა. ეხლა კი ჩამოვიდა ხიდან, წყნარათ მივიდა ქვაბში, შეიბყრა გაკვირვებული ასმათი და მონ-

დომა მისგან შეეტყო ტარიელის ამბავი. აღარაფერი ღონე არ დაუზოგავს, მუხლიც მოუყარა და ყელგამოწევით ეხვეწებოდა, მაგრამ მაინც ველარას გახდა. ბოლოს თმით წამოზიდა და მოკვლა დაუპირა, რომ შეეშინებია, მაგრამ ასმათმა უთხრა, — „მომკალ, მე სიკვდილი კიდევ მენატრება და შენ მაინც ვერას შეიტყობო!“ ტარიელი რომ ყოფილიყო, ამდენს ვერად მოითმენდა და ისე დაანარცხებდა მიწაზე უსულოთ, როგორც ის ვეფხი, ნესტანს რომ შეადარა.

მაგრამ ავთანდილი კი თავისას არ იშლის. იცის, რომ აქ რალაც საიდუმლოა და უთუოთ სიყვარულის ამბავი რამ იქნებაო. მიჭდა თვალთ-მაქცურათ კუთხეში და დაიწყო ტირილი მოთქმით... ბოდიშს თხოვს, რომ გაგარისხეო, მაგრამ რა ვქნა, სიყვარულისაგან გამხეცებული ვარ, ცეცხლი მეკიდება და მაპატივეო, მიჯნური მტერსაც კი შეებრალებაო... ამგვარი სიტყვებით გული მოუბრუნა ასმათს, ანკესივით წამოაგდო ზედ მისი გული: შეირიგა და დაიდობილა ისე, რომ იმის შუამდგომლობით ტარიელს თავი გააცნო და ისიც გაიცნო: მაინც შეიტყო, რასაც ეძებდა და დაკმაყოფილებული წაემართა საყვარლისაკენ.

ტარიელმა ძებნა ერთხანათ მისი საყვარელი და რომ ველარსად შეხვდა, — გაიტეხა გული, დაეცა სულთ და სრულიად გამხეცდა: ცხოვრობს ქვაბში, ასმათის მეტს არავის იახლებს, მოთქვამს და ტირის... ოცნებათ არის გადაქცეული, უდაბურ ადგილებს ეძებს და ადამიანს ერიდება! მაშ როგორღა უნდა გაიგოს საყვარლის ამბავი?!

ავთანდილი კი ისეთს ადგილებს ირჩევს, სადაც ხალხი მეტია. შეიტყო თუ არა, ამა და ამ ადგილას ზღვის ხელმწიფის სამფლობელოა, სადაც ყოველი კუთხით თავს იყრიან ხმელეთიდან და ზღვითაო, — იქით მიაშურა. რადგანაც იცის, რომ იქ ვაჭრული ქალაქია და ვაჭრების ქვეყანა, თვითონაც ვაჭრულათ ირთვება, „რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“, — ჰფიქრობს. აქ ერთ ღიაცს გადაატყდება, ფატმან-ხათუნს, ვაჭართ უხუცესის ცოლს, რომელიც პირდაპირ ამიყობას დაუწყებს ავთანდილს და იწვევს თავისკენ. ჯერ უკვირს ავთანდილს, როგორ შემომბედა და რა ჩემი საამიყოაო! ბოლოს დაფიქრდება და ამბობს: ის ქალი ბევრის მნახველი იქნება, ბევრი რამ საიდუმლოებიც ეცოდინებაო, აქ ისეთი ადგილია, რომ მგზავრი არ გამოუპარებაო: მოდი ერთი, მივწყვები ნებას, თავს მოვაჩვენებ შეყვარებულათ და მაშინ მისგან ბევრს საიდუმლოებს გავიგებ, რადგანაც დედაკაცებს ზნეთა აქვთ, საყვარელს ყოლიფერს, რაკკი იციან, გაუმჟღავნებენ ხოლმეო და ვინ იცის, ეგებ ზოგი საძებარი საქმისაც რამ გავიგოვო.

„ისი ღიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა.
მიოყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვაეს ალთა,
ნულთ რა მარგო, მე მისი გარდახდა ჩემგან ვსცნო ვალთა“.

„სტევა: დიაცა ვინცა უჯარს, გაეჯსის და მისცემს გულსა, აუცი და მოყივნება არად შესწონს ყოვლად კრულსა, რაცა იყია, გაუცხალებს, ხვანიალსა უთხრობს სრულსა. ზიჯობს. მიეჯვე, განლა სადმე ესცნობ საქმესა დამალულსა“.

ამას გადაწყვეტს, წერს პასუხს და, მართლაც, უცნაური შემთხვევით ტუობილობს საძებარ ამბავს. წიგნს მიაწერიანებს ფატმანს ქაჯეთში ნესტან-დარჯანისაყენ, პასუხსაც ჩაიგდებს ხელში და მიუტანს ტარიელს. ამ გვარათ, ტარიელს ხელიდან წაუვიდა მისი სატრფო. ფრიდონაყ ნახა ერთხელს ზღვის პირათ, რომ ნავით გამოიტანაო ზანგებმა, მიაშურა მისი ცხენით, მაგრამ გაასწრეს და ვერას გახდა რა. ავთანდილს კი თვალთაც არ უნახავს, მაგრამ გონების თვალის შემწვობით შეიტყო, სადაც იყო ქაჯეთის ციხეზედაც მიმდგარი სამივე მეგობრები, თავთავის ხასიათის შესაფერათ თათბირობენ. ფრიდონ საბელით ქურდულათ გადაპარვას აპირობს; ავთანდილ ვაჭრულათ, პოტყუებით შესვლას და ტარიელ კი პირდაპირობაზედა დვას. ამგვარათ ჩვენ ეზებავთ, რომ ტარიელი მოქმედობს გულის აყოლით და ავთანდილი კი თავს ეკითხება.

თუ გავიხსენებთ წინა ლექციას, როდესაც ამერლების, იმერლების და შავი ზღვის პირელების ხასიათების განსხვავებზე ვლაპარაკობდით, მაშინ ნათლად დაეინახავთ, რომ ტარიელში იხატება ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვისპირელების. მასასადაამე, ჩვენი შენიღვნაც რუსთაველის სურვილის შესახებ საფუძვლიანი ყოფილა.

რაც აქ კაცებრს შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც. ნესტანი ამერია და თინათინი იმერია.

რადგანაც წინა ლექციებში, საზოგადო ხასიათების გარჩევის დროს, ჩვენ ქართველ ქალებზე არა გვითქვამს რა, ამისათვის საჭიროთ დავინახეთ, რომ ახლა აქ, სანამ ნესტანზე და თინათინზე ვიტყოდეთ რამეს, მოვიხსენიოთ ისინი. იმ თავითვე გაგონილი ჰქონდა და კიდევაც რწამდა ქართველ ხალხს, რომ, როდესაც მოციქულებმა წილი ჰყარეს მანედ, თუ ვის რომელ ქვეყანაში ექადაგნა სიტყვა ქრისტესი, მღვთისმშობელმაყ მოინდომა მონაწილეობის მიღება და წილათ ზედა საქართველო. სხვათა შორის, ჩემი აზრით, ამის ბრალიც იყო, რომ სხვა ქვეყნებში ისეთი ნდობა და თავისუფლება არა ჰქონდათ ქალებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს პატივი ღირსეულათაც შეიფერეს ჩვენმა დედებმა. ბირველათ ანდრია მოციქული მოვიდა საქართველოში საქადაგებლათ კოლხიდით, დაასო ჯვარი ენგურის პირათ (დღესაც იმ ადგილს ჯვარი ჰქვია). მაგრამ ვერას გახდა, მაშინ. როდესაც ნინო მოციქულთა სწორმა, ნანა დედოფლის, მირიანის მეუღლის, შემწვობით კი მთელს საქართველოს მოსდო ქრისტიანობა. არც ერთ მეფის დროს ისე არ განთქმულა საქართველო, როგორც თამარ მეფის დროს, თუმცა ქალი კი იყო; არც ერთ მოწამეთაგანს იმდენი ტანჯვა არ მიუღია რჯულისა და ქვეყნისათვის და მისთანა მაგალითი არ უჩვენებია ხალხისათვის, როგორც ქეთევან დედოფალმა.

საქართველოს ისტორიის შესწავლა თვალდათვალ დაგვანახებებს ჩვენ, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი მიუძღვის დედათა სქესს. პირში თუ ლხინში, შინ თუ გარეთ ცხოვრების მანქანა მათ ხელში ყოფილა და ჯარაც მათ უტრიალებიათ. სამშობლოსათვის თავის განწირვა, უბრალო რამ, ჩვეულებრივი ყოფილა. ათას და ათი ათას მაგალითებიდან ერთიც რომ მოვიყვანოთ, საკმაო იქნება. მარაბდის ომში, სადაც ცხრა ძმა ხერხეულიძე მებროშენი ერთს დღეს მოიკლა, უკანასკნელ შვილს, ზომაკვდავს, ჩამოართვა ხელიდან ბაირალი მოხუცმა დედამ... იმ დროს სძლია ქართველმა ქალმა დღობას და თვითონ წაუძღვა წინ ქართველ ჯარს!..

ჩვენში მაშინ ივლითებიც ცოტანი არ ყოფილან და, მართალია, ეგებ-ბიბლიურ ივლითივით ქვეყნის გამოსახსნელათ თავი არ მოუჭრიათ ონოფრეებისათვის, მაგრამ საქართველოს დასალუპავათ შეხებში და სულთნებში აღძრულ სურვილებისათვის კი ბევრჯელ მოუკვეციათ თავი მათი საკუთარი თავგაწირვით. არათუ ხორციით, სულითაც კი ემსხვერპლებოდენ ხოლმე ჰამულის სიყვარულს: რჯულზე ხელს იღებდენ... და ცოლებათ მიჰყვებოდენ უსიამო შეხებასა და სულთნებს, ოღონდ სამშობლოს შესახებ მათი გული მოევოთ!... დღეს, ამ სასოგადო ზნეობით დაცემის დროს, ხასიათების მრუდობა, თუ არ უმეტესათ, ნაკლათ მაინც არ ატყვიათ ქალებს კაცებზე. მაგრამ ეს კი უნდა ვთქვათ, რომ მომავლასათვის საიმედო ნიშნები ქალებში უფრო იხედება. ორმოცდათი წელეწაღია, რაც ვაყებს გზა ეიღევათ, მიდიან სხვაგან და სხვაგან სწავლა-განათლების მისაღებათ, მერე მოდიან აქ და წინ სამუშაო ბევრი რან უხედებათ. მართალია, ჩვენ მისი თანახმა არა ვართ, რომ ეითომც ამ ხალხს არა გაეკეთებინოს რა, ბევრი გააკეთეს. მართალია ციხე-დარბაზები არ აუგიათ, ვერც თავის კეთილდღეობა წაუყვანიათ კარგათ. მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზებია. ვისაც სურს მათი შრომის და ნაყოფის დანახვა და მათი აწონ-დაფასება, თვითონაც უნდა გონების თვალი გამოახილოს და მაშინ უეჭველია აზრს გამოიცვლის მათ შესახებ. არა, ბევრი გაუკეთებიათ ამ ვაყებს, მაგრამ იმათ აღგიღზე ქალები რომ ყოფილიყვენ, იმათაც რომ იმდენი დრო და საშუალება ჰქონოდათ, ეჭვი არ არის, მეტ სარგებლობას მოუტანდენ ჩვენს ქვეყანას თავის თავად და ვაყებსაც აღძრავდენ ენერგიულათ კეთილსამუშაოთ. ეს მონავალი და წარსული დროს დედები უცნაურათ და საკვირველათ გამოუხატავს რუსთაველს თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“. ამგვართაგანი არიან ნესტან-დარეჯან და თინათინ. პირველი ამერთა ქალია და მეორე იმერთა. ერთი მათგანი ძალიან ემზგავსება ხასიათებით ტარიელსა და მეორე ავთანდილს. აქ ისინიც შეუადართ ერთმანეთს.

ნესტან-დარეჯანმაც, ნახა თუ არა ტარიელ, მაშინვე შეუყვარდა და ისე გადაჰყვა გულს, რომ ვეღარ მოახერხა დაფარვა: არა თუ ასმათს გამოუტყდა, თვითონ ტარიელსაც წაგნსა წერს და საბუთს უგდებს ხელს, სიყვარულის სენით გამსჭვალულებისათვის იმ სამკურნალო მალამოს, რომელიც ზშირათ ბო-

ლოს სამსალათ გადაიქცევა ხოლმე. მაგრამ ამეებზე, აღარა ჰფიქრობს ნესტან. პირველათ რომ შეიყვანა სანახავათ ტარიელ, — რალაც უცნაური რამ ჰოუვიდა... კრძალვა-სირცხვილი და სიყვარულის გრძნობა ორივე ერთად მოაწვა, აყრუოლა და ენა დაუბა... ბოლოს ძლივს მოიბრუნა სული, მოიხმო ასმათი და ყურში ჩაუჩურჩულა: „მოახსენე ამირბარს, რომ წავიდეს, მეტი აღარ შემიძლია-თქო“.

„დიდ ხანს ვაღვ და არა მითხრა სიტყვა მისა მონასურსა,
ოდენ ტკილათ შემომხედის, ვითამცა რა შინაურსა;
ასმათ უხმო, მოუბნესა, ქალი მოსდგა, მითხრა ყურსა:
„აჲ წაიღო, ვერას ვითხრობს! მე კვლავ მიმცა აღმან მურსა“.

რა დიდებული გრძნობაა და რა მდიდარი სურათია გამოსახული ამ რამდენიმე სიტყვაში!... ნესტან-დარეჯან, მისი ატაცებული სიყვარულით, მისი უნებური და უმანკო კეკლუცობით და მისი ყმაწვილური კრძალვა-ახირებულობით უცნაურათ იზიდავს ჩვენს გულს, ჩვენს თანაგრძნობას და მზათ ვართ, სულში ჩავიძვრებით. ახლა ვნახოთ ესევე ნესტან-დარეჯანი, როდესაც შეიტყო, რომ ხორასნელ მეფის შეილს აძლევენ, რჩევა ჰქონიათ, ტარიელი იქ ყოფილა და დათანხმებია! ეს პატარა, მორცხვი, მშვიდობიანი გვრიტი უეცრათ იზრდება ჩვენ თვალწინ და როდესაც თავის სიმართლისა და სურვილის დაჩაგვრასა ხედავს, — ვეფხვათ გადაქცეულია და ზარდამცემათ ზრისხანეობს. საღლა არის აღრინდელი უმანკო, ნაზი და გამოუცდელი პატარა ნესტანი?!

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხვი პირგამეხებელი;
არცა მზე გეინდა, არც მთვარე, ხე აღუა ედემს ხებული.
ასმათან დამსვა შორს გეარად გულსა მე ლახეარხებელი;
მერე წამოჭდა წარბშერქმით, გამწყრალი, განრისხებელი“.
„მიბრძანა: მიკვირს რად მოხველ, მძლევი პირისა მტკიცისა,
გამწირაჲი და მუხთალი შენ გამტეხელი ფიცისა,
მაგრამ ნაცვალსა პასუხსა, მოგცემსო ზენა მის ცისა“.

ეს კიდევ ცოტაა, მართო ამას არ აჭერებს და ემუქრება:

„რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!“
და ცოცხალ ვიყო. შენ ინდოეთს, ლმერთო, ხანი ვერა დაჰყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო,
სხვა ჩემებრივ ვერა ჰპოვო, ცათაღმისცა ხელი აჰყო!“.

სწორეთ ამ დღიდან ჩაეხატა ტარიელს ნესტანი ვეფხვის მზგავსათ და ამიტომ იცემს ვეფხვის ტყავს. მართლა, რომ გასაოცარი სანახავია! ახლა ეს ის აღარ არის, როდესაც ჩვენ გვიყვარდა და სულში ჩაძვრენას ვუპირებდით. არა, აქ ძლიერი ვინმე! იქ თუ ტკილი გრძნობით გვიმონებდა, აქ გამწარებული გრძნობის ძალით გვაკვირვებს და უსიტყვით გვიმონებს... ახლა სულში ჩაძვრენას კი ველარ ვუბედავთ, — გვინდა, რომ თაყვანი ვსცეთ და ფეხთ ვენთხვიით

მას!... ესეც ქალთა შორის ტარიელია — ძლიერი და გამბედავი, მაგრამ, როგორც გულის ამყოლი, იმასავე უთანასწორო თავის მოქმედებაში. ცოტა რამ ამაღლებს ცამდი და ცოტა რამვე დაჰკემს ხოლმე. მაგალითად, ამისთანა ძლიერი ხასიათის მექონი უსიტყვოთ ემორჩილება მამიდა მის დაეარს! დავარ უმოწყალოთ ჰკემს, ლანძღავს უშვერი სიტყვებით, ბოლოს კუბოში ამწყვდევს, ისტუმრებს დასაქარგვით და ნესტანი არათუ ვერ ეწინააღმდეგება, ერთ „მიშველესაც“ ვერ იძახის!... იმდენი გზა გაიარა—ზღვა-ხმელეთი, ბოლოს ფატმანის ხელშიაც ჩაეარდა... ისე დაცემულა სულით, რომ ხმას არ იღებს, მხოლოთ ტირის და მოთქვამს!... ისიც ტარიელსავეთ გარეტიანებულია... დარწმუნებული უნდა ვიყოთ, იმან რომ თავის ვინაობა და მდგომარეობა გაამჟღავნოს, ზღვის მეფე იმას შეიბრალებს და სურვილს აუსრულებს, მაგრამ ნესტან კი გულს ველარ ერევა და მხოლოთ ტირილს უნდება. გზაშიაც, მერე, გაპარვის შემდეგ, რათ არ იფარავს სახეს?! რატომ განგებ არ იცვლის სახეს და მიდის და მიანათებს თავისი საკუთარი სახით და მით ყველას ყურადღებას იქცევს და უვარდება ზელში ქაჭეთის მეფის მეკობრეებს?! მიტომ, რომ ყოველთვის და ყოველგან, როგორც არის, ისე უჩვენებს თავს!.. პირდაპირია ტარიელივით. ქაჭეთში, შეპყრობილი კოშკში, ის სულ მუდამ ტარიელზე ჰფიქრობს და განძრახავს აქვს, როცა მეფის ძე დაბრუნდება ქაჭეთში და მოინდომებს მის ცოლათ შერთვას, ის მაშინვე გადავარდება მალლიდან, დაეხეთქება კლდეს, თავს მოიკლავს და საიქიოს პირნათლად შეხვდება მის საყვარელს, — არ უღალატებს. აქაც ყველგან — გული, გული და გული!..

სულ სხვა გვარია თინათინ. ის, ავთანდილის არ იყო, გულის ამყოლია იმდენათ, რამოდენათაც თავი ნებას აძლევს. იმას უყვარს ავთანდილი, მაგრამ ამ სიყვარულს დრომდე გულში იმაღავს და არავის არ შეამჩნევენებს. ასე გასინჯეთ, რომ მამასთანაც აღარ შევიდა, მისი უგუნებობა რომ გაიგო: ყოველთვის და ყოველგან მარჯვე დროს ეძებს. აი ახლაც, როდესაც გამეფდა და ნება აქვს — ვინც უნდა ნახოს, იბარებს ავთანდილს. იცის, რომ ავთანდილს ის უყვარს, მოწონს და ამიტომ კეკლუტათ მიიღო, ვითომ უბრალოთ, მოურთველათ: ახირებულათ ჩაცემული დაუხვდა, მაგრამ ის მორთულობა ნანაგარიშები და საკეკლუტო იყო.

„გაძარცვილსა ტანსა ემოსნეს ყარუჟმნი უსაპირონი,
ეზურნეს მოშლით რიდენი, ფასის თქმად გასაპირონი,
შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი
მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი, არ უხშირონი“.

უბრძანა წყნარათ დაჯდომა, უთხრა, რომ ვიცი ჩემი შენგან სიყვარული. შეგატყვეო, მაგრამ ახლა ერთი რამე მსურს და ჭერ ის ამისრულეთ: შეიტყვე, ის ყმა ვინ იყო და მერე იცოდე, შენი ვარ, შეგეყრები და შემეყარო.

„ასრუ გიხარა, სამსახური ჩემი გმართებს ამაღ ორად:
პირველ ყმა ხარ. ხორციელი არჩინა გყავს შენად სწორად,
მერე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაქორად,
წადი. იგა მოყმე სძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“.

ამას დაასაქმებს მშვიდობიანათ, წყნარათ და მერე, მხოლოთ მერე, ამის ასრულების შემდეგ უსრულებს პირობას და მაშინ მხოლოდ აძლევს კადნიერების ნებას ავთანდილს და ესიყვარულება. ერთი სიტყვით გულდამშვიდებით, გამოზომილათ და გამოანგარიშებულათ მოქმედებს ავთანდილივით. აქ უნდა ვთქვათ, რომ როგორც ტარიელში ამერთა და ავთანდილში იმერთა კაცები, ზნე და ხასიათი იხატება, ისე ნესტანში ამერთ და თინათინში იმერთ ქალების ხასიათები.

ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა დანარჩენ პირებზედაც — ფატმან-ხათუნზე და ასმათზე. ფატმან-ხათუნ ქვეყანაში გამოსული ქალია, უმასოთ არც ავი იქნება და არც კარგი, არც მომსვლელი და არც წამსვლელი არ გამოეპარება. ვაჭართ უხუცესის პუსეინის ცოლია. სიმდიდრე-ქონებისაგან სულ გალაღებულია, გასუბუბულია და სიმსუქნე უხიციებს. ის ქეიფობს ხან ერთთან, ხან მეორესთან. სასახლეში შესულია ისე, რომ იმას მიპატიჟებაც არ უნდა; იქ შინაურია: თვითონ როცა უნდა შედის და დანიშნულ დროზე სხვის ცოლებსაც წაასხამს ხოლმე. სასახლეში ამბების შემტან-გამომტანი და მაჭანკალი ის არის; უმისოთ ძვირათ თუ რამე საქმე გარიგდება. ქმარი ჰყავს უხვირო რამ, მაჩანჩალა, ნეზეი, როგორც თვითონ ეძახის. საბრალო სწორეთ ცოლის ყურმოკპრილი ყმაა, მაგრამ როგორ რამეს გაბედავს, რომ ცოლის წყალობით სასახლეში მიღებულა, პატივცემული და გაკეთებულა! ესენი ისე აფასებენ სასახლის სალაშს, რომ ყოველიფერს ჩაიდენენ მისი გულისათვის. თავის ქვეყნის ბედსა და საიდუმლოს ისე შესწირვენ ერთ უბრალო აღერსიან სიტყვის გულისათვის, როგორც პუსეინმა შესწირა სასახლეს ნესტან-დარეჯანი. ამგვარი ქალები ყოველთვის და ყოველგან არიან, და, რასაკვირველია, საქართველოშიაც, ქართველი ქალებიც, ზღვის პირათ, ბოლოზ ადგილებზე გამოერეოდნენ ხოლმე. მაგრამ აშისთანა კარგ დროს, საზოგადო ბედნიერების დროს, ისინიც საკეთილთ მოსახმარნი არიან და გამოიყენებს კაცი ისე, როგორც ავთანდილმა გამოიყენა. ქვეყნის დაცემის დროს კი ფატმანები საძაგლები არიან და ქვეყანას ბევრ ვნებას აძლევენ. დღეს უფრო ვრცლათ ლაპარაკი ფატმანებზე მოუხერხებელია, რადგანაც... რადგანაც... თვითონ მიხედებით რადგანაც... მისთვის, რომ საკვირველი სარკე და სასწორია ზოგიერთებისათვის... ასმათ გვიხატავს ერთ იმ პირთაგანს, რომელნიც დღეს აღარ არიან, მაგრამ ძველათ კი იყვენ.

როგორც წინეთ მოგახსენეთ, ჩვენში ბატონყმობას არ ჰქონია ისეთი ხასიათი, როგორც სხვა ქვეყნებში. სხვაგან მონა ყოველთვის მონათ რჩებოდა. ჩვენში კი არა. მოსამსახურე ქალს ჯერ სანამ პატარა იყო, გოგოს ეძახდნენ, რომ წამოიზრდებოდა მოახლობას მიიღებდა, ე. ი. დაუახლოვდებოდა შინაუ-

რებს, და მერე გაძღობას იგდებდა ხელში. ის თითქმის პირველი პირი იყო. ოჯახის შეილებს ისა ზრდიდა და უმისოთ არა იქნებოდა რა იმ ოჯახის შესახებ. თუშეცა სისხლ-ხორციით ვერა, მაგრამ სულითა და გულით კი ის გაზდებოდა ხოლმე ოჯახის ნათესავი. დღეს ამ გვარ რამეს ველარა ვხედავთ ჩვენში.

ამგვართ ჩვენ დავინახეთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები ნამდვილი ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხებიდან აღებული. მაგრამ მარტო ეს მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. აქ ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველობას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. აქ, რასაკვირველია, თქვენც მიხვდებით, რომ მე ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და ზნეობით მდგომარეობაზე მოგახსენებთ, იმის გაუმჯობესობა, გამოხსნა მარტო ტარიელს, რაგინდ რომ უცნაური ძალისაც იყოს, არ შეუძლია მისი პირდაპირობით, თუ იმას ავთანდილიც არ მიეხმარა თავის წინდახეული მიხვევ-მოხვეულობით და თუ ფრიდონმაც მასალები და ხელსაწყოები არ მოუშადა და არ მოეხმარა.

წინა ლექციაში მოგახსენეთ, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე იღვიძებს და საჭირო არის ჩვენც მათ-მათი შესაფერი მასალები და იარაღები მოვუშადათ-მეთქი. რა მასალებია ეს მასალები? ის მასალები, რომლის წყალობითაც ჩვენს ქვეყანას შეუძლია დაიბრუნოს ძველებური ზნე და შეინახოს სხვადასხვა მის კუთხეში, ერთმანეთთან გადაკავშირებული და ერთი მიზნის მიმდევარი ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონები, რომელთაც ამხნეებდენ მომავალი თინათინები და ეუბნებოდენ: „წადით, ჯერ ქვეყანას ემსახურეთ, გვიჩვენეთ ჩვენცა საქმენი საგმირონი და მაშინ მოდით, პირნათლათ შეგვეყარეთ და შეგვეყრებითო!“.

დასასრულ, ბოდიშს ვიხდი თქვენთან: თქვენ რომ გესიამოვნებათ, ისე ვერ მოვახერხე ტკბილქართულობა და, ეგება, თქვენ რომ მოელოდით, მისთანა აზრების წარმოთქმაც ვერ მოვახერხე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ხანგრძლივი მუნჯობის შემდეგ ეს თითქმის პირველათ არის დედაენაზე სახალხო ხმის ამოღება. ეს მარჯვე შემთხვევა არ მინდოდა დამეყარგა და თქვენც ჩემ გამბედაობას, იმედი მაქვს, სასტიკათ და მკაცრათ არ მოეკიდებით.

(1881 წ. მარტი)

აკაკი ჭირათელი და „ვეფხისტყაოსანი“¹³

წელს ერთი იშვიათი ამბავი ჩვენში ის მოხდა, რომ ბ-მა აკაკი წერეთელმა წაიკითხა საჯარო ლექცია რუსულად „ვეფხისტყაოსანის“ თაობაზედ. ეს აზრი, რომ რუსებსაც აცოდინოს კაცმა — რა ღირსებისაა იგი სულიერი განძი, როგორც სამკვიდროდ და სასახელოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერსა, — მეტად მოსაწონი აზრია და დიდის თანაგრძნობის და მადლობის ღირსიცა ჩვენ მიერ.

ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებულის პოემა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვკადულობთ. ხოლო ყველამ, ნამეტნავად ჩვენის ენის უცოდინარმა, არ იცის — რა გვაძლევს უტყუარს საბუთს ამ თავმოწონებისას, სახელისას, კადილისას. ყველამ არ იცის, — რითია ეგ სახელოვანი ნაშთი ჩვენის სულისა და გულის მოძრაობისა შემკული, რომ დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქონი, ასე ერთნაირად, ერთბირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჰკნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა. ამიტომაც მეტის-მეტად ბედნიერ აზრად ვსახავთ ბ-ნ აკაკის აზრსა, რომ მოიწადინა რუსულად წაიკითხოს საჯარო ლექცია ამ საგანზედ რუსთა საცოდნელად.

ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს იგი ლექცია, რომ პატივცემულს ლექტორს კვალდაკვალ მივეყვით და მის მიერ თქმული ისე მოვიყვანოთ, რომ არც მეტი გამოვიდეს, არც ნაკლები. რადგანაც ამ შემთხვევაში მარტო ჩვენს ხსოვნას, ჩვენს მეხსიერებას უნდა ძალაუვნებურად დავემყაროთ, ამ მიზეზით ყოველს თქმულს ლექტორისას ვერ გამოვუდგებით იმის შიშით, რომ შეეცდომა რაიმე არ მოგვივიდეს. ამის გამო ჩვენ კვალდაკვალ მიყოლას თავს ვანებებთ და მარტო დედააზრს ბ-ნის აკაკის ლექციისას დავუკვირდებით.

ბ-ნის აკაკის ლექცია, რუსულად თქმული, ქართველთა საზოგადოებისათვის ახალი ამბავი არ არის. ბ-ნმა აკაკი წერეთელმა იგივე ლექცია ქართულად

წაიკითხა ამ რამდენისამე წლის წინად და, თუ ხსოვნა არა გველავტობს, ეხლანდელი რუსული ლექცია მაშინდელს ქართულს შორს არ წასვლია: თითქმის ერთი და იგივეა. თუ რამ ცვლილებაა, ისიც იმისთანაა, რომ არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმიტომ რომ, როგორც მაშინდელი ქართული ლექცია, ისეც ეხლანდელი რუსული, ერთსა და იმავე დედააზრზეა აკინძული თავიდან ბოლომდე, მართალია, რამდენიმე ამბავი ახალია ეხლანდელს რუსულში, მაგალითებრ — ის საოცარი საბუთი, როგორც კამეჩის ცემის ამბავია და სხვა, მაგრამ ეს ორიოდ ახალი ამბავი, თუ საბუთი, მარტო ერთისა და იმავე დედააზრის განსასურათებლად და განსაძლიერებლად ზოპყავს პატივეცემულს ლექტორს.

მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედააზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი. მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია — ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი — იმერელია, და ფრიდონი კი — არ გვანსოვს რა მიზეზით და რის გამო — ზღვისპირის ქართველია: იქნება იმის გამოც, რომ „ცოტა აქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე-მიუწვდომელი“. ამ აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები აასხა ლექტორმა გონებამახვილობისა, ლამაზის შედარებისა, როგორც ბ-ნ აკაკის ბედნიერის ნიჟის ამბავი მოგვსენებთ, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, თითონ აკიდოს ღერო კი მეტისმეტად სუსტი რამ არის და, თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ გაუძღვება.

იმ საბუთებით, რომ ტარიელი ზარმაცია, ავთანდილი წინდახედულია, და მეტრევე სხვა, ძნელია იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორიც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჭდომ ცხენოსნისა, თუნდ ეგეც არ იყოს, — ეს ამისთანა გზა კვლევისა სად არ მიიყვანს კაცსა?! ფალსტაფს, რომელიც შექსპირის ტყუილებისა და კვენხაბაქიაობის გუდად გამოუხატავს, განა ათას მსგავსს ვერ მოუუპოვებთ ჩვენს საქართველოში?! აკი თითონ ბ-ნმა აკაკიმაც თავის ლექციებზედ დაგვაჭერა, ქართველები ტყუილების და კვენხა-ბაქიაობის მოყვარენი არიანო. მართალიც არის: ჩვენში ტყუილებისა და კვენხა-ბაქიაობისა ასეთი ფალანგები არიან, რომ თითონ ფალსტაფი, — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვენხარა კაცისა, — ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შავირდად მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმეს სთქვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო. მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ზომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება.

ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი.

ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდს შემოქმედობის ძალია შექნნლნი. რამოდენადაც მწერალის შემოქმედების ძალი სწვდება ამ ზოგადკაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერთი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მართო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მართო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება.

ჩვენის ფიქრით, ამ საზომით, ამ საწყაოთი უნდა შესდგომოდა ბ-ნი ლექტორი თავის რთულს და მძიმე საქმეს იმისთანა თხზულების ვითარების გამოძიებისას, როგორც „ვეფხისტყაოსანია“. ამ საზომისა და საწყაოს უარყოფა, უარყოფაა იმისი, რომ „ვეფხისტყაოსანის“ გმირნი საერთოკაცობრიულს რასზე წარმოდგენენ. ნუთუ მართლა ტარიელის ხასიათსა, თვისებასა და ბუნებაში, ანუ ავთანდილისაში, ანუ სხვისაში სხვა არა მოიპოვება რა საერთო კაცობრიული იმისთანა, რომლის მეტ-ნაკლები გამოხატვა ერთადერთი საზომია, ერთადერთი საწყაოა მწერალის შემოქმედობის ძალის მეტ-ნაკლებობისა! განა ამ შემოქმედობის ძალის მეტ-ნაკლებობის გამორკვევა არ არის პირველი და უკანასკნელი საგანი კრიტიკოსისა?! თუ ასეა, ნუთუ ამ გმირების ავკარგია-ნობა ისე ცხოვლად, ისე მთლად და ისე მართლად განსჯრათებული მათისავე მოქმედებით, ქცევით, სიტყვა-პასუხით, გულისთქმის და საქციელის ერთმანეთზედ დაპოკიდებულებით, ეპიზოდების ერთმანეთისაგან წარმომდინარებით, არასფერს ზოგადს საფსიხოლოგო, საესტეტიკო, საეტიკო, საფილოსოფიო საგანს არ წარმოადგენს?! ნუთუ ის ახოვანი, ღონიერი, ჭანმრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვეკაცი ტარიელი რუსთაველმა თავის ნებაზედ ბოლოს მჩვრად აქცია და ყოველს ამას სხვა მიზეზი არა აქვს რა, გარდა რუსთაველის თვითნებობისა და ზარმაცის ქართლელის გამოსახვის სურვილისა?! ეს რომ ასე იყოს, მისი თხზულება ხომ ჰამფლექტი იქნება, თუ ძაგებაა, და რეკლამა — თუ ქებაა, და არა დიდებული ნამოქმედარი შემოქმედობისა!

ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცნი და დედაკაცნი „ვეფხისტყაოსნისა“, ყველაზე უწინარეს ადამიანები არიან და, მამსადაძე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი. აი, თუნდაც ავიღოთ ლექტორის მიერ თითქმის სასაცილოდ აგდებული მაგალითი, რომ ტარიელს ნესტან-დარეჯანის პირველ დანახვანზედ გულს შემოეყარა და დაბნდა. ამ შემთხვევამდე კი რუსთაველმა ბევრგან გვაჩვენა, რა ძლიერი კაცია ყოვლისფრით ტარიელი სულითა თუ ხორციითა. ამ თვალად მცირე შემთხვევაშია მთელი ნასკვი, რომლისაგანაც გამოიხსნება მთელი რთული ხასიათი იმისთანა კაცისა, როგორც ტარიელია. კარგს, გონებამახვილს და გამჭრიახს ფსიხოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალღონიერება ტარიელისა აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ, — პირდაპირ მოგახსე-

ნებსთ, რომ ტარიელი დიდის გულისტქმის კაცია, იმისთანა გულისტქმისა, რომელსაც ვეღარც ხორცი უძლებს და ვეღარც სული, და რომელიც ჰკუჟას, გონებას მთლად იმორჩილებს, როგორც ზარი, ელდა, მუხი. რაკი კაცს ჰკუჟა და გონება გამოეცლება, ის მკედარია საქმისათვის, მოქმედებისათვის. ამიტომაც ტარიელისთანა ძალ-ღონიერი კაცი და მისთანავე გულისტქმისა ყოვლად შემძლებელია, თუ გარემოება ცხოვრებისა გულისტქმაში ხელს უწყობს; ესე იგი თუ გულისტქმას კმაყოფილებას აძლევს და აჩუმიებს, — და თუ არა, ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთის სიტყვით, სნეულია. ეს თვისება გულისტქმისა რუსთაველმა ძლიერ კარგად იცის და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულისტქმას იმორჩილებს და ეურჩება. მინამ გულისშემოყრის ამბავს ააშბობინებს ტარიელს, იგი გვეუბნება:

„აქებ ჰკუჟასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებთან“
(საწუთროს ნდომასაო).

ნუთუ ძნელი მისახვედრია, ამით რის თქმა უნდა რუსთაველსა? რა ფსიქოლოგიური შუქი მოჰქონა ამის თქმით გულისშემოყრის ამბავსა? დიდის გულისტქმის კაცის ამბავი: ასეაო და ბრძენს კაცს კი, რომელიც გულისტქმას იმორჩილებს, ჰკუჟას აუფლებს, ეს არ მოეველინებაო. აკი ჰკვიანი და ბრძენი ავთანდილი, რომელსაც გულისტქმა დამორჩილებული ჰყავს, არსად არც ერთს მაგალითს არ წარმოგვიდგენს ან დაბნელისას, ან გულშემოყრისას და სხვა ამგვარის მარცხისას გულისტქმისაგან.

ავთანდილმაც ძალიან კარგად იცის, რომ ტარიელი წადილს, გულისტქმას წაუღია, და იმითია სნეული, რომ ვერც ერთი ვერ უძლევია. ამიტომაც ავთანდილი ამ მართლადა უებარს წამალს ურჩევს ტარიელს:

„რაც არა გწადღეს, იგი ჰქვენ, — ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

ნესტარი სწორედ შიგ წყლულში ჰკრა ამით ავთანდილმა.

თითონ ტარიელმაც ძალიან კარგად იცის, რომ თავი ხელთ აღარა აქვს და რა ყოფაშია ჩავარდნილი გულისტქმისაგან, რომელიც ვეღარაფრით ვერ დაუდლებია. ასე იცის გულისტქმამ, როცა კაცი სადავეს ხელთ მისცემს და მიუშვებს. აბა, ყური დაუგდეთ, რა პასუხს იძლევა ტარიელი, როცა ავთანდილი ამრიგად დარჩებას აძლევს:

„თუ ბრძენი ხარ, ყოელი ბრძენნი პირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაციური, სჯობს რაზომცა ნელად სტირსა;
ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქეთიჯირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდება კაცი ჭირსა“.

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ.“

მართალია, ტარიელი ბრძენია, მაგრამ ბრძენია მარტო მაშინ, როცა გულისტქმას არ შეუპყრია და გულისტქმით შეპყრობილი კი სნეულია, ცნობადაკარგულია. იგი ეუბნება ავთანდილს:

„ბრძენი? ვინ ბრძენი. რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!“

გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ — ღონე და უღონობამ მჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი!.. აქ კაცად-კაცია, გულისთქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდან ბოლომდე.

ან აღეთ ერთი მაგალითი კიდევ, საცა რუსთაველმა საოცარი ღრმად ცოდნა ადამიანის გულისა დაგვანახვა. გაიხსენეთ ის ადგილი, როცა ტარიელი პირველად შეეყრება სალაპარაკოდ ნესტან-დარეჯანსა, რომელიც ისეთისავე დიდის გულისთქმის დედაკაცია, როგორიც მამაკაცი — ტარიელი. ტარიელი ამ ამბავს ასე მოგვითხრობს:

„ამიგლო ქალმა ფარდავი მძიმე თავისა ძალითა,
სადა სდგა კუბო შემკული ბალახშითა და ლალითა.
შიგან ჯდა იგი პირითა, შისისებრ ელვამერთალითა;
მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა.

ღღბანს ვსდევ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა,
ოდენ ტბილად შემომხედის, ვითამცა რამ შინაურსა,
ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოდვა, მითხრა ყურსა:
„აჲ წალიო, ვერას ვითხრობს“.

და სხვ.

ამისთანაზედ იტყვიან ხოლმე, გენიოსური კალმის მოსმააო და სწორედ-დაც ესეა. დიდად საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო და ზედმოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი — ღიმილი: დიდი გულისთქმა, ჰქვამარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი — ყბელი და ლაქლაქა.

აი, გულთაზილავი რუსთაველი რამსილიდევ გრძნობას ჰხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევამოსილობას: ქალმა ვედარა სთქვა რა, სიტყვა შეეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ, რომ ღრმად კაცად კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისა და ნესტან-დარეჯანი სხვა და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზედმოქმედებასაც ექვემდებარება. ერთისა და იმავე მიზეზისაგან წარმომდგარსა, — ამ შემთხვევაში — სატრფოთა პირველად სალაპარაკოდ შეყრისაგან. ასე მართლად მკვლევარია რუსთაველი, ასე საოცრად მართლმხედველია მისი თუ, — რა ბუნებამ როგორ უნდა აღიბეჭდოს თუნდ ერთისა და იმავე მიზეზის ზედმოქმედება.

ჩვენ რომ ვსთქვით, ზემოხსენებულნი მაგალითი გენიოსური კალმის მოს-

მაო, იმიტომ კი, არა ვსთქვით, რომ რუსთაველმა ეს ფსიხოლოგიური წუთი შეპნიშნა და ფსიხოლოგიის მიხედვით მართლაც დაგვიხატა. ეს ხომ ქების ღირსია და ღირსი. ჩვენ აქ სხვა მხარესაც ვხედავთ. ჩვენ იმაზედაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება მკითხველისა თუ, — რა ხელოვნებით არის ნაწიშნი იმა გრძნობის ძლიერება და სიღიაღე, რომელსაც იმ წუთს უნდა შეეყვრა იმისთანა გულსთქმის ქალი, როგორც ნესტან-დარეჯანი. რუსთაველი, სასწაულთ-მომქმედსავით, ერთის კალმის მოსმით ჰქმნის ამ სასწაულსა და გვეუბნება, — ტარიელი დაითხოვა, ისიც სხვისი პირით: „აწ წადიო, ვერას გითხრობს“. ესე იგი, ქალი დამუნჯდაო, — და, აბა, იფიქრეთ, რა გრძნობაა ამის მომქმედი გრძნობა! შეიძლებაა ამაზედ ცხოვლად, ამაზედ უკეთესად ოთხის სიტყვით კაცმა კაცს ანიშნოს ძლიერება და სიღიაღე გრძნობისა, როგორც მით არის ნაწიშნი, რომ იმ გრძნობამ ადამიანი დაამუნჯაო მაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად სალაპარკოდ შეეყრება თავის სატრფოსა? აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მანაც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა.

სახელოვანი გერმანელი კრიტიკოსი ლესინგი, დიდად უქებს რა ამისთანა გენიოსურს მანერას მსოფლიო გენიოს ჰომეროსსა, ამბობს: ჰომეროსმა იცის და იმისთანა ხატს საოცარის მშვენიერებისას როგორც ელენეა, ისე გვიხატავს, რომ ვერა მხატვრობა მაგას ვერ შესძლებს. ვაიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ელენე შეჰყავს ჰომეროსს ტროადის ერის მოხუცთა კრებაში. ნახეს თუ არა, დარბაისელნი მოხუცი ერთმანეთს ასე ეუბნებიან: „არა, განკიცხვა შეუძლებელია, რაკი ამისთანა ქალისათვის ერთმანეთს ეომებიან ტროადის ძენი და აქვეელნი და ამ ხანგრძლივს სისხლისღვრაში ამდენს ვაეზას ითმენენ. ჰეშმარიტად, უკვდავთა ღმერთთათანა შესარიცხია იგი მშვენიერებითაო“.

მოჰყავს რა ეს ადგილი ჰომეროსის უკვდავის თხზულებიდან, ლესინგი ასე ათავებს: „სხვას რას შეუძლიან ასე ცხოვლად აცოდინოს კაცს ის მომჯადოებელი მშვენიერება, რომელსაც თვით გულცივი სიბერეც კი ჰხადის ღირსად იმ ომებისა, რომელთაც იმოდენი სისხლი და ცრემლი მთელს ერს დაანთხევინესო“. რით ჩამოუყვარდება ზემო მოყვანილი მაგალითი რუსთაველისა ამ ჰომეროსის გენიოსობის მაგალითსა?!

სიმოკლისათვის მარტო ორი მაგალითი მოვიყვანეთ და ისიც იმოდენა განმარტებით არა, რაოდენსაც თითონ საგანი თხოულობს. შესაძლოა, ჩვენი აზრი, ამ ორის მაგალითისაგან გამონასკვრი, შემცდარი იყოს. ანუამად საქმე ამაში არ არის. საქმე ის არის, რომ ეს ორი მაგალითიც საკმაოა. თვით მკითხველიც ჩვენთან ერთად დაარწმუნოს მასზედ თუ, — რაოდენად მდიდარი და ფართო მოედანია „ვეფხისტყაოსანი“ ჰეშმარიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელ-

ლად. თუ ეგ ფრთაგასაშლელი სარბიელი თითონ კრიტიკამ შეცდომით, თუ განგებ. ვიწრო ფარგალში არ მოამწყვდია და ტარიელის, ავთანდილის და სხვათა აჯკარგანობაში ქართულს, კახელს, პეტრეს, ივანეს ძებნა არ დაუწყო. ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წერილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად. გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა. — იმოდენად შემოქმედობა მწერალისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის. იმოდენად მწერალი ნიჭნაკლებია და დაქვეითებული.

შემოქმედობის ძალის ღონიერობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე კი — მარტო ნაწილსა. მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელწოდებული კაცი — ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩინებული. ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია: მასზედ, ვინც ზოგადის კაცის. ტიპის შემოქმედია, თუნდაც ხელთსაქმობით, ტენიკით ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას. მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არაა ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება.

ჩვენ ვერ მიგვიგნია, რისთვის, მოჰსურებია ბ-ნს აკაკის რუსთაველის აგრე დაქვეითება? ორში ერთი: ან რუსთაველი მართლა იმისთანა ხელმოკლე ნიჭია, რომ კაცადკაცობის ვრცელს მოედანს ვერ გადასწვდენია და, რაკი ესრეა, ლექტორმა მწარე მართალი ამჯობინა ტყბილსა ტყუილსა და შეცდომით განდიდებულს ჩვენ მიერ რუსთაველს თავისი მიუწყო და კეთენილი ადგილი დააჭერნა. თუ ეს ესრეა, საქებარი გაბედულობაა ქვეშაობის მოყვარისა, მაგრამ ამას დამტკიცება უნდოდა, და ჩვენი გულითადი რწმენაა, რომ ამის საბუთს რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ არ იძლევა და ვერც ვერავინ უპოვის. ამით იმისი თქმა არ გვინდა, რომ ან ერთს, ან მეორეს ნაკლი რამ კაცმა ვერ მოუჩხრიკოს, მაგრამ იმ მხრით ხელმოკლეობას ნიჭისას კი ვერ ვუჭიკინებთ, რა მხრითაც ამ შემთხვევაში უკიეინებიათ. ან იქნება ბ-ნმა ლექტორმა რუსთაველის განდიდებისათვის მოიწადინა, რომ ტარიელი უსათუოდ ქართლელი ყოფილყო, ავთანდილი — იმერელი და ფრიდონი — ზღვისპირის ქართველი? მითამ შექსპირს განა იმითი იწუნებს ვინმე და, პირიქით, განა იმითი არ ადიდებენ ყველანი და მსოფლიო გენიოსად არა სთვლიან, რომ კაცადკაცნი გამოჰყვანდა თავის სახელოვანს დრამებში და არა შოტლანდიელი, ვალისელი და ინგლისელი!.. ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველს ტიპებს იმ პაწია ჭურჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც

მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადავლებოდეს. მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ. და, თუ აქ კრიტიკის შუქს ვერ გაუძლო რუსთაველმა, მაშინ და მარტო მაშინ ჩვენ მიერ უჭეროდ დადგმული გვირგვინი დიდებისა და სახელოვანებისა უნდა მოეხადოს თავიდან.

კიდევ ვიტყვით, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი მათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება და არა სხვასა.. ამაშია მთელი სიღიადე რუსთაველის გენიოსობისა. ტარიელი მჩერად იქცა იმიტომ კი არა, რომ ზარმაცი ქართლელია, არამედ იმიტომ, რომ მაგისთანა ბუნების კაცი უსათუოდ მჩერად უნდა იქცეს, რაკი იმ გარემოებაში ჩავარდება და ბედი, თუ ქვეყანა, ისე უმტყუნებს და უღალატებს. აქ სიზარმაცე ვითომ ქართლელისა არაფერს შუაშია და მეტისმეტად უადგილოა. ლომი არ შეიძლება არ დაეტყოს სპილოსაც კი და შუა გაგლიჯოს საქმელად, როცა ჰშიან, მაგრამ იგივე ლომი, როცა მაძლარია, ბატკანსაც კი ხელს არ ახლებს, ადგილიც არ დაიძვრის: მგელი კი მაგას არა იქმს. ნუთუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლომს ეთქმის ზარმაციად და არა ბუნებაა მისი ასეთი, როგორც მსუნაგობა და გაუმადრობა მგლის ბუნებაა. სვიმონ მესევეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა გასრწინლებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას ჰთხოულობდა და სვეტზედ კი უძრავად შეეძლო დებულყო.

ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმაღავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში და, რამოდენად ეს ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება ხვედრია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი. ავთანდილი ცბიერი კაცი კი არ არის, იგი იმისთანა ბუნების კაცია, რომ ჭერ მინამ ერთხელ გამოსჭრას რამე, ათჯერ წინდაწინ გააჭომავეს. ეს ჭკუის დამკოთხველი კაცია და არა გულისა, გულისთქმისა, როგორც ტარიელი. მთელ პოემაში მარტო ორგან არ დაეკითხა ჭკუას და გულს აჰყვა. ორგანვე ვერ ემარჯვა და შერეინანა. არც კი ავთანდილია უგულო კაცი, ესეც მგრძნობიერია, მაგრამ, გული და გრძნობა ამისი ჭკუის მორჩილია.

აბა, ნახეთ რუსთაველი, ყოველთვის უტყუარი და მართალი ბუნების წინაშე, რა რიგად გვანიშნებს ავთანდილის გულის მოძრაობას, მის სიყვარულის სიღიადეს. მინამ ავთანდილი ფხიზელია, ესე იგი, როცა ჭკუას ბუნებთად ღონე აქვს მოქმედობისა; რუსთაველი ავთანდილის ბუნებას უღალატებდა, თუ გუ-

ლისტქმას გაატაცებინებდა და ავთანდილზედ გრძნობას აუფლებდა. ამასთანავე რუსთაველმა კარგად იცის, რომ კაცი, რომელიც უგულოა, რომელსაც გული ტრფალებსა და სიყვარულისათვის დახშული აქვს, ის კაცი კი არ არის, ნახევარკაცია, მოკლებული იმ ლეთაებურს ნიქსა და მადლსა, რასაც სიყვარულს ეძახიან. როგორ ანიშნოს მკითხველს სიღრმე ამ გრძნობისა, როცა მისი პატრონი კაცი ასე მორჩილად ჰხდის გულსა ჭკუის წინაშე და ზედგავლენას გულისტქმისას ჭკუითა ჰლაგმავს. ძნელია — კაცი ამ ორს ერთმანეთის მოპირდაპირეს. ერთი მეორის გამაბათილებელს გრძნობას გაუძღვეს ისე, რომ არც ერთს მოაკლოს რამ და არც მეორეს მოუმატოს ბუნების წინააღმდეგ. ბრძენი რუსთაველი ამ სიძნელესაც ადვილად სძლევს. ამისათვის იგი იმ ყოფაში გვაჩვენებს ავთანდილსა, როცა ჭკუა ბუნებითად უღონოა მოქმედებისათვის. იგი აძინებს ავთანდილსა და, ხომ მოგეხსენებათ, ძილში ჭკუა არ მოქმედებს. რუსთაველი თავისებურად ერთის კალმის მოსმით გვანიშნებს, რა ძლიერ აღბეჭდილია ავთანდილის გულში სიყვარული თინათინისა. იგი ამას ასე გვიხატავს:

„რა მილუნისი, სიახლოვე, საყვარლისა ეოცების².
შეჭრთის, დიდი დაიზახის, მით პატივი ეოცების³“.

ნაგრამ თუ ფხიზლად მყოფია, ნუ ელოდებით, რომ ავთანდილმა ასეთი ნება მისცა გულსა და გულსტქმასა. აი, რა ხელოვანია რუსთაველი, რომ ჭკუაც ჭკუად დააჩინა და გულიც გულად და ორივე ამოქმედა ერთიმეორის შეუზღალველად, მათთა ბუნებისამებრ. ამისთანა ბუნების კაცს გონიერება ცბიერობად რათ უნდა ჩამოერთვას, ცბიერობა რათ უნდა შეეწამოს, არ ვიცით. იქნება ქართლის მოძმენი იმერლები ბევრში ჰგვანდნენ ავთანდილსა, როგორც ბევრი ფრანგი ჰგავს, ბევრი ინგლისელი, ბევრი ამერიკელი და სხვა მილეთის ხალხი, რადგანაც კაცადკაცის ზოგადი ტიპია, მაგრამ ამისათვის რა საჭირო იყო ავთანდილის და იმერეთ-ქართველთა შორის ცბიერობის ხიდის გადება. რაკი ერთხელ ამ ხიდის გადებაზედ მიიქცა ბ-ნი ლექტორი, არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ ეს გზა მოლიპულია და ფეხის მოსასხლეტი და, გვგონია. იმიტომაც მოუნდა „ვეფხისტყაოსანისათვის“ თავი დაენებებინა და უადგილო ადგილას გრძელი ლაპარაკი მოერთო მასზედ თუ, — რა არის ცბიერება და როდის არის იგი შესაწყნარებელი და როდის არა. ეს ნაწილი ლექციისა მეტსმეტად უგემური რამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწყენი იყო.

რაკი ის, ჩვენის ფიქრით, შემცდარი დედაზრი წარიმძღვარა ბ-მა ლექტორმა წინ, რომ უსათუოდ ტარიელი ქართლელად გამოეყენა, ავთანდილი — იმერლად და ფრიდონი — ზღვისპირის ქართველად, იგი სულ ამის დამტკიცე-

1 რა ჩასთვლემსო.

2 ესიზმრებაო.

3 ერთი ოცად ემატებაო.

ბას მოუნდა. სხვა, რაც მწერალის განსაკუთრებულს ხასიათს გვანიშნებს, მის შემოქმედების ძალსა, მის მხატვრობასა, მის სიტყვიერებას, მისთა აზრთა შემოხაზულობას, პოემის აგებულობას, ეპიზოდების ერთმანეთზედ დამოკიდებულებას, ერთის სიტყვით, — მანერას და თვისებას მწერლისას, შინაგან თუ გარეგან სიკეთეს მის ნამოქმედარისას, — ესენი ან სულ არ იყო ხსენებული, ან თუ იყო, ისე გაკვრით და გზადაგზაობით, რომ გულში არავის არა ჩასკდევია რა, თითქო მართლა ყოველივე ეს უკან დასაყენებელია და მარტო ისლად წამოსაყენებელი და დასამტკიცებელი, რომ რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩუქი რამ არამკითხე მოამბე.

ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევეონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაეუთმოთ.

[1887 წ.]

რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ
„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა

ჩემი უკანასკნელი საუბარი „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე შემდეგი სიტყვებით დავაბოლოვე: „ბატონებო, მოგახსენებენ, რომ მგალობელარტიტები საზოგადოთ ჭიუტები არიანო; თუ ერთხელვე გაკერბდენ, მათი გამობრუნება ძნელია: მათზე აღარა სჭრის აღარც ვედრება, აღარც ყვედრება და არც სხვა რამე და უკანასკნელი სახსარი ისღა არის, რომ მათთან წამოაყენებენ ხოლმე სხვა რომელსამე მდარე არტისტს და ამღერებენ. შეეშლება თუ არა ჰანგი უხეირო მღერალს, მაშინ ჭინზე მოსული არტისტმგალობელი, ხელოვნების შეურაცხოვის ველარ ამტანი, თვითონვე გამოდის და თავის თავად დაიწყებს მღერას ყველას სასიამოვნოთ. მეც ამ უამათ იმ უხეირო მღერლის დღეს ვაყენებ ჩემს თავს: ჩვენს ქართველობაში ბევრი მეგულეა ჩემზე უფრო ნასწავლი, ნიჭიერი და დახელოვნებული, როგორც საზოგადოთ ყველაფერში, ისე კერძოთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებაც და თუ ამ ჩემმა დღევანდელმა გამბედაობამ ისინიც როგორმე გამოიტყუა საასპარეზოთ, ჩემი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და მეც უფრო თამამათ შემეძლება ბოდიში მოვიხადო თქვენთან, თუ ნამეტანი ლაპარაკით თავი როგორმე შეგაწყინეთ“.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ჩემი მოაზრება გამართლდა და არა თუ ისინი, ვისზედაც მე ვფიქრობდი, თვით მათი მთავარიც კი, ბატონი ილია ჭავჭავაძე, გამობრძანდა მოძღვარათ. ნათქვამია: „კარგ მთქმელს გამოვნი კარგი ეჭირებაო“ და. მაშასადამე, ბატ. ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საგულისხმოსა და ყურადსაღებს ცალკეათ მიგებება არ შეჭვერის და ჩვენც ჩვენი შეძლებისსა და გვარათ სომდაბლით. გულწრფელათ მივეგებებით.

ერთ-სა და იმავე აზრის გადასაცემათ უმთავრესათ სამგვარი საუბრის კი-ლოა საქირო:

1) როდესაც მსმენელი შეგნებულია და მახვილგონიერი, იმისათვის მრავალმეტყველება აღარ არის საჭირო, გაკრულგამოკრული სიტყვებითაც გაიგებს დედა-აზრს;

2) თუ მსმენელი ჩქარი მოაზრე არ არის, იმას უფრო დალაგებით ესაუბრებიან და ხშირათ უმეორებენ არა თუ ფრაზებს, სიტყვებსაც

და 3) თუ მსმენელი გონებაჩლუნგია, იმის შესაგონებლათ სხვადასხვა ხერხებს იგონებენ და უმთავრესად ეჩიჩინებიან.

საზოგადოთ ჩემს ლექციებზე მე არ ვეგულებოდი იმ ზოგიერთებს, რომლებსთვისაც საჭირო გახდა განმეორებით უბნობა, მაგრამ ახლა კი ქვეყანადის წერილებით ჩანს, რომ, თურმე, ჩიჩინიც ყოფილა საჭირო! ამას მე ვერ შევქაადრებ საზოგადოთ მსმენელებს და მით უფრო ქვეყანაძქმს... „საჩიჩინოთ“ მიმაჩნია მხოლოთ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომელმაც ჩემი სიტყვები თავისებურათ გაიგო და რომლის აყოლითაც ბატ. ილია ქვეყანაძქმ სამსჯავროზე გადმოდგა ფეხი ბანის სათქმელათ.

„აყოლით“—მეთქი მიტომ ვამბობ, რომ ბატ. ქვეყანაძქმ არ ბრძანებულა ჩემს ლექციებზე და, მაშასადამე, თუ არ გაგონებით, თავის თავად როგორ ეცოდინებოდა, თუ რითი დავათავე ჩემი საუბარი და როგორ დავსკვენი?

შეიძლება ბრძანოს, რომ მე იმ თავითვე: წარმოითქვა პირველი სიტყვა თუ არა, შევატყვე, რაც უნდა თქმულიყო და რითაც უნდა დაბოლოვებულიყო საუბარიო და სხვანი. შესაძლებელია!.. ნამეტანი გამჭრიახობა იგივე გულთამხილაობაა, მაგრამ გულთამხილაემა მხოლოთ ის უნდა ამოიკითხოს სხვის გულში, რაც იქ სწერია და არა ის, რაც თვითონ სურს, რომ ჩაწეროს. ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ ბატ. ქვეყანაძქმზე, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემოძლია შევიწამო ის, რაც არ მითქვამს!..

„ხასიათების გარჩევის დროს უსამართლოთ, ურიგოთ მოიხსენია ქართლები და იმერლებიო, დასცინა, გააკიცხა და მით შეურაცხყოფა მიაყენაო“, — ავრცელებენ ზოგიერთები ჩემზე! და ეს მართალია თუ არა? კეთილსინიღისიანი მსმენელების მოწმობით ვიმეორებ აქ ბექდვით იმ სიტყვებს, რომლებიც მაშინ წარმოითქვა ან ერთისა ან მეორის შესახებ:

„ქართლელი საზოგადოთ გულწრფელი, სიმართლის მოყვარე და გაუდრეკლათ პირდაპირი ხასიათის მიმდევარია: საოცარი ვაყვაცი და იმავე დროს იმდენათ დიდსულოვანი, რომ სხვისი დანაშაულობის ადვილათ მიმტევებელია. დღეს, როდესაც დრო და კითარება შეეცვალა, დამძიმდა, ზარმაცსა ჰგავს, დღიურ ვარამს თავს ველარ ართმევს და წვრილმან საქმეებს რომ შეეპიდოს, ვერ ახერხებს. — მისი ბუნების წინააღმდეგია, და რადგანაც ცხოვრება დღეს წვრილმანი მოვლინებების ხორხალია(აკიდო), ამიტომაც ის, ე. ი. ქართლელი, ცხოვრებაში ვერ მოთავსებულა. ამას გარდა, მას უყვარს ბაქიაობა, მაგრამ ის ბაქიაობა, თუ კი კარგათ დაუუკვირდებით და გავიგებთ, მისი დამამცირებელი და შემარცხვენი არ არის. რადგანაც იმ ბაქიაობაში იხატება ისეთგვარი სულისკვეთება, რომელიც ადამიანს ამაღლებს და ადიდებს. იმის ბაქიაობა საუბარია მხოლოთ ქველმოქმედებისა და სხვა მრავალგვარი საგმირო და სამამაცო საქმეებისა. სანამ კარგათ არ დაუახლოვდები ქართლელს, ის თავის უბატიური

და დაუღვევარი გეგონება, მაგრამ ეს სულ მოჩვენებული ქეშმარიტებაა და არა ნანდვლი. მოვიყვან ერთ კერძო მაგალითს, რომელიც საზოგადო ხასიათსაც ხატავს: ერთი გლეხის კამბეჩი შესულიყო სხვის ბოსტანში: ბოსტნის პატრონს ეწყინა და გლეხი გალახა. გლეხმა ხელი ვერ შეუბრუნა, მხოლოდ ეხვეწებოდა საცოდავი, რომ „კმარა, მეყოფაო“ და თანაც შესაბრალო სანახავი იყო იმ დროს ის ლაჩარი... მაგრამ, როდესაც იმავ ბოსტნის პატრონმა წყება გადააქრა კამბეჩს, მაშინ კი რაღაც უცნაურმა ძალამ სრულიად გადაქმნა ის ლაჩარი გლეხი: ვეფხივით მივიარდა ბოსტნის პატრონს, თვალის დახამხამებამდღი ამოიღო ქვეშ და ხელიდან ველარ გამოაცალეს.

—კაცო, რატომ შენი თავი ვერ დაიფარე-მეთქი? — ვეკითხებოდი და ის პასუხით მხოლოდ ამას მეუბნებოდა: „კამეჩს რა დანაშაული ჰქონდაო?“ თურმე ის, თავის საქონელს რომ ყური ვერ უგდო, თავისთავს თვლიდა დამნაშავეთ და შეურაცხყოფაც მიტომ აიტანა, მაგრამ უმართლოთ კი პირუტყვიც არავის დააჩაგვრინა“.

„ამგვარი მაგალითები ბევრია, მაგრამ ავიღოთ ახლა საზოგადო: „ძველადანავე, როცა ქართველობა ერთპირათ საზღვრებზე იდგა და ქვეყანას შემომსევე მტრებისაგან იცავდა, იმავე დროს სცხოვრებდა ერთგვარი ხალხი, რომელსაც ეპურებს ეძახდნენ; იმათ სხვა საქმე არა ჰქონიათ რა, გარდა უკუღმართი აღებ-მიმცემობისა, ისინი, შინაურების მოტყუებით და დროს შერჩევით, მიწა-წყალს, ე. ი. მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, ნელ-ნელა ხელიდან აცილდნენ!.. მაგრამ წარმოიდგინეთ საზოგადოთ ქართველების ხასიათი, რომ თუმცა გული კი სწყდებოდათ, მაგრამ მტრულის თვალით კი მიანიც არ უყურებდნენ იმ ძალათმოზიარებებს, რადგანაც გრძნობენ, რომ მათი თანხმობითაც მოხდა ის საქმე: თავს დამნაშავეთა თვლიან და ითმენენ. მაგრამ აბა უმიზეზოთ, უდასტუროთ და მათ უნებურათ მოინდომოს იმავ მოვაჭრემ, რომ ქართლელს რამ წაართვას და ნახავს, რაც მოუვა! სწორეთ საკვირველია ქართლელის სულგრძელობა!.. რას არ მოითმენს, თუ კი ცოტაც არის თავს დამნაშავეთა თვლის?! სხვის დანაშაულობას კი ადვილათ ივიწყებს და აღარ იჩინებს გულში!“

ეგება ბრძანოს ვინმემ, რომ ეს ხომ საოცარი ქრისტიანობრივი კეთილმოქმედებაა და ნუთუ აქამდი მიაღწევს ქართლელი? აქ გასაკვირველი არა არის რა. ვის უნდა ჰქონდეს ეს დიდი ღირსება, თუ არა ქართველს, რომელმაც ქრისტეს მოძღვრება მრავალსაუკუნეების განმავლობაში თავის არსებაში განიხორციელა? საკვირველია, რაც ზნე, ხასიათი და განსაკუთრებით თვისებები შევნიშნეთ დღევანდელ ქართლელს, იმასვე ვხედავთ ტარიელშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტარიელის სარბიელი უფრო დიდი საგმირო იყო და უფრო ნათელიც, ასე რომ დღევანდელი ქართლელი იგივე ტარიელია, მხოლოდ დაკნინებული“.

„იმერელი დიდი ნიჭის მქონია, მოფიქრებული, გონიერი, წინ დახედული და გამჭირავი; გულს ვაგაღახათ არ აპყვება, „ასჭერ გაზომავს და ერთხელ გა-

„მოსკრის“: ბუნება მალხაზი და მოუსვენარია; საქმეს არ ერიდება იმ მიზეზით, რომ დიდი საქმე დღეს აღარა მაქვსო. ქართლელი კი უსაქმურათ არ დადგება; საპიროების დროს პატარა, წერილმან საქმებსაც გულდაგულ ჰკიდებს ხელს. მაგრამ ბუნებისაგან ამ უხვათ მონიჭებულ სიმდიდრეს დღევანდელი იმერელი, დრო და ვითარების მიხედვით, უკულმართად ხმარობს: მრუდე გზას ადგას, მიზნულ-მოხვეულობა უყვარს ცხოვრებაში; დღეს ის გაუტანელია, შურიანი და მოძმის ხელის შემშლელი. მართალია, ეს თუმცა ყველა ასეა, მაგრამ მისი ძირეული ხასიათის ბრალი როდია. ამ უკულმართობას მისი დედაბუნება როდი თხოულობს. მხოლოდ, უკეთეს დრომდე გარემოება აიძულებს. ამას ის ამტკიცებს, რომ იმერელი მხოლოდ თავის სამშობლოში, სადაც ყველას სიფრთხილითა და მიუხედავად უყურებს, უკულმართობს და სხვაგან კი თავის სამშობლოს გადაღმა, ყოველგვარათ სრულია და საქები. თავის თავსაც არგებს და სხვებისათვისაც გამოსადეგია. ადვილათ ტოვებს თავის შვენიერ მიწა-წყალს და მიდის შორს სადმე იმ განძრახვით, რომ იქ თვალი გაახილოს, შეიძინოს რამე გონებითად, ზნეობითად თუ ნივთიერად და მერე გამდიდრებული დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. დღევანდელი მისი უკულმართობა, მართალია, მოსაწონი არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც ნება არ გვაქვს, რომ ზიზღით ვუყუროთ იმერელს, რადგანაც ეს დროებითი და იძულებითი მოვლინებაა და კიდევ ამგვარათ იქცევა იმერელი. თუ ქართლელის მცენება ანდაზაა: „ან მოჰკლავს, ან შეაკვდებაო!“ იმერლის სულ სხვაა: „ხერხი აჯობებს ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო“, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, „ზოჯერ თქმა სჯობს უთქმელობასო“ და სხვანი.

ერთი სიტყვით, დღევანდელი იმერლის მოქმედებაში ბევრი საძრახი რამ მოჩანს, მაგრამ იმავე დროს აქვე სამერმისოთ ბევრი საიმედო და სანუგეშოც რამ იხედება! როგორც ტარიელი ქართლელს. ისე ავთანდილიც იმერელს წარმოგვიდგენს. ავთანდილშიაც იმ თვისებებებს ეპოულობთ, რაც იმერელს შევნიშნეთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ავთანდილის სარბიელი უფრო ვრცელი, ფართო და ბრწყინვალეა და მიზანიც უფრო წმინდაა. ერთი სიტყვით, დღევანდელი იმერელი ისევე ავთანდილია, მხოლოდ დამცირებული და გადაუკულმართებული“.

აი, რა წარმოუთქვი მე უმთავრესად ქართლელებისა და იმერლების შესახებ ლექციების დროს და დასამტკიცებელი ფაქტებიც ბევრგვარი წარმოვადგინე. მე რაცა ვთქვი, არც მათ საქმელათ მითქვამს და არც საგინებლათ, მხოლოდ სიწრფელით აღვიარე ჩემი შეხედულობა. ახლა ნება მაქვს ვკითხო იმ ზოგიერთებს, მებუჟებებთ რომ გამოსულან და გადასხვაფერებულათ ავრცელებენ ჩემ ნაუბარს: ვერ გაიგეს დედა აზრი და გულწრფელად ჰბოდვენ, თუ განძრახვით ამახინჯებენ სხვის სიტყვებს? ორივე შემთხვევაში იმათზე არა ღირს ლაპარაკი და მათგან არა მოითხოვება რა ისე, როგორც იმ ბავშვებისაგან, რომელნიც წამხედურობით ხახვის ფოთოლს (ღერს) თავს წააგლეჯენ,

ვითომ სტვირიაო, ჩაპბერვენ და სულ „პიიპუ-პიიპუს“ აძახებენ ხოლმე, მაგრამ აქ მისთანა ვინმე აძლევს მათ კრიმინალულ-ბანს, რომ გაჩუმება აღარ შეიძლება. ბატ. ილია ჭავჭავაძეც იმასვე ამოწმებს ბეჭდვით, რასაც ისინი სიტყვით აღიარებენ და ზედაც დაცინვით უმატებს: „საოცარია კამბეჩისა და გლეხის ამბავიო“. რა არის საოცარი და სასაცილო იმ ჩემ ნათქვამ კამბეჩისა და გლეხის ამბავში, რომ ისე ახირებულათ მოხვდათ გულში ყველას—ბატონ-ყმიანათ? ნუთუ მართლა უაზროდა და უადგილოთ იყო ნათქვამი? ეგებ ბატ. ჭავჭავაძეს ის არ მოეწონა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თავობაზე საუბრის დროს ჩვენ მიწაზე ფეხი დავადგით და უღირსი საგნები ვახსენეთ: გლეხი და კამბეჩი, მაშინ, როდესაც აღმაფრენა იყო საჭირო და ვარსკვლავებთან ჭიკჭიკი?

შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ ჯერ სხვებს დავაცლით აღმასაფრენ გარჩევას „ვეფხისტყაოსნისას“ და ჩვენ მაინც იმ აზრზე ვდგებით, რომ თვით რუსთაველსაც მიწაზე ედგა ფეხი და თუ იმავ დროს ცასაც მიაჭირა თავი, ეს მისი სიდიდის ბრალი იყო, და არა მისი, რომ ვითომ ის ქვეყნიდან მოსხლეთილიყოს! მაგრამ აქ ამაზე ჩვენდა თავად მეტს აღარას ვიტყვით და მხოლოდ შევედგებით იმ ბრალდებითი საბუთების განხილვას, რომლებითაც ბ. ჭავჭავაძე დაბეჯითებით და დინჯათ ანანახობს.

„ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ალაგს აღრჩობსო“, „ეს კაცი ძალიან ჭკუიანია, როცა სძინავსო“, „ეს და ეს ვინმე ძალიან გულადია, როცა გარბისო“ და სხ. ამ ვითომდა საქებარ კილოს ხმარობს ხალხი, როდესაც ძალიან გულით უნდა, რომ ვისმე დასცინოს. ეს კილო ბატ. ჭავჭავაძესაც კარგად შეუთვისებია, რომ მით უფრო ხელმარჯვეთ გეტყორკოს ისარი, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ ისრათ ნამდვილი საბუთი უნდა იხმაროს და არა მისგანვე შეწამებულნი!.. და რომ ის ამ კანონს არ ემორჩილება, ამას ახლავე დავინახეთ.

მე ჩემი საუბარი „ვეფხისტყაოსნის გამო“ ასე დავსკვენი: „თუმცა თვით ავტორი კი გვარწმუნებს, მაგრამ ეს ამბავი სპარსულით არ არის გადმოღებულნი. აქ უცხო არა არის რა და მოთხრობაში დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია; ხალხის ქართულთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი; ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმტკიცებს. ამას გარდა, ეს თხზულება არც ზნეობითი ალეგორიაა. როგორც გვიმტკიცებს ვაჭტანგ მეფე, არც ამოა რამ სააფხენო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი და არც საკუთრათ თამარის ქება და რუსთველის პირადი გრძნობები, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ!.. დედააზრი სულ სხვაა: ეს გენიოსის წინასწარმეტყველებაა, მარად სახელმძღვანელოთ ავტორისაგან რუკად გადმონაცემი! უკვდავმა მგოსანმა თვალდათვალ დაგვანახვა, რომ ვერც ტარიელი მისი გმირული პირდაპირობით, ვერც ავთანდილ — საოცარი გამჭირახობით და ვერც ფრიდონ მისი საჭურჭლით ცალ-ცალკე ვერ გამოიხსნიდენ დაკარგულ ნესტან-დარეჯანს,

თუ ერთმანეთისათვის ძმურათ მხარი არ მიეცათ და ერთი მეორის შეთანხმებით არ ემოქმედნათ!

აი, ბატონებო, ამ მცირე აზრის დამტკიცებას მოუხდა ის დრო, ის რამოდენიმე საათი, რომელიც მე ხელთა მქონდა და უმთავრესად აზრები კი სამერმისოთ გადაიღვა. „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი თხზულება არ არის, რომ რამდენიმე სიტყვით გაათავოს იმაზე კაცმა საუბარი! იმის გასარჩევანად წელიწადები! ჰკარო, და, მაშ, ჩვენ რა უნდა მოგვესწრო, რამდენიმე საათის განმავლობაში? ამიტომაც არ შევხებივართ და არა გვითქვამს რა არც „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობაზე, არც გარეგან შევნიერებაზე და არც იმ სამეცნიერო და საფილოსოფიო აზრებზე, რომლებიც შიგადაშიგ საოცარი ხელოვნებით ჩაუნერგავს ავტორს და სხვ. აი, რა იყო ნათქვამი და ამ სიტყვების შემდეგ, ვილას ჰქონდა სიძარბო, რომ ეკითხა ჩვენთვის: „ყველაფერი ის, რისაც კი თქმა შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსანზე“, რატომ სრულათ, დაბოლოებულათ არ იყო წარმოთქმული? რატომ ყველაფრის თქმა ვერ მოასწარ რამოდენიმე საათის განმავლობაში და მით შეურაცხყოფა მიაყენე თხზულებასაცა და შემთხვევლასაცა?“.

როდის შემოსულა ეს კანონი, რომ, რადგანაც ერთთავად ყოველიფრის თქმა არ შეიძლება ზოგიერთ საგანზე, ამისათვის აღარც მის რომელიმე ნაწილზე ილაპარაკოთ?! ავიღოთ სამაგალითოდ თვით ის შექსპირი, რომელიც ბატ. ჰავკვაძეს ხშირათ აგონდება. ვინ მოთვლის, რამდენი რამ დაწერილა მის თხზულებაზე! განსაუთრებით ბიბლიოთეკაც არსებობს მის ნაწერების შესახებ, მაგრამ ჭერ კიდევ ვერ დაუბოლოებიან იმაზე საუბარი და მსჯელობა! რომელიმე ერთი აზრის, ერთი მუხლის და სიტყვის გამოსარკვევანთ მრავალფეროვან წიგნებს ადგენენ, მაგრამ არა მგონია, რომ იმათ ყველას ერთად და თვითელს ცალ-ცალკე უეჭონ: რატომ ყველაფერი, რისაც კი თქმა შეიძლებოდა შექსპირზე და მის თხზულებაზე, სულ ერთად არა თქვით, არ მოათავეთო და სხ.

სწორეთ ამნაირ გზას დადგომა ჩვენს შესახებ ბატ. ჰავკვაძე და ამასაც ხომ აღარ გვაქმარებს!.. ისეთ რამეებს გვეწამება, რაც არათუ არა გვითქვამს, მხოლოდ გულშიაც რომ გავკვებოდა, მიუტყეებელი შეცდომა იქნებოდა. მაგალითად, აი, რაებს ამბობს ჩემზე [ბ-ნი ჰავკვაძე]: „მდიდარი და ფართო მონედანი „ვეფხისტყაოსნისა“, ჰემმარიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელათ ვრცელი სარბიელი, შეცდომით, ან განგებ ვიწრო ფარგალში მოუმწყვდევიან“ და სხ. „იმ საბუთით, რომ ტარიელი ზარმაცია, ავთანდილი წინდახედულია და მებრეე სხვა, რუსთაველი უბრალო ეტნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზე ჩამოუხდენია და მათ ჰეგასზე მქდომი ცხენოსანი დაუქვეითებია!“ „ნუთუ ის ახოვანი, ლონიერი, ჯანმრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაჟაკი — ტარიელი — რუსთაველმა თავის ნებაზე ბოლოს მჩვრათ აქცია და ყოველს ამას სხვა მიზეზი არა აქვს რა, გარდა რუსთაველის თვითნებობისა და ზარმაცი ქართლის გამოსახვის სურვილისა?! ეს რომ ასე არ იყოს, მისი თხზულება ხომ

პამფლეტი იქნებოდა, თუ ძაგებაა და რეკლამა, თუ ქებაა, და არა დიდებული-
ნამოქმედარი შემოქმედებისა“ და სხ.

აქ. რასაც ბრძანებს ბატ. ჭავჭავაძე, ყველა კარგია, მაგრამ საიდან წარმო-
ულდენია ის, რომ ვითომ ჩემი აზრი და ჩემი ნათქვამი იყოს ესეები ყველა და
არა საკუთარი მისი ოცნება? მთელს ჩემ საუბარს რომ თავი დავანებოთ და
მარტო ის ნაწყვეტები ავილოთ, რომლებიც სანიმუშოთ ზემოთ მოვიყვანეთ, მე.
მგონია, მაშინაც უნდა დარწმუნდეს ყველა, რომ მე ის ფიქრალაც არ მომსვ-
ლია, რასაც ბატ. ჭავჭავაძე ასე გულდაგულ მწაძებს. და რამ აიძულა? ვერ გაი-
გო? შეუძლებელია! განძრახვით გადაასხვადფრა? რა საფიქრებელია! აბა, რა?
ის, რომ, უთუოდ, როდესაც მე დაბლა ვილოდი, ის აღმა ჰფრენდა მაშინ: არ.
მისმინა, არ უგდო ყური ჩემ საუბარს და განავონებს მიენდო! ეს შემდეგი სა-
ბუთებით უფრო ნათლად მტკიცდება; მე ვთქვი ტარიელზე და ავთანდილზე:
„ტარიელი დიდებული ბუნების კაცია, მაგრამ ნამეტნავით გულისამყოლი; ხში-
რათ თავს ვეღარ იჭერს; მისი უზომო გრძნობა ხელსა ჰრევს, გონებას და ამის
გამო გმირი საფრთხეში ვარდება ხოლმე.

თავის დღეში არ მოუვა ამგვარი რამ ავთანდილს, თუმცა ნაკლები ბუნე-
ბისა და მდარე გრძნობის არც ის არის! ეს გმირი მისთანას არას იზამს, რომ
გრძნობა გონებას არ დააკითხოს: „ასჯერ გაზომავს და ისე გამოსჭრის“ და სხ.
აქ მე გმირი ერთმანეთს შევეუდარე და სამაგალითო საბუთებიც ბევრი მქონდა
ხელში. ბატ. ჭავჭავაძეს კი ასე გაუგონია, რომ მე ტარიელს უგნური, ზარმაცი-
ქართლელი დაუძახე და ავთანდილს უგრძნობელი, ცბიერი და მძიმეთ აღ-
ქურვილი იმერელი. ამ ჩემგანვე შემოწარმოთქმულ აზრს იმ გმირების შე-
სახებ მევე მიმტკიცებს!! ნეტავი ვისთვის და რისთვის დაუხარჯავს იმოდენა
კეცა-კეცა ფრაზები და მრავალსართულიანზედ შესრულებით შეკაზმული გო-
ლიათი სიტყვები? თუ მე მართლა ვერ მოვასერხე ჩემი აზრის ნათლათ და გა-
საგებათ გამოთქმა და საბუთებიც ზერიანი ვერ მოვიტანე, მაშინ ჯერ უნდა-
ის ჩემი საბუთები გაერჩია, დაემტკიცებია მათი უვარგისობა ბატ. ჭავჭავაძეს
და მერე თავის საკუთარი საბუთებითა და უფრო საგულისხნო ლოლიკით განო-
ელაშქრა!.. თორემ ჩვენსას არ იხსენიებს, თავისი საკუთარი საბუთი მოჰყავს და
ისიც მისთანა, რომელიც თავისთავად ვერას ამტკიცებს! ასე რომ, თუ მე ჩემი
საკუთარი საბუთები არა მქონდეს ტარიელის დიდბუნებიანობის დასამტკიცე-
ბლათ და მარტო ჭავჭავაძის საბუთზე დავრჩე, მაშინ ჩემ თვალში ტარიელის
გმირობას სანაცარქეჩიო ფერი დაედებოდა.

აბა, რა საბუთია ამის თქმა, რომ „ტარიელი ეცინება, იცინის, ეტირება —
სტირის, ყოველთვის გულისამყოლია, გრძნობას ვეღარ ერევა“ და ეს მსო-
ფლიო გმირობის ნიშნებიაო და სხ. ასე რომ იყოს, მაშინ ხომ უსუსური ბავ-
შეებიც მსოფლიო გმირები იქნებოდნენ, რადგანაც ისინიც მხოლოდ გულისამ-
ყოლი არიან და გრძნობის მორჩილი?

მაგრამ ტარიელი იმავ დროს გონიერიც არისო, ამბობს ჭავჭავაძე; ამას მისი შემდეგი სიტყვები ამტკიცებსო:

„ვაქებ ჭყუას ბრძენთასა,
რომელი ეურჩებოან!“ (საწუთროს ნდომასო).

„თუ ბრძენი არ იყოს, ამას ვერ იტყოდაო“.

სწორე მოგახსენოთ, ეს საბუთი დიდი ვერა არის რა, ჩვენდა თავად რომ კიდეც სხვა საბუთები არ გვქონოდა, არ გვქონდეს და მარტო ჭავჭავაძის ეს ერთად ერთი საბუთი ვიკმაროთ, დიდ აზრს ვერ შევადგენდით ტარიელის ჭყუა-გონებაზე!.. უჭკუო კაცი ბევრჯელ იტყვის: „ჭკუა რომ მქონდეს, ასე ვიზამდი და ისეო“, მაგრამ ეს კიდეც არ ამტკიცებს მის ჭკუიანობას. საწყარი იტყვის: „ფეხები რომ მქონდეს, მთელ ქვეყანას შემოვირბენდიო“, მაგრამ ამით მისი მუხლების სიმაგრე არ მტკიცდება. დედაბრებიც ხშირათ წუწუნებენ ხოლმე: „ვაქეკაცი რომ ვიყოთ, რას არ მოვიმოქმედებდითო“ და სხ., მაგრამ ამით ისინი ბევრს ვერას არიგებენ და მაინც ისევ ისე დედაბრებათ რჩებიან. თათრული ანდაზაა: „ვინც უზალთუნს მიწუნებს, იმან უნდა აბაზი მაინც ამოილოს და მიჩვენოსო“. მისი არ იყოს, ტარიელის გრძნობა-გონების დასამტკიცებლათ ჩვენგან მოყვანილი საბუთები თუ დაიწუნა ბატ. ჭავჭავაძემ, მისი საკუთარი საბუთები სადღა არის? ეს მხოლოთ, რაც უთქვამს? ფიიე!.. განა ეს საბუთია?!

ამგვართვე იქცევა ქალების შესახებაც. აი, მე რას ვამბობდი იმათ შესახებ: „ნესტან-დარეჯანიც ტარიელივით დიდებული ბუნების მექონია და გრძნობა გადაჭარბებული; მაგალითად: როდესაც ტარიელი პირველათ ნახა, გრძნობამ აიტაცა; ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა გრძნობა აეძრა გულში: კრძალვა სირცხვილისა და სიყვარულისა. ხმა ველარ ამოილო, მაგრამ იმ ხმის ჩავარდნით უფრო მეტი გრძნობა გამოთქვა, ვიდრე მრავალმეტყველებით. სულ სხვაგვართ გვეჩვენება თინათინი, თუმცა არც გრძნობაში და არც სიყვარულში ნესტან-დარეჯანს არ ჩამოუყვარდება“ და სხვ.

საკვირველია, რომ აქაც ბატ. ჭავჭავაძე ისევ იმას ამტკიცებს, რასაც მე ვამბობ და მთელ ფურცლებს აქრელებს იმაზე, თუ რა არის გრძნობა? როგორ სხვადასხვა რიგათ იჩენს ხოლმე თავს? თავის საკუთარ მსჯელობას, რომელიც არავისათვის გაუგებარი არ არის, ლესინგის აზრებსაც უმატებს და ჰომეროსი მოჰყავს, მაგრამ ვისთვის და რისთვის?

ეგება ჩემი ნათქვამი ბუნდოვანი იყო და გაუგებარი, რადგანც მე ვერ ვახერხებ კეთა-კეთათ საუბარს და ყოველთვის უბრალო სიტყვებით, მდაბიო ლექსებით გამოვთქვამ ხოლმე ჩემ აზრს?.. მაშინ კიდეც ჰო! ეს, თითქმის, დახმარება იქნებოდა, ჩემი მხრით მადლობის მოსახსენებელი. და მეც სწორეთ გულწრფელათ მოვახსენებ მადლობას, მაგრამ უფრო მადლობელი კი ვიქნებოდი, რომ ჩემი აზრების განმეორებისათვის თავი დაენებებინა და თავის საკუთარი აზრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ისე გამოეთქვა, რომ მეც ვა-

მეგო რამე, თორემ უნდა მოგახსენოთ, როგორღაც ახირებულათ მეჩვე-
ნება.

..მისი დამტკიცება, რომ რუსთაველს მართლა საქართველო აეწეროს, ქარ-
თველები ეგულისხმოს და გმირებიც ქართველებიდან გამოეყვანოს, ავტორის
შეურაცხყოფა და მისი პეგასის დაქვეითება იქნებოდა, რადგანაც მსოფლიო
გმირებსა ჰხატავდა და არა ქართველებსო!“ — ამბობს ჰავეკაძე. მაშინ ვთქვე
და ახლაც ვიმეორებ, რომ ყოველგვარ მოვლინებას თავისი წინასწარი და შემ-
დეგი მიზეზები აქვს: უამისობა არ შეიძლება და, მაშასადამე, ამ საზოგადო კა-
ნონს ვერც „ვეფხისტყაოსანი“ გადაურჩებოდა. რუსთაველი და მისი თხზუ-
ლება განა ზეციდან ჩამოგვივარდა და ქვეყნათ ნიადაგი არა ჰქონია? „ვეფხის-
ტყაოსანში“ გამოხატული გმირები ნუთუ ნაოცნებარი და ჰაეროვანი არიან და
არა ცხოველი, ნამდვილი არსებანი? თუ ავტორს მხედველობაში მიწის შვი-
ლები არა ჰყოლოდა, მაშინ მისი „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარი იქნებოდა, მისი
გმირები ბაუბაყდევის მსგავსი რამ ნაოცნებარი და არა გულში ჩასარჩენი და
შესაწყნარებელი პირები. მაგრამ საქმეც ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“
ჩვენს ისტორიულ ცნობილ პირებს ვხედავთ, მაგალითად: ვახტანგები, დავითე-
ბი. ბაგრატები, გიორგები და, თუ გნებავსთ, თვით ირაკლიც, იგივე ტარიელ-ავ-
თანდილ-ფრიდონები არ არიან? რით ჩამოუვარდება მათ გიორგი სააკაძე?
რომელი ერთი შოთეალოთ? განა ცოტა ყოფილა საქართველიში გმირი? რომ
მსოფლიო გმირადაც გამოსადეგი ყოფილიყოს და ედიდებისო, ესახელების
ყოველი ხალხი, რომელსაც უნდა ჰკუთვნებოდეს? საზოგადო გმირებით განა
არ ვარგებულან? მაშ, რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირე-
ბიც, ერთსა და იმავე დროს, ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო
ტიპებიც?

ნე რომ სწორეთ ასე მგონია, ნუთუ მით რუსთაველის შემოქმედების ძა-
ლას ვამცირებ და ვპკიცხავ მას? პირიქით, მე რომ ის ვიფიქრო, რომ რადგანაც
რუსთაველს თავის გმირებში მსოფლიო, ზოგადი ტიპები გამოუსახავს და ამი-
ტომაც ის გმირები ქართველები ველარ იქნებიან-მეთქი, მაშინ რა აზრის უნდა
ვიყო ქართველებზე? ნუთუ მართლა ქართველები ისე ყოფილან, რომ მათგან
ზოგადი ტიპი და მსოფლიო გმირი არ გამოიხატებოდეს?! ჰავეკაძე კი, ჩანს,
სულ სხვა აზრისა არის, სამაგალითოდ შექსპირის გმირები მოჰყავს და იმას კი
ივიწყებს, რომ იულიოს კეისარი, ანუ ქარიოლანუსი, მართალია, მსოფლიო
ტიპები არიან, მაგრამ იმავ დროს ყველაზე უმალ რომაელებიც არიან და მათ
ზოგადობას ეს არათუ უშლის რასმე, კიდევ ეწევა!.. ტიპონ ათინელი ბერქენია,
პენრიკო — ინგლისელი და სხვა და სხ.

ჩვენ რომ ის ვიფიქროთ, რომ მსოფლიო, საზოგადო ტიპები მხოლოდ
ღირს არიან, რომელნიც კერძოთ არც ერთ ერს არ ეკუთვნიან და საზოგადოთ
კი ყველას ერთნაირად, მაშინ გიყებიც სამაგალითო მსოფლიო საგმირო ტი-
პები იქნებოდენ, რადგანაც ყოველი ქვეყნისა და ხალხის გიყები ერთმანეთსა

ჰევანან!.. და მათი ამწერიც დიდი შემომკმედი გენიოსია რაღა?.. „ფალსტაფი, რადგანაც ბაქიაა და ქართველიც ბაქია, მაშ, ის ქართველი ყოფილა? გვიკი-
უნებს ბატ. ჰავჭავაძე და ძალიან მსუბუქათაც ბრძანებს: სახალხო ტიპათ იმასა
თვლიან, რომელიც რომელიმე ხალხის უმეტესობას გვიხატავს. ფალსტაფი ისე
რომ აწერა შექსპირს, რომ უმეტეს ნაწილს ქართველებისას მის სახეში თა-
ვისი თავი ეცნო, რასაკვირველია, ქართველი ტიპი იქნებოდა; თორემ მარტო
მითი, რომ ის პურსა ჰამს და ქართველიც პურსა ჰამს, ისიც იცინის და ქარ-
თველიც, ისიც ახველებს და ქართველიც, განა დამტკიცდება რამე? სხვა აღარა
არის რა საჭირო?

მე რომ ტარიელის ქართველობის დასამტკიცებლათ ბაქიაობა მეთქვა და
მეტი სხვა აღარაფერი, მაშინ, რასაკვირველია, ბატ. ჰავჭავაძესაც სიმართლე
ჰქონდა ეთქვა ჩემთვის: „ფალსტაფი ბაქიაა, ქართველიც ბაქიაა, და, მაშ,
ფალსტაფიც ქართველი ყოფილა!“ მაგრამ ჩვენ ხომ არც ის სიტყვა „ბაქიაო-
ბა“ გვიხმარია იმ კილოთი და იმ აზრით, როგორც ჰავჭავაძე გვეწამება და
მის გარდა კიდევ სხვა საბუთები განა ცოტა ვინმარეთ უფრო საქები და საჩი-
ნო ტარიელის ქართლელობისა და ავთანდილის იმერლობის დასამტკიცებლათ?
მარტო ეს ერთი სიტყვა რომ მოჰყავს, ისიც თავისებურათ თავ-ბოლო მოკვე-
ცილათ და გადასხვაფერებულათ, სხვა სიტყვები — იმ სიტყვის მოკავშირე და
შემგვსებელი რათ გადაუფუფუნებია? თუ რომ სიტყვა-სიტყვით არ გავიმეო-
რებთ და ჩვენებურათ შევეცლით, სიტყვებს გადავს-გადმოსვამთ, ზოგს გამო-
ვაკლებთ და ზოგს ჩავუმატებთ, რასაკვირველია, ყოველი ნათქვამი სხვანაირათ
გამოვა.

ხანხადახან არათუ ფრაზებისა და სიტყვის, ერთი მარცვლის ჩამატებით
ან გამოკლებითაც შეიძლება აზრი შესცვალოს კაცმა. აი, თუ გინდა ეს მაგა-
ლითი ავიღოთ: მე ვამბობ: „ბატონი ჰავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც
წარმოსთვა მის შესახებ, გულწრფელობით მოსვლია და არა სხვაგვარ რამ კრი-
მანჭულობით და სხ...“ ეს რომ ვინმემ შესცვალოს ამგვარათ: „ბატ. ჰავჭავაძე
არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოუთქვამს მის შესახებ, გულწრფელობით
არ მოსვლია, გარნა სხვაგვარკრიმანჭულობით და სხვ...“ ეს ჩემი ბრალი იქნება?
აი სათვალდათვალო მაგალითი, როგორ შეიძლება აზრის გადასხვაფერება
ერთი უბრალო მარცვლის ჩამატებით!..

თავის წერილებს ბატ. ჰავჭავაძე ისე ათავებს, როგორც შეშენის სახელ-
განთქმულ კაცს: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტათ დიდ სახელად მი-
გვაჩნია და მოგვიტეონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის და-
ვუთმობთო!“.

კეთილი და პატიოსანი! რასაკვირველია, ის, ვინც დიდათ მიგვაჩნია, ვისაც
ვაფასებთ და ვინც გვიყვარს, ძნელი შესალევია და მის სახელსაც ადვილათ ვე-
რავის დავუთმობთ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ერთსა და იმავე
არსების სიყვარული და დაფასება ერთსაც შეუძლია და მეორესაც, დიდსაც

და პატარასაც; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თავ-თავის შეძლებისა და გვართ აფასებენ. მე ჩემი პატარა აზრი წარმოვთქვი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ რაზედმე. შეიძლება, რომ, ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, მართლა გალიფულ გზაზე დავდექ და ფეხი ამისხლტა, საუბარიც მეტისმეტად უგემური რამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწყენი, მაგრამ ამას კი აღვიარებ, რომ რაცა ვთქვი — გულწრფელად იყო გამოთქმული. და ახლა დიდი სიამოვნებითა და ნატურით ველი იმ დროს, როდესაც იმავე საგანზე ბატ. ჭავჭავაძე წარმოთქვამს თავის საკუთარ აზრს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი სიამოვნებით ჩემი საკუთარი ყურით მოვისმენ მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მოფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისადაგვართ და ცხრა თავიან დევივით ისრებს არ გავტყორცნი ძლევამოსილი უეჭველობით. ამას მოითხოვს, როგორც რუსთაველის დიდი ვინმეობა და ბატ. ჭავჭავაძის ღირსება, ისე ჩემი საკუთარი თავის პატივისცემაც.

დასასრულ ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი საუბარი რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“ ჭერ არ დაბეჭდილა, და თუ რატომ არა, ეს ბატონმა ჭავჭავაძემ ყველაზე უკეთ იცის. დაბეჭდილი რომ ყოფილიყო, მე ყურადღებასაც არ მივაქცევდი იმ ხმას, რომელსაც ზოგიერთები ავრცელებდენ, მაგრამ დღეს კი იძულებული შევიქენი, რადგანაც თვით ბატ. ჭავჭავაძემაც ბანი ნისცა საჯაროთ და ნურაფრის უპაცრავათ.

[1887]

თანამედროვე პანკები რუსთაველისაგან მე-12 საუკუნეში
წინასწარი ლექცია¹⁵

ყველაზე უმაღლეს ბოდიშს ვიხდი, რომ ვბედავ საჯაროდ გამოსულას. მე თვითონ ვგრძნობ, რომ დროს თავისი მიაქვს, მაგრამ ერთხელ კიდევ წამძლია სულმა და გულმა, რომ გულში ნადები გაგიზიაროთ და თუ თქვენი მოლოდინი არ გამართლდეს და საკადრისი ვერა მოგახსენოთ რა, იმედია, მამაკაცებზე.

რაც ბუზ-მწერებში დანიშნულება აქვს პატარა ფუტკარს, ისევე აღამიანებში აქვს მგონებაც, ესე იგი პოეტებს. ფუტკარს, რასაკვირველია, ყველა თვეგანი იცნობს: ის არის ერთი მოუსვენარი ბუზი. რომელიც დიდიდან სალამომდე დაბუის, დაჰფრენს შეუპოვრად: ხან ერთ ყვავილს ევლება თავს, ხან მეორეს; ეძებს ნაწილებს იმ სამზადისისას, რომელსაც ქვეყანას უკეთებს; სადაც კი ნახავს, ამოსწოწნის, იხვევს და სალამ-სალამობით დატვირთული ბრუნდება საფუტკრეშივე, რომ მოამზადოს თავი პირის ჩასაგემრიელებლად და სანთელი — ბნელის გასანათლებლად. — ამგვარი მოქირნახულე, რა თქმა უნდა, უნდა უყვარდეს ყველას, ღირსეულად აფასებდეს და მიტომაც უთქვამს ხალხს: „ბუზი ყველა ბუზისო, მაგრამ ფუტკართან კი სტყუისო!“.

მართლაც რომ ხალხი პატრისა სცემს ფუტკარს, უყვარს, როგორც მარდო მუშა, მაგრამ... შორიდან კი!... და ახლოს ერიდება. ოთახში უეტრად შეფრენილი რომ ნახონ, აშფოთდებიან. განსაკუთრებით ყმაწვილები, თავლის წუწკები, გაურბიან ხოლმე და იმავე დროს კი მოკიაფე უნაყოფო ციციანთელას დასდევენ და ქრელ პეპელას გულში იძვრენენ. და რადა? რა დაუშავებია ფუტკარს? — ის, რომ მწარედ იკბინებაო! მაგრამ განა ეს მართალია? კბენაც არის და კბენაც, ყველამ ვიცით, რომ ფუტკარი, პირიქით, არავის არ ერჩის. ის, როგორც კეთილი მუშა, თავისს გზას ადგია და მხოლოდ მტერს იგერიებს: ვერ აიტანს, რომ უკადრისად ვინმემ ხელი შეახოს და ვინც ხელს უშლის და წინ ეღობება მის წმინდა სამუშაოს, იმას მხოლოდ პისრავს და თანაც გადაწყვება ხოლმე თავისივე ნაკბენს. სწორედ ამგვარივე ბედი ჰრგებიათ მგონებულსაც აღამიანებში: მათი ნაწარმოები უყვართ და თვითონ მათვე ერიდებიან და

გულში ჩაქცეული უშიშრად არავინა ჰყავთ!... მე მოგახსენებთ ნამდვილ მგოსნებზე და არა იმ მოშიარეებზე, რომელთა რიცხვი უთვალავია და რომელთაც რუსთაველი ასე ახასიათებს:

„მოშიარე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვას ერთი-ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მოლექსეთა კარგთა სწორი.
განაღა სთქვას ერთი-ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
?აკრამ იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ქორი!“

დიას! მე მოგახსენებთ ნამდვილ პოეტებზე და ჩვენ პატარა საქართველოსაც, როგორც უძველესს ხალხს და ისტორიულად გამოციდლს, ჰყოლია დიდი მგოსნებიც და მათ რიცხვში უპირველესი ადგილი უჭირავს რუსთაველს!... უპირველესი არა მარტო ქართველებში, თამამად ვიტყვი, უპირველესთაგანი მსოფლიო მწერლობაშიაც, დიას!... მაგრამ მე დღეს არას მოგახსენებთ მისს მალალ პოეტურ ნიჭზე და გადავალ პირდაპირ მის იდეებზე, თავის „ვეფხისტყაოსანში“ რომ აქვს ჩართული მეთორმეტე საუკუნეში, ამ რვაასის წლის წინეთ და რასაც დღეს... მხოლოდ დღეს მოითხოვს კაცობრიობა... სქესთა, ესე აგი, დედაკაცის მამაკაცთან თანასწორობაზე, გვარიშვილობისა და ჩამომავლობის არარაობაზე, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, მეგობრის არ დავიწყებაზე, თანხმობით მოქმედებაზე და სხვანი...

დავიწყეთ სქესთა თანასწორობაზე. ერთ ალაგას რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ გვიამბობს შემდეგს: მეფე როსტევეან, რომ დაბერდა, საგონებელში ჩავარდა და მიზეზიც მისი მწუხარების ის იყო, რომ ერთი ქალის მეტი არა ჰყავდა რა და, რადგანაც ქალი მეფედ ვერ დაჯდებოდა, არა თუ მაშინდელ შეხედულებით, დღევანდელისაც, ტახტი უმემკვიდრეოდ რჩებოდა. მოიხმო კარის კაცები საეზიროდ, გაუმკლავნა თავისი ფიქრები და იმათაც ერთხმად და ერთპირად ურჩიეს, რომ ქალი გაემეფებია. სულ ერთია, კაცი იქნება მეფედ თუ ქალი, ოღონდ თვითონ კი ვარგოდეს! — ქალი კი განა ღვთისავე განაჩენი არ არისო?

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია!
არ გათნვეთ. იცის მეფობა, უთქვენოდ გვიოქვენს კვლადია.
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია
და ლევი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადიაო!“

აქ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყოლიფერი უმალლესი ქათინაურია, ე. ი. კომპლიმენტი და ეკუთვნის მხოლოდ მეფესა და მის ჩამომავლობასაო. მაგრამ შემცდარი იქნება; რუსთაველის მთელს „ვეფხისტყაოსანში“ ქალი საზოგადო მეფის ჩამომავალია, როგორც ნესტან-დარეჯანი, თინათინი, თუ უბრალო ვაჟრის ცოლი, როგორც ფატმანი, თუ მოახლე ასმათი, ყველას თავისთავად ამოქმედებს. თვითნება არიან და არა ჩვენ რომ დღეს გვესმის

მისთანა მონა. მოვალეობას ასრულებენ და მბრძანებელი არაინა ჰყავთ, მხოლოდ მიტომ, რომ აქოდა ქალია ჩვენზე სუსტიო. — იმ დროში, ამ რეაისის წლის წინათ, საიდან შემოიტანა ეს ჰაზრი რუსთველმა? როგორც ფუტკარი თავის სამზადისს ნაწილ-ნაწილად აგროვებს თავისავე ქვეყნის ყვავილებიდან, ასე იმანაც, ესე იგი რუსთაველმაც თავისი გრძნობა გონების მასალა იპოვა ქართველებშივე, აქა-იქ გაბნეული მოაგროვა და გააერთიანა. და მართლაც, როსტევეანი სარკეა მეფე გიორგის, თამარის მამის, იმასაც ერთი ქალის მეტა არა ჰყავდა რა, მაგრამ უმაგალითო საქმე ჩაიდინა და კარის კაცების თანხმობით გადასცა ტახტი ქალს, თამარს. ქალის განეფება, რალა თქმა უნდა, საზოგადოდ ქალთა უფლებას გაამტკიცებდა! თუმცა მანამდისაც ქალთა უფლება არასოდეს არ ყოფილა შეზღუდული საქართველოში და ქართველი ქალები განსხვავდებოდნენ სხვა ერების ქალებისაგან. ამ ჩვენი პატარა სამეფოსი, საქართველოს ისტორიული მიმდინარეობა ისეთი იყო, რომ მამაკაცები ნიადაგ საზღვარზე იდგნენ, ყოველ კუთხით შემოსულ მტრების მოსაგერებლად და რთული საოჯახო საქმე და შვილთა აღზრდა დედებს რჩებოდათ ხელში. აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მერვე საუკუნიდან დაწყებული არაბებს შემოჰქონდათ საქართველოში სწავლა-მეცნიერება, რაიცა მამადიან ქალებს ყურანის ძალით აკრძალული ჰქონდათ და ქართველი ქალები კი, როგორც ქრისტეს მიმდევრები, ხელშეუშლელად ეწაფებოდნენ იმ სწავლა-მეცნიერებას. ყოველივე ამან გაავითარა, აამაღლა ქართველი ქალი და აიყვანა მამაკაცის სისწორემდე. და მამასადაღე ლექსი:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს გინდა ხეაღია!“

ეს თანამედროვე აზრი, გამოთქმული რეაისი წლის წინათ ჩვენში ეკუთვნის არა მარტო მეფესა და მის შთამომავლობას, არამედ მთელ ხალხს, მთელ ქართველობას, რომლის გრძნობა-გონების გამომხატველიც იყო რუსთაველი. დედაკაცისა და მამაკაცის უფლებათა თანასწორობა ძველთაგანვე რომ უეჭველი იყო, ამას საისტორიო ქალაღლებიც გვიმტკიცებენ. ძმისწული დავით აღმაშენებლის, მცირე აზიაში განთქმული და „გურჯი თამარად“ წოდებული, ბურღუ-ხანუმ, მეფე გიორგის III მეუღლე, რუსუდან გიორგისავე და, ბრწყინვალე თამარის გამზრდელი, კრავაძე ჯაყელი, ხოშავი, რატი სურამელის დედა, ვახახი, რომლის ჩამომავლობა დღესაც ვახვახისშივლებად იწოდებიან, სავძივარი და სხვანი. ყველა გამოჩენილი ქალების სახელი რომ ვახსენოთ, დღეს აქ სიტყვა გაგვიგრძელდება და მხოლოდ შემოკლებით ვიტყვი რუსთაველთან ერთად:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს გინდა ხეაღია!“

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სქესთა თანასწორობა სხვაგვარად ესმოდა ჩვენს ძველებს, ვიდრე დღეს ესმის ზოგიერთებს: ადრე, წინეთ ქალს დედა-კაცი ერქვა. ეს სიტყვა „ქალი“ VIII საუკუნიდან შემოიტანეს არაბებმა

ჩვენში და „ნიშნავს“, სიტყვა-სიტყვით რომ ვსთარგმნოთ, „მშობიარეს“. მანამდღის ქალს „დედაკაცს“ ვეძახდით. მაგრამ დღეს ისე გადარჩალებულა „ქალის“ მაგიერ „დედაკაცი“ უთხრა ვისმეს, საუკადრისოდ მიიღებს. აგრეთვე „ცოლი“. „მეუღლე“ — გვიხატავს ხალხის შეხედულებას ქალზე: „მეუღლე“ ნიშნავს უღლის ცალსა, თანასწორად გაბმული ცხოვრების უღელში ქალი და კაცი ერთი მეორის დაუჩაგვრელად უნდა მიისწრაფოდენ თანასწორად. აგრეთვე მეორე სიტყვა „ცოლი“ წარმოდგება სიტყვიდან „ცვალი“, ესე იგი საჭიროების დროს ერთიმეორის ადგილის დამკვირი. აქედან ის იგულისხმება, რომ ქართველი კაცის შეხედულებით „ქალსა“ და „კაცს“ თანასწორი ადგილი უნდა ექონოთ ცხოვრებაში და ისტორიულად სწორედ ასეც იყო ეს. მაგრამ, როგორც ერთმანეთის თანასწორ ორსნახევარს საქმე განაწილებული ჰქონდათ. ის, რაც უფრო ეადვილებოდათ და ეხერხებოდათ ქალებს, ესე იგი ქმარ-შვილის მოვლა-აღზრდა და მათი გაწვრთნა-განათლება, ოჯახის თვალყურის გდება, საზიარო საქმეებში ჩარევა, მკურნალობა, გარდა დოსტაქარობისა, და სხვანი იმით ხელში იყო და ქმრებს კი, როგორც სხეულით უფრო ძლიერებს, გარეშე საქმეები, ე. ი. მტრის მოგერება და საძარღვო ჭაპან-წყვეტის გაწევა, მოწეულის გარედამ შეძოტანა ოჯახში და სხვანი ამგვარი რჩებოდათ. მაგრამ ეს საქმის შესაფერად განაწილება არც ერთ მხარეს უფლებას არ აძლევდა, რომ მეორის უფლება დაერღვია. ქალიცა და კაციც, როგორც ცხოვრების მიმდინარეობაში, ისე უფლებითაც ერთმანეთის თანასწორნი იყვენ და რუსთაველის სიტყვაც:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვალაო!“

სავსებით ამას ნიშნავს და სხვას არაფერს.

ახლა გადავიდეთ ჩამომავლობა-გვარიშვილობაზე. ჩვენ, ქართველები, ერთ უძველეს ხალხთაგანს ვეკუთვნით. მრავალ საუკუნეების განმავლობაში, რამდენიმე ათასი წელი გვიცხოვრია საკუთარის ეროვნულ ელფერით, ყოველთვის გვქონია საკუთარი სამეფო და ვხსენებულვართ მსოფლიოდ ქართველ ერად; თუმცა ხან გიორგიანებად, ხან კოლხიდელებად, ხან ივერიელებად, ხან გურჯებად, ხან გურგანელებად და ხან კიდევ რად! მაგრამ მაინც ქართველებად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სხვადასხვა ხალხი და სამეფო გაბრწყინებულა მსოფლიო მნიშვნელობით, მაგრამ გამქრალა და დღეს აღარსად სჩანან; ზოგი სულ ამოფხვრილა ქვეყნის პირისაგან და ზოგიც უმნიშვნელოდ დარჩენილა. აბა, სადღა არიან: ასურეთი, ბაბილონი, ეგვიპტე, არაბეთი, დიდი განთქმული ბიზანტია, დიდებული რომი და სხვანი? მაგრამ საქართველოს კი გაუვლია ჭირ-ვარამი, ეს გრძელი ხანა, გადარჩენილა დამხობას და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოუტანია თავისი თავის არსებობა და თა-

ვისივე სურვილით შეკედლებია სხვა, უცხო ხალხს სამოყვაროდ და არა სა-
შინაოდ თავისს გუნებაში!...

რას უნდა მივაწეროთ მისი ეს ხანგრძლივობა! — იმას, რომ ქართველები
დროს შესაფერად და გარემოების საკადრისად ყოველთვის ეკუთვნოდნენ მო-
წინავე ერთაგანს და შინაგანი წესწყობილება მტკიცე ჰქონდათ, მით რომ წო-
დებათა შორის ზნეობითად დიდი განსხვავება არ ყოფილა და ყველა ერთად,
ერთი მიზნით ყოფილა გამსქვეალული. ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოები კი
წოდებათა უთანხმოებამ დაამხო. იმათში წოდება შთამომავლობითი იყო. ერთი-
საგან მოპოებულ ღირსებას სამემკვიდრეოდ გადაიტანდა მისი შთამომავლობა
და ეს იწვევდა საერთო უთანხმოებას. მაღალი წოდება მედიდურად გადაჰყუ-
რებდა დაბალს, დაბალი შიშითა და სიხარბით შეჰყურებდა მაღალს, რომელიც
ვედარ ასრულებდა მისი წინაპრის საქვეყნო ჰვალს და ამიტომ მათ შორის კაე-
შირი სწყდებოდა. ამ შინაგანი არეულობით სარგებლობდა მომსელები გარე-
შე მტერი და აოხრებდა ოდესმე დიდებულ ქვეყანას და აი სწორედ, ამაზე უთ-
ქვამთ ჩვენ ძველებს: „ციხე შიგნიდან გასტყდებოა“... მაღალი და დაბალი წო-
დება ჩვენ სამეფოშიაც ყოფილა, მაგრამ არა იმ ძალითა და უფლებით, როგორც
სხვაგან. ჩვენი წარსული რომ შესწავლილი გვექონდეს, ისტორია გვეტყოდა,
რომ ქართველებსაც გვეყოლია „მაღალი“ და „დაბალი“ წოდება, ისე როგორც
ყოველ მოწესრიგებულ სამეფოში, მაგრამ ამაღლება არავის აძლევდა უფლე-
ბას, რომ დაბალი დაემონაეებია... დაეჩაგრა. ყველა მხოლოდ თავთავის მო-
ვალეობას ასრულებდა საქვეყნოდ. მართალია, მაღალ წოდებას შეადგენდნენ
თავადები, ე. ი. ისინი, ვინც სათავეში უდგენ, რომელსამე საერო საქმეს, ერი-
სთაეები და დიდებულები, მაგრამ მათი ნაშეირები იწოდებოდნენ მხოლოდ თა-
ვადიშვილად, ერისთავის შვილებად და დიდებულებად. ეს მხოლოდ იყო უბ-
რალო წოდება და არ აძლევდა იმათ იმ საერთო უფლებას, რომელიც მათ გა-
მოჩენილ წინაპრებს ჰქონდათ ოდესმე, ერთ დროს. და მიტომაც ერთ რომე-
ლიმე საუკუნეში, რომ თავადებს ვხედავთ, შემდეგ საუკუნეებში თავადებად
სულ სხვა გვარები გამოდიან. მაგალითად, ავიღოთ თამარ მეფის თანამოღვაწე-
ები: გამრეკელი, ამანელიძე, კახაბერი, აბუსერიძე, საყარსამიძე, მხარგრძელები
და სხვანი.

სადღა არიან დღეს და თუ არიან, რატომ აღარ იხსენებიათ მათი წინაპრე-
ბის სახელით? ბერძნების ისტორიაში მეოთხე საუკუნეში მოხსენებული კოლ-
ხიდეს მთავარი „გუბაძე“, ოდესმე დიდებული „ქილაძე“, გოშაძე და სხვანი
სადღა არიან და რატომ მათი გვარი დღესაც აღარ თევალობს? „გუბი“ და
„საქილაო“ კი დღესაც ისევე არიან ვაკე-იმერეთში. მაგრამ რაღა შორს მივალ?
ავიღოთ სულ ახალი დრო. გამოჩენილმა გიორგი ჩიქოვანმა ჩამოართვა დადიან-
ობა ლიპარტიანს, დაიჭირა მისი ადგილი და დღეს ლიპარტიანები გლეხებად
იხსენიებიან. ჩვენ ქვეყანას, მაღალმაღალის დამდაბლება და მდაბალის ამაღლე-
ბა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა. ვინ იყო ლურამელი? და ან გიორგი სააკა-

ძე, დიდ მოუწავად წოდებული? სულ უბრალო შთამომავლობის... უგვარტომო კაცები და საქვეყნო პირველ როლს კი თამაშობენ, მაშინ როდესაც ერისთავის შვილებით, თავადიშვილებით და დიდებულებითაც სავსე იყო ჩვენი სამეფო! და აი სწორედ ამგვარმა მოვლინებამ ათქმევინა რუსთაველს ის, რაც იმ დროში სხვაგან არა თქმულა:

„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა!
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“...

დიახ! ეს ჭეშმარიტება იმ თავითვე შესისხლბორცებული ჰქონდა ქართველს! მართალია, უკანასკნელი მეცხრამეტე საუკუნე, რაღაც კი სხვას შეეუერთდით, მარტო იმასა სცდილობდა, რომ დაერღვია ჩვენი ძველი წესწყობილება, დაევიწყებინა ჩვენთვის წინაპრების ყოველგვარი ანდერძი, რომ მათ მაგვირ. თავისი შემოეტანა, მაგრამ დღევანდელი მოძრაობა გვიმტკიცებს, რომ ქართველს ჭერ კიდევ არ დაჰვიწყებია ძველი ჭეშმარიტება და რუსთაველთან ერთად გაიძახის:

„თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“...

გადავიდეთ ბატონყმობის უსამართლობაზე. დღეს ჩვენში მისთანა ჰქუათა მყოფი არავინ არის, რომ ბატონყმობა არ ეზიზღებოდეს და უფროს-უმცროსობა ძმური, ამხანაგური და არა ბატონური არა სწამდეს, მაგრამ ძველად კი ეს საზოგადოებრივი მოვლინება დაკანონებულიც იყო. თავდაპირველად სუსტი მოძმეები მიეკედლენ ძლიერებს, მოითხოვენ მათგან შემწეობა, მფარველობა და ძლიერებმაც ისარტყბლეს ამ შემთხვევით: დღესხვალიობით დაიმონავეს სუსტები. ეს ბოროტება მოედვა დედამიწის ზურგს და ბოლოს გაჩნდა დაკანონებული მონობა. — როგორც სხვა ხალხებში, ისე ქართველებშიც იყო „ბატონყმობა“, მაგრამ არა ისე ფეხმოკიდებული შედარებით, როგორც სხვაგან, სადაც ადამიანი პირუტყვივით იყო დამონებული. ჩვენში კი, ეს არასასურველი მოვლენა, ბატონყმობა იყო პირობითი და არა ძალმომრეობითი. მონობა, თითქმის არ ყოფილა. გლეხებს ერთხელვე ჰქონდათ გადაჭრილი პირობითი გადასახადი, ბეგარა, და იმას მხოლოდ იხდიდნენ. ადგილ-მამული შეადგენდა გლეხის საკუთრებას, ბატონს შეეძლო გლეხი გაეყიდა, მხოლოდ იმ პირობითა და უფლებით, რა უფლებითაც თვითონ ჰყავდა, და ადგილმამულს კი ვერც ბატონი შეეხებოდა. გადასახადი, ანუ ბეგარა, განაწილებული იყო გლეხობაში: ზოგს მარტო პური ეპართა, ზოგს მარტო შინაყმა და ამგვარად, რაც ერთხელვე დაწესებული არ იყო, იმაზე მეტს ვერავინ რამეს მოსთხოვდა მათ კანონთ. მონაობითი „ბატონყმობა“ შემოგვიტანა მე-19 საუკუნემ, როცა ჩვენი ქვეყნის წესწყობილება დაირღვა და უცხოეთით ახალი კანონი შემოვიდა.

მე თვითონ მომსწრე ვარ იმ არასრულ ბატონყმობისა და მოგახსენებთ ერთ შემთხვევას, რომელიც ჩემის. თვალთ მინახავს: თავ. სიკო წერეთელს

გლეხი გადაუშენდა. იმას მხოლოდ ერთი ათი წლის ქალი დარჩა და ის ქალი ბატონმა გამოიყვანა სასახლეში. ეს იუკადრისა სოფელმა, შეატყობინა სხვა ახლო სოფლებსაც ეს უსამართლობა და რამდენიმე ათასი გლეხი მოადგა მებატონეს მუქართ: ჩვენ გლეხები ვართ და არა მონა-მოჯალაბე, რომ მოახლე გვემართოს! მართალია, გლეხი გადაშენდა, მაგრამ დარჩა მცირეწლოვანი ქალი, რომელზედაც სოფელმა უნდა იზრუნოს, ადგილ-მამულსაც მოუაროს და დროზე ქალიც გაათხოვოსო. მებატონე იძულებული გახდა, რომ ქალი მათთვისვე დაებრუნებია. ეს ძალმომრეობა, თუმცა გლეხების მხრით იუკადრისა წერეთლის გვარმა და იმ დროს გამოჩენილის პოლკოვნიკ სვიმონ წერეთლის მეთაურობით აღიჭურვა დიდი და პატარა, საერთოდ წერეთლის გვარი, თან წაიყვანა აზნაურები, გამოუდგა გლეხებს და მოეწია ყვირილის პირად. გლეხები, ყველა ხეკეტით მომზადებული მოუბრუნდნენ ბატონებს და მოახსენეს: ნუ იზამთ იმას, რაც თქვენ წინაპრებს არ ექნას!... ჩვენ მოახლე არ გემართებს და თუ ძალმომრეობაზე უნდა მივარდეს საქმე, მზად ვართ, რომ თავები დაეიხოკოთო!.. ნურც თქვენ გასტეხთ, ნუ გადააქარბებთ თქვენს უფლებას და ნურც ჩვენ გაგვატეხინებთ ჩვენს მოვალეობასო! ნურც დააქცევთ და ნურც დაგვაქცევენებთ სისხლსო. ამ გადაჭრილ პასუხის შემდეგ ჩაგულისხმებული მებატონეები გამობრუნდნენ უკანვე უჩხუბრად, და ქალი გლეხებმა წაიყვანეს.

იმავე ხანებში, ქართლში ერთ მებატონეს სამუშაოდ უნდა მოხმარებოდა მისი გლეხი ერთი უღელი ხარით, მაგრამ ცალი ხარი მოკვდომოდა. ბატონი განრისხდა და უბრძანა გლეხს: იშოვნე სადმე უღლის ცალი და ან შენ გაები ხარის მაგიერ უღელშიო! — ხომ იცი, რომ ახლა სხვა კანონიაო.

ამან გამოიწვია მთელი სოფლის აღელვება და მებატონე ცოლ-შვილთან ამოსწყვიტეს იმ ღამესვე.

ცნობილ ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, დეკაბრისტი, რომ დაბუნდა სამშობლოშიც, მეურნეობას მიჰყო ხელი. ერთ დღეს ნახა, რომ ძროხები არ შეერეკათ საჩხეში და გარეთ დარჩენილიყვენ. მოსამსახურეებს რომ გამოჰკითხა მიზეზი, იმათ ასე უთხრეს: მწყემსი ავად გახდა და ვილას უნდა შემოერეკაო? გაგულისდა რუსეთში გაზრდილი მებატონე: თქვენ რაღა, რომ უსაქმოდ იყავით და რა გაგიჭირდათ ძროხების დამწყვდევაო? არა, ჩემს ოჯახში დღეიდან ის ნულარ იქნება, რომ გაგინაწილებიათ შრომა: ზოგს წყალ-ტაშტი მოგაქვსთ, ზოგს პირსახოცი, ზოგს სავარცხელი და ამგვარადო. ეს მმართვებია, ის არ მმართვებია, მე არ ვიციო! როცა უსაქმურად ხარ, ყველაფერი უნდა გაკეთო! [ეს წერეთელი] მეორე დღეს ტყვიით გახვრეტილი, მკვდარი ნახეს საწოლ ოთახში. ეს ყველა რას მოასწავებს? იმას, რომ ქართველს არ ჰქონია გამჭდარი ძვალსა და რბილში მონაობა, ძალდატანებით არ იკისრებდა რამეს. და მხოლოდ ასრულებდა იმ მოვალეობას, რაც წინაპრებისაგან ჰქონდა ვადმოცემული: და რომ ჩვენ ძველებს სხვაგვარად ესმოდათ „ბატონყმობა“, ამას

თვით სახელიც გვიმტკიცებს! სიტყვა „ბატონი“ წარმოსდგება სიტყვიდან „პატრონი“. პატრონი ნიშნავს მზურნველს, ხელმძღვანელს და მომვლელს. „ყმა“ ნიშნავს ახალგაზრდას, გასაწვრთნელსა და გასაზრდელს. მაშასადამე, სიტყვა „ბატონ-ყმობა“ არ ნიშნავს იძულებით მონობასა და ძალმომრეობას. არის თანხმობითი კავშირი ძმური, მამობრივ-შვილობრივი და არა უფალ-მონური, რომელიც უკანასკნელ მე-19 საუკუნეში სხვებმა შემოგვიტანეს. სწორედაც ეს-ზოდა ჩვენ ძველებს, რასაც ნათლად გვიხატავს მე-12 საუკუნეში, იმ გახურვებულ მონაობის დროს საქვეყნოდ რუსთაველი მის „ვეფხისტყაოსანში“. როსტევან მეფეს შვილივით უყვარს მისი ყმა ავთანდილი, მისგან გაწვრთნილი და გამოზდილი, ქალს აძლევს და სამეფო ტახტზე აჰყავს თავის მავიერ. ავთანდილ, რომ ტარიელის საქებრად მიდის, თავისს მოადგილედ მის ყმასა შერჩადინს ჰსტოვებს და ანდობს ყოფა-ცხოვრებას. ფრიდონ, რომ გამარჯვებული ქაჯეთიდან დაბრუნდება სამეფოში, თვალცრემლიანი ეუბნება ჰირისუფლებს: ძვირად მიზის გამარჯვება! ჩემს სიცოცხლეში სამწუხაროდ და საგლოვოდ ის მეყოფა, რომ ჩემი ყმები ზოგიერთები ჩხუბში დაიხოცენო და ცოტანუგეში მხოლოდ ისღაა, აქ სახელი ნახეს და იქ პირნათლად წარსდგებიანო. ტარიელ ისე ექცევა მოახლე ასმათს, როგორც უძვირფასესს მეგობარს და არა მონას და სხვანი. ამის შემდეგ რალა გასაკვირვალა ის, რომ რაც სხვაგან არ ითქმოდა იმ დროში, ის გამოითქვა ავთანდილის ანდერძში: ათავისუფლე მონებიო,

„ილწვიან მომიგონებენ, დამლოცავენ მოვეგონებო!“

„მოვეგონები“, მაგრამ ეს „მოვეგონები“ დღეს გადავარდნილია:

ღიახ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენში წარსულს ფასი აღარ აქვს მაშინ, როდესაც „წარსულს“ ბევრი რამ საანდერძო დაუგდია ჩვენთვის. და რომ ის ჩვენ შესწავლილი გვექონდეს, გვეცოდინებოდა, თუ რა ვიყავით ძველად ქართველები და რა უმნიშვნელო ვართ დღეს. მაგრამ ამ უნუგეშობაშიაც კიდევ ნუგეშს გვცემს და გვაძნევეს რუსთაველი. მისი „ვეფხისტყაოსანი“, სხვათა შორის, პოეტური წინასწარმეტყველებება! ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ქაჯებისაგან დამონებული წაყვანილი ნესტან-დარეჯანი საქართველოა და იმისი მამებარი — მისივე შვილები. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ის სამი გზიანი: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი წარმომადგენელნი არიან მთლიანი საქართველოში. იმათ თუ ძალა ერთმანეთს არ შეუერთეს, ოსე ვერას გახდებიან ცალ-ცალკე და ვერ გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს. სწორედ ასე ამერ-იმერმა და შავი ზღვის პირმა უნდა შეაერთოს ძალა და ძმური თანხმობით მიადგენ ქაჯეთს. — დაცალცალკება დასუსტებაა... სიკვდილი. მეცხრამეტე საუკუნისაგან გამოანგარიშებული, ღიახ! მეცხრამეტე საუკუნემ შემოიტანა ჩვენში ის, რაც წინეთ არ ყოფილა: გაამტკიცა „ბატონყმობა“ და დააბეჩავა ხალხი, ძალმომრეობამ ყველა დააჩუმა. რალაც ძიღმა წაიღო ხალხი, მაგრამ

თურმე ის ძილი ყოფილა საღათას ძილი და არა მკვდრის, როგორც ზოგიერთებს ეგონათ! დღეს თავისთავად გამოაჩილა თვალი, გამოიღვიძა. ნელ-ნელა გამოერკვა, მიმოავლებს თვალს აწმყოს, შეისწავლის წარსულს და ისე გაითვალისწინებს მომავალს.

რაც წარსულს ჩვენთვის დღეისათვისაც გამოსადეგი და სასიკეთო უანდერძებია, იმაზე ხელს ვერ ავიღებთ!.. რამდენიმე ათასი წელიწადი, მთელი მისი სიცოცხლე, სისხლი უღვრია მოწამებრივი, რომ მონობა თავიდან აეცდინა და ვერც დღეს იკისრებს მონობას!... „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“. აი, ამისათვის დასდებს თავს და თუ ვერა, რუსთაველთან ერთად გაიმეორებს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!...“

[1911]

შოთა რუსთაველი¹

საქართველოს ისტორიას ყველაზედ მომეტებულად ამშვენებენ სამნი უმაღლესი და უდიდებულესნი გვამნი. პირველი გვამი არის წმინდა ნინო, დამრგველი ქრისტიანობისა და განმანათლებელი ქართველებისა სახარებისა სწავლით: მეორე—ბრწყინვალე თამარ მეფე, ძველის საქართველოს აღმყვანელი უმაღლესი ხარისხისამდე, და მესამე—შოთა რუსთაველი, წარმომადგენელი და გამონახატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა.

რუსთაველის სახელოვანს თხზულებას „ვეფხისტყაოსანს“ შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურაში. თუმცა მას შემდეგ ჩვენამდინ რვაას წელიწადზე მეტმა განვლო და თუმცა მრავალმა მალაონიჭიერმა მწერალმა გაამდიდრა მას უკან ჩვენი ლიტერატურა თვისი ნაწარმოებით, მაგრამ მისი პოემა მაინც დღემდის შეადგენს უძვირფასესსა და უკეთესს საუნჯეს საქართველის გონებისა და გულისათვის. ამგვარი დაუმკნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ გენიოსის ხვედრი და რუსთაველიც ყველასაგან აღიარებულია გენიოსად.

დაბადება, აღზრდა და ცხოვრება შოთასი ბინდბუნდით არის მოცული და დაბეჭიბით თითქმის არაფერი ვიცით.

არავითარი წერილობითი ცნობები არ მოიპოვება შოთაზე. „ქართლის ცხოვრება“, ფრიად მდიდარი ცნობებით თამარზე და იმის დროზე, კენტი სიტყვითაც არ იხსენიებს რუსთაველსა... მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით ვიცით. მასზე ზოგიერთი რამ, რომელიც აქ მოგვეყვას.

ჩვენს სასიქადულო პოეტს სახელად რქმევია ა შოთ ა ნ¹ და აქედანაა წარმომდგარი შემოკლებული საალერსო სახელი შოთ ა. როგორც ახლა, ისე უწინდელს დროში, ქართველებს ძლიერ უყვარდათ საყმაწვილო სახელების ხმარება დიდების შესახებ. როგორც ახლა, ისე უწინ სამოც-ოთხმოცის წლის

¹ ირმაზის წარმართული ღვთის სახელია.

მოხუცებულს ეძახდნენ: კოტე, სანდრო, ვანო, ილიკო და სხვანი. აი, ამ ჩვეულების წყალობით რუსთაველს შერჩენია ბავშვობის სახელი შოთა. რა გვარისა იყო შოთა, ამაზე არავითარი ცნობა არა გვაქვს, ვიცით მხოლოდ სოფლის სახელი, სადაც იგი დაბადებულა. ეს სოფელი ყოფილა რუსთაველს მესხეთში აქედან წარმომდგარა სახელი რუსთაველი. უწინდელ დროში და ახლაც ქართველებს ჰქონდათ ჩვეულებად განთქმული კაცების გვარის მაგივრად ეზმარათ იმათის დაბადების ადგილის სახელი. შოთას შესახებაც სოფლის სახელი უხმარიათ გვარის ნაცვლად და ამიტომ უკანასკნელი დაკარგულა.

შოთას დედ-მამა ბავშვობის დროსვე დაპხოცვია და დარჩენილა ობლად. მზრუნველად აღმოსჩენია ბერი ბიძა, რომელსაც თავდაპირველად მიუცია ბავშვი რუსთაველის საეკლესიო სკოლაში. უნდა იცოდეთ, რომ უწინდელს დროში ბევრს ეკლესიებთან იყო გამართული სკოლები, სადაც მაშინდელი მხნე მღვდლები ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და საღმრთო წერილს. საეკლესიო სკოლიდან შოთა გადაუყვანიათ მახლობელ ტბეთის მონასტრის სკოლაში. მაშინდელ დროში ყოველს მონასტერში არსებობდა სკოლა, რომელშიაც, დაახლოებით, იმდენს ასწავლიდნენ, რამდენიც ახლა დადებულია სასულიერო სასწავლებლებში. ტბეთის სკოლა რომ გაუთავებია რუსთაველს, ბიძას წაუყვანია კახეთში და მიუცია გრემის სასწავლებელში, რომლის კურსი უდრიდა თურნე მეტნაკლებობით ეხლანდელს სასულიერო სემინარიის კურსს. აქ შოთას სწავლაში გაუტარებია ხუთი წელიწადი და შემდეგ იგი ბიძას გადაუყვანია კახეთშივე ივალთოს სასწავლებელში, რომელიც დააარსა დავით აღმაშენებლის დროს არსენ ეპისკოპოსმა ივალთოელმა და რომელიც მაშინ იყო უმაღლესი სასწავლებელი მთელი საქართველოსათვის. აქ რომ სწავლა დაუმთავრებია, შოთა გაუგზავნიათ საბერძნეთში, რომელიც მაშინდელ დროში პირველი ქვეყანა იყო სწავლა-განათლებით და სადაც მიდიოდა ნასწავლი ახალგაზრდობა, ყველა ქვეყნიდან უმაღლესი სწავლისა და მეცნიერების შეძენისათვის.

შოთა ნისულა ქალაქ ათინაში, სადაც შეუსწავლია: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, პოეზია, მკერმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, შეუთვისებია ბერძნული და ლათინური ენები. როცა შოთას დაუმთავრებია უმაღლესი სწავლა, იგი ჩამჯდარა გემში და შავი ზღვით მოსულა თავის ქვეყანაში ჩინებულად მომზადებული ქვეყნის სამსახურისათვის.

რუსთაველის სამშობლოში დაბრუნება მომხდარა თამარის შუა მეფობაში. ამ დროს თამარისა და საქართველოს ძლიერება და ბედნიერება უმაღლესს ხარისხამდი იყო ასული. თავის სახელოვან დედოფალს მთელი ერი აღმერთებდა, ალტაცებით აქებდნენ და აღიდებდნენ მაშინდელი მგოსნები და მწერლები. ამგვარსავე ალტაცებაში მოიყვანა შოთას ყმაწვილი გული და გონება თამარის სულისა და სხეულის სიმშვენიერება და ბრძნულმა მეფობამ. მან უძღვნა დედოფალს რამდენიმე ლექსი, რომელშიაც გამოიჩინა დიდი ხელოვნება და ამითი მიიქცია ყურადღება თამარისა, რომელიც ნიჭს ღიდად აფსებდა და ფართო

გზას უხსნიდა. თამარმა ჩააბარა შოთას ერთი უმთავრესი თანამდებობა, სახელდობრ მოლარეთუხუცესობა, რომელიც სრულიად არ შეურყევდა პოეტს მყუდრო ცხოვრებასა და წერლობაში ხელს არ შეუშლიდა.

მალე შეუდგა შოთა პოემის წერას. მან მოიწადინა გამოეხატა თამარის თავისი მშვენიერებით, სათნოებით და სიბრძნით, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა. რადგანაც თანამედროვე პირების პირდაპირი დასახელება მოუხერხებელი იყო, ამიტომ პოემას მისცა არაკის ფორმა; მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში და მომქმედნი პირნი არაბების სახელებით გამოიყვანა. თავის ქმნილებას დააკევა „ვეფხისტყაოსანი“, რადგანაც უმთავრეს პირს პოემისას ტარიელს ვეფხის ტყავი აცვია. როცა თავის თხზულება დაამთავრა, მშვენიერად გადაწერილი წარუდგინა დედოფალს. თამარმა გამართა ნადიმი, მოიწვია განთქმულნი და წარჩინებულნი პირნი და იმათ წინაშე ავტორს წააკითხა იმისი თხზულება. პოემა ყველამ ფრიად საუცხოვო ნაწარმოებად ჩასთვალა. მსმენელთ აკვირვებდა მდიდარი და ღრმა შინაარსი, ფრიად ხელოვნური გამოხატულება, მშვენიერი ლექსთწყობილება და სამაგალითო ენა; აგრეთვე ძლიერ მოსწონდათ მიმართულება პოემისა, რომელშიაც ნათლად იყო დახატული მაშინდელი ქართველების ღირსებანი: პატივისცემა ქალისა, მთარველობა დაბალი წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა, სამაგალითო ძმობა ჳირსა და ლხინში, ძლიერება სულისა, უშიშროება ხიფათის წინაშე და სხვანი.

ერთმხად გადასწყვიტეს, რომ ამისთანა მაღალის ღირსებით სავსე თხზულება ჳერ ქართულს ენას არ უნახავს, და აღიარეს რუსთაველი პირველ პოეტად. თამარმა წაიძრო ხელიდან ძვირფასი ბეჭედი და უბოძა ავტორს ნიშნად მაღლობისა და წყალობისა; მისმა მეუღლემ დავითმა მოიხსნა ხმალი და თავის ხელით შემოარტყა. დამსწრე საზოგადოებამ საჩუქრად მიართვა ძვირფას ქვებში ჩასმული კალამი.

მალე მოიფინა ქება რუსთაველისა და იმისის „ვეფხისტყაოსნისა“. საუბრისა და ბასის დროს, დასამტკიცებლად თავისი აზრისა, ქართველებმა იწყეს მოყვანა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებისა სწორედ ისე, როგორც საღმრთო აზრების შესამოწმებლად დაბადებიდან მოჰყავდათ ტექსტები. ამის გამო ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ ანდაზად გადაიქცა.

პოემის განთქმულობას ძლიერ შეველოდა თვითონ ავტორის იშვიათი პიროვანი ღირსებანი. ისტორიკოსი ბარათაშვილის გამოკვლევით, რუსთაველი იყო უმშვენიერესი ვეჟაკი, ფრიად ზრდილი, დარბაისელ, სავსე ჳუთითა და მიმტაცებლობით, და ამასთან ისეთი სწავლული, რომ ტოლი არა ჰყავდა მთელს სამეფოში.

„ვეფხისტყაოსანი“ ამტკიცებს, რომ რუსთაველი იყო არა მარტო უნიჭიერესი პოეტი, არანედ ბრძენი, რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა თავის დროსა. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი. მაშინდელს დროში

მამაკაცებს დედაკაცები დაბალ არსებად მიაჩნდათ და ორის სქესის თანასწორობა უარყოფილი იყო. რუსთაველი კი თავის სპეციალურ ჟანრში მალევე აყენებს ვაჟთან და როსტევან მეფის ასულს თინათინზედ ამბობს:

„ლევო ლომისა სწოა, ძუ იყოს, თუნდა ზედა“.

მაშინდელ დროში ძარცვა-გლეჯა, სხვის ქონების მითვისება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წინააღმდეგ ამისა შოთა ჰქადაგებდა:

„რასაცა გასემ, შენია, რაც არა-დაკარგულია“.

ძველის კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული იყო მონობაზე, ბატონყმობაზე. „ვეფხისტყაოსანში“ კი ვკითხულობთ:

„მეოთ გლახაკა საქურქლე, ათაისუფლე მონები“.

უწინდელ დროში ბევრი ფიქრობდნენ, რომ ცოცხალი ძალის სჯობა ღვედარს ლომსაო. რუსთაველი კი სხვაფრთხილად სჯობს:

„სჯობს სიციხესა ნაძარხსა სიკვდილი სახელოვანი“.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს გვარიშვილობას. თანამდებობაში განწესება და საზოგადო პატივი დამყარებული იყო შთამომავლობაზე. შოთა კი თავის ერთ განსაკუთრებულს პატარა ლექსში პიროვან ღირსებას ყველაფერზე მაღლა აყენებს და არაფრად აგდებს გვარიშვილობას:

„აჰასად გვარი დაფსდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“.

რამდენი დრო გადის, იმდენი ფასი ემატება „ვეფხისტყაოსანს“. ახლა იგი გადათარგმნილია ბევრ ევროპულ ენაზე. ამას წინათ ერთმა განვითარებულმა გერმანელმა წარმოსთქვა აზრი, რომ მეთორმეტე საუკუნეში ევროპას არა ჰქონდა არც ერთი „ვეფხისტყაოსნის“ თანასწორი თხზულებაო, და მასში გამოთქმულია იმისთანა მაღალი აზრები, რომელიც ღირსი არის მთელს კაცობრიობაში მოიფინოსო. როდესაც ხანი და ჟამი რომელსამე ქმნილებას ფასსა და მნიშვნელობას არ უკარგავს, პირიქით, კიდევ უმატებს, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ ქმნილებას აზის ბეჭედი ნამდვილი გენიოსობისა.

[885]

კომენტარები და შენიშვნები

სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი მასალა აქ ძირითადად ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. გამონაკლისს ერთი და იმავე ავტორისა (მაგ., თეიმურაზ ბაგრატიონი, აკაკი წერეთელი) და შინაარსეულად დაახლოებულ წერილთა (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე) მიმართ ვუშვებთ. ეს მეტ შესაძლებლობას გვაძლევს შედარებით უწყვეტლივ გაეადევნოთ თვალი რუსთველოლოგიური აზრის განვითარების მთავარ ხაზს.

ავტორთა ვინაობისა და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობები შენიშვნებში გადმოგვაქვს. ფართოდ ცნობილი ავტორების (ილია, აკაკი, გოგებაშვილი) ბიოგრაფიაზე არ ვჩერდებით.

სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების ახლა აქ განმეორებისას აუცილებელი გახდა ზოგი მათგანის შემოკლება (ასეთებს საათურს ქვეშ უწერია ნაწყვეტი; ზოგჯერ კუპიურაც დაეუშვით) და აგრეთვე რიგ ტექსტში ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური დაზუსტებების შეტანაც. ვახტანგ მეექვსისა და მ. ბროსეს ნაშრომებში ფორმა რუსთველი შეგნებულად არ შევცვალეთ ფორმით რუსთაველი. კომენტარები და შენიშვნები ცალკეულ ნაშრომთა შესახებ ქვემოთაა წარმოდგენილი.

1. კრებულის პირველი ნაშრომის ავტორი ვახტანგ მეექვსე ქართლის გამგებელი, შემდეგ კი მეფე (1703—1724) იყო აგრეთვე მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი. ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია ვახტანგის მიერ თბილისში სტამბის დაარსება. ცნობილია, რომ ესაა პირველი სტამბა საერთოდ კავკასიაში.

აი, სწორედ ამ სტამბაში, რიგ სხვა წიგნთა შორის, 1712 წელს დაიბეჭდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ახლავს გამომცემლის მიერვე შესრულებული კომენტარები პოემისა. წინამდებარე ტექსტი იბეჭდება ა. შანიძის მიერ 1937 წ. აღდგენილი გამოცემის მიხედვით და სქოლიებიც იმავე პუბლიკაციიდან შევარჩიეთ.

ლიტერატურა: 1. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ., აღდგენილია ა. შანიძის მიერ, 1937 წ. ფოტორეპროდუქციული გამოცემა, თბ., 1975, გვ. სპე—ტნა. აკაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, I. ავტორის თხზულებანი, II, თბ., 1966, გვ. 9—51. 2. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 593—605. 3. ალ. ბარამიძე, ვახ-

ტანგისეული ვეფხისტყაოსანი — აეტორის „ნარკვევები...“ IV. თბ., 1964, გვ. 3—36. 4. გ. შიქაძე, ვახტანგ VI. — ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 504—520. 5. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957. 6. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 9—21 (ქვემოთ ამ წიგნს ვასახელებთ მხოლოდ სათაურით).

2. ტიმოთე გაბაშვილი, ანუ ტიმოთე მიტროპოლიტი, იყო მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი მოღვაწე. იგი 1737 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთემ დიპლომატიურ ელჩად გაგზავნა რუსეთში. იქიდან, ქართლის მთავარ ეპისკოპოსის წოდებით, მიემგზავრება 1755 წელს მთაწმინდისა და იერუსალიმის დასათვალისწინებლად (მოხილვა), იყო კონსტანტინეპოლშიც, „იერუსალიმში დაყო 1757—1758 წლები“.

„მომოსლვის“ ძირითადი მიზანი იყო „ათონსა და იერუსალიმში ქართული კულტურის უძველესი კერების ნახვა, არქეოლოგიური მუშაობის შედეგად ისტორიული მასალის მოპოვება და ამ კერების ისტორიის დაწერა“, რაც მან შეასრულა კიდევც.

აქ იბეჭდება ნაწყვეტი „მომოსლვიდან“ ელ. მეტრეველის პუბლიკაციის მიხედვით. მიუხედავად ტიმოთე გაბაშვილის აშკარად ტენდენციური შეხედულებისა შოთა რუსთაველზე, იგი საინტერესოა რუსთველის გარშემო იდეოლოგიური ბრძოლების შესწავლის თვალსაზრისით.

ლიტერატურა: ტიმოთე გაბაშვილი, მომოსლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურჯო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 647, 72—80; ლიტერატურა გამოცემაშივეა დასახელებული.

3. იოანე ბაგრატიონი (1772—1829 ან 1830) იყო შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგისა (1798—1800) და ამიტომ იოანე ბატონიშვილის სახელითაა ცნობილი. თავისი დროის ამ ერთ-ერთი უგანათლებლესი ენციკლოპედისტი ქართველის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი არის „კალმასობა“ (იწერებოდა 1813—1828 წლების, ე. ი. 15 წლის განმავლობაში): შეიცავს ზემოწარმოდგენილ ნაწყვეტს სათაურით „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“. იგი ჩვენთან მეორდება კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემიდან.

ლიტერატურა: 1. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948, გვ. 178, 184, 185. 2. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 705—724—იოანე ბაგრატიონი. ნარკვევი გ. შიქაძისა. 3. „რუსთველოლოგები“, თბ., 1970, გვ. 23—24.

4. ლ. ა. დ. რაიმე რუსთველისათვის. ეს არის ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი რუსთველოლოგიური სტატია. იგი „თბილისის უწყებანის“ — „Тифлисские ведомости“ 1829 წ. 29 იანვრის № 3-ის ქართულ განყოფილებაში დაიბეჭდა. გაზეთის ამ ნაწილს რედაქტორობდა ცნობილი სოლომონ დოდაშვილი.

სტატიის ავტორი ლ. ა. დ., როგორც ეს ანდრია აბრამიშვილმა გაარკვია, ყოფილა ლუარსაბ არღუთინსკი-დოლოგორუკოვი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის VI კლასის მოსწავლე (1828—1829), რომელიც წარჩინებულ 10. რუსთველოლოგიური ლიტერატურა

მონადეთა სიაში იხსენიება, როგორც თავიდან ლუარსაბ არღუთინსკი. (იგივე გვარი ერეკლე მეორის 1883 წ. 28 აგვისტოს ერთ-ერთი დოკუმენტით არის მხარგძელი).

სტატია დაუწერია 17 წლის ყმაწვილს მასწავლებლის — სოლომონ დოდაშვილის რჩევითა და დანხარებით რუსულ ენაზე, მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა. იგი მხოლოდ ქართულად გამოქვეყნებულა. ჩვეულებრივ კი წერილები ამ გაზეთში ორივე ენაზე იბეჭდებოდა.

თუ იმ ანაქრონიზმს გავსწორებთ, რომლის მიხედვითაც რუსთაველი თითქოს 1229 წელს დაიბადა და 1251 წელს თამარ მეფის კარზე დაიწყო სამსახური, სტატია იმ დროისა და ავტორის ასაკისათვის საკმაოდ პროფესიულადაა დაწერილი. გარდა ამისა, იგი ძვირფასია ჩვენთვის, როგორც საერთოდ გაზეთში დაბეჭდილი პირველი სტატია, და მითაც, რომ ს. დოდაშვილის ხელშია გავლილი, ახლავს მისივე შენიშვნა, რომლიდანაც ჩანს მასწავლებლის ახალგაზრდობისადმი მზურნველობა.

ლიტერატურა: 1. ანდრო აბრამიშვილი. ლ.ა.დ. და მისი მივიწყებული წერილი რუსთაველზე. — ავტორის კრებული „ლიტერატურული წერილები“, თბ., 1968, გვ. 114—126 (პირველად გამოქვეყნდა 1955 წ.). 2. შ. ბეჩქენიშვილი. წერილი „რაიმე რუსთაველისათვის“ და მისი ავტორი ლ. ა. დ. — კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“. IV, თბ., 1973, გვ. 117—126. 3. პ. გუგუშვილი. ქართული ეურნალისტიკა... თბ., 1941, გვ. 65—78.

5. თეიმურაზ ბაგრატიონი (1782.23.IV—1846.29.X ძვ. სტ.) მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის უგანათლებულესი ქართველი უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის სახელითაა ცნობილი. იგი თავის ვინაობასა და სამეცნიერო წოდებებს ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომის სათაურის ქვეშ ასე აყალიბებს:

„განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, ქმნული მეფის გიორგი მეცამეტის ძის თეიმურაზის მიერ კავალერისაგან და სრულიად როსის ს. პეტერბურგის აკადემია-ნაუკისა, პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნიი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენდალანის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა, პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიეის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა“.

ხსენებული გიორგი XIII ახლა ჩვენს ისტორიოგრაფიაში გიორგი XII-დ აღინიშნება.

თეიმურაზ ბაგრატიონი ჯერ პეტერბურგიდან აწვდიდა ცნობებს ფრანგ ქართველოლოგ მარი ბროსეს (იხ. ქვემოთ). 1837 წლიდან კი ბროსეც პეტერბურგში გადმოსახლდა; მან და თ. ბაგრატიონმა კიდევ უფრო დიდი ერთობლივი მუშაობა წარმართეს.

ზენოწარმოდგენილი გამოკვლევებისმაგვარი პირადი წერილების ნაწყვეტები ამოკრებილია გამოცემიდან: „თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. შ. ბროსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტ-

ყვაობა, შენიშვნა და საძიებელი დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1964; გვერდები ნაწყვეტების ბოლოსა აღნიშნული.

უქანასკნელი— 1834 წ. 17 ოქტომბრის წერილი გადმობეჭდილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული წიგნიდან „შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებულში“, თბ., 1966, გვ. 406—409, პუბლიკაცია გურამ შარაძისა.

6. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 290—295. ესაა ავტორის შემაჯამებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი.

თ. ბაგრატიონის წიგნშიც „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა ქმნილი საქართველოს მეათცამეტის (უნდა მეათთორმეტე, ი. შ.) მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან“ (ს. — პეტერბურგი, 1848) განმეორებულია ზემოწარმოდგენილი ზოგი ცნობა შოთა რუსთაველზე.

ლიტერატურა: 1. Е. Такайшвили, Описание рукописей.. ტ. II, ნაკვ. III, თბ., 1908, გვ. 582—592; შტრ. И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, თბ., 1960, გვ. 78—79. 2. შოთა მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1939, ნაკვ. I. 3. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I — ცხოვრება, თბ., 1972; II — შემოქმედება, თბ., 1974. 4. ზემოხსენებული „რუსთველოლოგები“, გვ. 31—46.

7. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის თეიმურაზ ბაგრატიონის ნაქონ ეგზემპლარში, რომელიც პროფ. ვარლამ დონდუას პირად ბიბლიოთეკაში ვნახეთ, ილო ამავე გამოცემის „პროგრამა“ „Программа“. იგი დაბეჭდილი ჩანს 1840 წელს და შეიცავს ძვირფას ცნობებს იმის თაობაზე, თუ როგორ იშვიათობას წარმოადგენდა უკვე მაშინ რუსთაველის პოემის 1712 წლის გამოცემის ცალები და რაოდენ ძვირად ფასობდა იგი, რა ცვლილებები შეიტანეს რედაქტორებმა 1841 წლის პუბლიკაციაში და სხვა.

საყურადღებოა „პროგრამის“ ცნობა, რომ პირველი გამოცემის (ფიქრებენ 400 ცალიდან) უმთავრესი ნაწილი განადგურდა ჩღეე (1795) ხოჯა აღამაჰმად ხანის ურდოების მიერ თბილისის დარბევისა და გადაწვის დროსაო. მაშასადამე, გავრცელებული აზრი, რომ ეს გამოცემა დააწვევინა თუ მტკვარში გადააყრევინა განათლებულმა კათალიკოსმა ანტონ პირველმა (1719—1778), არ მართლდება. „პროგრამა“ ფრიალ მნიშვნელოვანია; ჩვენ იგი დავბეჭდეთ და აქაც ვიმეორებთ.

ლიტერატურა: 1. ი. მეგრელიძე, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის პროგრამა. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ. 20 აგვისტო, № 34, გვ. 2; მისივე. Из истории руставелологии, — ჟურნ. «Литературная Грузия», თბ., 1964, № 12, გვ. 170—172. 3. ელ. მეტრეველის წერილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, თბ., 1953, გვ. 49.

8. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, რომელიც

აკად. მ. ბროსეს ეკუთვნის, აქ წარმოდგენილია კრებულის „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I (თბ., 1976 წ.) მიხედვით.

აკად. მარი-ფელისიტე ბროსე (1802—1880) იყო ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი, გამოჩენილი ისტორიკოსი (საკუთრივ ისტორია, არქეოლოგია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა...), მაგრამ ამავე დროს ფილოლოგიაშიც მუშაობდა. იგი იკვლევდა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს და ყველაზე მეტ ყურადღებას „ვეფხისტყაოსანს“ აქცევდა, მას სწავლობდა როგორც ფილოლოგი და როგორც ისტორიკოსი.

მარი ბროსე სწორად აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ენობრივ-სტილისტიკურად დიდად განსხვავდება ბიბლიური წიგნების ქართული ენისაგან. მან პირველმა შეამჩნია მსგავსება ჩახრუხადისა და რუსთაველის ცალკეულ აფორიზმებსა და მხატვრულ ლექსიკას შორის, წამოაყენა ამ ორი პოეტის იგივეობის ჰიპოთეზა, რაც შემდეგ ნ. მარმა განავითარა.

თემურაზ ბაგრატიონთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ხელმძღვანელობის გარდა, მ. ბროსემ თავის ნაშრომებში დააყენა რიგი საკითხები რუსთაველის ბიოგრაფიის, ეპოქის ისტორიის, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსისა და სხვა მხარეებისა, გაავლო პარალელები რუსთაველის პოემასა და მსოფლიოს სხვა უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლებს შორის.

ღეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში „ვეფხისტყაოსანი“ მ. ბროსემ თარგმნა ფრანგულ ენაზე (გამოქვეყნებულია ნაწილობრივ) და მასვე ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ნარკვევი, რითაც ხელი შეუწყო პოეტის უკვდავი ქმნილებებისა და, საერთოდაც, ქართული კულტურის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას.

ლიტერატურა: 1. L. Brosset. Bibliographie analytique des ouvrages de M. Brosset 824—1879, ს.-პეტერბურგი, 1887; Н. Я. Марр, К столетию дня рождения М. Броссе.—ЗВО. XIV წაკვ. IV, 1902, გვ. 06—078. 3. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966. 4. რუსთაველოლოგები, გვ. 47—58.

მ. დიმიტრი ზაქარაძე ბე ბაქრაძე (1826—1890) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ისტორიის პირველწყაროების შემკვრები და თვით ამავე ისტორიის სახელგანთქმული მკვლევარი იყო. იგი ვეფხისტყაოსნის შესახებ იზიარებდა დ. ჩუბინაშვილს შეხედულებას, ყურადღებას ამახვილებდა პოემის ისტორიულ რეალიებზე. ზემოწარმოდგენილი ტექსტი თარიღის მიხედვით (აგრეთვე ე. იოსელიანისა) ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების წერილებს შემდეგ უნდა წარმოგვედგინა, მაგრამ დ. ბაქრაძე მკიდროდ იყო დაკავშირებული მ. ბროსესა და მის აზრებთან (მას ნ. მარი ბროსეს მოწაფეს უწოდებდა) და ანიტომ ბაქრაძის შენიშვნები ბროსეს სტატიის შემდეგ ნოვათავსეთ. იგი აღებულია წიგნიდან „ვახუშტი, საქართველოს ისტორია“ დ. ბაქრაძის განოცემა, თბ., 1885, გვ. 218—219; აგრეთვე იხ.

მონოგრაფია „მ ა მ ი ა დ უ მ ბ ა ძ ე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“, ბათუმი, 1950.

10. ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი (1767—1843) სამეფო კარზე აღზრდილი, კარგი განათლების ეურნალისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე იყო. აქ ვიმეორებთ მისი ერთ-ერთი სტატიის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც რუსთაველს ეხება. იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. ე. იოსელიანი ერთი პირველთაგანი ლაპარაკობს რუსთაველის საერთო დიდ გავლენაზე მთელს ქართულ ლიტერატურაზე და კონკრეტულად მე-19 საუკუნის პოეტ გრ. ორბელიანზე.

ლიტერატურა 1. ჟურნ. „ცისკარი“, 1883. IV, გვ. 77—78. 2. ც. ჰ ა ნ კ ი ე ვ ი, ეგნატე იოსელიანი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1969. გვ. 57—58.

11. აკაკი წერეთელი (1840—1915) ადრე მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე. მისი „რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაცავად“ 1862 წელს წარდგინდა პეტერბურგის უნივერსიტეტში კურსის დასამთავრებელ, ე. წ. საკანდიდატო დისერტაციად (სადიპლომო ნაშრომის ავტორეფერატი) Нескольکو слов в пользу оригинальности, რომელმაც მოწონება დაიმსახურა, მაგრამ მაშინ არ გამოქვეყნებულა და დაიწვევბას მიეცა. იგი გამოავლინეს, ითარგმნა და შენიშვნებით გამოაქვეყნეს ან. აბრამიშვილმა და ალ. ლლონტმა („მნათობი“, 1956, № 10, გვ. 164 — 172.

გამოქვეყნებულია აგრეთვე ავტორასავე Лекции о «Барсовой коже» (აკაკის ტ. XV, გვ. 466—476; შენიშვნები—გვ. 88), რომელშიც ავტორი ქართულად გამოქვეყნებული ლექციების აზრებს იყენებს.

12. აკაკი წერეთელი, სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“. აქ მხოლოდ მეორე და მესამე ლექციებს ვაქვეყნებთ. პირველ ლექციას აქვე აღარ ვიმეორებთ იმიტომ, რომ იგი უშუალოდ „ვეფხისტყაოსანს“ არ ეხება; შეიცავს საქართველოს კუთხეებისა და მათ მოსახლეთა თავისებურ დახასიათებას, მთავრდება სიტყვებით: „ჩვენ ავიღოთ უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“; გავარჩიოთ და იქ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას მისი კუთხეებით და მცხოვრებლებით ისე გამოხატულს, როგორც სარკეში ჩასახულ რამეს“ (ტ. XII, გვ. 82).

მეორე ლექცია (№ 12-დან) პირველად გამოქვეყნდა 1898 წ. „აკაკის კრებულში“ (№ 5, 6). ცნობები ამ ლექციის შესახებ კი ადრევე დაიბეჭდა (1881 წ. 7. აპრილი № 74). იგივე ლექცია ქუთაისში განმეორდა და ცნობა ამის თაობაზეც გამოქვეყნდა („დროება“, 1881 წ. № 89).

ყოველივე ეს გახდა საბაბი ილია ჭავჭავაძის მიერ სათანადო წერილის გამოქვეყნებისა და აკაკის პასუხისა (იხ. ქვემოთ).

ლიტერატურა: 1. აკაკი წერეთელი თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, თბ., 1963, გვ. 583—592. 2. ჟურნ. „მნათობი“, 1956, გვ. 165—168. 3. ლ. შენაბღე,

„ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1967. გვ. 63—114. 3. რუსთველოლოგები, 1970, გვ. 102—108.

13. ილია ჭავჭავაძე (1837—1907), როგორც ზემოთ იქთვა, გამოცემილია აკაკი წერეთლის „სამს ლექციას ვეფხისტყაოსანზე“. ამიტომ ეწოდება ნარკვევს „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ (გაზ. „ივერია“, 1887, № 75, 76, 77).

ილია სხვაგანაც გამოთქვამს აზრებს „ვეფხისტყაოსანზე“. მაგალითად, „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლალადში“ (1899), მაგრამ ძირითადად იმასვე ამბობს, რაც სპეციალურ ნაშრომში აქვს ნათქვამი. ამიტომ „ქვათა ლალადის“ ტექსტის კომპირებას აღარ მივმართავთ.

ილია თავის მხატვრულ ნაწერებშიც ხშირად იყენებს შოთას აფორიზმებს და ზოგიერთ მათგანს თავისებურად განმარტავს, მაგრამ აქ არც ასეთი ნაწევები არ მოგვადქვს.

ლიტერატურა: 1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბ., 1953, გვ. 166—178. 2. ვ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 168—180. 3. ლ. მენაბდე, ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 31—52. 4. „რუსთველოლოგები“, გვ. 95—101. ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები.—ავტორის „ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, VI, თბ., 1975, გვ. 259—301.

14. „აკაკი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხისტყაოსნის გამო“ გამოქვეყნდა ბროშურის სახით, თბ., 1887 წ., ზ. ქიქინაძის გამოცემა. იხ. აგრეთვე აკაკისავე ტ. XII, თბ., 1960, გვ. 338—351. ვსარგებლობთ უკანასკნელი გამოცემის ტექსტით.

15. „აკაკი წერეთელი, თანამედროვე ჰაზრები რუსთაველის აგან მე-12-ე საუკუნეში, წინასწარი ლექცია“, ავტორის ნააზრევთა სისრულისათვის შემოგვადქვს კრებულში, თუმცა იგი ქრონოლოგიურად წინამდებარე I ნაკვეთის ფარგლებს სცილდება. დაიბეჭდა გაზ. „თემში“ 1911 წელს 20 მაისს, № 20; დაწერილია 1908 წელს. ვსარგებლობთ ტექსტით აკაკის ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 418—428.

ა. წერეთელი რუსთაველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე ჩერდება აგრეთვე წერილებში: „მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელი თხზულების გამო“ (ეხება ნ. მარის ნაშრომს ძველი ქართველი მეხოტბეების შესახებ, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა. შდრ. აკაკი, ტ. XIV, გვ. 129—134), „აკაკის წერილი ს. კაკაბაძის მოხსენების გამო“ („თემი“, 1913 წ. 1 აპრილი, № 117; ტ. XIV, გვ. 539—541) და სხვაშიც, მაგრამ მათ აქ აღარ ვბეჭდავთ; მთავარია აკაკის „სამი ლექცია...“ მაგალითად, აკაკის წერილი ნ. მარის ნაშრომის თაობაზე ეხება არა „ვეფხისტყაოსანს“, არამედ „აბდულ-მესიას“ და „თამარიანს“.

ლიტერატურა იხ. ზემოთ — 12.

16. იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840—1912) წერილს „შოთა რუს-

თაველი“ ათავსებს პირველად მის მიერვე შედგენილ „ბუნების კარის“ მეხუთე გამოცემაში (1885 წ.). აქ დაბეჭდილია „ორიოდე სიტყვა მეხუთე გამოცემის შესახებ“. მასში ავტორი ამბობს: „ამ გამოცემაში ცოტათი შევამოკლეთ ბუნების სურათები და ჩავემატეთ ისტორიული ამბები; აქ პირველადაა შეტანილი „მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან“ და „შოთა რუსთაველი“ (იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 6, 1958, გვ. 754—756, — ვ. ქაჩიას შენიშვნები).

„ბუნების კარი“ 1918 წლამდე სულ 27-ჯერ გამოიცა და, მამასადამე, აღნიშნული წერილი ჩვენს უდიდეს პოეტზე 22 გამოცემაში დაიბეჭდა. ეს იყო სასკოლო სახელმძღვანელო და ოჯახში საკითხავი, ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი, ერთ-ერთი უპოპულარეს წიგნთაგანი საქართველოში. აქედან ნათელია ის დიდი მნიშვნელობაც, რომელიც მასალის ამ წიგნში დაბეჭდვას ჰქონდა.

ზემოწარმოდგენილი წერილი ამოღებულია „ბუნების კარის“ სრულყოფილ 1912 წლის გამოცემიდან, მაგრამ რადგანაც იგი არსებითად 1885 წელსაა დაწერილი, აქვე ვათავსებთ. ი. გოგებაშვილი სხვაგანც იხსენიებს რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“; მას დიდი დამსახურება მიუძღვის პოეტის სახელისა და პოემის პოპულარიზაციაში.

ლიტერატურა: 1. ლ. შენაბდევ. „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, 1967, გვ. 138—150. 2. ი. მეგრელიძე. იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, სახელმძღვანელოები. გრამატიკის საკითხები, თბ., 1973, გვ. 66—70; მისივე — რუსთველოლოგები, 1970, გვ. 109—113. იქვე ლიტერატურა უფრო ვრცლადა დასახელებული.

ი. მეგრელიძე

საკუთარ სახელთა სპიხეული

- ბბრამიშვილი 145, 146, 150
 აბუსერიძე 135
 ავთანდილი 9, 10, 17—20, 22, 23, 25,
 27—30, 37, 38, 43, 44, 46—48, 66, 74,
 75, 83, 86, 94, 96—102, 104, 105,
 107—109, 111—114, 116—118, 124,
 126, 128, 129, 137, 138
 ათაბაგი ყვარყვარე 5
 ათინელი ტ. 128
 ალექსანდრე V 145
 აჰანელიძე 135
 აზირან დარეჯანის ძე 58, 61, 64, 69
 ანდრია მოცოქული 104
 ანტონ I 83, 90, 124, 147
 ანტონი 56
 არიოპაგელი დ. 25, 49
 არსენ ივალთოელი იხ. ივალთოელი ა.
 არღუთაშვილი (მხარგრძელი) ზ. 95
 არღუთინსკი-დოლოგორუკი (მხარგრძელი) ლ.
 146—145
 არჩილ მეფე 90
 ასმათი 27, 30, 31, 48, 65, 74, 75, 86,
 94, 99, 102, 103, 105, 106, 108, 132
 აღმაჰმად ხანი 147
 Мохаммед-Хан 73
 ბაგრატი 128
 ბაქრაძე დ. 80
 ბაგრატიონი თ. 57, 67, 68, 144, 146
 თეიმურაზ I 90
 ბაგრატიონი ი. 51—145
 ბაგრატიონი ს. 80
 ბარამიძე ალ. 144, 145, 151
 ბარათაშვილი (ისტორიკოსი) 142
 ბაქრაძე დ. 144—148, 150
 ბახტა ვახტანგის ძე 66
 ბერიძე ვუკ. 151
 ბერძენიშვილი მ. 146
 ბროსე მ. 57, 63, 66, 73, 74, 144, 146,
 148, 149
 Brocce M. 73, 148
 Brossel M. 148
 ბურღუ-ხანუმ იხ. გურჯი თამარი
 ბაბაშვილი ტ. 50, 145
 გამრეკელი 135
 გათიშვილი ს. (იხ. თმოგველი ს.) 60
 გიორგი III 59, 133, 80
 გიორგი დავითის ძე 50
 გიორგი XI 7, 66, 78
 გიორგი XII (XIII), 65, 145, 146
 გიორგი 128
 გრიგოლი 7
 გოგებაშვილი ი. 140, 144, 152
 გოგიჩაიშვილი მ. 6
 გორგასლანი ვ. 50, 72
 გორგიჯანიძე ფ. 69
 გომაძე 135
 გუბაძე 135
 გუგუშვილი პ. 146
 გურამიშვილი დ. 91, 92
 გურიელი ა. 69
 გურიელი ვ. 69
 გურიელი შ. 69
 გურჯი თ. 133
 ლავარი 80, 107
 დავითი 128
 დავით აღმაშენებელი 19, 76, 133, 141
 დივანბეგი დ. 65, 78
 დავით (ნარინი) 69
 დავით წინასწარმეტყველი 77

1 შეაჯგინა დარეჯან დანელიამ.

დიდებულიძე 136
დილარ-გეთი, დალარ გეთ ა, 60, 61
დიონისე იხ. არიოპაგელი დ.
დოდაშვილი დ. 146
დონდუა ვ. 147
დუმბაძე მ. 150

ქეზარხოსი ე. 69
ელენე 115
ერეკლე II 65, 128, 146
ერისთავი -136
ერისთავის ძე ჯ. 65
ესაია 14

ჰანო 141
ვარდანი 76
ვახუშტი (ვახუშტიშვილი) 133
ვახტანგ VI 5, 7, 18, 28, 57, 58, 66, 69,
73, 76—90, 95, 144

Вахтанг VI 73

თამარ მეფე 9, 10, 12, 13, 15, 51—53,
57, 59, 62, 68, 69, 70, 72, 76, 80, 82,
83, 95, 96, 104, 124, 133, 135, 140—
142, 146

Тамара 73

თინათინი 9, 17, 19, 21, 25, 30, 38, 64,
74, 75, 99—101, 105, 107, 109, 114,
127, 132, 143

თმოგველი ს. 51, 60, 61

Иакоб 40

ივანე 116

ივლითი (ბიბლიური) 105

ილიკო 141

იმედოშვილი გ. 147

იოანე პეტრიწი იხ. პეტრიწი

იოანე 10, 17, 22, 26, 40

იოვანე ნათლისმცემელი 13

იონა 56

იოსელიანი ე. 81, 148, 150

ირაკლი I 61, 69

ირაკლი II 78

იუდა 16

იულიოს კეისარი (ქარიოლანუსი) 128

იყალთოელი ა. 141

იკაბაძე ს. 151

იკახაბერი 135

ქეკელიძე კ. 144, 145, 147

კოტე 141

კონსტანტინე 62

კუპრი შოთა 69

ლ. ა. დ. იხ. არღუთინსკი-დოღოორუკი ლ.
53, 145

ლესინგი 115, 127

ლიპარტიანი 135

ლომონოსოვი მ. 55

ლუკა 13

მათე 11, 12, 16, 28

მარი ნ. 152

მეგრელიძე ი. 1, 2, 6, 145, 147—149, 151,
152

Мегрелидзе И. 147

მენაბდე ლ. 151, 152

მესევეტ ს. 117

მესხი მ. 82, 147

მეტრეველი ე. 50, 145, 147

მიროან მეფე 62, 72, 104

მიტროპოლიტი ტ. იხ. გაბაშვილი ტ.

მიქაძე გ. 145

მოკაბადი შაი 60

მხარგრძელი 135

ნათლისმცემელი ი. იხ. იოვანე ნათლის-
მცემელი

ნანა დედოფალი 104

ნარინი იხ. დავით ნ.

ნესტან-დარეჯანი 9, 65, 68, 74—76, 78,
80, 84—86, 94, 97—99, 101, 103, 104—
109, 113—115, 124, 127, 132, 138

ნინო (წმინდა) 104, 140

ნუნოფრე 105

ორბელიანი გრ. 81, 150

იოვანე ოქროპირი 41

ოქროპირი 7, 47

პაულე 8, 13, 25, 39, 45, 48

პანკრატოვანი დ. 78

პეტრე 10, 28, 40, 116

პეტრიწი ი. 62, 64

პირისტრატოსი 77

პლატონი 40

რამინ 60
რუსთაველი შ. 5, 8, 9, 10, 12, 13, 25, 28,
30, 42, 43, 45, 46, 50—55, 57—64,
66, 68—77, 81, 84, 88, 90, 91, 93, 95,
99, 100, 104, 105, 111—119, 124, 125,
128—134, 136, 138—148, 152
რუსუდან მეფე 69
რუსუდანი (გიორგი მეფის და) 80, 133
როსტევენი 17, 18, 21, 100, 133, 137, 143
როშაქ (სპარსალარი) 47
ხაკაქე გ. 128, 136
საეარსამიძე 135
სანდრო 141
სელიმან (ელჩი) 50
სვიმონ მესვეტე იხ. მესვეტე ს.
სოლომონი 35, 50
სულთან სელი 50
სურამელი რ. 133, 135
შარელი, 9, 10, 19—21, 26—29, 31, 38,
40, 48, 49, 58, 61, 65, 68, 72, 74, 75,
84—86, 94, 96, 102—104, 109, 111—
114, 116—118, 122—124, 126, 129,
137, 138
Тарней 73
ტამოთე მიტროპოლიტი 76
|
შალსტაფი 111
ფარსადანი 80, 99, 116
ფატმანი 46, 74, 86, 87, 90, 103, 104, 107,
108, 132
ფირდოუსი 8
ფრიდონი 10, 48, 66, 74, 75, 85, 96, 98,
104, 109, 111, 112, 116—118, 123,
128, 138
შაჩაია ვ. 152
ქველი წერეთელი იხ. წერეთელი ქვ.
ქეთევან დედოფალი 104
ქრისტე 8, 15, 16, 18, 24, 28, 30, 42, 47,
77, 104, 122
ლონტი ალ. 150
შვარცყვარე ათაბაგი იხ. ათაბაგი ყვარყვარე
ყუბანეიშვილი ს. 147

შათელი ი. 51, 57—59, 61, 62, 64
შანიძე ა. 144
შარაძე გ. 147
შერმადინი 94, 138
შექსპირი 116, 125, 128, 129
შაჰნავაზი 66 (ეხტანგ V)
ჩახრუხაძე 5, 52, 57—59, 61, 62, 64
ჩაჩნავირი 86
ჩუბინოვი (იხ. ჩუბინაშვილი) 79
ჩიქოვანი გ. 135
ჩოლოყაშვილი 78
ჩუბინაშვილი დ. 8, 148
ცაიშვილი სარგ. 3, 145
Цаишвили Сарг. 3
ციციშვილი ნ. 66—79, 83, 91
წერეთელი ა. 82, 88, 110, 111, 116, 120,
131, 144, 150, 151
წერეთელი დ. 137
წერეთელი ნ. 137
წერეთელი სვ. 137
წერეთელი ს. 136
წერეთელი ქვ. 89
შაჰკვაძე ი. 110, 120, 121, 124—130,
144, 151
ქანკეივი ც. 150
ქილაძე 135
ქიქინაძე ზ. 157
ხანთაძე შ. 148
ხერხეულიძე 105
ხონელი მ. 58, 59, 61, 64
ხოშაგი 133
ჯაყელი კრ. 133
ჯორჯაძე სტ. 69
ჰამლეტი 111
ჰაფი 88
ჰენრიკო 128
ჰომეროსი 77, 115, 127
ჰუსეინი 108

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა—ი. მეგრელიძე	5
1. ვახტანგ შეეკესე. თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“	7
2. ტიმოთე გაბაშვილი, რუსთაველის შესახებ	50
3. იოანე ბაგრატიონი, მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის	51
4. ლ.ა.დ. რაიზე რუსთაველისათვის	53
5. თეიმურაზ ბაგრატიონი, წერილებიდან მ. ბროსესადმი	57
6. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ (ნაწყვეტი)	68
7. ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის პროგრამა	72
Программа [издания «Вепхисткаосани» 1841 года]	73
8. მ. ბროსე. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა	74
9. დიმიტრი ბაქრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ	80
10. ეგნატე იოსელიანი, რუსთაველის შესახებ	81
11. აკაკი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაცავად	82
12. აკაკი წერეთელი, სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“ (II და III)	88
13. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“	110
14. აკაკი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო.	120
15. აკაკი წერეთელი, თანამედროვე ჰაზრები რუსთაველისაგან 12-ე საუკუნეში. წინასწარი ლექცია	131
16. იაკობ გოგებაშვილი. შოთა რუსთაველი	140
კომენტარები და შენიშვნები მ. მეგრელიძე	144
საკუთარ სახელთა სძიებელი	152

რუსთაველოლოგიკური იზბრანური ლიტერატურა
(на грузинском языке)
ИБ 1027

გამომცემლობის რედაქტორი ე. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ი. ნ ა ს ა რ ი ძ ე

გადეცა წარმოებას 12.2.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.10.1979;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 9.75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.4;

უე 05844;

ტირაჟი 2000;

შეკვეთი № 495;

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузови, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутуз. ва, 19